# ლიტერატურა და ხელოვნება

1522
2008

N3
3/2008

*პოეზია*

გურამ დოჩანაშვილი
ვახუშტი კოტეტიშვილი
მაყვალა გონაშვილი

*პროზა*

გიორგი გიგაური

*თარგმანი*

ბერნჰარდ შლინკი

*ლიტერატურული ხილვები*

ირაკლი ბათიაშვილი

*ესეები*

ზაქრო ფიცხელაური

*დიდოსტატთა სახელოსნოები*

ლეონარდო და ვინჩი
პიკასო



წითელი კლდეები



ყაყაჩოები



პეიზაჟი

მხატვარი ზაქრო ფიცხელაური

# ლიტერატურა და ხელოვნება

N3(27)
3/2008

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
VAZHA OTARASHVILI

Literature And Art

ISSN 1512-3189



დამფუძნებელი, პროექტის ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი
ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი მდივანი
ზურაბ თორია

რედაქტორი
ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა
ზაქრო ფიცხელაური

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4
ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.
E-meil: vajao@mail.ru
Web: www.litandart.com.ge



ჟურნალი გამოდის სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის მხარდაჭერით



ნომრის სპონსორია

გლობალ სერვის ტური
LTD GLOBAL SERVICE TOURS
ტურისტული სააგენტო
TRAVEL AGENCY
ტელ.: (+995 32) 33 71 73
e-mail: info@globalservice-tour.ge
www.globalservice-tour.ge


## სარჩევი


პროზა, პოეზია

4 გურამ დოჩანაშვილი - რაც უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება /რომანი/
28 გიორგი გიგაური - ლექსები
32 ვახუშტი კოტეტიშვილი - ჩემი წუთისოფელი /მემუარები/
43 მაყვალა გონაშვილი - ბელურა სალორეში /მოთხრობა/
43 თამარ მახარაძე - ლექსები
40 ხვიჩა ყალაბეგაშვილი - ძველი სახლის ძველი ფიალა /მოთხრობა/

დრამატურგია

44 ზურაბ თორია - მაკვარანცხი /პიესა/

თარგმანი

54 ბერნჰარდ შლინკი - გოგონა ხვლიკით /თარგმნა ბელა სურგულაძემ/

ფერწერული საჩუქრები

60 ქეთევან მენგელია - კიდევ ერთხელ პიკასოს შესახებ
66 რეზო ადამია - "ჯოკონდა" - ნისლმოფენილი სახე სამყაროსი

ფილოსოფიური ხედვები

68 ირაკლი ბათიაშვილი - დაუსრულებელი ფილოსოფიური დიალოგები

ფურცლები სამყაროდან

72 ლალი ხოსიტაშვილი - სერგო ზაქარიაძის ცხოვრების უცნობი ფურცლები

მხატვრობა

76 ქეთევან მებითიძე - მძლავრად მოქნეულ ყალმის საუფლოში /ზაქრო ფიცხელაური/

მკვდრის მზე

81 ბეთქილ შამფიანი - ლექსები

საკონსულტაციო საბჭო:

ჩაბუა ამირეჯიბი, ბაჩანა ბრეგვაძე, ნანი ბრეგვაძე,

მერაბ ბერძენიშვილი, პაატა ბურჭულაძე, მაყვალა ქასრაშვილი,

ნათელა ურუშაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თემურ ჩხეიძე,

თამაზ ჩხენკელი, გოგი წერეთელი.

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“
არც ერთ პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და
მხოლოდ ქართული სულიერების,კულტურის,მწერლობისა
და ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



28015

# გურამ დოჩანაშვილი

## რაც უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება:

### (ეგრეთწოდებული „ავტობიოგრაფიული რომანი“)

*(გაგრძელება)*

და ნალდი ქურდიც გვყავდა-გვერია პალატაში, „კანონიერი“, ცალფეხა გახლდათ და დიდი ასევთქვათ თავდადება იყო მისგან ბალღობიდანვე აყოლილი ჯიბგირობა რომ კვლავაც „ჰობი“ ყოფილა, მისთვის — ი-„სვაბოდა“-ზე ტროლეიბუსში რო ესქესათ იმისი ჰობი? — ი-ცალიფეხით აბა სადღა გაექცეოდა დადევნებულებს, და ერთი იმისი, ამა-ქურდისა რიდი და წიწი ჰქონდა ებრაელ-ოლლი-ს ხოლო ის ქურდი — სახელი არ მახსოვს, გვარად ჯაფარიძე იყო და ემ-ოლლისა? ისა ჰლზრდიდა აკადემიის ბაკალავრულურ-საასპირანტოდ, მაგრამა ისიდიპლომანტი მაინცდამაინც ვერ უვარგოდა და ამიტომაც თავი და თავი მეთოდი მისი, წამდაუწუმა ოპონენტისა? — ოლლისათვინა კეფაშინამორტყმა ან თავშიჩაფარება, იყო, ისე კი, კანონ.-ქურდისა პირობაზედ დიდგასაკვირვად როგორღაც დიდად პირლიმილიანი, იყო, და ჩვენი (ისემც!) ისი-ულვაშა წუმპურმიშვილი ძალიან ხშირად, იმისსა წყალობ-ღიმილისათვის, იმეორებდა:

— ჰა, როგორა მყაამს ისაოლრაში? — და, გვიხსნიდა ჩვენ, ჰარიფებსა: — ამას ერთიცა ძმაბიჭი ყამს ერთი-ისეთი? ვინა და — აქ რომელიღაც კლიჩკა-ს ამბობდა, — ჯიბგირი ვარო იმან უნდა თქოს, აი იმან რომ ამ პალატაში შამაიხედოს თავის კამერის რეშოტკებიდან ჩვენი პალატის კლეტკებშია? ავსადამტერსა!! აღარ შაგვრჩება აღარცერთს, კაცო, აღარაფერი, და ნეტავი ისა ჩვენსა შალვრების გახდა-წაღებას დასჯერდებოდეს, თორეე, ვაითუ ჩვენი კოხტანიფხვებიც ზედ მიაყოლოს და რა სანახავ-იქნები შენა, შე რაბინოვიჩ, ნიფხავში აკი რა ტურფაი ხარ და, უნიფხვოდაო რაღა იქნები შენკი მერომკი მეკი შენიკი ია ტვოი მამა ( — ანუ დედა)...,

მაისეევიჩ რაბინოვიჩი, მიხვდით ალბათაც ნაციონალნოსტ-ით რუსის ჰალალი და ანტიცჰალალი ჰებრაელ-იყო, დაა კართული გაგებით კი გაეგებოდა მაგრამ ენურის ლაპარაკითა? — ვერაა, სუვერა ლლაპარაკობდა, ხოლო იმისი ვრცელ-რუსულითა? ვიცოდით ყველამ ზედმიწევნით, რო, აი ისიცა ერთისა განხრით აღნაგობისა ირგვლივა-განხრით მრავლადმხრიული ქალებისა? — დიდად წუნკალი, ყოფილაც, იყოც, კი, იმან ამბების-ისეთისა გახსენებანი იცოდა რომ? — ტურგენევზედა-ც უკეთესი რასსკაზჩიკი იყო ოლონდც თვისის სუსხვა-განხრითა და, — თვალებიც ისე აუპარპალდებოდა, რომაა — რისი გოგოლი და დოსტოევსკი, მაქსიმ გორკიზე აღარას ვამბობ, იმას თვალები იმ-მოყვებისას უჟუჟუნებდა,ც? — რას შევადარო... ჰო! — ნდომის ბუხარში ანცურად-ცბიერ ცეცხლი ედგა თვალებში, პოტიკ-პოტინით უხტუნავდა, ისე კი, ხანშიშესული თუმცა კიიყო, მააგრაამ, ისეთ-ისეთის გატაცებით ჰყვებოდა რომა მთლად გადაგრევდა — თავის ნაშებთან ერთგვარსაცა-კი მარკო პოლო-ბებს:

ზა დვა რუბლია თურმე რეჩკა-კურას ერთიც მებორნე (მტკვარზე ბორანს მეც კი შევასწარი, მთლადბავშვობაში მამას დავყავდი) თავის ჯიხურს უთმობდა ორი საათით, და თუ კვლავი-რეპეტე მაუნდებოდა? — თითო საათზე თითო რუბლ-იას ამატებდა, კი, არ ღირდნენ ისიქალები ამად, თუ რა? — ა უ მენია ტაკიე

---

*დასაწყისი იხ. №1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12/2007. 1, 2/2008.*



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟენშჩინი ბილი შტო კაკრაზ კროვ ს მოლოკომ ი ნე ვსუხომიატკუ ა მეჟდუ კისელნიხ ბერეგოვ-ო, ჰყვებოდა იმა ჯგროისაგანხრით ცეცხლოვან-წუნკი მაისეევიჩ თუ ნაზურად-გრიგალწრიალობაი-დ რაბინოვიჩი და მოგონებებით იყოყე მთლადაც ფათური და ფართიფურთი, თვალები როგორ ულაპლაპებდა!? — ფეხსაცმელისა შავსაცხით მაგრა გაჩოთქილ შტიბლეტებივით, — ვერაგულად, თან,ც, „ა ია ლიუბილ იხ ეტიხ ჟენშჩინ სპერვა ვ ვოზდუხე პადნიატ პრეჟდე ჩემ უმესტილის-ბი ნა დერევიანნოი კუშეტკე“-ო, „ი ეტა პრაკლატაია გრიჟა (სწორედაც-კაკრას თიაქარისაგამ,კი, ერგო ციხისა საავადმყოფო) ტოჟე აჭ ტავო შტო ადნა იზ ნიხ ბოლშე კრუპნოი ბილა ჩემ პალაჟენო ნო ზატო აგონ ი პლამია ა ია ვსიოჟ-ტაკი (ტაკი-ზე? — „რაა“-ო? — ცქვიტა ყურები ემ-ურმიშვილმა) ი სტალო ოჩენ ნიუდობნო ნო ტოგდა ნიჩევო, მალადოი ბილ კაკ გრეცკი არეხ ვ კანცე ავგუსტა ა სეიჩას კაკ სილნო ბესპოკოიტ ეტა სვოლოჩ“, ო

კი, თიაქარი ჰქონდა. და ქალთა-ნანახტუჩით-აზზუებით დაიცქირებოდა ხოლმე, კაკრაზ-იმისკენ. თიაქრობისასკენა, ანუ. და ზანდაჟ-არტახით იმაგრებდა ჩამოსიებულობას, საოპერაციო, იყო.

ხოლო ნეტაი რომელიმე დონ ჟუანისას, ან მარანიას ან ტენორიოსას ნეტა თუ იყო ბორანი და მებორნე და მებორნისა ჯიხური, ნეტავ, ეგებ სულაც თიაქარითე დაჰყუჩებოდათ ერთთავად მზარდი სხეული და, მაშინ ხო ალარ ჩამოართმევდა მათგან ერთერთი ხელს, კომანდორსა, და იმას რომკი ეგონებოდა მეჩემი ბედი რავთქვი ბიჯოუ ამა-თიაქარს მერო ------ნ ძალიანაც ასე და ისე, ო? — რა ეცოდინებოდა თუ, სწორედაც ისი-თიაქარი იმ ავსა-ფინალს გადაარჩენდა... საყვედურობდა, იქით... — უცნაურია, წუთისოფელი,

და ერთიც გვყავდა არაქართველი, სულაც არაა საჭირო და აუცილებელი იმისი ნალდიეროვნებისისი თქმა, უხერხულია რადგანაც ისა რუსი იყო და მაინცალალ ნუ ჩამაცივდებით მის-ეროვნების დადგენაზე, არცაც გეტყვით და არც დამიჯერებთ მაგრამ ის მაინც უნდა მოგახსენოთ რომ ჯერ კიდევ საავადმყოფოში, ორი წლის წინ ჩემს თავდაპირველ რვაკაციან პალატაში განთავსებული, იყო, და აი იმან იცოდა თუ იცოდა რა იყო ყოვლად უზოჰოდ, ჭამა, ეს მე-მაშინდელმა, როგორძალიან მისიკვდილებულმაც კი, შევამჩნიევი, კი, და რადგან საავადმყოფოში დიდხნობით თურმე არ აჩერებდნენ — ან ოპერაცია გაიკეთე (კუჭისა წყლული ნამდვილად ჰქონდა რა ექნებოდა აბა) და ანდაცდა გად-აუხვიე აქედანა-ო, — ჯანიანისა სანიტრისა პირშიმთქმელ პირით, ეთქმეოდა, ექიმებისაგან, ეს, — და ამ ბეჩავსაც სტაციონარიდან სხვასა-მორიგ სტაციონარში პური-საჭმელად (პურიჭამაი?

— სიტყვაა მაგრა-პირობითი... — ბევრი რამ შედის, კი,) გამუდმებითე უხდებოდა ხეტიალთრევა-ნაწნალი, და აქაკი კი, — როგორც ძველ ნაცნობს გამენდო მე და, — ციხესა თურმე რა შეედრება, ბრატოკ, ან ფაშისტებისა კამერაში ვარ ანდაც აქა, პრუჟინიან ბალნიცაში, ხოლო ციხესა ესლი პაჩტი ვსე ბოიუტსია, დურაკი, ციხესა შტო სჯობს, არც ბასიაკობაზე გირტყამენ კაკ კუსოჩნიკი-მილიცეისკიე და არც ულუკმაპუროდ გსვამენ პიატნადცატ სუტკით ზა ტუნეიადეცობისთვის,აო, და აქ მოხვედრას კი რა უნდა, ბრატოკ, არაფერი — ერთი ვედრა და შიგაც ცოცხი ისე ვითომოვპარე ჩემი ზემლიაჩკა უბორშჩიცას რომ, ძაან კარგადაც დავენახე და ატეხა იმანსტერვამ მოშჩნი ტრევოგა და ვითომაც სტროგო არესტოვალი ა ვ დეისტვიტელნოსტი დავიმსახურე ზასლუჟენნო ოთხი კაკოი კალორიჩნი კრუპნი წელი, ო, და ამ დალოცვილში კვარტირა-აბეტოვანნაიაში აქ მე ზაკუსკებზე და დაჟე აბედზე თავისტეხვა მე სუარა მჭირდება და არც არაფერი ნიჩეგო, ვო, ვოტ დაპალნიტელნო ბელი ხლებსაც თქვენა როგორ მაძლევთ ბეზ კაპეიკი ი ბეზ ოჩერედ-ა, როგორ-დობრაია დუშები ხართ ესა დურაცკი-კარტველები, მაგრამ ოთხ წელინადში რომ გამაგდებენ ნა ვსე ჩეტირე ვოლნია სტორონი, არა? — შენ გგონია რომ, ბრატოკ, — ვუხხხ? — არაა, ნეეტ დარაგოი, ვიოდრა-ების და უბორშჩიცების მეტი რაა ზემლიაკურათ ჩვენსა სოლნეჩნაია გრუზიაში ა დაჟე ვ ნეი ასობენნო ტეპლო ციხეში, და, ეგება ექვსი გოდაცა დზალიან შჩედრო პადარიუტ კაკ ნეისპრავიმომუ რეციდივისტუ, აო, ო,

მაგრამაც, ერთხელაც ისე ძალიან მოწყენილ-იყო, როოომ... კინალამ არ ვთქვი აქ დანა პირს არ უხსნიდა-მეთქი, — არა, მთლადაც უდანოდც გახსნილ-პირითა შიგაც კბილებით ილეჭებოდა კვლავინდებურად მაგრამაც ისე დარდიანად რომ ნაჯახითაცკი შუბლშეჭმუხვნასა ვერ გაუპობდი ვთქვათ და ცივიი იარალი-ეს ნაჯახურისა სახეობისა როგორმე რომა რო-გადმოგეცათ რათ უნდა რკინის კარებიშიაშიი, კიი,

და, რა სიმწრით გამიტყდა, მითხრა, მესაიდუმლეს:

ეტა ჩატლაშკა მაშომაშკა ი ნ ე სვინიუშკა ა ნასტოიაშჩაია სვინია-პაშკა სკაზალა მნე ნა ობსლედოვანიი შტო ია ილი აპერაციუ ჟელუდკა დოლჟენ სდელაც შტობი აკანჩატელნო ვილეჩილსია ი ნეუგასაიუშჩიმ პლამენნიმ ტრუდომ შტობი სტალ პოლნოპრავნიმ პალეზნიმ ჩლენომ ი იაიცა სოციალისტიჩესკოგო ობშჩესტვა, ო, —

ოპერაციის? თანაც მაგრა-ძალიან ეშინოდა და მაგრამ რა იყო ის შეშინება იმ დაზაფრვასთან რომ ციხის საავადმყოფოში კუჭ-დაპაჩინკებულს აღარ დაანვენდნენ, არადა, ფაშისტებისა კამერებშიაც, თურმე

— ეტო ნეუჟელი პრავდა შტო პერედაჩი ნასმერტ-ზაპრეტილი ბოლშე ადნოი ედინიცი ვ მესიაც, ო? —

გულშემოყრილი, დიდად, იყოო, თავზარდაცემულს, სული კოჭებში გაჰპარვოდა, წარმოუდგენლად ვერ-მიუღებელ იყო მისთვის დაჭერაცა თუ თუ-უმტყტყუნებდა, რა ჩაფლავება აღარ ჰყოფილა ამ დაუნდობელს ვსელიონნაიაში, კი, კიი, ვ პოდნებესნომ, ში,

და ჩვენსაც მორჩენილ რბილსა პურსა ისე ყლაპამდა? — დაულეჭავად, ვერცკი ატანდა, პირ-ხახის, გემოს, —

ხდებოდა იქაც, თვით პალატაში უარყოფითად ღირსშესანიშნავ-შემთხვევები, ერთხელაც, მაისეევიჩ-რაბინოვიჩსა და რომელილაც ჩვენსა-პალატელს თავიდან სულაც უწყინარულად სამუსაიფო ლაპარაკი და მშვიდი ბაასი დიდად ალგზნებულ პაექრობაში გადაეზარდათ, საქმე იმაში იყო, რომა, იმა ჰუმანიტ.-პალატელმა გამოთქო შიში, საფრთხეთი დიდად შიშატანილმა აღნიშნა, ესა — ვაითუ, თუუ, ესა ცივი (ხალოდნაია) ომი (ვაინა) ცხელ-ცხელ ძა-ლიან ვაინაში (ომში) არ გადაიზარდოს ჟგუჩიშია,ო, და, ამის პასუხად? — ფეხზედაც კია რომ წამოდგაყე რაბინოვიჩი, და ისეთ მჭახერაიმისა თქმად განემზადა, როომ, ორთავე ხელით ჩაიბლუჯა სათიაქარო ისა-ისი თავისი ბანდაჟი, და, აი აქა კი ურმიშვილმა — ვუწოდოთ იმას ამ-ამბავისა გინდაც მომდევნო შემთხვევებში გვარადა „ბურძგლა“, არ შეშვენდება-იქნება თუ რა, და ამის მიხედვით? — აქა კი, ბურძგლამ, ძაან ხმამაღლა, ულვაშ-როგორლაცგამოძრომით დაამთქნარა და:

— ვაჰ, კაკ ეტა მნე ოჩინ ხოჩიტსა სპატ --ფ ტვოი მატ ი ზედაც მამა (ანუ დედა)-ო,

და, მინვა კიდეც და, ამოუშვა ისეთი ხვრინვი? — მძლავრ-ულვაშისა, შესაფერი,

რაბინოვიჩმა, კიდეე? თავისის კარგა-ფხიზელი მხრიდამ? — :

— შტო ტი კაკუიუ იერუნდუ მელეშ, ეტი დურაკი კაპიტალისტი ი ნე ტაკიე დო კონცა დურაკი შტობი ს ნამი ვაინუ ზატეიალი, ა ესლი ვსიოჟე ნაჩნიოტსია ს იხ სტორონი გლუპაია ოჩენ ვაინა ტოგდა მი ამერიკუ ზა პოლჩასიკა რაზბომბიმ კ ჩორტოვოი მატერი, — აქ, ცალი ხელი უშვა ბანდაჟს რადგანეც სუ-წინ გაიშვირავა, — ა დო ეტოვო მი გერმანსკუიუ ფეერგე ზა დვადცატ მინუტ ვაზმიომ ნე ბრალი პაკა ილი შტო-ლი ეტიხ ფაშისტოვ-ზახვატჩიკოვ, ო —

დაა, ამაყად რომ მიმოიხედაა, აი აქა კიი, მძლავრად წამოდგა და ორთავ ფეხზე დიდმყარად დადგა ი-ჩვენი ( — ისემც!) მოდელნი-ბურძგლა:

— ია ტვოი მამა ( — ანუ დედა) ტაკ ი ტაკ ია ეტო ტვოი მამა ჩერეზ პოსლე ზაკუსოჩნია .........ი .........ა .........ე .........უუ ........-ოო, —დამბურძგლა-ვმა, კი, — ია მეკი ტვოი ....ა ---ლ ვმესტე ს ტაკოი!.......... კაკოი......... — აქ, ვეღარ ეყო სუფთარუსული, ჩემქართულურის არ იყოსა ისიც ვერ ჰფლობდა ზედმიწევნითე ჩისტირუსცქულის ღრამატიკებს, და, გადავიდა სუფთა (ისემც...) ქართულზე, — აბა რომელი ფეერგუ-გერმანიისა ამღები შენა ხარ შე ვირიშვილო და ასიოლინ სინ, — მაინც, კი, მაინცეცა-კი გამაიყენა, რუსსკულ სიტყვათა ავტოდ-გარკვეულ-არსენალიდამ ლექსიკოგრაფიულურ-ისიც, რუსული ანუ „ასიოლ“, კი, და, შეჰ-ბურძგლა-ც, ეს:

— ტი კაკ ვაზმიოშ გერმანია აბა-მაშ კაკოი ფეერგე ტი ზა დვაციტ მინუტ ვაზმიოშ დღედაღამ სულაცა მთელი ოცდაოთხ-საათ ჩისტი ვრემია ატ კანცა დო კანცა ეგა ბანდაჟი რო არა გქონდეს ეგ შენი ტრიკი ვერ აგილია და დაგიჭერია,-ო!!

თურმეე, კაცოო, მიმომ-ბურძგლა-ვს მოსდომნია, რომ, რახანია პოლიტიკურზედ არავისთვისაც მიბოზნიაო და, ძილი იმიტომ მოუგონია უფრო თამამად იყრანტალებენო, მაგრამ, მაგრამა მაისეევიჩ-რაბინოვიჩი პირიქით, კაცო, მთლად სესერეკას მხარეს აღმოჩნდა, იმათ წისქვილზე ბანდაჟიანად ასხამდა წყალსა, მაგრამ, ამანა? — სულაც ტყუილა რო შაიწუხა ისი ულვაში ჰარტისტულ ხვრინვით-იმოდონათი? — აი ამანა დიდად ( — ოჩენ) განაფოცავა, და იმიტომაც მიაყუმბარა შე-ბურძგლა-ობანი, კი, და მაგრამ მერე უცებ მიჰხვდა რომ, თუგინდაც ემარაბინოვიჩით ვაითუ ისე გამამივიდეს რომ არ მეჭაშნიკა გერმანიაუ-ფეერგესი აღებაი-ო და, დასცეცხლა ეგრევ, იმითა რომ, როომ — „პოლიტიკურათა სათანადო ავტოშეგნება“ სწორედ თვით მას ვერ გამოუვიდა, ვ სმისლე: აბა კაკოი გერმანიას ამღებები ჩვენა ვაართო, და, ამიტომაც, რაცკი იმასა ეძალგიძებოდა მოქნილ-ენითა? — პარნტრიოტულათ, განაცხადა: „ნეტ, მი კანიჩნა ეტა დურაცკი გერმანია ნე ზა დვატციტ მინუტ ა იშჩო ბოლშე მალენკი ვრემია მი გერმანია ზა პოლჩასა ბეზ დაჟე ჩარექ ( — მეოთხედი) ვაზმიომ ა ზნაჩიტ ზა პიტნაციტ მალენკი ნიმუტ, ტი პანიმაიეშ რაზნიცა, ტავარიშჩ, ნო ტი, ტაკოი ი ტავარიშჩ ი სტარი ჟოპა კაკ ტი სამ სდელაიეშ ეტა ატაკა პანიმაეშ ტი ეტა რაზნიცა კაკრას ეტა ტი ტი-რაბინოვივიჩ ფაშისტსკი და მაისეევიჩ და ზედაც ბალშოი ტრიკიანსკოევიჩ ნესჩასტნი ი ია პატამუ ია ტვოი მამა ( — დედა) პრიამოც კაკრას ნა გერმანსკი ფრონტსკი ზედაც პერედნი ლინიაზედ სულაცაც კრუგომ ნასტუპაიუშცი ი ტვოი მამა (აგრეთვე დედა) მაგ ლინიაზედ სზადი-სპერედი კაკრას პო მარშალ-რაკასოვსკი ა ტვოი მამა კაკრას ტრაკოვსკი შტობი ზახვატილ ყურებითა სუ თმების გლეჯითა, ო, სზადი-სპერედი, ო და ზედაც შენი შამქმნელი ფიდარასტ მამა — აიი, აქა? — მართლაცდა-მამა,ო,ც — მააამ!! — დააა, მერეე? კიდევაა, აქაა? ვააა აქკი ველარა შაიძლება ურმიშვილისა გადამ-ბურძგლა-ვის ციტირება, ყტ-იანნნნი, ს, — ... მაპატიევით...

ეს ... ვერ-ციტირება... არ დაგწყდეთ გული... რადგან? — თითან სიმართლე, ხანდისხან, კაცო? — ვერაა მუდამ გამოსაჭენი... — მაინც რახარა, წუთისოფელი...

რაბინოვიჩ კი კი-იყო ტანად არცთუ მცირე, მაგრამაც ბურძგლა უფრორე იყო ტანით აღნაგი და კარგა-ბრგეცა, და, მაისეევიჩ-რაბინოვიჩი? — ვიხმაროთ აქა რბილი სიტყვა და, — „შემკრთალი" იყო, იმა ბრგითა, კი,

და, მგონია რომ, იმ და-ბურძგვლებით გამოისწორა ულვაშითაც-ყინჩ ურმიშვილმამა-მმ ფეერგესისა თხუთმეტწუთიან აღებობითა წელან-ი ი-ჭვ-ი,. და თუ არ გჯერავსთ, სანდო მკითხველო, თქვენ აქა, ჩემი? უკეთესი ვილა მოვიხმო — ვარასშვილოვი, აქ, ჰყოფილიყო? — მაეწონებოდა, მე მგონი, ნაღდათ, ალბათ ნატურში მაეწონ-მუეწონებოდაცაა, კიი, ნათქვამიესი, მიმომბურძგლავას ესი თუგინდაც არანატიფიც, რეზიუმირება. —

კი.

...

ჩვენთან, პალატაში, ყოველ დილაობ-საღამოობით კარგი ექთანი, დეიდა მერი შემოდიოდა. და მართლა ყველანი ტყვილად კი-არ ვიწექით ციხის-მალამოდ საავადმყოფოში, ერთ-ორს ნემსისაც კეთებაცკი კისჭირდებოდა, დეიდა მერით. მე რომ აქა მას „დეიდა"-თი მოვიხსენიებ ხანშიშესული არ გეგონოთ, 40 წლისაც ვერ იქნებოდა, ეს მე ვიყავი მხოლოდ 19,ს და ამიტომაც მივმართავდი მას, გინდაც მთლად მოახალგაზრდოდ ნაღდ-ქალს, ასე. ძაან როგორღაც უცნაურად, კი, ლამაზი იყო, ტანად დიდი და ოდნავ მომსუქანო, როგორი კარგად თან დიდროვანი და. თან საოცრად ბავშვურად სათნო სახეცა და გამომეტყველებაც, იერი, ჰქონდა. —

ადრეც ვიცნობდი. მელიქიშვილის ქუჩაზე, ჩვენს სხვენში რამდენჯერმე ყოფილა სტუმრად, და მამაჩემს აშკარად კეთილ განწყობილურზე მეტადაც-უფრო, შესცქეროდა, და ჯერ მხოლოდ-რაღაც მიეჭვა;მიგრძნო, კი, გულმა, მაგრამ ამაში საბოლოოდ მაშინ დავრწმუნდი ერთხელ მამაჩემს რაღაც უწყინარ გახუმრებაზე დიდად გაცინებულმა „შენ რა გითხარი პეტრე"-ო, რომ უთხრა და იქვე გაწითლდა რადგან ადრე ჩემთან სუმუდამ თქვენობით-ა და „პატივცემულო პეტრე"-თი, მიმართავდა, ხოლო როდესაც შპრიცმომარჯვებული შემოვიდა პალატაში და დედაშვილურად მაგრამ ქურდულად გამიღიმა, ის ნაძირალა ოლლი-ოლლუ სხვაც-მომდევნო მის შემოსვლებზე მუდამ ერთსა და იმავეს ეუბნებოდა, მიმართავდა მას მუდამაც ასე ისვირისშვილი:

„ვაჰ ექთანოჯან შენ რო ჩემ ბრატებს ჟელეზნი ნემსებ უკეთამ იქა, მოდი რა ერთიც მე გაგიკეთო სუ-ხორცის ნემსი უფროთაც იქა, ჰა?" —

დეიდა მერი წითლდებოდა, და ხოლო ის აღნიშნულად ისვირისშვილი... თუმცა, ვირისაშვილობამდე მთლად ბევრი აკლდა, ოლლისა ხმასა რომელიერთი მჭახედყროყინი არა სჯობდა,

ეეჰ, და მარიდებდა დეიდა მერი, აწითლებული, აწრიალებულ, თვალს, რცხვენოდა როგორ,

მაგრამ ერთხელაც ვერ მოვითმინე, და მიუხედავად იმისა რომ ქურდ-ჯაფარიძეს მოსწონდა ალბათ ესა-ანგლობა რადგან აშკარად იღიმებოდა, ხოლო იმ ღიმით გულ-და-იმა-ხმა უფროდაც ვაიდ-მოცემული ოლლი კიდე — თავს სასიამოვნო შეგირდად გრძნობდა ჯაფარიძესი, მაგრამ ერთხელაც ისე გავმწარდი რომ, ვუთხარი, — იცოდე აღარ გავიგონო, აღარ გაბედო ეგეთების თქმა, ნათესავია ჩემი-მეთქი და,

რაზეცა, ოლლიმ? —

ვეჰ, ყველა ვიღაცის გოთვერანსკი ნათესავია და ზნაჩიტ მე ნაშებსა ვერ დავეპადხოდო,-ო?

რაზედაც, ამ მე-მ, წინასწარ უკვე გამწარებულმა:

— გითხარი შენ რომ იცოდე აღარ უთხრა არაფერი თორემ ძალიან განანებ-მეთქი,

— ვეჰ! — მისთვის-ჩვეულ შორისდებულით კვლავ გაიკვირვა უხამსურ-ოლლიმ, ლაწირაკმა, — მე ქურდობაზე ვზივარ აქა და ციხე კროვნად ჩვენია და კაროჩე მე რო შეჰარიფს ამდენ გელაპარაკები რასაც მე მინდა იმას ვიტყვი და იმას ვიზამ,-ო და, იმედური შვებით შეხედა იმ ქურდ-ჯაფარიძეს ხოლო იმას კი ისე ეჭირა ქურდული თავი, რომ, მითომც ვერ ესმა ვერაფერი. მაგრამაც რადგან თავში სულაც არ წამოურტყამს თავშია, იმას, შეგირდითვინა, ხელი?, და, სიჩუმე აკი თანხმობის ნიშანიაო, იმ მაიმუნოლლიმ ჯიბგირ-თითები აითამაშ-და-აიკაკუნა მილეულს, მკერდზე.

და, თავისი ჭკუით? — დაამღერაც: ს ნება ზვიოზდოჩკუუ დასტაანუუ, ი ნა პაამიატ პაადარიუ,უ,

და, რაც შემეძლო, შემრიგებლურადსავითაცკი, ვუთხარ:

მე მითქვამს და... სწორს იზამ ჭკუას და ენას ცოტათი ძალას თუ დაატან, მეთქი,

იყურებოდა ჭერში უზრუნვლად, იღიმებოდა, არხეინათე წამოწოლილი...

ეგებ, მოეგო ჭკვასა-მეთქი,

მაგრამ, რაღაცახანს რომ კვლავ შემოვიდა დეიდა მერი — ნაზი, ლამაზი, დიდი და თანაც პავშვივით ქალი... — ამანა? ისევ? —

ვაჰ-ვაჰ რაჯიგარ ხარ კაკრასაც შენ პატივ რამაგრა შესაცემო ქალბატონოჯან ძლივ არ მოხვედი წელან აკი როგორ შამპირდი შენ-ხორცის ნემსსა აემ საღამოს აბიზატელნა გაგაკეთებინეფო, დარაგოი,-ო, დარაგაია-ო, —

იცოდა, რაღაც-მოლეკულურად თურმე, ურმიშვილისაგან დიდ-განსხვავებით რუსუ-

ლურიცა, გრამატიკები, მაგრამ, აქ გრამატიკა რაშვაში, იყო,

და, რომ გავიდა როგორძალიან აჭარხლებული, სახეამნვარი დეიდა მერი? მივედი ოლლთან — საწოლზე იჯდა — და:

— რა გითხარი შე ----------რო — მეც კივიცოდი ზოგ-ზოგიერთი სადეფისოვე სიტყვებ-სათქმელი, და, რადგან იჯდა მაგრად არ გამირტყამს ისე კი კარგა მოდლლეზილურად ჩავაფარევი იმ ტურტლიანსა თავში, ხელი,

ის კი, წამოხტა, ნა----------რი ის, და, მთლად სახესთან არ მომიტანა ის ზეთიანადტურტლიან-სახე? — შენა ვისა უბედამ შე... —

მაგრამ აქა კი არღარა დავაცადე და, სილა ვლეწე მაგრამ ისეთი... კიდევ კარგი რომ მუშტი-არა თორემ მთლად გადავუგლეჯდი იმ ბინძურსა, თავს,

და იმანა კი, მთლად რეტდასხმულმა და ლოგინზე განივ-მიკნავებულმა და იმავპირდაღებულმა? — პედაგოგისკენ გაიხედა და, აშკარად როგორ გულმოცემული დიდადააა, გახდაა, ერთი-ღ აისლა მოახერხა რომ, დიდაქტიკოს-ჯაფარიძისაკენ? — აჰა იმედით იჰყურებოდა, გავიხედე, მეც, — მან კი, იმანა? — პროთეზი კაი-ყოჩაღთა აზიაცკივით გაისწორა ანუ ღირსეულ-თავმომწონედ და, წამოდგა მძიმედ — ის მერე რა რომ ორმოცდაათამდე კგ-ლა თუ იყო, და, რაღა თქმა უნდა სწორედაც ჩვენკენ წამოვიდა... გატრუნულიყო, მთელი პალატა... აი ისა კი? ის მოდიოდა, გვიახლოვდებოდა ფეხთ-არათანაბარ ხმიანობით რადგან ცალფეხაურის არიტმიული სვლა-სლვითათა და, მოდის, მოდის, მოგვიახლოვდა...

აქ უნდა აგიხსნათ რომ, ციხეში და უფრო ალბათ კოლონიაში არა აქვს მაინცდამაინცი მნიშვნელობა ვინ რა ძალ-ღონის პატრონი და რისი შემძლეა სხეულურად, ან თუ ვინაა მტყუან-მართალი — თუ არიფი ხარ; ახლა არ ვიცი როგორაა და მაშინ კი ქურდის გადაკიდება საერთოდაც და, განსაკუთრებით ხომ — ციხეში? — ბევრ, მძიმე რამედ დაგვიჯდებოდა ჩემისთანებს, ძვირ-ფასად ჰლირდა, და, სხვათაშორის არც მე გეგონოთ დიდი ვაჟკაცი აი ისეთი რომ — თითქოსდა თავიც კი მომქონდეს — არა, იქაც, „გარეთ“აც მე არასოდეს, ნაციხრობამდეც მთლად არასოდეს მიფიქრია ამას და ამას მოდი გავარტყა თუ არა, -ო, არა — უცაბედურად ალმოჩნდებოდა, რომ, ეგრევგარტყმულიმქონდა და ხოლო მერე კივიჩხუბებდი აბა სხვა რაიღ დამრჩენოდა თორემ ისე-კი არც-თუ დიდად მაინცდამაინცი მოჩხუბარი ესა-მე, ვიყავ,

ხოლო რომელი... ურიადნიკი? — აი თვით ცნობილმა ფირალმა რომ ძაან გვერდით მიინვინა — არამედ ყოვლად ანტიურიადნიკ ანუღა ქურდი ჯაფარიძე გვიახდა-გვიახლ-და-გვიახლოვდებოდა იმ მხოლოდ მისით მკვეთრად დარღვეულ სიჩუმეში, და, ზედაც ჩვენთან რომკი შედგა, იმ გრძლადჭიაყელა-ოლლს ძალი მიეცა იმდენი რომ, წამოჯდა კიდეც და ხოლო მე კი სულაც ტყუილად შემიკრავს თურმე ძალიან, მუშტი რადგან წამომჯდარმაუმ იმ ნაძირალამ წამოჯდომიდან მთლად იატაკზე გადაინაცვლა მთლად უნებურად რადგან მოძლვრულად მწვრთნელმა-ცა და ხელმძღვანელმა-ც და ემ-ოლლისა ხოჯამაცა და, თანაც ლალა-მ? — იფ, ამ-მუდრეგის რა-რისაკენ ბეჯითად მღზრდელმა? — სიარულსავით მკაცრად ნელინელ კი არა და, ისეთურ სწრაფად აილოვა ოლლუს ტუმბოდან ალუმინისა კაი დიდ-ტოლჩა და ისე ჩასცხო იმ ტიალს-თავში სადაც მის მთლად აქამომდე ცოტათილ-ნაზარდს იმა-თავშია ისწირპლიანი-ძაანაც, ტვინი, ემყოფებოდა, რომ

აი აქა კი ბენიამინაიც და ოლლიცა, მართლაცდა ერთად, რა-დუეტურად კი არა და, — მთლად კადენციურ-სოლოდ იწვნენ იატაკზედა,

კი,

ხოლოკი, მღზრდელმა? აბითურიენტს?

— შე ვირიშვილო (რას ჩავაცივდით ცხოველს-უწყინარს... ვერა ვაართ ზოგჯერ, აბიექტურნი.), კაცს თავისი დარდი არ ეყოფა რომ ესა სტუდენტი-კაცი უგალოვნიკებში რო ზის აქა და მეორეც ისა შე პატასკუხა არ იცი განა ეგა კლიენტი რო პეტრე-ექიმის შვილია, ჰამაც ერთადერთი? —

სიდამ იცოდა! ერთადერთობა, ჩემი,

თუმცა, ციხე აბა რიღასი ციხეა ხოლო კი მაშინ? მე მომეშვაა? — და რას მომეშვაა?, — გუულს?,

და მას შემდეგ კი, ანტი-ურჲადნიკ ჯაფარიძე, ქურდი და მე ერთად ვჭამდით პურს ხოლო კი ოლლის? გაშორიშორებულს, ქურდულ-ნებითა? ათასში ერთხელ თუ გასძახებდა რაიმ ამდაგვარს:

— ბიჭოო მარილი მოგვიტანე... — მრავლობითით, კი, ანუ ჩემგანაც მოითხოვდა მთლადაც აღზევნისა მარილს-ბროლსაოს არა, მარა, მაინცალ-რაღაცლ მარილსა, კი... — ერთად ვიყავით. იმა-კეთილურ მომრავლობით-ობით, მარილოვანნი.

კი.

ისაქურდი და, მე.

...

და, მხოლოდ ამიტომ კი არა, — არა! — არ იყო მთლადაც ურიგო ახალგაზრდა და უიმედოდ მიკარგულ-კაცი, და, ვიმეორებ ჩემს განაკვირვალს — არამჩთუ ქურდებსა და ბანდიტებში არამედ ისეც-უმბრალო უნოდებებო რიგითსა-ძაან, პატიმრებშიაც კი ალალ-სიცილით გამოირჩეოდა, და მიყვებოდა, მოწყენილობის ჩვენ-ჩვენს ჟამთა-ს — აბა მთლადაც-ყოვლად გადასარევი კიარა იყო რაცგინდ კარაქულ-საავადმყოფო, ეჰ... და ჯაფარიძეც თავის „სპეც“-ში

კარგა-მაგრულად ცემისა გამო გახლდათ საავადმყოფოში, ამოსასუნთქში მაგრაამ — სწორედაც რომ საკვირველი! — იმ გამლახავებიან კამერისაკენ ძაან იწევდა ჩემკამერელი ქურდი-შოთასი არ იყოს კასაცრი-თვის მაგრამ მკერდსა და მუცელში სისხლის ბლომად-ბლომ ჩაქცევებისადაგამო — ყველანი მაშოსთანა-ჰიპოკრატეულნისანნი კი არ იყვნენ — და მთლად ძალისძალით მაინც აჩერებდნენ ორთაჭალისა აკადემიის პირობაზედ მართლაცდა სალუქს, სავანეში, — უცნაურია, ძალიან, არა, იმას რომ თავისი ნესტიანი და მყრალი და ძნელი-როგორ, ის შმორიანი „სპეც“-ი სულ-სუ ყოველგვარ სამყოფელსა დიდად-ერთგვარულ განსასვენებლად სულაც-რო აკი სუყველაფერსა ერჩია, ბუდედ, ვკვირვობდი, მაგრამ...

მაგრამაც ეგებ არაა ესა იმდენად დიდად-უცნაური რადგანაც, ნუ ნავალთ შორს და აგერას, ამ მე-ს ჩემი ზაფხულში რარარიგ ცხელი — ხვატიანი და ალმურიანი და ასე შემდეგ და ზამთრობით კი მთლად გასათოში და კალმისტრიანი თითები ხომ ისე ძაანაც წაყინული რომ-რისი ლოლუა ხოლო ნესტოურ-ცხვირ-პირიდგანა ორთქლი გამომდის? — კრასნოიარსკელ ცხენივით, დიახ, — და მე კი ეს ჩემი „სპეც“-ი ანუ ლოჯიისა განატიხრისა თითქმისდა მთელი ექვსკვადრატულა მეტრამდეცკი ფართი რარიგ ტევადი რადგან — მაგიდიანი, სკამიანი, ქალალდებიან-კალმისტრიანი ეს ჩემი „სპეც“-ი ანუ რა თვითგვემურად სანვალებლად — თვით პროზისათვის, და პროზისაგან ნალდი კატორღა, თუმც, უარესიც რადგან კატორღა აკი როგორც წესი იძულებითია ხოლო ესა კი იქაურა აქაურობა — ნებაყოფლობითი, ც, თავდასაჯიჯგნად კიარა და — ეს მცირე დასჯა იქნებოდა — თავდასაწვავ-და-გადასაწვავად ამორჩეული შეგულება, თუმც იქყოფნობით რაცგინდ რკინად გამომწვარს და განმტკიცებულს და დღის ყოველ-ბოლოს კი რა სიშავემდე გადამწვარს და მინახშირებულს და მისავათებულს აი ისე რომ... აქ შედარება ვერ არსებობს, და ვთქვათა და მოვიჩხრიკოთ და მოვიძიოთ და გაგანდოთ? — არ დამიჯერებთ მაინცალ-ე, თქვენ და აბა ისე ტყვილა-ამაოდ რა ძალა მადგას, არ მეყოფა-უ მე ჩემი კატორღა? — რომელიცა რომ მე ამსა სულელს (სიტყვაა ერთგვარ-პირობითი) ოთხვარსკვლავიან ლუქს-ურ სასტუმროთდაოთახებს ესპანეთისას (სადაც რომ კარგა მოგვიანებით და, მაგრამ მოვხვდი-ალმოვჩნდი, მაინც,) მირჩევნია და, ეგებ არაა მთლად ეგრეთწოდებულ-უცნაური,-ცა, წუთისოფელი რადგან სიამითაც კი ვიმეორებ, რომ, ჩემი კატორღად მოვლენი-ლი ჩემი ციცქნა-ეს განატიხრი ბეკინგემებ ის და რომფორების სადაა თორემ კი და თუნდაც იყოს მთელ სასახლეებს როგორ ნამდვილად მირჩევნია, ნ,

კი,

მაგრამ მე მაშინ ესა-ფართიც საკუთარული სუარა მქონდა ხოლოკი იგი, ქურდ-ჯაფარიძე მიყვებოდა და მიამბობდაა-აუუ, ისეთს რალაც-რალაცებს რომ ხანდახან უცენზურულაობითაც-დამბურძგლავებს და ხანაც კარგაძალიან ვიცინოდითც-კი მაგრამ ალბათე არცთუ ისეთ მნიშვნელოვნურებს მიზიარებდა რადგანაც ახლა მე იმ თხრობათაგან? — მთლად ალარც ერთი, სულაც ვერცერთ, სულვერა მახსოვს,

რადგან ზოგი რამ, იქ კია კარგი და მაგრამ მხოლოდ იქამდე რომ, როომა, მთლად სამუდამოდ დარჩება, ციხეში.

...

და, რომ გაილია ორი კარაქიან-და-ბალიშისპირიან-და-მაწვნიან-და-ხისიატაკიან და ნაძვისხიან-პრაგულკიანი კვირა-კვირე და შვიდეული, მოვიდა-დადგაც ჩემი საკანში შებრუნებისა არცთუ ცუდი დღე რადგან თვით ნაპოლეონ ჩიქვანი, კი, — ბატონი კარგი ბაბუა ნაპო, როგორ ვარგისი ამაყსიბერით და ძნელცხოვრებით გამოცდილი, რა ნატანჯი და მაინც როგორი თავი და თავი რარიგად უცხოდ ამალლებული თავდაჭერისა, წონასწორობაულად მართებული ბაბუაც და უმთავრესად კი? — ბატონი ნაპო, და, ტახტის მკვიდრიდაკვიდრი ოზნოურშვილი ჩემობატონო, ჩემი ჭიჭიკობიძია-ლვიძლი მთელი თავისი ალჭურვილობით დაჟეც-კი ჩორნიპაუკიანა? — კარგადაც მაგრა, როგორძალიან მენატრებოდნენ, და, დამშვიდობებისას, თანაპალატელებს? — თითქმის სუყველას ძაანაც ანტიკომუნისტურად ანუ მართლაც გულრწფელი სიმხურვალით ჩამოვართვი ხელი სამ-კაცის (სიტყვაა აკი პირობითი) გარდა — ერთი ურმიშვილ-დიდადმბურძგლა იყო, იმულვაშიანი, მეორეეი — ისა მატლურად-სალახანა, ბენიამინ-ოლლი რომელიცა რომ თავისი ჭკუით ს ნება ზვიოზდოჩკი დასტავალ ინ ა პამიატ დიდად-დარილ წარმოსახვითულს კა-ნაშებსა მაგრამ ისი-სიმლერა ჩემსილის შემდეგ სუარცერთხელაც არ უმლერნია ციცქნურად ლორწოს, ძლიერ ჩამყაყდა და იქამდისინ კი სალახანაობითაცკი — იმისსა სიგრძეს რა ფასი ჰქონდა არამედ ყოვლად პუჭურა ახლაც, და ადრეც, იყო, ყოვლად უბედო აი-ისა — გადახრუკულსა ყელს-ზედა თავში, დიდად სულელსკად-ურაათ-ბურთულოვანსში ბურთულაკსა,-ში რომელშიაც რო შემავალშია ყანყრატოშიაშიადანა იმა-ხმიანი, — ისინი იყვნენ სამთაგან ორნი ვისთვისაც ხელი არ გამიწვდია და აქა ამით ძალიან კი არ მომაქვს ეს-ჩემი, თავი — რაც მართალია მართალია არცაც იმათა უნალვლნ-უდართიათა ჩვენი ურთიერთ-უმძრახობა, კი,

ხოლო მესამეს, თვალთქალებითააჟუჟუნა-მაისეევიჩ-რაბინოვიჩ აბა როგორ არ

ჩამოვართმევდი ქართველურათა, მიმლებლურ ხელ(ს), მაგრამ, აი იმასსა თვისსი როგორძალიან-შემშობლიურებულ მატუშკაცა და ლალაც-ბანდაჟი ისეძაანა ჰქონდჩაბღუჯული? — ესა რათა და იმათა რო რომ როარ დაჰკარგნოდათყე, იმასა და იმისატრიკსა, ერთიმეორე...

და, კამერაში კი დამხვდნენ ისე? — მოწონებული

განსაკუთრებით თუ ვინა და, იცით უკვე, თქვენ — აბა მარტოკინ ჩემთვისლა კი კიარა ვწვალობ, ცოტაც — თქვენთვინა,

და, მაინც კოხტად „ვიმუსაიფეთ“ გინდაც უნაძვო პრაგულკისას ჯონდომა და მე იმა პალატის ბინადრებზეა,

ხოლო მესამე თუ მეოთხე დილით „დოჩანაშვილი ბეზ ვეშჩამიი“ რომ დამიძახეს, დიდად გავკვირდი, ეს უცნაური დაძახილიყო, მოულოდნელი, მაგრამ გაირკვა იქველა ყველაფერი — რკინი-კარებთან (რომელიც ციხეს აბადა რად უნდოდა, ჰა?) აი ისცაკი მონატრებულიცკი „ჩორნი ვარონა“ თუხთუხებდა და, „კანვოი“-ს (კანვოის აბა რათავში ვიხლიდი,) გარდა დამხვდნენ სწორედაც იქა-იმაში მონატრებული როგორ მერაბი, რა გავიხარეეთ, და ჯონდი ყოფილერისთავი ახლაკი მხოლოდლ „გრაჟდანინ ზაკლუჩონნი“ და სხვაც კარგაბლომა გრაჟდანინებთან ერთად, გაგვიყენეს გზას — მოუსავლეთის გზაი მაინც. ჰყოფილიყოო, ისი; ის პატიმრები სხვადასხვა რაიონების სასამართლოებში ჩამოარიგეს, და ჩორნივარონას მცირე სარკმლიდან ვხედავდი როგორ-მონატრებულ ჩემიც თბილისის რანაცნობ, ქუჩებს, ჩვენი I სკოლაც კი დავინახე, მერე კი, პუშკინის ქუჩაზე გაგვაჩერეს და, მცირე ყოვნისა შემდგომ — თურმე კიბე-დერეფანს ჩვენი ახლობელგულშემატკივართაგან „სწმენდდნენ“ — მოშორებითე ახევინებდნენ ეგებ იმიტომ, რომ, მოფრთხილებით (ისემც!) — ჩვე-პატიმრებთან შემოხვედრისას მორალურულის-ბაცილებითა ვაითუ ვთქვათ და, — როარ გაფუჭებულიყვნეენა-არადაარ, — და მაინც შეგვხვდნენ,

დაგვხვდნენ ჩვენები!

და, ჩაგვიტარეს კომისია-ძაანაც-ური გამოკვლევითა, გვიკაკუნევეს ნევროპათოლოგთ-ჩაქუჩითა მუხლთში, მაჯებზე-დ, გვიმოწმევებდნენ რეაქციას-ნევრიანულსა, მერე კი თვალიც კაი ბლომაჯერ გაგვაყოლებინეს რაღაცა კარქა-შეუხედავ ფანქარსაზედა, გაგვაშვერინეს წინ-მკლავი-თა ჩვენი აბა სხვისი ვისი ხელები და, აგრეთვე გვკითხეს რაღაცა მოსულელლურო და განზოგადებულ-შეკითხვები რომლებზედაც რომ ჩვენ ჩვენის დუნე შეძლების-გვარად ვპასუხობდით, ასე მაგალითად: „ზამთარში უფრო ცივა თუ ზაფხულში“ — მერაბმა და მე უშეცდომოდ და ძალიანც ხსწორა ვუპასუხეთ რადგან ორთავემ, მთლად უფიქრველად და დიდი აწონვ-დაწონვების გარეშე და აგრეთვე ნიჭიერულად დაკვირვებულებმა სიცივისამხრივ-ზამთარს სავსებით უყოყმანოდ მივანიჭეთ უპირატესობა, მივუგეთ ასე, გამართულადა: „ზამთარში“-ო, ხოლო ჯონდომ კი, ჟულიკმაიმ, ოინბაზობის მუდამ მკვნეტელმა — „ეს გააჩნია თუ სადა“-ო, და იყო თუმცაღ დიდადძალიან მახვილგონივრულ-პასუხი ესა რადგანაც თურმე ზოგ-კონტინენტზე ზოგს გრინვიჩულსა განედებში ზაფხულობითე უფრო გრილა ვინემ ზამთარში, მაგრამ — აკი ხომაცა უცნაურია წუთისოფელი, ეჰ... — იმა კომისიურსა გარემოებისათვის ასეთიც მახვილგამჭრიახობა სულ არ ვარგოდა, არ ნავარგება, თურმე, რადგან ფსიქიურნაკლულევანებისათვის ანდა პირიქით ალგზნებითური გადაჭარბებისათვიზა რაკი უნდა გავეფორმებინეთ თურმე, და აი ასეთი დიდად-სხარტულა პასუხიკი მთლადაც უარესი ჰყოფილა, თურმე, თურმე ემ-პასუხს ის უფრო სჯობდა რომ გვეთქვა ისე რომ გორში ზამთრობით უფრო ცივა ხოლო ხაშურში ზაფხულობით ხალხი ძაანაც იყინებაო, და, ჯონდოსი ამა-ჩავარდნის მიუხედავად? — მაგრაა, თურმე, ჩვენკენ ჰყოფილა კომისია, და ჯონდოს ასეთი გეოგრაფიულც-ტევადადაცა ნათქვამიცა-კი ეგება ასეც გადაუკეთეს ფსიქ.-ავადმყოფობის ისტორიაში: „გააჩნია ეს-თუ სადა ზიხარ, უბრალო სკამზე თუ პიანინოს სკამზედა“-ო, — სიდამ იცოდნენ რომ ერთ დროსა ჯონდი-ვერბახი რაღა თქმა უნდა ჩვენი მუსიკალური სასწავლებლის წინ ერთგვარი ძალლით გამოსაჩენად დასეირნობდა — გადასარევი, — მაგრამაც აკი ჩვენნები იყვნენ... და რაკი ჩვენები იყვნენ მაშინ-ხო აბა ჩვენა თუ არა სხვა ვიღასებისი იქნებოდნენ ფსიქიატრები!

სხვა რაღაცებიც გვკითხეს აგრეთვე მაგრამაც ახლა მაგდენი კი არ ვიციდამახსოვს, ისიცა მიკვირს მე ამ-მესა რომ, ამდენიც, მახსოვს,

აქეთობისას კი, ძალიანეცე ანტი-მოუსვლელ ორთაჭალისა აკადემიისაკენა, გზაში, კარგა დიდხნობით გვაჩერებდნენ ფერ-აღნაგობით განსხვავებულ სასამართლოებთან იქიდანაც რომ ცოდნის კიდევმეტსთ გასაღრმავებლად მთლადაც უფასოდ — ჩვენდროს ხომ სწავლა უფასოდ იყო — წამოეყვანათ ნასასამართლოებარი, ხალხი ცნობილგამოთქმით „ხალხი ციხეშია“ ჩვენთვის რაოდენფართოდ რკინისკარებებგულუხვადგახსნილსა, კი, აკადემიაში და ხოლო შიმშილს იმდღის დილიდან, საღამომდისინ სულაც არ-ვერა ვგრძნობდი რადგან, ჩვენებმა? — იმდენი მშრალი სანოვაგე — თქვენა „მშრალი“ და ცივი ეძახევით და — ხახამშრალობის როგორპირიქით! — ძეხვი, ბატონო და ჩემობატონო ხაჭაპური და შენხარჩემიბატონი და კაი შოთი-პური და ლორი და მთლად შიკა-

ლადნი-კანფეტები და ამისთანები იმდენი გამოგვატანეს რომ, ძლივს გვეტეოდა ტელაგრეიკის შიდაფართში, კი, ხოლო „სპეც"-ისა გინდც ახალგაზრდულ-ძველბიჭებმა და ყრმათამამმან თუ მხცოვანებმა — მოკლედ, სადღაც ჩვენსავით „გრაჟდანინ ზაკლუჩონნი"ებმა სამიოდ შუშა არაყიც ამოიტანეს და ამ-შემთხვევაში დიდათედამყოლ „კანვოი"-სთან ერთად ჩვენცკი გვარგუნეს ოთხიოდ ყლუპ-ყლუპი — კრკრკრკრ,

მერაბი როგორღაც მონყენილივით იჯდა, და, გავამხნევე — რას ჩამოგიყრია ყურები, აგერ ცოტათიც მოითმინე და ორიოდ დღეში ალბათ შენც საავადმყოფოში გადაგიყვანენ, იცი რამდენად უკეთესია-მეთქი? — რაზედაც, ჯონდომ:

ბიჭო, ვერ ხვდები რომ გვიშვებენ?-ო,

ძაანაც გრძლადაც ჩავიქნიე იმ სივინროვეში, ხელი:

შენ-რა, ის ჩვენი პირობითები სულ აღარ გახსოვს, არაფრად აგდებ, მეთქი?

რაზედაც, ჯონდომ:

შენ იმ პირობითების დარდი ნუ გაქვს, რაღაცას ნაღდად მოგვიხერხებს სვიმეონიჩი,-ო,

რაღა თქმა უნდა ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას გულისხმობდა აბა ვინმეყოვლადუცნობსა ვალენტინე მუგურდუმოვ სიმონიჩს კიარა,

ხოლო კამერებში რომ... ეე, არამედ ძაანერთგვარსა აუდიტორიებში აკადემიისა რომ შეგვაბრუნეს და, რომ დავანაყრე კუტოკელებიც და, სხვებიც, — აქ უნდა ძაან აღინიშნოს რომ ისე ძალზე-დ აღარ ვშიმშილობდით — მოამანათმიმღებებთან დაემყარებინათ უკვე მაყუთ-ფულიან კონტაქტები (უკონტრაქტოდაც) პატიმრებისა მართლაცდა ჭირისა-უფლებსთ, და რომ დამეკითხნენ სად იყავიო და, რომ ვუთხარი სა-გიჟებისაში ვყავდით და იქ ძალიან შეგვამოწმეს,-ო, ჭიჭიკობიძიამ, როგორმა გამჭრიახმა, მაშინვე მხარზე ძაანაც დიდად-მხიარულად დამკრა ხელი (თავისი, კი...): გილოცავ გურამჩიკ, თქვენს გასაშვებად ალბათ ძალიან დატრიალდნენ, პატარახანში ფაცა ძალიან მომიკითხეო,

ხოლო ამ მე-მ კი, დავიჯერე, არ...

ის დღე ერთ-ერთი ხუთშაბათი იყო, და, რომ მიილიამასმომდევნო პარასკევი და იმას მომდევნო შაბათი და კვირაძალს როგორასანდოდ მომდევნო კვირა-დღე... თუმც, სულ კვირა-ები არ გვქონდა? — მაგრამაც, თურმე, სრულიადც არა: კვირაობითე, პატიმრებს თუ გამოშვებას გაუხერხებდნენ არ-უშვებდნენა კიდევაცმეტი დასვენებისა უმნიკვლო ხათრით ორშაბათამდე ხოლო ორშაბათს კი, ჩვენს კამერაში ისეთი ღიმილსიცილი დადგა და ხარხარიცკი, ატყდა? — უკეთესი ვერ შეიძლებოდა... ეს იმიტომ რომ, ბევრგვერდიანი საბრალდებო დასკვნა მოვიდა თითან ჭიჭიკობიძიასი, სადაც, მთლად შავით-თეთრზე, აღნიშნულ-იყო, რომ, —

ჭიჭიკობიძია სოხუმში საცხოვრებლათე ჩანერისათვის ხოლო ქართველთა გააფხაზებისათვის-ვითო ფულს ნართმევლარა ადამიანებს ( — ბევრნაირნია. კი.) — ჩაგნერ კიდეც და ბინასაც მიგაღებიებ ფილიპიჩისა წყალობითა-ო, და როგორც ბრალდებული და კითხვისას აცხადებს ფილიპიჩი მას თურმე ატყუებდა რადგან არწმუნებდა (დარწმუნება და მოტყუება, კი, რავაარა, თითან ჭიჭიკობიძიასი... ოზნოურიშვილ რა იყო და თითანთვით გრაფსა მონტე-ქრისტოზე რამდენჯერ მეტად ნასამართლევის...) სოხუმის მთავარ აღმასკომში წამყვანი მუშაკ-ხელმძღვანელი ვაარო მეო, ფილიპიჩი"ო ხოლო ფულაღებული ფილიპიჩი გადამალულა თლათბორმანივით, მითამ, ხოლო ჩამოთვლილ დაზარალებულებში ქართველები მაგრა სჭარბობდნენ სომხებს, ნაღდად,

ხოლო ამ „დასკვნის" ნ. ჟორდანიას პირად ანუ კარგაცალმხრივა ტელეგრაფისტ-მგალობლიშვილის მიერ სათვალიანურ წაკითხვისა დამთავრებისას კი ჭიჭიკობიძიამ, ბატონ ნაპოს — რომელსაც შეკითხვით არაფერი უკითხავს ჭიჭიკობიძიასთვის მაგრამ როგორღაც თითქოსდა-გაკვრით ორიოდეჯერ გამომცდელად შეავლო თვალი, უთხრა ასე ეს:

ნაპო-ბატონო, აფხაზად გადაფორმებას, აფხაზეთში ჩაწერისათვის რომ მოისურვებს და იკადრებს ქართველობისი გადაგდებას არამცთუ ლალიძე და ჩხენკელი და ართილაყვა და კერესელიძე და ჩხიკვიშვილი, არამედ ერთი წერეთელიც კი მირევია მაგ გაბითურებულს ამქარში-ო, არ იყვენ ისინი იმის ღირსი რომ? — ფული ალალად ჩამომერთმია თლათაც შტრაფივით ქართველობისა უარყოფიდან გამომდინარე დამსახურებულ კონფისკაციითაო?, მაგინი ჩემი გავლენითე და დამარწმუნებელლაპარაკით და მიხრა-მოხრით ძალიან ხელათ იჯერებდენ ფილიპიჩისა არსებობას, ისე კი ჩემო ნაპო-ბატონო სახელსაც კაიშერჩევა უნდა, საიეფექტო და შთამაგონვლური, მარა გინდაცდა ფილიპიჩ-სა სომხები ვუმფრო ნაკლებ-ნაკლებ იჯერებდენ, კაიგაქექილებია მაგინიც, მარა... ე-ქვეშჩაფსმული ქართველობა, არ იყო აპა ჩემობატონო, ზედმეტფულისგან გაცლისო, ღირსი? ისე, ერთ-პაჩკა სომხებიცკი გავადურაქე, არ იყვენ ახი? — დეეტიე რა იმ-შენ იერევანში და ლენინაკანსევანსცკი ტბაზე, და გინაც შუვა არაქსში დურთე ზეიდან და ჩეიხრჩევი ხანდისხანობით დუპლეტსცკიც თავი, მარა ბევრი არა მარა თელათ შვიდი ერთეულამდე ისინი მაინც ქე-წავაბი და, დაკუჭული ფული ქემომცეს მარა იმისი გასწორებაში რათ მინდოდა მე ფილიპიჩი და, აკრაჭუნონ ახლა კპილები ი-სომხებმა და ი-ქართველებმაც უყარონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა კაკალი წერეთლობას თუ თუგინდაც სულაც სუნდუკიანცობას თუ აგერ-ჩემით ვერმიღწეულ და ვერაპრემია ბლაჟობას და ღაჟღაჟაობას და, ანდაც მოთხოვონ იმათე ჩემზე მონდობილებმა ი-დებილებმა მკაცრიპასუხი ჩემ-დოსტ ფილიპიჩსაა, ო,

გაეღიმა, აქ, თვით ბატონ ნაპოს,

ხოლოკი საბრალდებო დასკვნის ბოლო ნაწილის ერთგვარ ფინალში ისიც ეწერა რომ „მსჯავრდებულის აღიარებით მან არ იცოდა ჩაწერებისა ვითო-მოთავის სახელი და გვარი, მხოლოდ გამოთქმა ფილიპიჩ-ით ვიცნობდი“, ო, და ეწერა-ებეჭდა, ასეც: „სათანადო მცდელობის მიუხედავად გამოძიებამ ფილიპიჩი ვერ დაადგინა“, ო —

რას დაადგენდნენ? იმა-ცნობილ უკატო ბნელსა ოთახში კატის დაჭერისა არიყოს!?

და,

ჭიჭიკობიძიაამ? — არც აქეთ არც იქით სა-მი წელი მაქ მორჭობილი აფიორაზე, აგი დაჭერა პირველი რომ იყოს იცოცხლე მე მარტოერთიწელიწადითგამოვძვრებოდი,-ო, და ახლა რაღაი, ვიძახო გინდა სასამართლოზე ძაანხმამაღლა სა-ხარ ფილიპიჩ, შენ რა გითხარი ასე რეიზა შემარცხვინე ამ პატიოსან საამფხაზოებში-თქვა,

და სწორედ იმაზე, სწორედაც იმა თლათ 130%-თ სუვერ-არსებულ ფილიპიჩზე იმდენი ვიცინეთ, რომ, დიდ-არსებულად არსებული რომელიმე კაი-გამოცდილ-პროფესიონალკომიკოსი ნებისმიერი №-იცკი ვერ გვაცინებდა თლათ-„სვაბოდა“-ზე, ასე და იმდონს, სალამოხანს კი, რომკი მინელდა ისი ჩვეულის წარმატებითე გამოსვლამ-სალმა არა-სადამ და ჩაიარავა ზუსტად 17 საათსა და აგრეთვეც 00-წუთისა კუთვნილოვან იმ პირდაპირი ქალის გამმგვმოცხადებამ, ტანით როგორად უშუალურად უშუალურმა გამოსვლამა თლათაცძალიან — უშუალოთა, კი, არ შემომძახეს, ძალიან უცებ, საჭმლის მოსაწვდენ... ესა „შუკუმი“ რასიტყვაა, რაზე ვიმტვრიოთ ტყუილა თავი არამედ რამდენად უფრო — „ფორტოჩკიდანა“ — საცა ხარ იქაური ქუდი დეიხურე ჩემობატონოო, „ფორტოჩკიდამ“,ა, სჯობს, დამაგრამ რაღადროს ხსწორიქართულებია და დახვეწილი და ჰამაცზედაც სწორგრამატიკა, დამიძახევეს, მოკლეთ — „დოჩანაშვილიი,ს ვეშჩამიი“

და,

იქვე მაშინვე გადამეხვია ჭიჭიკობიძია, რა გამჭრიახი — ფილიპიჩისა თლათამხამაგი რა იქნებოდა, აპა, — აბა შენ იცი ჩემო გურამ, არ დაგინახოს აქ მისდღემჩი ჩემმა არც ერთმა კიდურა თვალმა, ფაცას აკოცე იცოდე ჩემგან, მიულოცე,-ო,

ს ვეშჩამიი, ო...

ხოლო მე რა ხვითოები და ჯანდაბები ციხიდან უნდა წამომეღო, მოგონებები ეს-ღა, მხოლოდ, რა-და-რომელი ასაკრეფი გუდანაბადი და ავლა-დიდება მე იქა მქონდა, ის ციხის როგორშმორიანი პერანგები თუ, ტოლჩა-რკინისი? თუ, იმა ბორშჩში ჩაყვინთული უილბლო-კოვზი... — დიდად უბედო.

ორიოდ წუთში უკვე მზად ვიყავ, ისიც მილოცვების სამადლობელსა და დამშვიდობებების მოვანდომე, მერე კი, ჩემს მაინცროგორ ერთგულ, რამდენ ფიქრ-ნანდობნარს ავხედე და, —

კარგა იმედით განვაცხადე:

თუ მართლა მიშვებენ ხვალ, ხუთ საათზე აი იქ მოვალ, პოლიანაზე (კაცოო, — მდელო! ჩემი იმ-ზემო ნარიდან მხოლოდ ცა არა, — რაღაც მეჩხერი ტყეც მოჩანდა ორთაჭალის მხრით... მდელოიანი), თუკი მართლა მიშვებენ, მეთქი...

„მართლა“-ო!, კაცოო!! რას ამბობ ბიჭო მართლა მართლა-რომ როარ გიშვებდნენ აბა მე შენა გეტყვი და დასახვრეტად გაყავხართ ბიჭო თან ს ვეშჩამი, ო, — მითხრა ნარბამ და, გადამეხვია,

ჭიჭიკობიძიამ კი, ოზნოურშვილმა? — მე-ესი გლეხი ისე მკოცნა რომ, — და კირომ ჩაწყნარდა ხოლო ჩაწყნარდა სწორედ იმითა რომ — სულს ძლივს ითქვამდა, ბაბუა ნაპო, როგორც სჩვეოდა ოდნავ თვალმოჭუტული შემცქეროდა და, თუმცა რაღაც აშკარი და ძალიან ფართოდ-მოსიყვარულედ ბინდნახლებლური აცისკროვნებით, შემომცქეროდა და, პატარახნით რომ ეჭირა ჩემი ხელი, მეორე ხელი მხარზე დამადო, რკინის კარისკენ მიბიძგა, ოდნავ —

რომელ ხვევნ-ამბორს ეს არა სჯობდა!?,

გზად კი, გზად ჩემებ ჯონდო-მერაბთან გასამ-ებულად, შეგვა-ერთ-ეს,

და, მერაბს ვუთხარი, გზაში: ბიჭო რაღაცა ძალიან გაგვიხშირდა ამ ბოლოდროს შეხვედრა და ერთად ყოფნა-მეთქი,

რა გულიანად გაეღიმა, — ჯერ სადა ხარ, ო,

და სწორედ ეს-ეს სიტყვები რამდენი წლის შემდეგ კვლავ ვუთხარით, ერთიერთმანეთს, —

ღმერთი როგორი მოწყალეა და, მივალთ, ქალალდით, იქამდეც, კი,

ხოლო ციხის უფროსის კაბინეტი ახლა არ ვიცი და მაშინ კი ზედ „ციხეს რად უნდა რკინის კარები“-სთან, იყო, დავდექით იქა, ხის კართან, კი, იქნებოდა ასე 6 საათი სალამოსი, უკვე, და, პატარა ხანში ციხეში შემოსულმა დეიდა მერიმ, როგორ ძალიან გულით, დიდად გაღიმებულმა: „რამდენი ხალხი გიცდით რომ იცოდეთ“, ო, გვითხრა, და, გავიხარეთ, — ნეტა თუ-რომელ რესტორანში წაგვიყვანენ ბიჭები აქედან, აო, მეთქი, თ, სამთავემ,

მაგრამ, გავიდა ოცი წუთი, ორმოცი, მთელი საათი, და რომ ვკითხეთა ციხის უფროსის მდივანსავითსას რაშია საქმე, თუ გვიშვებენ მაშინ რატომ არ გვიშვებენ-მეთქი, იმან კი, — უფროსს პროკურორი ყაავ სათათბიროდ და, იმათ მე თათბირს აბა როგორ შევაწყვეტინებ, არ სცალიანთ, ო, —

რადიდ-მოცლაი ამას უნდოდა, ჩვენს გასაშვებად რალაც ქაღალდ-საბუთზე მხოლოდდა უნდა მოეწერა ალბათ მარჯვენა, ხელი, —.

და, რომ გავიდა ის უსაშველო სამი საათი, მდივანსაცა და ერთსაც სუტყვილა ყარაულსა — აკი გვიშვებდნენ, — „ეგებ როგორმე შეუტანოთ და მოაწეროს ხელი" — რომ ვთხოვეთ ისევ,

იმათაც? ისეევ?:

არააა კაცო, ეგენი ალბათ ისეთსა თათბირობენ რო იმათი ხელის შეშლა აბა როგორ შეიძლება, ო,

არადა, ვიღაც ოფიცერს, შემსვლელ-გამომსვლელს შიგადაშიგა, რალაც საეჭვოდ შამპანურისა ბოთლისებური შეხოულები ქაღალდითა და, ისე-პარკიც ოღონდ კარქათაც გატიკნილი, შეჰქონდა იქა,

და, სად იყო და სად არა, შემოილანდა თითან-მაშოც, ისიც დეიდა მერისავით ალბათ მორიგედ იყო იმ ღამესა და, არცთუ-ისე გახარებულმა, გაკვირვებითაც, გვკითხა:

რა გინდათ თქვენ აქ ამ დროსა,-ო,

გვიშვებენ გარეთ პატივცემულო მაშო,-მეთქი,

კარგა მწუხარედ, აგვხედ-დაგვხედა... თუმც, რა-ღ „დაგვხედა", დაბლურა იყო... და, უცებ ერთგვარად გახარებულმა (ბევრდაგვარია გახარებაცკი, კი...) მერაბს ისე ინადით რომ კრეჭითც მიახალა, კოსტავა ბედი სულ არა გქონია, შენ,-ო...

აქა, მერაბმა? — ძაანაც-დიდი გაკვირვებაჰყო:

— რატომ-ო... — ძლივს თქვა.

რატო და ხვალ ცოხისა თვით საავადმყოფოში განვენდით...ო,

და, გაოგნებული მცირე დუმილის შემდეგ? — ისეთი ჭექად და ქუხილად ხარხარი აგვიტყდა რომ... — კაცოო (და ქალო), ეს საკანთან შედარებითაა საავადმყოფო კარგი თორემ, შინ ყოფნა რომელ იმშენ დაჯღანულ საავადმყოფოს არა სჯობია — ასე გვეწერა ეს სახეებზე ისე აშკარად, ალბათ, რომ-რო ი-მაშოიც კი და მაშუაცა მიჰხვდა შეცდომას აშკარასა როგორ, თავისასა, და,

მაპატიეთ გამოთქმა მაგრამ, სამაგიეროდ, მაშუასათვის შესაფერია, —

და გაიცურცლა... — თანაც, არც ერთი სიტყვა ისე-ტყვილა სუარ არსებობს.

კი,

და ამ „ეპიზოდმა"-აღნუსხულმა? — გამოგვიკეთა ცოტა, ხოიცი, ისი-გუნება...

და, რომკი გახდა ათი საათი, 10-00, — ეკიდა იქა, მოსაცდელში, ერთიც-გრინვიჩული, უკვე აღარა გვქონდა რესტორნის იმედი რადგან დღევანდელივით კი არ იყო — ი-რესტორნები შესაშვებად 10-30წთ-ს შემდეგ აღარა მოქმედებდნენ, დახშულებ-იყვნენ ლამის ციხისა კარებსავითაა,

და, ის 5 საათი? — მხოლოდ თერთმეტზე გამოგვიშვეს, მას შემდეგ როცა ი-პროკურორი — „აღმოსავლეთის პროკლოვი"-ისი კარგა ბანცალით გამობრძანდა, ციხის უფროსს კი კარგა-ფხიზლა ეჭირა თავი, ჩვენი გაშვების ქაღალდი კედელს მიადო და იქ მიაწერა თავისი მტკიცე მარჯვენათი თავისივ ნაღდად ნამდვილი გვარი, და ხოლო ისი 5 საათი? — აქ გრინვიჩულა დროები არ სჭრის, — როგორღაც უფრო მეტი იყო ვინემ კაპეზეციხის ორთვენახევარი,

მამამ კი მერე მითხრა რომ პარასკევს თურმე უკვე გადაწყვეტილი იყო თქვენი გაშვება, — ისევ მწერლები დარაზმულან ჩვენსა ამჩვენში ნუმერ-პირველსა ჩვენი ვასილ ანთაძის დუბლიორსა ერთდაგვარულად ამხ. ვ.პ. მჟავანაძესთან — ის მართლა კარგი კაცი იყო, და ბევრს რამეზედ თვალსა ხუჭამდა — ასე მაგალითად, როგორც ჩემმა კარგმა ძმაკაცმა, მშვენივრად კარგმა ისტორიკოსმა დევი კაჭარავამ მითხრა, მჟავანაძის ფასი ვერ ვიცით ჩვენ, მაგან ხომ სიგრძე-სიმაღლით მთელი 3-5 სანტიმეტრით აამაღლა ქართველობა, ვითომაცა და დაუდევრობით მაგრამ რა კოხტად მიგვიშვა საბჭოთა ფულის გადაღუნვაზე,-ო; თან, მჟავანაძე თურმე ისტორიულსა (აესი სიტყვაც, სუცოტა ორგვარია) ორდჟონიკიძეს ვერ იტანდა,ო და, მჟავანაძეს კი მწერლების ხათრით (თუმცა ვერ იყო დიდ-მწიგნობარი) რომელიღაც დიდათე-ძაან მოხერხებულ იურისტისათვის დაუვალებია და, — საბჭოთ-კავშირის წესდებებში გინდცკოდექსურის, მკაცრაულისა, რას ველარ იშოვნგამოჩხრეკდ-და-ამაილებდი, თურმე, ასე მაგალითად:

თურმე ერთ-მუხლით პირობითად დასჯილობა სხვა მუხლისაცა პირობითული სასჯელითა დამატებაც ერთდროულათე, კი, შენაძლებარა აკი თურმე კოდექსიურის ხანდისხანობით, თურმე,

ასე რომ, კვლა-პირობითის დასამატებელ სასამართლომდეც, მანამდეც-კია გამოგვიშვეს ციხიდან, — კიი,

და, რომ გავედით, რაც ჩვენ იქ ხალხი — ნათესაობა და მეგობრები, დაგვხვდნენ,

მაგრამ რამდენი წვრილმანი როგორ მახსოვს და ის კი ველარ მაგონდება იმ ლამით ბებია-ბაბუას ნახევრადსარდაფში თუ მამის სხვენში, წაველ,

ხოლო მეორე დილით კიი, დილაადრიან ჩვენი ბიჭები რომ მომადგნენ ჯონდი-მერაბ და ზვიადიანა მაგრამ არც ხაშზე და არც საქეიფოდ არ გავყოლილვარ — ხუთ საათამდე ისე დავთვრები რომ ველარ მივალ შეპირებულ მდელომდე-მეთქი,

და, დაიჯერებთ? ალარც ისინი წასულან საქეიფოდ ხუთ საათსა და ოც წუთამდე, მე კი, მდელოსთან ახლოს რომ მივედი, — ნულარ გამომყვებით, თქვენთან ერთად რომ დამინახონ არ მინდა, ვაითუ უფროსხვებისა-დ მიგულონ და დასწყდეთ გული ძალიან,-მეთქი,

და,

ხუთს რომ ჯერკიდევ მთლად ოცი წუთი აკლდა, დიდად ვიყურე ჩვენი V სართულისაკენ და თუმცა ზუსტად ვერ ამოვიცან ჩვენი საკანი — არც გარედან და ვერც პრაგულკიდან აბა როდი შემეძლო დავკვირვებოდი ჩვენკენმხრიულსა, ციხეს, და №103 კამერისა მდებარეობა-განლაგების ხომ, მთლად დაზუსტების ბაიბურშიც კი ვერ ვიყავ, ახლა კი დიდად ვნაღვლობდი ამას — ისინი თუმც-კი დამინახავდნენ მაგრამ მეც ხომ ძალიან მინდოდა რომ სწორედაც ზუსტად იმათკენ, კი, დამექნია ხელი, და, უცებ სწორედ იმა-ცხაურა ფანჯრიდან, მე რომ გუმანით ვვარაუდობდი — თუმც ხუთს ჯერ აკლდა 15 წუთი, თეთრი ძალიან, პირსახოცი გადმოაფინეს და, აუტეხეს ისეთი ქნევა და ქნევა,

მეც, ძაან ვხტოდი, მიუხედავად იმისა რომ თანაც მრცხვენოდა რომ მე აქ-გარეთ საგულდაგულოდ და ყოვლადუშმორო დაუთოვებულ-ტანსცმლიანი დავხტუნაობ და ისინი კი ისევ ციხეში, იმ ობიანსა და შმორიანში, იყვნენ, და

ალბათ ბატონი ბაბუა ნაპოც სულაც პირველად მოვიდა ჩემს ფანჯარასთან, იმ პირსახოცით მისალმების მახვილი აზრი კი სხვას ვის მოუვიდოდა თუარ ჭიჭიკობიძიას, ჩემსას, და ალბათ რა სიხარულით მიყურებდნენ მათთან ერთად ნარბა, ჩვენიცეკასი მდივან-ანთაძე, ვარასშვილოვის როლის ამოდ შემსრულებელიც, ის როგორ-კარგი კუშტსახიანი ებრაელი ზეთისხილით რომ გამანათლა, აწ ყოვლად უ-მორზე-ო და უტელეგრაფო მაგრამ წარსულშია-ხომ გამორჩეულად ტელეგრაფისტი მგალობლიშვილი, თავისი ვაჟის მე-ნაცნობსა როგორ კეთილად შემომცქეროდა-ალბათ კეთილი კაცი გუგუშვილი და, რა იცი, აბა, რაღა არ ხდება და თვით ის გაჯგიმული ტოვარტკბილად-ზე-ც ეგება ისიც მიქნევდა საანგარიშოთ-მრავლადნანახხელს,

და, როგორ-რარიგ უცნაურია რომ იმ თვალნათლივ თეთრ პირსახიცზე ძალიან მეტად ნაპო ბაბუას, ბატონ ჩიქვანს ბევრად უფრორე, ალვიქვამდი და, ვგრძნობდი, და, რომ ვიჯერეთ ასეთ-ასეთი — პირსახოციულ და ხტუნვებითი მისალმებანი-თ, გული,

დავბრუნდი ქვემოთ, ძმაბიჭებთან და, გაუკვირდათ ძალიან-როგორ:

ბიჭო, ჯერ ხუთი წუთი აკლია ხუთს და მთელი დღე ისე რომ მოითმინე რომ ვერც ჩვენ წავედით რესტორანში და ეს ბოლო რაღაც ხუთი წუთი რა გაგიხდა?-ო, — დიდადძალიან გაოცებულებმა, მკითხეს, ეს —

ვუამბე, ბიჭებს, ყველაფერი...

და, არც დამიჯერებთ მაგრამ ის აღარ მახსოვს თუ რომელ კარგსა-რესტორანში ვიქეიფეთ, ოღონდაც მთლადაც ქეიფი ჩემთვის ისა კარგახნით ჯერ არ იყო, როგორღაც სალად მერცხვინებოდა ისეთ-ისეთი მწვადკუპატები თანაც ცხელცხელი რომ მედო, ხელწინ,

9 საათამდე, მთელი საათნახევრით პირი აღარაფრისთვის დამიკარებია, მხოლოდ ღვინოს-ღა, მონატრულს როგორ, დიდყლუპობით, კი, ვსვამდი და ვსვამდი მაგრამ როგორღაც ვერ ვითვრებოდი, ვერ,

9 საათზე კი, ჩვენი ციხური „ვახშმობის ჟამს“, ოფიციანტს სულ-მხოლოდ 1 ცალი ზეთისხილი ვთხოვე რაზეც ვოვა კინაღამ გადაირია — შენ და, ზეთისხილი!!-ო?,

ხოლო ოფიციანტმა: ჩვენ ზეთისხილი ერთცალობით არ გვაქ, არამედ ტოლკო პორციობით,-ო,

რაზედაც, ამ მე-მემ? კარგი, ერთი პორცია მოიტანე ოღონდაც ერთიც პორციაც რამე პატარა პარკი მოაყოლე-თქო,

და,

აღასრულა-რა, ჩინოვნიკურმა-ოფიციანტმა, ზეთისხილი?

სწორედაც 9-ზე ერთადერთ-ცალიღ ვიგემე ოღონდ სუ-მთლადაც ერთ-კნიაზივით თვალმილულულმა, განცვიფრებულები შემომცქეროდნენ,

მერე კი, უცებ როგორღაც ძალიან ავიწყვიტეთ და ერთბაშადაც დავითვერ რადგან ზვიადმა სწორედაც ჩვენი ანტილრამატიკჩამორჩენილურა ჩვენისიმღერა, წამოიწყო:

ტირი-აან თუ-შის ქა-ლეე-ბსა!
არ მოგვიი-ვიიდნეენ ქმა-რე-ბო!!
ვააითუუ დახ-ვდნენ ლე-კე-ბზე!!!
დააყრეე-ინეს თავ-ზე-და!!!!, —

და, ამის შემდეგ? — ვიქეიფეთ და მაგრამ რას-რა-რარარა ვიქეიფეთ, ვერც მახსოვს როგორ მივედი ჩემს რომელიმე სახლში, ხოლო მეორე დილით კია, დილაადრიან, თავგასიებულც ნაბახუსევზე, თვით, —

როგორ ძალიან მომეწონა თავისუფლება, ჩემი ვერა და სოლოლაკი, უნივერსიტეტიჩვენი თავისიბალიანა, ერთი, მეორე, ათას მეშვიდე...

კარგი ყოფილა, თვით ციხეცკი... კი, ოღონდ თუკი გამოგიშვებენ.

...

სხვაფრივ? — არც ისე...

---

*(პირველი ნაწილის დასასრული)*

ეროვნული ბიბლიოთეკა





### არჩევანი

მე სილარიბე მერჩია
სხვის მხრებზე ჯდომას თბილად,
უკუნი ღამე მერჩია
ტყვიით ანთებულ დილას.

აქვითინება მერჩია
ცივ და უაზრო სიცილს,
უცოდინრობა მერჩია
ცოდნას, ზოგმა რომ იცის.

უსახლკარობა მერჩია
სახლს, მუქთა შრომით ნაგებს,
უსიმღერობა მერჩია
ურცხვად ნასესხებ ჰანგებს.

წრფელი სტრიქონი მერჩია
უშნოდ გაწელილ სცენარს,
ფულის ორმოში ყურებას —
ცის კაბადონის ცქერა.

უმეგობრობა მერჩია
ჭირში მეგობრის ღალატს...
არ დამანახოთ მაცილი,
არ გამაკაროთ, არა!

### ადამიანურს ვეძებ

1

იყურებიან განზე
ავი ზნის, ავი თვალის
და აყრუებენ სამზერს
ხან ბუკით, ხანაც თარით.
ჯავრი არა აქვთ სხვისა,
არც არავისი სჯერათ,
წარმოიდგინეთ, ისხამს
მათი ხეხილი ჯერაც...
დაეპატრონენ სარწყავს,
მოჰყვნენ ბუზივით ბზუილს
და მეძახიან საწყალს
მხიარულები ჭკუით...
სინდის-ნამუსის წყურვილს
ზურგი აქციეს სულმთლად,
ჭუჭყიანი აქვთ სული,
ალარაფერი სუფთა.
ეკალ-ბარდები ირგვლივ...
შხამში თავი და ბოლო...
მათი ცხოვრების წიგნი
ბოროტებაა მხოლოდ.

2

ვინც ერთგულება იცის
და სხვის სიკეთით ხარობს,
მაქვს სიყვარული მისი,
გინდ ტანთ ემოსოს ჯვალო.
ვლოცავ წინაპრის ფესვებს,
დღეს მეც ფესვი ვარ თავად,
ადამიანში ვეძებ
ადამიანურს კვლავაც.

### გაქცევა

დღეს დაუსჯელი ვინ დარჩა ქვეყნად,
ვინ არ აწამეს ცხადად, ფარულად,
მოგინევს მტირალ ტირიფთან შეყრა,
ისიც ციხიდან გამოპარულა...

დაუძმობილდი სანახებს ტყიანს,
შავბნელ ჯურღმულებს...
ნუ ხარ წუნია...
სული კი მაინც ოცნების ტყვეა,
უკიდეგანო სივრცე სწყურია!

## ნასესხები

ბარდნის, გათეთრდა ლურჯთვალა მოლი,
ხეზე ფოთოლი გაჭალარავდა
და ფანტელებით წყლიანი თოვლის
ყვავები წერენ ზამთრის ბალადას.

მარტის ნასესხებს ეს რა სცოდნია, —
ია ყინვისთვის გამოიმეტა,
მთებში მერცხლები აღარ მოდიან,
დუშმანი იყოს მაგათ იმედად!

...გაზაფხულის მზეს როცა უმუხთლე,
სითბო წაართვი ზეცის საფირონს,
როცა აზრობდი მიწის ზურმუხტებს,
ნეტავ, სად გქონდა ჭკუა, აპრილო.

## გაუსაძლისი დრო

მამულში ელავს სიკვდილის ცელი,
ყანიდან ისმის გველის წივილი,
ბევრმა დატოვა სამზეო ცრემლით,
თან გაიყოლა ზარი ტკივილის.

მეორედ მოსვლა გვიახლოვდება,
თავის ნიხრით და თავის ყალიბით, —
ყავლი გუავა კვნესა-გოდებას
და მზე გაათბობს ძონძებს ყარიბის...

## სიზმარეული

კლდესთან ვიდექ,
კლდე გაიხსნა,
შევერიე დევთა ბუნაგს,
ურჩხულების თვალთა რისხვამ
ბორბალივით ამაბრუნა.

მათთვის მე ვარ ბრიყვი ჯუჯა,
დამცინიან — „კაცუნაო“,
თამადის ხმამ დამამუნჯა,
სასმისებში დავცურაობ...

ო, რას მივედ-მოვედები, —
ფუთიანი კასრებია,
ტუჩებზე რომ მიიდებენ,
კასრნი წამსვე დაშრებიან.

ავი ბადე იხლართება...
არც იმედი გადარჩენის,
დევის თვალში იხატება
სასიკვდილო განაჩენი!

## იქნებ...

გონიოს ველზე ბინა დავიდე,
დავუსაძირკვლე მზე სიყვარულის,
იქნებ, ჭოროხის გაღმაც გავიდეს
ჩემი ლურჯაის ეჟვნის ჟღარუნი.

უნდა ყიოდეს სისხლი ქართული,
ყიოდეს ისე, როგორც აროდეს,
აღზევდეს ლაზი, მხრებშემართული,
და ტაძრისაკენ მიუხაროდეს...

ბებერ ციხესთან დავიდე ბინა, —
თავისიანად იქნებ ჩამთვალოს,
შუქს ნუ ჩამიქრობ შავი ზღვის პირას,
ცოტაც მაცალე,
ჩემო ზამთარო!

## სურათი ზღვასთან

აქ ყვავილებსაც სხვა ფერი დაჰკრავს,
სხვა სილამაზეს ასხივებს ძეწნა,
დედა ეზოში გამოდგამს აკვანს,
აჭარულ ნანას ძერწავს და ძერწავს.

ცელქი ნიავი მომტაცებს სმენას,
წკრიალა სიმებს ხეებზე აბამს,
ლურჯმა ზვირთებმაც აიდგეს ენა,
მშვიდად ჰყვებიან შორეულ ამბავს...

ძლიერთა ძლევის გაუჩნდა ნიჭი,
თოლიამ ტალღა განკეპლა ფრთებით;
ამის მნახველნი ატეხენ სიცილს, —
მოჯარდებიან ზღვის პირზე მთები.

## მაცილი ეშმაკის ბორბალზე

მაცილის ნაშიერს
მზის სხივი აშინებს,
ღრუბელთა ნაფლეთებს იყენებს ფარად,
ბორბალზე ახატავს ღამეულ არშიებს
და ელტვის ლამაზის ფარაგს.

ხტუნაობს ციყვივით,
ეტყობა ბრიყვია,
გადაჰყვა ტრიალს და ბორიალს,
არ ნაღვლობს, მავანნი აუგს თუ იტყვიან,
უცხო თესლს ქვეყანა თავისი ჰგონია.

მაღლიდან დასჩხავის გმირების ნააკვნარს,
მაცილზე მათრახი იქნება ალალი,
ან, იქნებ, ბორბალზე ბეჭებით გააკრან,
ო, თუმცა...
წმინდანი არ არის!

## მეოთხე...

ბაღში ვარ,
ბალახი იშლება ნაბადად,
ასეთი სიმწვანე რა ძალამ დაბადა.

გავაგდე მაცილი,
ჩემთან რომ დავობდა,
თამაშში ჩავერთე მეოთხე თაობას.

არ არის თამაშის ილეთი მარტივი,
ვხტუნაობ,
ხან კიდევ ვბაჯბაჯებ დათვივით.

ბავშვებთან ანგლობა
ყოფილა ზღაპარი,
აქ ვდგავარ...
გამიქრა სურვილი გაპარვის...

გავტოპე ცხოვრება,
ქცეული ჭაობად,
იმედით ამავსო
მეოთხე თაობამ.

## ხევსურის აღიარება

შუღლში ჩემ წილად მეც ვმამაცობდი,
არ ჩამიგდია შიში იოტად, —
როცა რეკავდა ზარი კაცობის,
ხმალი გველივით როცა წიოდა!..

და შეფიცული ხევსურულ ადათს
ვუფრთხილდებოდი ჯიშსა და სახელს,
მეშურნეს ბევრჯერ წაუხდა მადა,
ვერ შეძლო, ველარ დამიგო მახე.

ბოლომდე ჯიქურ ვუგანე სირცხვილს,
მომხდური ჩემზე არ გავაცინე,
წერამწერელი მშვიდიც და ფიცხიც
ცის სამყაროში ჩუმად მაცილებს.

## ძნელი ყოფილა

ძალიან ძნელი ყოფილა
მოურჩენელი იარა,
სიკვდილზე ფიქრი უძირო,
თვითონ სიკვდილი კი არა.

გაუსაძლისი ყოფილა
ახლობლის ცრემლის ყურება, —
შენი დაკარგვით დასტირის
საკუთარ უბედურებას.

## ვერაგობა

აქცია...
მერე სანქცია...
ქუჩა დილეგად აქციეს,
ყმაწვილიც გადააყოლეს,
წყალი რომ გადააქციეს!

## მოქცევა

მე გონიოდან ბლოღელეს ვუმზერ,
ქვიშაზე ვხატავ შატილის ციხეს,
მოქცევამ ზღვისამ
მომისწრო სულზე,
ჩემს დაღლილ მკლავებს ტალღებში იხვევს.

მე ჭოროხიდან მივკივი არაგვს,
ბალღებს ვუყვები ხევსურთა ამბავს,
მზიან ნარინჯებს აყრია ქარვა,
ველებს აცვია იების კაბა.

მე ზღვიდან ქიუხს ვუგზავნი წერილს,
მოკითხვას ვუთვლი
ჯიხვების ქოროს,
და ამღერებულს ადესის წვენით
მომნატრებია დუცი და ლოლო...

ნააკვნარამდე არ არის შორი,
დარდს მგზავრობაზე ხელი მოვრიე, —
ბებერ ბლოსა და გონიოს შორის
მზის ჰამაკს ჰკიდებს დედა ორივე.



## ვახუშტი კოტეტიშვილი

# ჩემი ნუთისოფელი

*(გაგრძელება)*

## სტუდენტობის წლები

ახლა კი, ჩემო მომთმენო მკითხველო, ოდნავ უნდა შევცვალო ჩემი თხრობის სტილი. ამას აქვს თავისი მიზეზი. ადრე თუ დინჯად, დაგემოვნებით გიყვებოდი ჩემი ვაივაგლახიანი ცხოვრების ამბავს, აწ უკვე ვგრძნობ, რომ იმდენი დრო აღარ მრჩება, ბოლომდე ვთქვა ჩემი სათქმელი. აგერ, ყოველდღე მიდიან არამცთუ ჩემი კბილანი, არამედ ჩემზე ბევრად ახალგაზრდებიც. მე რომელი წითელი კოჭი ვარ, ზეცას გამოვეკერო. რახან ავიჩემე ჩემი ნუთისოფლის ამბების შენთვის თხრობა, ასე თუ ისე რაღაც გარკვეულ ზღვრამდე ხომ უნდა მივიდე და შენც მიგიყვანო. ამიტომ ცოტა უნდა ავჩქარდე და შენც წაგიყოლიო.

---

*დასაწყისი იხ. № 9 ,10, 11, 12/2007. 1, 2, /2008.*

გარდა ამისა, ყველაფრის მოყოლა არც არის საინტერესო. ჩიტი ბრდღვნად უნდა ღირდეს. ამიტომ ვეცდები, ისეთი ეპიზოდები შევარჩიო, რომ არც შენთვის იყოს მოსაწყენი და არც ჩემთვის. ამ მიზნისათვის ზედგამოჭრილია თხრობის მოზაიკური სტილი. მთავარია, შენ არსად ჩამომრჩე, თორემ შენ თუ გზად დამეკარგე, კაპიკი იქნება ჩემი შრომის ფასი. მაშ ასე! ავუშვათ აფრები და მივენდოთ ზურგის ქარს!

ჩემო ძვირფასო მკითხველო, არ გაგიკვირდეს, თუ უნივერსიტეტის აუდიტორიებში ველარ იცნობ გუშინდელ მოსწავლეს, რომელიც თავს არ იკლავდა სასკოლო პროგრამების ჩაბულბულებით. შენ კი არა, ზოგჯერ მეც მიჭირს მისი ცნობა. რა მოხდა, რა ეტაკა ეგეთი, რომ არც ლექცია-სემინარებს აცდენს, არც დავალებების შესრულება ავიწყდება და დღედაღამ თავი წიგნებში აქვს ჩარგული. თანაც არ იკითხავთ, რა ტექსტებს ჩაბღუის? — არაბულ-სპარსული დამწერლობის „რებუსებს“, თითო ასოს ოთხი სახე რომ აქვს, ოთხი მოხაზულობა: ცალკე მდგომიო, მარცხნივ და მარჯვნივ გადაბმულებიო, ორმხრივ გადაბმულიო, ზემოთ ერთ, ორ ან სამწერტილიანიო, წერტილების იგივე განლაგება სიტყვის ქვემოთთო, სამი „ს“, სამი „ზ“, ორ-ორი „თ“ და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ არის დასამახსოვრებელი და ჩასაშუბლებელი...

მაგრამ საოცარი ის გახლავთ, რომ ეს ყველაფერი კი არ მაღიზიანებს, არამედ მართობს, რაღაც სპორტული ინტერესის მაგვარს აღძრავს ჩემს არსებაში, მოთამაშის აზარტის მსგავსს და ეს მახალისებს.

ეს ყველაფერი პირველი კურსის დასაწყის ეტაპზე ხდება. შემდეგ უკვე სხვა ინტერესი ამოტივტივდება: ელემენტარული ტექსტის გაგება, ლექსიკონთან არა იძულებითი, არამედ მეგობრული ურთიერთობა.

მაგონდება ერთი კურიოზული შემთხვევა: ტექსტს ვუკირკიტებ, ვეძებ ერთ სიტყვას მილერის ლექსიკონში, ვერ ვპოულობ. ვიღებ გაფაროვის ლექსიკონს, ამ სიტყვას ვერც იქ ვპოულობ. ერთადერთი იმედი იაგელოს ლექსიკონია: მაგრამ მასში ქექვაც უშედეგო აღმოჩნდება. ეს ჯანდაბური სიტყვა იქაც არ გვხვდება. სასოწარკვეთილი ამოვიოხრებ. ტექსტის ფურცლიდან ჩემს ამოოხვრაზე უცებ გაფრინდება მტვრის პაწაწინა, ზუსტად წერტილისოდენა ნამცეცი და ეს აღმოჩნდება ჩემთვის ულექსიკონოდაც კარგად ცნობილი სიტყვა, რომლის ფუჭ ძიებას იმდენი დრო შევალიე. ამის შემდეგ დამჩვევდა წესი: ტექსტის თარგმანს სანამ შევუდგებოდი, წიგნის ფურცელს ჯერ სულს ვუბერავდი ხოლმე.



საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლაც, ნახევარი საუკუნის შემდეგ, თქვენი თანდასწრებით ასეთი რამ რომ მოვიმოქმედო, არ გაგიკვირდეთ: ეს ჩემი სტუდენტობიდან გამოყოლილი ჩვევაა, რომლის მიზეზი ჩემს ირანისტობაშია საძიებელი.

პირველ კურსზე ანეკდოტებისმაგვარ პატარ-პატარა ამბებს ვკითხულობდით, რომლებსაც ჰექაიათები ერქვა, რაც გასაგებადაც იოლი იყო და, ამდენად, სახალისოც. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ასეთი:

„ჰექაიათე ავვალ

შახსი აზ აფლათუნ ფორსიდ: — სალჰაიე ბესიარ დარ ქაშთი ბუდი ვა საფარე დარია ქარდი, დარ დარია ჩე აჯაიაბ დიდი? გოფთ: - აჯაბ ჰამინ ბუდ, ქე აზ დარია ბექენარე სალამათ რასიდამ."

„პირველი ჰექაიათი

ერთმა კაცმა პლატონს ჰკითხა: — მრავალი წელი ზღვაზე ხომალდით გიმოგზაურია. ზღვაში რა საოცრება გინახავს? უპასუხა: - საოცრება ის იყო, რომ ზღვიდან ნაპირს საღსალამათმა მოვაღწიე,"

ამ პაწაწინა ტექსტის თარგმნა მაშინ ჩვენთვის დანტეს „ღვთაებრივი კომედიის" თარგმანის ბადალი იყო.

გამოხდა ხანი. მეორე კურსზე უკვე სერიოზულ ტექსტებზე მიგვიშვეს: რუდაქიო, შაჰიდ ბალხელიო, ფირდოუსიო და ბოლოს ჩემი ნანი-ნანატრი ომარ ხაიამი.

აღმოჩნდა, რომ თურმე, გარითმვის წესის მიხედვით, რობაის ორი სახეობა არსებობს: 1. როდესაც ოთხივე სტრიქონი გარითმულია და 2. როდესაც პირველი, მეორე და მეოთხე სტრიქონები გარითმულია, ხოლო მესამე თავისუფალი. მაშასადამე, გვქონია რობაის ორი სტრუქტურული ნაირსახეობა: 1. მონორითმული და 2. პოლირითმული.

ამათგან პირველში ოთხივე სტრიქონი ცალ-ცალკე, დამოუკიდებელ სინტაქსურ ერთეულს წარმოადგენს მაშინ, როდესაც მეორე ვარიანტში ურითმოდ დარჩენილ სტრიქონში აზრი დაუმთავრებელია და იგი აუცილებლად მოითხოვს მეოთხე სტრიქონს, როგორც ლექსის აზრობრივ ფინალს, გარკვეულ ლოგიკურ დასასრულს.

მაშასადამე, თურმე ლექსში რითმის ფუნქცია მხოლოდ კეთილხმოვანებით კი არ შემოიფარგლება, არამედ მას სხვა, სტრუქტურულ-აზრობრივი დატვირთვაც ჰქონია.

რობაიების ნაირსახეობათა ლაბირინთებში ბოდიალმა „არიადნას ძაფის" ერთი ბოლო რომ მაპოვნინა, გზა უკვე იოლად გავიკვლიე და ჩემი მთარგმნელობითი საქმიანობის პირველი, საჭაშნიკო ნიმუშებიც გაჩნდდა. აი, ერთრითმიანთაგან ზოგიერთი:

* * *

საიდუმლოს ვის გაუმხელს ეს მუხთალი ხანა,
ყელში მრავალ ჩვენისთანას გაუყარა დანა,
ხანგრძლივ ყოფნას ვის არგუნებს, წავალთ თანდათანა.
ვინც წავიდა, ის ამქვეყნად დაბრუნდება განა?!

* * *

რად გსურს ქონება, თუ საწუთრო წარმავალია,
ვინ არის იგი, ქვეყნად სული ვინც არ დალია?
სული, სხეულში შეხიზნული, მხოლოდ ვალია,
როგორ შეირჩენ, თუ გადახდა გარდუვალია.

* * *

ეს ქვეყანა სხვაგვარია მისთვის, ვინც კი მთვრალია,
თავი დარდით ამევსო და ლხინი ჩემი ვალია,
ჯამი მომეც, სანამ გული მოთმინებამ დალია,
ჩქარა, თორემ ეს ცხოვრება, ხედავ, წარმავალია.

* * *

ერთ დროს ეს ჩემი ხელადა, ალბათ ჩემსავით ღელავდა,
მზეთუნახავის ნაწნავი ბორკავდა, ქცეულს ხელადა,
ხელი რომ უდევს დოინჯად, ასე არ ჰქონდა ძველადა,
მიჯნურის ყელზე ეხვია, ლაღად და უდარდელადა.

* * *

ქვეყანა ნახე და რაც ნახე — არაფერია,
რაც თქვი, რაც გულში ჩაიმარხე — არაფერია,
გინდ დამწყვდეულმა ივაგლახე — არაფერია.
თუ გინდ ქვეყანა გადალახე — არაფერია.

**მეორე სახეობისანი კი ასეთ სურათს ქმნიან:**

* * *

ქვეყნად რაიმე, ქარის გარდა, არ არსებულა
რაც არსებულა, დაქცეულა, არ ავსებულა,
არ არსებული არსებულად უნდა ჩათვალო,
არსებული კი მიიჩნიო არ არსებულად.

* * *

ღვინის მდინარე, ფერიები და ლხინის ტახტი,
მითხრეს, გელისო სამოთხეში, თუ ღირსი გახდი.
ამივსე თასი წმინდა ღვინით და მომაწოდე,
ათას ნისიას მირჩევნია ეს ერთი ნაღდი.

* * *

შეეშვი ლოცვას, დაეხსენი რწმენის მარწუხებს,
იყავ კეთილი და შენს მოძმეს ნუ შეაწუხებ.
მომეცი ღვინო და იმ ქვეყნად როცა წარვდგებით,
იქ, სამსჯავროზე, შენს მაგივრად მე ვუპასუხებ.

* * *

რომელმან შეჰქმნა ეს სამყარო და ცის თაღები,
თავის ქმნილებებს არსებობას უსპობს განგებით.
თუ ცუდად შექმნა, ვის მიუძღვის ამაში ბრალი?
და თუ კარგია, რაღად ამსხვრევს მათ ხელაღებით?

* * *

სულს გაეყრები, ვერ გაიგებ ვინა ხარ, რა ხარ,
ღვთის საიდუმლო ფარდის იქით ვერაფერს ნახავ,
დალიე ღვინო, ვინ რა იცის, საიდან მოხველ,
ლაღად იცხოვრე, ვინ რა იცის, საითკენ წახვალ.

* * *

ამბობენ, რომ ჯოჯოხეთში იქნებაო კრული
ყველა ლოთი და მიჯნური, ვინც შელახა რჯული,
ეს რომ მართლა ასე იყოს, მაშ სამოთხე ხვალვე
ისე დაცარიელდება, როგორც ხელისგული.

* * *

ნუ ნანობ ცოდვებს, არას გარგებს უიმედობა,
ტყუილუბრალოდ ცრემლებისღვრას ნურვინ ენდობა,
ვინც არრა სცოდა, რაღად უნდა შენდობა იმას,
იცოდე, მხოლოდ ცოდვილთათვის არის შენდობა.

* * *

იმხიარულე და ცხოვრება გაილამაზე,
დრო რომ იცვლება, ნუ ინაღვლი, ძმაო ამაზე,
ქვეყნად ყოველი მარადისი რომ ყოფილიყო,
არ გაჩნდებოდი არასოდეს ამ ქვეყანაზე.

ეს ყველაფერი მეორე კურსის პირველსავე სემესტრში ვთარგმნე და, რასაკვირველია, ყველაზე ადრე ლეილას წავუკითხე. წავუკითხე და თანაც როგორ?! ჯერ დედანში, სპარსულად, გამოთქმით და ოდნავ ბაიათური წამღერებით, შემდეგ კი რიხიანი ქართულით. ლეილა განაბული მისმენდა და დავინახე, რომ თვალებს იწმენდდა. — რა მოგივიდა, გო, ტირი? — ქართლურად წავუტეტიურე მე ღიმილით.

ლეილამ კინკრიხოზე მაკოცა, ყელსმობჯენილი „ბურთი“ რის ვაი-ვაგლახით გადააგორა და ჯერ კიდევ ცრემლიანმა და სახეალანძულმა დაიწყო ჩემი ქება-დიდება. ბოლოს თავისი მონოლოგი ასე დაასრულა:

— ვახულიკო, დიდი მადლობა, რომ ასე დამიფასე ჩემი ამაგი და სიყვარული. ბედნიერი ვარ. ეჰ, ნეტავ დედა და მამა მოსწრებოდნენ ამ დღეს.

მე ჩემს თარგმანებზე მეტად ლეილას ბედნიერი სახე მახარებდა. რაღა დაგიმალოთ, თვალები მეც მომიწყლიანდა. რას გავუკეთებდი ლეილას ამის ბადალს. მას მთელი ქვეყნის ოქრო-ვერცხლს ერთი ალალი ლექსი ერჩია, თანაც თუ ამ ლექსის მთქმელი ან მთარგმნელი მისი სათაყვანებელი ძმა იქნებოდა.

ასე და ამგვარად მიდიოდა ჩემი სტუდენტობის წლები. სწავლა და თარგმნა, ბიბლიოთეკებში ბუდარაობა, წიგნებში ქექვა და სესიების ციებ-ცხელებანი.

ასეთი გახლდათ ჩემი სტუდენტური ცხოვრება. მაგრამ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, არ გეგონოს, თითქოს მე ვყოფილიყავ ვიღაც სწავლისაგან „გამოქლიავებული“ (მაპატიეთ ეს ჟარგონი) და თვალებდაელმებული ჯეელი, ცხოვრების აზრზე რომ არ არიან და წიგნს მიღმა სამყარო არსებობს თუ არა, რომ არ იციან. ჩვეენს სტუდენტურ საძმოში სუფრა ისე არ გაიშლებოდა, მე თამადა თუ არა, უაქტიურესი მონაწილე რომ არ ვყოფილიყავი. თანაც მე რომელიმე ერთი საძმოს წევრი კი არ გახლდით, არამედ რამდენიმესი, ანუ ჯგუფის, ფაკულტეტის და საუნივერსიტეტო მასშტაბით კურსისა, რომელშიც შედიოდნენ ფილოლოგები თუ ჟურნალისტები, ისტორიკოსები თუ სხვანი და სხვანი. აქ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო თემო მაღლაფერიძე და ზალიკო ჟვანია, რეზო სირაძე და გრიშერ ფარულავა, ზურა ცხვედიანი და გივი შეყილაძე, ოდნავ ჩვენზე პატარა იურა ჯაფარიძე და სხვანი და სხვანი, რომელთა სრული სიის ჩამოთვლის უფლებას, ალბათ არც მომცემს ამ პუბლიკაციის რედაქტორი.

ერთს ვიტყვი მხოლოდ: ჩეემს მიერ მოხსენიებული გრიშერ ფარულავა, თავისი პურიტანული ცხოვრების წესით, რასაკვირველია,

გრიგოლ ხანძთელის საძმოს წევრობას უფრო იმსახურებდა, ვიდრე ჩვენსას, მაგრამ ვინაიდან კომუნისტურ სისტემაში სულიერ ძმათა ორდენები აღარ არსებობდა, იძულებული გახლდათ ჩვენს პურ-მარილ-ხორცეულ-ღვინო-არყეულ და ტვინშერყეულ საძმოს წევრი გამხდარიყო. ბოლოს იქამდე მივიყვანეთ, რომ თავად იქცა ჩინებულ მეღვინედ და პროფესიონალ მასპინძლად. კავთისხევში სახლიც კი შეიძინა და ეზოში ჭის თხრა დაიწყო. მისთვის ჩვეული გულმოდგინებით იმდენი თხარა-თხარა, რომ ცნობილი ანდაზისა არ იყოს, ლამის საკუთარი საფლავი გაითხარა. ჭიდან რის ვაი-ვაგლახით ამოათრიეს მეზობლებმა და საქართველომ ახალი ასკეტი შეიძინა. ხომ გახსოვთ, შიო მღვიმეში დასახლდა და მას შიო მღვიმელი ეწოდა, ბერი სვიმეონი განმარტოებით მდგარ სვეტზე დასახლდა და აქედან მოდის მისი სახელი სვიმეონ მესვეტე. გრივერმა ზემოთქმულის საფუძველზე მიიღო ასეთი ტიტული: „ გრივერ მეჭე“. ამიერიდან ქართულ აგიოგრაფიაში იგი ასე იქნება მოხსენიებული. ღმერთო, შემინდე ეს მეგობრული შარ(ჟ)ყირი.

ძვირფასო მკითხველო, რასაკვირველია, შემთხვევითი არ გახლავთ ჩემს მიერ ფილოლოგ-ჟურნალისტ-აღმოსავლეთმცოდნეთა ამ კოჰორტის საგანგებოდ გამოყოფა. ეს მრავალწილ განპირობებული იყო ჩვენი მაშინდელი ახალგაზრდა ლექტორის ბ-ნ ლეო მენაბდის მოძღვრობითა და მეგობრობით.

ბ-ნი ლეო არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით და საქმისადმი ფანატიკური სიყვარულით გვიკითხავდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს. ამავე დროს, სისტემატურად დავყავდით ექსკურსიებზე. მისი წყალობით მოვიარეთ და მოვილოცეთ მცხეთა თუ ზედაზენი, ბოლნისი თუ სამშვილდე, ერთაწმინდა თუ ქვათახევი, ნეკრესი თუ ალავერდი, შუამთა თუ იყალთო, ლარგვისი თუ იკორთა, ატენი თუ ყინწვისი, წილკანი თუ თხოთი, გელათი თუ მოწამეთა, ილორი თუ ნიკორწმინდა და კიდევ ბევრი ეკლესია მონასტერი. აღარც ვიცი, რომელი ერთი მოვთვალო. ამა თუ იმ ძეგლთან მისულებს ბ-ნი ლეო გვიკითხავდა ცოცხალ ლექციებს მათი ისტორიის, აღმშენებელთა თუ ქტიტორთა შესახებ და გვაწვდიდა უამრავ ცნობას იქ მოღვაწე სულიერ მამათა ღვაწლზე.

ეს ლექციები, ბუნებრივია, გვირგვინდებოდა დარბაისლური ძველქართული პურობით, რომელიც, რასაკვირველია, არასოდეს გადაზრდილა აღვირახსნილ ღრეობაში. ეს სერობაც იმ აკადემიური ლექციების ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენდა. და ჩვენში, ანუ სტუდენტებში, სულიერების ასეთ ამაღლებას ბ-ნი ლეო ახერხებდა გაგანია კომუნისტურ ეპოქაში. ამის გამო ყოველთვის დიდი მადლიერების გრძნობით ვიხსენებთ მის ამაგს. გაანათლოს მისი სული ღმერთმა.

თუ გავითვალისწინებთ ამ ექსკურსიების მონაწილეთა (ანუ ჩვენს) ზნეობრივ ოინბაზობებს, იოლი წარმოსადგენია, მოგზაურობისას რა კურიოზული სიტუაციები იჩენდა ხოლმე თავს.

წინასწარვე უნდა მოგახსენოთ, რომ ბ-ნ ლეოს ამ ექსკურსიებზე თითქმის ყოველთვის თან ახლდა ხოლმე დედამისი, ცხონებული ქ-ნი თამარი, რომელიც, მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა, იყო საკმაოდ ენერგიული და ახალგაზრდული შემართებით აღსავსე პიროვნება. იგი იყო ცხოვრების სპორტული წესის მქადაგებელი და ამიტომაც სასტიკად ილაშქრებდა ჩვენი უზნეობების მიმართ, როგორადაც იგი მიიჩნევდა თამბაქოს წევას და ალკოჰოლური სასმელებისადმი მიდრეკილებას.

ჩვენ კი წესად გვქონდა, ავტობუსის დაიძვრისთანავე გზა დაგველოცა და ა.შ... ბუნებრივია, ამას მოჰყვებოდა ხოლმე ქ-ნი თამარისგან სასტიკი რეაქცია. ამიტომ ბიჭებმა შევიმუშავეთ ასეთი მეთოდი. არყის ცარიელ ბოთლში ჩავასხამდით ჩვეულებრივ წყალს, ჩამოვასხამდით ჭიქაში და ქ-ნ თამართან ახლოს მჯდომი ერთ-ერთი ჩვენგანი იწყებდა დალოცვას. ქ-ნი თამარი გამოსტაცებდა ჭიქას, დაყნოსავდა, მიხვდებოდა, რომ წყალი იყო და იწყებდა გულიან სიცილს:

— თქვე მაიმუნებო, ჩემი მოტყუება გინდოდათ? ვერ მოგართვით. – იტყოდა და მშვიდად განაგრძობდა ავტობუსის სარკმლიდან ბუნების თვალიერებას, ახლა კი უკვე დავაძრობდით მეორე, ნამდვილი ჭაჭით სავსე ბოთლს და ჩამოვარიგებდით. დავილოცებოდით სათითაოდ ყველანი, შემდეგ მეორე სადღეგრძელოს, მესამეს და ა.შ... დეიდა თამარი ღიმილით გვადევნებდა თვალს და დაგვცინოდა:

— ჰო, დაიჯღანეთ, დაიჯღანეთ, ვითომ ნამდვილ არაყს სვამდეთ. ისე კი ზოგიერთს მართლაც გქონიათ მსახიობის ნიჭი. – იტყოდა მშვიდი იერით, მაგრამ ჩვენი წამოჭარხლებული სიფათები და მომეტებული მხიარულება მალევე გამოააშკარავებდა ხოლმე ჩვენს ოინბაზობას, რასაც მოჰყვებოდა დეიდა თამარის ამაო ვიშ-ვიში და ყოვლად ფუჭი შეგონებანი. შეგვინდოს მისმა ნათელმა სულმა ეს უწყინარი შეხუმრებანი.

ბ-ნი ლეოს ექსპედიციები ჩვენი სტუდენტობის წლებით არ შემოფარგლულა. შემდეგაც, როდესაც უკვე თავადაც ლექტორები გავხდით და ბ-ნი ლეოს კოლეგეგებად ვიქეცით, ჩამოგვიქროლებდა ხოლმე, „დაგვაწიოკებდა" და ახალ-ახალ მარშრუტებს შემოგვთავაზებდა. ერთი ასეთი ექსპედიცია ყველას დაგვამახსოვრდა. ეს გახლდათ შიდა ქართლის „ტრავერსი": თბილისი-მცხეთა-ძეგვი-ნიჩბისი-წინარეხი-ქვათახევი-კავთისხევი-ნოსტე-ახალქალაქი-ერთაწმინდა-რკონი-ატენი-უფლისციხე-გორი-თბილისი.

— კავთისხეველო, შენს სამფლობელოებში მოვდივართ და გიდობა შენ უნდა გაგვიწიო. — შემომიძახა ბ-ნმა ლეომ.

— ჰაი გიდი! — მხარი ავუბი მე და დავიძარით. საქართველო შემოდგომობით ხომ ყველგან ლამაზია, მააგრამ ვიწროკუთხურ „შოვინიზმში" ნუ ჩამომართმევთ და თრიალეთის ფერდებზე რომ ფერები იცის, ავ თვალს არ დაენახვება! განსაკუთრებით ქვათახევ-გუდალეთ-წიფორის ტყეებში. დიდად ნასიამოვნებნი ჩავედით კავთისხევში. იქ დიდხანს გაჩერებას არ ვაპირებდით. უბრალოდ, ჩვენი ავტობუსის მძღოლმა წყაროსთან გააჩერა მოტორის გასაგრილებლად. ჩვენც მუხლის გასაშლელად და სიგარეტის გასაფუებლად ჩამოვხროვდით. ბ-ნმა ლეომ გამიყვანა გვერდზე და ჩუმად, დეიდა თამარს რომ არ გაეგონა, მითხრა:

— თქვენ, ქართლელებმა ჭანჭურის კაი არაყი იცით. სოფელში ამ საქმის ოსტატი გეცოდინება, აჯობებს აქვე მოვიმარაგოთ, რომ გული საგულესა გვქონდეს.

— ბ-ნო ლეო, ეგ თუ აღარ ვიცი, მა რიღას კავთურელი ვიქნები, მაგ საქმის უსტაბაში ჟორაა მოდრეკილაძე. აგე, პირდაპირ მაგისი სახლია. წავიდეთ და დაველაპარაკოთ — მეთქი.

დავიძარით. ჟორას ეზოდან შევძახე და კარი რომ გაგვიღო, მწვადისა და არყის ისეთი ოხშივარი გვეტაკა, რომ ლამის ძირს დაგვცა ეს ვაჟკაცი ხალხი. სუფრას ოთხნი ესხდნენ, თვალებაჟიჟინებულები და ყურებამდე პირახეულნი. ჩემს დანახვაზე დიდად გაიხარეს. — ვახოს გაუმარჟოს, კახელებისა არ იყოს, სად დაგვეკარგე წეროს სკინტლივითაო?! მითხრეს და ჯაჭვიანი არყის ჭიქა შიგ შუბლში მაჯახეს. მე ბ-ნი ლეო წარვუდგინე საზოგადოებას. ატყდა ერთი ჩოჩქოლი და ჟრიამული, რომელიც იმერულსა თუ გურულ თავქუდმოგლეჯილ მასპინძლობას უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე ქართლურს. — დასხედითო. ჩვენ ვუთხარით: — არა გარეთ ერთი ავტობუსი ხალხი გველოდება, ნოსტეზე უნდა ავიაროთ და შებინდებამდე ახალქალაქში ჩავაღწიოთ.

— სამისა არ დამსხმელისა და არ დამლევისაო! — თქვეს და „ჯორებზე შესხდნენ."

— ბ-ნო ლეო, ეს ისეთი მუტრუკი ხალხია, რახან თქვეს, თავიანთ სიტყვას არ გადავლენ — მეთქი. ვუთხარი და სუფრასთან ჩავიმუხლე. ბ-ნი ლეოც უდრტვინველად დამყაბულდა. სანამ ჩვენ იმ საკრალურ სამ სასმისს დავცლიდით, ბიჭებმა გარეთ, ეტყობა, „სუნი იკრეს" და შემოლაგდნენ: თემო მაღლაფერიძე, იურა ჯაფარიძე და რეზო სირაძე. იმათთან კი მასპინძლებს დაგინება არ დასჭირვებიათ. ისე გადახუხეს, წარბიც არ შესტოკებიათ. თანაც დაამატეს: — იიიფ!

— ჟორა, ჭიქებს ძაფი გამოაბი, არ გადაეყლაპოთ-მეთქი. — ვურჩიე მასპინძელს.

ამასობაში ბ-ნმა ლეომ დრო იხელთა და ჟორას ჩუმად გადაულაპარაკა: — მოგზაური ხალხი ვართ, ხან ბარში ვართ, ხან მთაში, ეს არაყი წამლად გამოგვადგება. უნდა მოგვყიდო, მაგისთვისა ვართ მოსულებიო.

— მოგვყიდოთო?! — ახარხარდა ჟორა. ხალხნო და ჯამაათნო, ხედავთ, რა იკისრა ამ პატიოსანმა კაცმა?! მაშინ მოკვდეს ჟორა მოდრეკილაძე, არაყში ფული გამოართვას ქართველ კაცსა. თანაც ვისა?! ჩვენ ვახუშტას მეგობრებსა?! ჰაი, დედასა! ჩემო ლეო, ვერა ხედავ, ჭანჭურსა და ჭინჭარს მიაქვს მთელი საკავთისხევო. იცი, როგორ უხდებიან ერთმანეთსა, ჭანჭურის არაყი და ჭინჭრის შეჭამანდი?! მაგრამ აბა, ქალაქელებმა სად იცით ამის ფასი! ბიჭო, არ უთხარი ამ პატიოსან ხალხსა, რომ შენი ძმის ოჯახში მოგყავდა?!

— ბ-ნო ლეო, შეეშვით. ამასთან კამათს აზრი არა აქვს. ეს მოდრეკილაძე კი არა, უდრეკილაძეა, მაგრამ მიქაელ მოდრეკილობასა ჩემულობს.

ბ-ნ ლეოს ეამა ძველქართული ლიტერატურის ციტაცია და დადუმდა. ამ დროს ჭრიალ-ჭრიალით გაიღო კარი და ოთახი ბინდმა მოიცვა. კარებში სარდიონ კოტეტიშვილი ასვეტილიყო. მან უცერემონიოდ, ყოველგვარი შესავლისა და სალამ-ქალამის ნაცვლად ჩემი ლანძღვით დაიწყო:

— ბიჭო, შენა სინდის-ნამუსი გააქვს?! აფსუს, ვახტანგ, რა უვარგისი შვილი გამოგსვლია?! — რიტორიკულად მიმართა მამაჩემის სულს და ისევ ჩემზე გადმოინაცვლა: შე დალოცვილო, კოტეტიშვილს შენი სტუმრები მოდრეკილაძიანთა რომ მიგყავს და შენი გვარისანი არც გახსენდება, გეკადრება?! აბა, წამაეყარენით ყველანი და გაჩვენებთ ვინა ვართ ქართლელები!

— მოიცა, ძია სარდიონ, მუშტრები არ დამიფრთხო, ჩემთან არყის საყიდლად არიან მოსულები! — შაყირის ბოლო აკორდი აიღო ჟორამ, რასაც საერთო სიცილ-ხარხარი მოჰყვა.

— გაიცანით, — მივმართე მე ჩემს მეგობრებს, — სარდიონ კოტეტიშვილი, ცნობილი აგრონომი და უცნობილესი მონადირე.

— ბ-ნო სარდიონ რაზე ნადირობთ? — დაინტერესდნენ ბიჭები.

— ვეფხვი და ლომი ჩვენში არ იცის. მწყრები კი, გაგიხარიათ, ბლომათა ჰყავთ აქაურებსა. სულ გუნდ-გუნდად აფრენენ. — უპასუხა ძია სარდიონმა საერთო სიცილ-ხარხარში და ყველას დაგვიტხტანა: — აბა, აიბარგენით.

რალას ვიზამდით, გავყევით. ჟორამ არაყი სამლიტრიანი შტოფით გზაში გამოგვადევნა და ავტობუსში შემოგვიგდო.

ძია სარდიონმა ჩვენი ავტობუსი შეაჯლიგინა თავის დიდ ეზოში და ცოლ-ქალები დაანიოკა: — აბა, გაინძერით, ქალაქიდან ვახუშტიმ ერთი ავტობუსი მშიერი ხალხი ჩამოგვიყვანა და თავი არ შევირცხვინოთ. ქალები ისე მკვირცხლად დატრიალდნენო, კაცი იფიქრებდა დასავლეთ საქართველოში ხომ არ მოვხვდიო. გაიშალა უზარმაზარი სუფრა. თამადობაზე უარი, ვიცოდი, არ გამივიდოდა. მეც ავდექი და „ბულბული შემოვსვი ჭიქაზე." რა სადღეგრძელოები ითქვა, იმას ნუ მომაყოლებთ. ერთს კი გეტყვით. როდესაც მამაჩემის სულის შესანდობარი შესვეს ბიჭებმა, მე სუფრას მოვახსენე: — ვახტანგ კოტეტიშვილმა აქ, კავთისხევში, გლეხებმა ღვინიანი ჯამი რომ მიაწოდეს, დასწვდა მიწას, მობლუჯა, ჯამში ჩაყარა და ქართული მიწის სადღეგრძელო ასე შესვა-მეთქი.



კარგახნის შემდეგ სუფრიდან რომ ავიშალენით და ჭიშკართან საკართანოს ვსვამდით, მამაჩემის ის სადღეგრძელო გაიხსენეს ბიჭებმა და გადაწყვიტეს, მიწა ჩაეყარათ ჭიქებში. ალმოჩნდა, რომ სადაც ჩვენ ვიდექით, ტალახი იყო. სარდიონმა შემოგვთავაზა: — ბიჭებო, ეს ტალახი რად გინდათ, ან ცოტა გვერდზე გადმოდექით და თუ გატოკება გეზარებათ, მე ბაღიდან კარგ მიწას გადმოგიტანთო. მაგრამ აბა, მთვრალ კაცს რამეს შეასმენ?! მოფხოჭნეს ბიჭებმა ტალახი, ჩაუძახეს ჭიქებში და ისე დაცალეს, კბილებს სულ ღრაჭა-ღრუჭი აუყენეს. აქ წარმოდგენილ სურათს თუ დააკვირდებით, ნათლად შეამჩნევთ ღვინოში დალექილ მიწას. სურათზე კი გამოსახულნი გახლავართ: გრიველ ფარულავა, იურა ჯაფარიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი და ზურა ცხვედიანი.

ამის შემდეგ კი დავემშვიდობეთ ძია სარდიონის მადლიან ოჯახს და გეზი ნოსტესკენ ავიღეთ.

ეჰ, გასახსენებელი კი ბევრია, მაგრამ სადღაა ყველაფრის გახსენების ჯანი?!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მაყვალა გონაშვილი

*ამ მოთხრობის დაწერიდან თხუთმეტი წელი მაინც იქნება გასული.*

*ახლახან დედამ ჩემი ძველი საქაღალდე მომიტანა. საკუჭნაოში ვიპოვე. შიგ ხელნაწერებია. იქნებ რამე საინტერესოა.*

*ეს მოთხრობა ვნახე. კიდევ რამდენიმე თარგმანი. და ერთიც პიესა.*

*რადგან არ დაიკარგა და მაინც ვიპოვე. იქნებ არც არის დასაკარგი.*

*ავტორი*

## ბელუჰა სალოხეში

„დამხვდება, არ დამხვდება, დამხვდება," არ დამხვდება... დამხვდება." კიბე-კიბე აითვალა — „ჰო, თუ არა, ჰო, თუ არა?" კიბეები სულმოუთქმელად აათავა. ეს ჩვევა ბავშვობიდანვე გამოჰყვა, როცა რაიმეზე ეჭვობდა, მეტროს ლამპიონებზე, კიბეებზე, ქუჩაში აშოლტილ ხეებზე და ვინ იცის, რაზე აღარ გადაითვლიდა: — „ჰო, თუ არა, ჰო, თუ არა?!" სულ მუდამ მარჩიელობაში იყო.

მიმოიხედა, მაღლა სხვენში ადიოდა კიბეები.

— „იქ ცხოვრობს. ნამდვილად იქ ცხოვრობს" — გაიფიქრა. წარმოიდგინა, როგორ ამოივლიდა მისი ქმარი ამ კიბეებს, როგორ შედიოდა იმ პატარა, ფიცრულ კარებში. რამდენჯერ უფიქრია იმ ქალთან შეხვედრაზე, რამდენჯერ წარმოუდგენია ფიქრში, როგორ გაუყრიდა თვალს თვალში იმ უნამუსოს და ყოველივეს დაუფარავად მიახლიდა. ზოგჯერ იმასაც წარმოიდგენდა, ვითომ თავის ქმართან ჩახვეულს შეუსწრო.

„არა, მარტო სიტყვები არ კმარა, რაც მაგან მე ეს ოთხი წელი სიმარტოვის ქვაბში მხარშა, რაც მე ეჭვის ჯვარს ვეცვი... სიტყვებიო... მაგისთანა უნამუსოს სიტყვებით რას დაამუნათებ... თმით უნდა ათრიოს კაცმა, თმით."

კართან გაჩერდა. — ახლა რა ვქნა? — გაიფიქრა და უცებ მთელი სიამაყე და გაცეცხლება კენჭის ხუხულასავით ჩამოექცა.

„რა ვქნა? დავაკაკუნო, თუ ისე შევიდე?! რა ვქნა?" უკან გამობრუნება დააპირა. ერთხანს იდგა და ყოყმანობდა.

„არა, წასვლა არ ივარგებს, დაუეჟილსგატეხილი სჯობს, რაც იქნება, იქნება!"

გადაწყვეტილია...

კარს დაურიდებლად ჰკრა ხელი...

ოთახი პატარა იყო და ბნელი. ვიწრო სარკმლიდან შემოსული სხივი ძლივს ატანდა ოთახში. ქალმა იქაურობას მოავლო თვალი.

პატარა მაგიდა. სამფეხა სკამი. დამტვერილი სარკე. კუთხეში ერთადერთი ტახტი. ტახტზე გოგონა იწვა.

„სძინავს, — გაიფიქრა. ნაბიჯის გადადგმა ვერ გაბედა. სახეზე მიაშტერდა — ღმერთო, რა ულამაზოა, როგორი გამხდარია. ამაში გამცვალა? ამ კატის კნუტში?"

ეგონა, ეს აღმოჩენა გაახარებდა, მაგრამ გული ისევ ისე დამძიმებული ჰქონდა. სარკეში საკუთარი ორეული შეათვალიერა.

„სამაგიეროდ, ახალგაზრდაა!" გაიფიქრა გულისტკივილით. ნეტავ ამ შუადღისას რას ნებივრობს? ალბათ, ჩვევად აქვს, დღისით სძინავს, ღამით კი ჩემს ქმარს აგიჟებს.

— წყალი! — დაიძახა გოგონამ. კი არ დაიძახა, ამოიკვნესა...

— წყალი არა, სანამლავი არ გინდა? — გაიფიქრა ქალმა.

ერთხანს იდგა ასე, სარგადაყლაპულივით, გაშეშებული, გაქვავებული, პირგამშრალი, გაუბედავი. ბოლოს მაინც გაბედა და საწოლს მიუახლოვდა. იქვე, ტახტთან, მაგიდაზე თერმომეტრი იდო. ვერცხლისწყალი ორმოც გრადუსს აჩვენებდა.

გოგონას საშინელი ტანჯვა ეხატა სახეზე...

„ავადაა" — ახლაღა მიხვდა ქალი.

აი, საკმარისია, ქიქაში ვერცხლისწყალი ჩაუსხას და...

ვინ გაიგებს, ვისი მოწამლულია.

იფიქრებენ, თავი მოიკლაო.

ქალს თერმომეტრი ეჭირა ხელში და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

— წყალი! — კვლავ დაიჩურჩულა გოგონამ და სიცხისაგან გამშრალი ტუჩები ააცმაცუნა...

ქალმა წყლით სავსე ჭიქა გაუწოდა. ხელი შუბლზე დაადო.

— დედა! — ღიმება სცადა გოგონამ და ხელი ხელზე მოუჭირა.

ქალმა ხელი გველნაკბენივით გამოსტაცა.

შვილი რომ მყოლოდა, ალბათ ამისი ტოლი იქნებოდა. რაღაც სინაზე იგრძნო. მერე კიდევ სიბრაზემ წამოუარა.

„ასეთი რომ ყოფილიყო, ჩემი ხელით მოვკლავდი. ალბათ, საწყალი დედამისიც გულმოშხამულია, ხმას არ სცემს. გამწყრალი იქნება, აბა რა, მამის ტოლა კაცსაა გადაკიდებული."

— არა, არ შევალ სალორეში, არ შევალ-მეთქი! მეშინია! — გოგომ თავი სიმწრით გადააქნია... მერე წამოჯდა, სიცხისაგან ანთებული თვალები ოთახს მოავლო და უცნაური სტვენა დაიწყო, თითქოს ოთახში გალიის ჩიტი აფრთხიალდაო. ქალი იდგა და არ იცოდა, რა ექნა.

„ხომ არ გაგიჟდა?" — გაიფიქრა. მერე ოთახიდან გამოვიდა და სულმოუთქმელად დაეშვა კიბეებზე.

ალევის ქუჩა როგორ გალია, არ გაუგია, გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ლესელიძეზე გამოვიდა. ტელეფონის ჯიხურებს დაუწყო ძებნა.

„მაინც ადამიანია, ცოდვაა, ასე უპატრონოდ ხომ არ მოკვდება." ნომერი აკრიფა, სასწრაფო დახმარებას მისამართი ჩააწერინა.

თავისუფლების მოედანზე, ტაქსის გაჩერებასთან უამრავი ხალხი იდგა

„ახლა მე ავტობუსის გული არა მაქვს, ტაქსს გავყვებიო", გაიფიქრა.

„ნეტა რა მოუვიდა, რა ჭირი ეტაკა, როგორ აბრიალებდა თვალებს. ცოდვებმა უწიეს!"

„ცოდვებმა? შენ კი ცოდვას არ ჩადიხარ? მომაკვდავი გოგო მიატოვე?" — შეეკამათა ვიღაც გულის გულიდან.

„მივატოვე? მივატოვე კი არა, ჩემგან სიკვდილის ღირსია!" — გაიმართლა თავი...

„გიყვარდეს მტერი შენი... ვითარცა..."

ჩასძახა კეთილმა ხმამ.

„მე, მე ვის ვუყვარვარ, სხვა რომ შევიყვარო?

„მე ვინ შემიბრალა, სხვა რომ შევიბრალო? მე ვინ დამინდო?" —

ყელში სიმწრის ბურთი მოაწვა.

„როდის გავა ეს რიგი?! — გაიფიქრა გაბრაზებით. — ჯობდა ავტობუსს გავყოლოდი, ჩემს აქ დგომაში უკვე მესამემ ჩაიარა". ქალმა რიგი მიატოვა, ჯერ ნელი ნაბიჯით წავიდა ალევის ქუჩისკენ, მერე ნაბიჯს აუჩქარა. ბოლოს თითქმის მირბოდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა. სულმოუთქმელად აათავა კიბე.

ახლა მკვდარი რომ დამხვდეს?.. გაგიხარდება?

ხომ ოცნებობდი ამ დღეზე? გაგიხარდება? ჰა?

კარი კი არ შეუღია, შეამტვრია, „ნეტა ამდენხანს სადაა სასწრაფო?"

გოგონას თავი ბალიშში ჩაერგო და დროდადრო ამოიკვნესებდა ხოლმე.

ქალმა მიმოიხედა; პატარა, სამფეხა სკამი დაინახა. ამაზე ვერ დავჯდებიო, — გაიფიქრა. იძულებული გახდა გოგონას ფერხთით, ლოგინზე ჩამომჯდარიყო...

„ღმერთო, რა ფერი ადევს, მართლა არ მოკვდეს! ნეტა რამ შეაყვარა ჩემს ქმარს? ეტყობა, მართლა ჯადო აქვს გაკეთებული". გაახსენდა...

***

მარნეულის რაიონი, პაწია, საგულდაგულოდ მოვლილი სოფელი.

ქალი ტაქსიდან გადმოვიდა. ცოტა ხანს მომიცადეო, სთხოვა მძღოლს.

მოლა სად ცხოვრობსო, იკითხა.

— მოლა? აი, იმ ორსართულიან სახლში! — დაანახვეს.

— ღმერთო, მაპატიე, არეული მაქვს რწმენა და ტვინი!

ხელი გულზე მოისვა, თითებით შეეხო პაწია ჯვარს.

მოლა სახელად მუსა. პირი სავსე ოქროს კბილებით. შავი. მარჯვენა მხარზე უსიცოცხლოდ ჩამოკიდებული, მოკლე თითები. თითზე გიშრისთვლიანი ბეჭედი.

— აბა, ქალბატონო, პირდაპირ მითხარი, რა გაწუხებს? — ექიმივით იკითხა მოლამ.

ქალს ეგონა, მოლა მკითხაობას დაუწყებდა და ეტყოდა: — ოხ, შე საბრალო, რა ტანჯვა გადაგიტანია. შენს ქმარს საყვარელი ჰყავს, ასეთი და ასეთი. შენ სიმარტოვე გკლავს. რამდენი ცრემლი გიღვრია, ზღვას აავსებდა შენი ცრემლებით.

ის კი დამდგარა. ხელში ქარვის კრიალოსანს აწვალებს და მშვიდად ეკითხება, რა გაწუხებსო... აბა, თუ მართლა მისანია, მიხვდეს, რაც აწუხებს...

ქმარი მღალატობს, — გამოსცრა ქალმა.

— სურათი არ წამოგიღია? — იკითხა მოლამ, — ჰო, მე შეგილოცავ და ქმარიც მალე დაგიბრუნდება, — დააიმედა.

სურათი მაგიდაზე დადო...

— ჯადო გაქვს გაკეთებული, — თქვა მოლამ, შენი სურათი ვიღაცას მკვდრის მიწაში დაუმარხავს...

ქალს ტანში გააჟრჟოლა.

— ამიტომაც, შენი ქმარი როცა გეხვევა, ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს მკვდართან იწვეს. აი, ხო ლამაზი ქალი, ხარ, არა? შენ ისეთი ჯადო გაგიკეთეს, ვისაც არ უნდა გაუღიმო, შენთან არავინ მოვა. ჯადო იმ ქალის გაკეთებულია! — მრავალმნიშვნელოვნად ასწია მარცხენა ხელი მოლამ — აბა, აქ დაჯექი!

კაცის სურათს დააშტერდა. მერე ბუტბუტი დაიწყო. ხანდახან მარცხენა ხელით თავის უსი-

ცოცხლო მარჯვენას აილებდა და სურათზე გადაატარ-გადმოატარებდა.

— ახლა იმ მაგიდაზე ადი და დაწექი — თქვა მოლამ...

ქალი გაფითრდა.

— რამ შეგაშინა, ქალბატონო, მე განა ცუდს რასმე გაკადრებ? უნდა შეგილოცო!

„ახია, ჩემზე, ყველაფერი ახია, აქ რამ მომიყვანა“, — გაიფიქრა ქალმა. მაინც მოჯადოებულივით დაემორჩილა მოლას ნებას. მოლამ გაშავებული ხელი ახლა მკერდზე დაასვენა ქალს. ქალს ზიზღისგან შეაჟრჟოლა.

— უკვე წელიწადია, შენი ქმარი შენთან აღარ წვება, —თქვა მოლამ და ქალს თვალი თვალში გაუყარა.

ქალი აილეწა.

მოლამ შელოცვა დაიწყო... გაურკვეველ ენაზე ბუტბუტებდა და დროდადრო კერტებზე უთათუნებდა მარცხენა ხელს. ბოლოს ხელი მუცელთან რომ ჩამოაცურა, მაშინ კი იფეთქა ქალმა...

— შელოცვას თუ არ დამამთავრებინებ, მთელი ცხოვრება მარტო იქნები, მარტო! — ოქროს კბილებიააელვარა მოლამ.

სიმარტოვე.

ეს სიტყვები ყველაზე მეტად სძულდა ქალს. ამ სიტყვის უფრო ეშინოდა, ვიდრე სიბრმავის, ცოფის ანდა სიკვდილისა.

და დადუმდა. შელოცვის ბოლომდე არ განძრეულა. ზიზღიც მოთოკა და შიშიც. მოლამ გათქვირულ მკერდზე კიდევ· ერთი-ორჯერ აუსვ-დაუსვა ხელი და დავამთავრე შელოცვაო, თქვა. მერე პატარა მაკრატლით თმა შეაჭრა ქალს, დაწვა და უთხრა, თავისუფალი ხარ, ქმარი ორმოც დღეში შენი მონა-მორჩილი გახდებაო. ქალმა ფოტო მაგიდაზე დადო და აჩქარებული გამოვიდა სალოცავი ოთახიდან.

ტახტზე ნებივრად წამოგორებული მოლას შვილები ვიდეოს უცქერდნენ. გარეთ მოლას ორი კაცი უცდიდა, ერთი ორმოცდაათის იქნებოდა, მეორე — ოცის, ეტყობა, მამა-შვილი იყო, საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს.

ქალი ტაქსში ჩაჯდა და სიცილი აუტყდა.

„— მეტიც რომ მოენდომებინა მოლას, ახი იქნებოდა ჩემზე.

რამ წამომიყვანა ამ სოფელში. ჩემი ბედი, რომ მუსამ ინამუსა.“

მძღოლი სარკეში გაოცებული უცქეროდა აკისკისებულ ქალს.

***

ქალს ახლაც გაეღიმა. სარკეს თვალი მოაცილა და კვლავ გოგონას დახედა — „რა ვქნა, რით ვუწამლო? ძმრიანი ტილო მაინც დავადო შუბლზე, თორემ იწვის“. სარკმელთან რამდენიმე ბოთლი შეამჩნია — ყველა ცარიელი. იქვე პატარა კარადა იდგა. გამოაღო. ძმარი კი არა, პურის ნატეხიც არსად ეგდო.

„ნეტავ რამდენი დღეა ასე საცოდავად? უკვე საათზე მეტია, რაც დავრეკე, სასწრაფო კი არ ჩანს. ალბათ, ისევ უბენზინობაა. ადამიანს სულიც რომ გასძვრეს, სადაა პატრონი. ჩალითაა დახურულიო, ასე იტყოდნენ უსამართლო და უპატრონო ქვეყანაზე. ჩვენ კი ჩალაც აღარა გვაქვს, ქვეყანა რომ გადავხუროთ. დაიწყე ახლა ფილოსოფოსობა, რა ეშველება ამ უბედურს?“

***

ექიმს გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ეტყობა, გაუჭირდა სხვენში ამოსვლა. ამოსვლა კი არა, ამობობღება.

ექიმი — დაბალი და მსუქანი, მკვდარი, ყვითელი თვალებით.

ექთანი — სასაცილოდ აყლარწული, დიდცხვირა.

ორივემ ისეთი უკმაყოფილო სახით შემოიხედა ოთახში, თითქოს ქალს მათი ათი წლის ვალი ემართა.

— რა მოუვიდა? — იკითხა ექიმმა.

ქალმა მხრები შეიშმუშნა.

— იცით, მე შემთხვევით მოვედი და ასეთ მდგომარეობაში დამხვდა.

— მეზობელი ხართ? — ახლა უკვე მოწყალედ იკითხა ექიმმა.

— არა, დიახ! — დაბნეულად პასუხობდა ქალი.

ექიმმა გასინჯა.

— საავადმყოფოში წაყვანა არაა საჭირო. საშიში არაფერია, ფილტვების ანთება აქვს. ეტყობა, უყურადღებო გოგოა. ისე, ჯობია, შინ უმკურნალოთ. იცით, ახლა ჩვენთან როგორ ცივა. არც წამლები გვაქვს. შეატყობინეთ ახლობლებს.

ექიმი სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა. თითქოს კი არ საუბრობს, სულს ატანს სიტყვებსო.

— ალბათ, გულით არის დაავადებული, — გაიფიქრა ქალმა.

ექიმმა მიმოიხედა. უკაცრავად, ბამბა ხომ არ გექნებათ? — ჰკითხა ქალს.

ქალმა კვლავ მხრები აიწურა. მერე საკუთარ თავზე გაბრაზდა. — რა მოსწავლე გოგონასავით სულ მხრებს ვიჩეჩავ, რას იფიქრებს ეს ქალიო.

მაგიდაზე დარჩა რეცეპტები და წამლის გამტყდარი შუშა. ქალმა ხელჩანთა გახსნა. ექიმს თეთრი ხალათის ჯიბეში ფული ჩაუკუჭა.

კარი გაიხურეს. მადლობაც არავის უთქვამს.

იდგა გაოგნებული და აღარ იცოდა, ახლა როგორ მოქცეულიყო.

„ჩემი ქმარი მაინც ეგდოს აქ. რა მივლინება აუტყდა?! ვინ ყავს ნეტავ ამ უბედურს ახლობელი? რა ვქნა? ესლა მაკლდა საფიქრალად. ბედი დამცინის, თუ რა არის ეს?“

***

„ჩემი გულივით ჩამწვარა და ჩაშავებულა რუსთაველი. თბილისის გულის გული. ჩემი გულივით დამძიმებულან პურის მაღაზიასთან რიგები. ჩემი გულივით გადაკეტილა მეტრო, ჩემი გულივით ოხრავს დაეჭვებული, გალატაკებული, ნამუსახდილი პროსპექტი.

მესამე დღეა, რაც ალევის ქუჩაზე მივდივარ. მაინც რა მეწევა, რა ძალა იმ სახლისკენ? სიბრალული? მოვალეობა? იქნებ სიმარტოვე და სიცარიელე?

ვინაა ის ქალი ჩემი — მეტოქე? შვილობილი? შვილი?..

ხომ წერია სახარებაში: „ხემან, რომელმაც ნაყოფი არა გამოიღოს, მოიკვეთოს და ცეცხლსა მიეცესო". იქნებ ჩემი უნაყოფობის გამო მიმცა ბედისწერამ ცეცხლს? იქნებ ჩემი უნაყოფობის გამო მომიკვეთა  ქმარმა ჩემმა და გამიმეტა. როგორ გვიყვარდა ერთმანეთი ოცი წლის წინათ. იქნებ უნდა შევეგუო იმ აზრს, რომ მარადიული არაფერია ამქვეყნად, რამდენი ქალია ჩემს გარშემო, ერთხელაც რომ არ ღირსებია სიყვარული, ოჯახური სითბო, ალერსი.  იქნებ მეც უნდა გამოვიზოგო წარსულის ცეცხლიდან სითბო.

ის, ალბათ, ახლა, ლოგინზე წამომჯდარი პატარა სარკმლიდან იცქირება. იცქირება, თორემ საოცარი ხედი არ გადაეშალოს თვალწინ... სახურავები, სახლის სახურავები და შეცივნული კატები. აი, იმ სარკმლიდან დანახული სამყაროს მთელი ბრწყინვალება.

როგორ ჰგავს ეს გოგონა ბელურას. პატარა, მხრებჩამოყრილ, მობუზულ, უმწეო ბელურას. ის ნაცრისფერი პერანგიც ფრთებივით ჩამოლვრია მხრებზე. თვალები კი ლამაზი აქვს, დიდი, ხავერდოვანი, სევდიანი, ლოცვასავით თვალები აქვს. ჰო, მართლაც ზედგამოჭრილია ეს სიტყვები — ლოცვასავით თვალები... იდუმალი და წმინდა! წმინდა?! მერე და, განა წმინდაა ეს თითისტოლა ქალი?

— როგორ შეგაწუხეთ, ნუნუ დეიდა! — მეტყვის. რა კეთილი და სათნო ხართ. არც კი ვიცი, როგორ გადაგიხადოთ სიკეთე. მე რომ გამოვმჯობინდები, მერე ყოველთვის თქვენთან ვიქნები. ნამდვილად ღმერთმა გამომიგზავნა თქვენნაირი მეზობელი.

საიდან მოიგონა, რომ მეც ახალი მდგმური ვარ. ან როგორ ცხოვრობენ ადამიანები ასეთ უბადრუკ სახლებში.

გუშინ სიცხემ დაუწია. ვიფიქრე, ახლა არა უშავს, უკეთაა, ჩემი ვალი შევასრულე და დროა, დედამისს შევატყობინო შვილის ავადმყოფობა, ახლა იმან მიხედოს-მეთქი.

— მე დედა არა მყავს, არც მამა.  არა, იქნებ ცოცხლებიც არიან, მაგრამ მე ისინი არასოდეს მინახავს. სამი წლისაც არ ვიქნებოდი, სურამის ბავშვთა სახლში რომ მიმაბარეს.

— სიცხიანი, როცა ბოდავდი, დედას ახსენებდი, — ვთქვი და ვინანე.

— მე ყოველთვის ვუხმობდი დედას, როცა მიჭირდა, როცა აღმზრდელი კუთხეში დამაყენებდა, როცა ჩემზე უფროსები ხილს ან კანფეტს წამართმევდნენ; მართალია, დედა არასოდეს მინახავს, ან, უფრო სწორად, არ მახსოვს, მინახავს თუ არა, მაგრამ მე მას ყოველთვის ვესაუბრებოდი ფიქრით. მიჭირდა თუ მილხინდა, ყველაფერს ვუამბობდი. მერე თვალებში შევცქეროდი, ახლა რას მეტყვის-მეთქი. მჯეროდა, როცა დედა დაბრუნდებოდა, ვეღარავინ გამიბედავდა დაყვირებას, დაჩაგვრას, დასჯას. როცა ძალიან მიჭირდა, ისე ძალიან, რომ მოყოლის თავიც აღარ მქონდა, აი, მაშინ კი თვითმკვლელობაზე ვფიქრობდი. წარმოვიდგენდი, როგორ გაიგებდა შორეული დედა ჩემს სიკვდილს, როგორ იკივლებდა და დაიხოკავდა სახეს, როგორ შეევედრებოდა ჩემს გაციებულ სხეულს პატიებას და შურისძიების სიამოვნებისაგან ტანზე მაყრიდა. მერე მე და დედა ერთად ვტიროდით ფიქრში. ის ჩემს სიკვდილს დასტიროდა, მე მისი ცრემლები მახრჩობდა, მისი ცრემლებით ვტიროდი, ვტიროდი დაღლამდე, დაოსებამდე. ის კი არ ჩანდა, მანამ, სანამ მისი ნახვის სურვილიც კი არ დამეკარგა.

მერე დრო რომ გავიდა, წარმოვიდგენდი ხოლმე, როგორ მოვიდოდა სირცხვილისაგან დაპატარავებული ჩემი დედა პატიების სათხოვნელად და მე ხმას არ ვცემდი, ვიდექი ასე გაჯიქებული და ხმას არ ვცემდი. და მძულდა, მძულდა და მიყვარდა ეს ქალი, ჩემს ფიქრში ყველაზე ლამაზი და ყველაზე შორეული, ყველაზე კეთილი და ყველაზე დაუნდობელი, ყველაზე უმწეო და ყველაზე ძლიერი ქალი. და მე თვითონ ვიგონებდი ათას მიზეზს, მიზეზს, რის გამოც შეეძლო შვილი მიეტოვებინა. მერე ვიფიქრე, რომ მხოლოდ სიკვდილია ასეთი ნამდვილი და ძლიერი მიზეზი შვილის უარყოფისა, და დავისვენე. ახლა დედაჩემს, როგორც მკვდარს, ისე ვიგონებ და უფრო ადვილია ჩემი ყოფა, ვიდრე მაშინ, როცა ველოდი.

წვნიანს რომ მიირთმევდა, კოვზით შემწვარი ხახვების ამორჩევა დაიწყო: რომ შეამჩნია, ვუყურებდი, შერცხვა.

— ბავშვობიდანვე არ მიყვარს კერძში ხახვი. საერთოდ, ბევრი ცუდი ჩვევა მაქვს. ალბათ, ამიტომაც ხშირად მსჯიდნენ. ჯიუტი ვიყავი, საშინლად ჯიუტი. ბოდიში მოიხადეო რომ მეტყოდნენ, ბოდუშკუნა-მეთქი, თითისტოლა ვიყავ და ასე ვპასუხობდი, ბოდუშკუნა, ბოდუშკუნაო, ჭკუიდან გადადიოდნენ ჩემი აღმზრდელები.

ერთხელ, მაშინ მეშვიდე  კლასში ვიქნებოდი, მე და ჩემმა კლასელმა გოგოებმა ჩვენი სახლის დარაჯს „პრიმა" მოვპარეთ და ტყეში ჩუმად გავაბოლეთ. იცით, ალბათ, სურამში რა ლამაზი ნაძვნარია. ერთი ენატანია გოგო იყო, ნინელი, ჩვენზე უმცროსი, იმას დავუნახივართ, იმწამსვე დაგვაბეზღა აღმზრდელთან. შენს მტერს, რაც ჩვენ დღე დაგვადგა, სულ კიკინებით გვათრია „სოჩიკამ". „სოჩიკას" ჩვენს აღმზრდელს

ვეძახდით მეტსახელად. არ ვიცი, ვინ შეარქვა ეს სახელი პირველად, ისე კი, მრიცხველივით სულ ჩართული იყო, ყველაფერს გასაოცარი სიზუსტით იმახსოვრებდა. ჩვენ უკვე მეშვიდეკლასელები ვიყავით, მოქალიშვილებულნი და, ცოტა არ იყოს, ვიპრანჭებოდით კიდეც. უმცროსკლასელებს ზაფხულობით თავს პარსავდნენ, ეშინოდათ, ტილები არ გასჩენოდათ. ჩვენ კი, აბა, ვინ შემოგვკადრებდა თმაზე ხელის შეხებას, მაგრამ სოჩიკამ დასასჯელად სამივე გოგოს თმა გადაგვპარსა. ისე გავმწარდი, თავის მოკვლა მინდოდა; სასაცილოა, არა?! ისე ხშირად მოვმკვდარვარ ფიქრში, ალბათ, მართლაც რომ მოვიდეს სიკვდილი, ველარაფერს დამაკლებს. ჰოდა, მეც, შურისძიების მიზნით, მეორე დღეს სოჩიკას გოგოს თეთრ კაბაზე ერთი ბოთლი მელანი გადავასხი. აბა ამას ვინ მაპატიებდა. იმ ღამით დირექტორმა სალორეში ჩამამწყვდია.

ღორების საშინლად მეშინია. როგორი იყო ის ღამე? ალბათ, უფრო მძიმე, ვიდრე სიცხიანის ბოდვით სავსე სიზმრები.

ჯერ იხტიბარს არ ვიტეხდი, ვიჯექი სალორის კუთხეში ჩუმად და თითებს ვიჭამდი. მერე, რომ შებინდდა, შიშმა უფრო მეტად ამიტანა. მე კარგად ვუსტვენ. როცა ბავშვთა სახლს საპატიო სტუმარი ეწვეოდა, ზოგი მღეროდა, ზოგი ლექსებს ამბობდა, გამოგვიყვანდნენ ასე მარიონეტებივით და სტუმრებს თავს ვაწონებდით. მე ვუსტვენდი, ხან ბულბულს ვბაძავდი, ხან შაშვს, დირექტორი ყოველთვის მაქებდა. ჰოდა, იმ დაწყევლილ ღამეს შიშით და იმის იმედით, იქნებ დირექტორს გული მოვულბო-მეთქი, მთელი ღამე ათას ხმაზე ვიჭიკჭიკე.

ახლაც გული მერევა სიბრაზით, რომ მახსენდება, სალორეში დამწყვდეული გალიის ჩიტივით როგორ ვგალობდი და ვაწყდებოდი კედლებს. მერე გრძნობაც დავკარგე, — თქვა იამ და ბალიში შეისწორა.

გამახსენდა, პირველად ამ ოთახში რომ შემოვედი, როგორ იხვეწებოდა სიცხით გათანგული, სალორეში არ შემაგდოო, და გული უფრო დამიმძიმდა.

იამ გაიღიმა, ეტყობა შემამჩნია, როგორ გავფითრდი და, ალბათ, ჩემს დასამშვიდებლად მკითხა — გაინტერესებთ, როგორ ვგალობ?

***

ოთახში დეიდა ქნარიკა შემოვიდა. კი არ შემოვიდა, შემოეტენა და ისედაც პაწია ოთახში ჰაერის ადგილიც კი აღარ დარჩა.

— ვა, კუკლაჯან, რა ფერი გადევს!

— ფილტვების ანთება მაქვს, — თქვა იამ. ახლა არა მიშავს. თქვენი ახალი მდგმური რომ არა, ალბათ სულს გავაფრთხობდი.

ია ლოგინზე წამოჯდა.

— ვინაო? — ვერ გაიგო ქნარიკამ.

— დეიდა ნუნუ, ახალი მეზობელი.

— შენ რა, ისევ სიცხე გაქვს? გაიცინა ქნარიკამ, — რომელი ნუნუ? მე იმ ოთახში რემონტი მაქვს. მდგმურებს აგვისტოდან მივიღებ. შენთან ვინ იყო, ჰა, ვა, ქურდი ხომ არ იყო, გოგო?! ხო იცი, რა გაფუჭებული დროა, აბა კარგად ნახე, რამე ხომ არ წაიღეს.

— ქურდს ქუდი რომ შემოუგდო ამ ოთახში, მაინც არ შემოვა. ჩემგან რა უნდა წაიღოს? რას ამბობ, ქნარიკა დეიდა.

— ვა, მა ვინ უნდა ყოფილიყო, ჰა?! — გაოცებას ვერ ფარავდა ქნარიკა.

— შეიძლება, სიცხიანს მომეჩვენა, ან იქნებ, დამესიზმრა კიდეც, — იცრუა იამ.

ქნარიკა ხანდამოვი, სახლის პატრონი, მუდამ მოფუსფუსე და საქმიანი. იას მის დანახვაზე სულ ადუღებული რძე ახსენდებოდა, აქაფებული, ქვაბში რომ ვერ ეტევა, მსუყე და ადიდებული.

— ახლა შენ დიდხანს აპირებ წოლას? — იკითხა ქნარიკამ წასვლისას, — ჩემი ქირა როდის უნდა გადაიხადო, ისედაც კაპიკებს გართმევ. ხომ იცი, ათას მანეთად ახლა ბინას აღარავინ აქირავებს.

— ცოტა კიდევ მაცადეთ, ქნარიკა დეიდა, სამი თვეა ხელფასი არ მოუციათ.

— ხელფასი, ხელფასი... რა გინდა, გოგო, იმ სულელურ დაწესებულებაში მდივნად. შენი ხელი მქონდეს, იმ კაპიკებზე ვიმუშავებდი? ვა, რა ზარმაცი ვინმე ხარ, შენნაირი ქარგვა და კერვა ვიცოდე, აი, ფული მექნებოდა! — ხელი ყელზე მოისვა ქნარიკამ, მერე კარებში გაგორდა და ოთახიც გაიზარდა.

ქარგვა, ქსოვა და კერვა ჭირისდღესავით სძულდა იას. პატარაობიდანვე უქებდნენ ნახელავს. იქ, ბავშვთა სახლში, ყველა, დიდი და პატარა, გამუდმებით ერთსა და იმავეს სთხოვდა — ია, პერანგზე დათუნიები ამომიქარგე, რაა... ია, ძაფი ვიშოვე, ერთი სვიტერი მომიქსოვე... ია, კაბა დამერღვა... ია, ია... და ია ოცნებობდა იმ დღეზე, როცა აღარავის, აღარავის მოუქსოვდა და მოუქარგავდა. ისე კი, როცა მარტო რჩებოდა, ცარიელ ტილოზე დედის სახეს ქარგავდა. ჯერ დედის თვალებს დახატავდა. დედას ყოველთვის დიდი თვალები ჰქონდა, იას მსგავსი. მერე სახეს და ტუჩებს მოუქარგავდა. ტილოს კუთხეში მზე ანათებდა, დედის ფეხებთან იები იწონებდნენ თავს.

— ეს ქალი ვინ არის? — ეკითხებოდნენ.

— ზღაპრის ფერია, — ცრუობდა ია, თან უკვირდა, — როგორ ვერ ცნობენ, ეს ხომ დედაჩემია.

იას სახელი ქართული ერქვა, გვარად კი ნიკოლაევა ეწერა. როცა სკოლას ამთავრებდნენ, აღმზრდელმა აუხსნა, ეს შენი ნამდვილი გვარი არაა, უბრალოდ, როცა შენ მოგიყვანეს, ბავშვთა სახლში ოსიც გვყავდა, იეზიდიც, სომეხიც, რუსი კი — არა. ჰოდა, ჯგუფი ინტერნაციონალური რომ ყოფილიყო, მამაშენის სახელის ნიკოლოზის მიხედვით რუსული გვარი მოგეცით.

და ისე გავიდა ია ცხოვრების გზაზე, საკუთარი გვარი რაა, გვარიც კი არ ჰქონდა.

ნუნუ დეიდა! ვინ იყო ის ქალი! ია შეშფოთდა და ერთმა აზრმა ელვასავით დაუარა თავით ტერფამდე, დაუარა და შეაყრჟოლა.

იქნებ... არა... წარმოუდგენელია! ხო, აბა ვინ იყო? მართლა ხომ არ დამესიზმრებოდა. დედა? დედაჩემი? ხო, დედაჩემი იყო ნამდვილად. როგორ ვერ მივხვდი აქამდე. ვაი, დედა!!!

სიცილი უნდოდა — ვერ იცინოდა. ტირილი უნდოდა — ობოლი ცრემლიც არ დაცდენია.

ვაი, დედა!!!

ადგომა უნდოდა, — ძალა წართმეოდა.

ბალიშში თავი ჩარგო — ვერ მოისვენა.

ვაი, დედა!

დედა... დედა... დედა!

თუ დედაჩემი იყო, რატომ არ მითხრა. ალბათ შერცხვა. მე ხომ ვუთხარი, უკვე აღარ მინდა მისი დანახვა-მეთქი. როდის მოვა კიდევ? რომ აღარ მოვიდეს?

წინა დღის საუბარი გაახსენდა. აილენა. რა მატლიკინებდა, ეს რაები ვუამბე. იქნებ სცხვენია კიდეც, ჩემნაირი შვილი რომ ჰყავს. იქნებ სულ აღარ სურს ჩემი დანახვა.

პირალმა დაწვა, გუშინდელი საუბარი სიტყვა-სიტყვით გაიხსენა, აკენკა, აკინძა... აილენა...

თავისი ნაქარგები დაათვალიერებინა სტუმარს, არა, ნუნუ დეიდას, არა, დედას, იმას, ვინც არის... ერთი სიტყვით, კეთილ ქალბატონს.

— ეს ჩემი მეგობარია, ნინკა, ერთად ვსწავლობდით პროფსასწავლებელში...

— ეს მე და ვახო, ერთად ვიზრდებოდით ბავშვთა სახლში, — უხსნიდა ტილოზე ამოქარგულ პორტრეტებზე.

ქალი ერთ პორტრეტს დააშტერდა.

— ეს, ეს... ეს კაცი მიყვარს, — თქვა და საოცრად მოუნდა გული გადაეშალა, ან იქნებ, უბრალოდ, მოენატრა ბესო და მასზე საუბარი ახლა ყველაზე ძვირფასი იყო იასთვის.

— მესამე წელიწადია, რაც მე და ბესოს ერთმანეთი გვიყვარს. — იამ ბალიში შეისწორა, ოდნავ წამოიწია ტახტზე, მონათხრობი რომ უფრო ხატოვანი გამოსვლოდა.

იმ ავბედით ცხრა აპრილს გავიცანი. იმ ღამეს მე აღარ ვარსებობდი. თვალებად და სმენად ვიყავ ქცეული. ახლაც თვალწინ მიდგას უნეტარესის გაფითრებული სახე, ლოცვად დაჩოქილი ჩემი ხალხი, რწმენა და დაბნეულობა. ხმაური... ხმაური... ხმაური. ახლაც ყურში მიწივის ის ხმები.

ყველა ნაცნობი დავკარგე. მთავრობის სახლის წინ ბუჩქთან კურდღელივით ჩავიმალე და სახეზე ხელები ავიფარე. მესმოდა კვნესა, შეძახილი, ტანკების მუხლუხების ღრჭიალი, უცნაური ბაგა-ბუგი, თითქოს დოლზე უკრავდნენ, ურაკუნებდნენ, უბრაგუნებდნენ. ვიღაცამ ხელი მომხვია, თითქმის ძალით გამომათრია ბუჩქიდან. კი არ მივყავდი, მიმაფრენდა. თითქოს სიზმარში გავრბოდი. მე ვიყავ და არც ვიყავ. სამყაროც უსიამო სიზმარივით ჩანაცრისფერებულ-ჩაბნელებულიყო.

მერე იმ უცნობს გულში ჩავეკარი და ვტიროდი. არ მახსოვს მისი სახე, მისი თვალები, მარტო ხელები — გრძელი... ლამაზი თითები... თმაზე მეფერებოდა, მიალერსებდა, მაწყნარებდა, მინანავებდა და მე თვითონ არ ვიცი, როგორ ვაკოცე ხელზე. შეკრთა.

იმ დღეს ამ სოროში ამოვიყვანე. ისედაც ხომ ერთი ციდა ვარ და შიშით სულ დავპატარავდი. ვევედრებოდი, არ მივეტოვებინე. მერე გამახსენდა, კონიაკი რომ მქონდა კარადაში.

ვსვამდი და ნელ-ნელა ღლვებოდა სამყარო.

— ასეთ შავ ქალს ია როგორ დაგარქვეს, — იცინოდა, — ისე კი, მართლა იასავით იყავი იმ ბუჩქს ამოფარებული.

მე უკვე თავდავიწყებით მიყვარდა ეს კაცი, ჩემი მხსნელი, გრძელთითება, მაღალი კაცი.

— ნუნუ დეიდა, ვიცი, თავქარიანად ჩამთვლით, მაგრამ სამი წელიწადია, რაც ბესოს ვიცნობ და ერთხელაც კი არ მინანია, რომ პირველ ღამესვე, გაცნობისთანავე მისი გავხდი. მასთან როცა ვარ, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მზის ქვეშ ვნებივრობ, სული და სხეული სხივით მევსება.

— მას? — იკითხა ქალმა.

— მასაც; ჰო, მასაც სიგიჟემდე ვუყვარვარ, ჩვენ ორივე ერთ დღეს ვართ დაბადებული, 22 ივნისს, კირჩხიბის ნიშნით, ორივე მაიმუნები ვართ წლის მიხედვით, ის ხომ 24 წლის ჩემზე უფროსია, ერთი სიტყვით, ერთმანეთისთვის ვართ დაბადებულნი.

— თუ ასე შესაფერისები ხართ, რატომ არ იქორწინებთ? — ქალს რატომღაც სახე დაუგრძელდა.

— ეხ, ნუნუ დეიდა, ბედნიერება სრულყოფილად ვის მიუღია? — მას ცოლი ჰყავს.

— რა იცი, რომ სიგიჟემდე უყვარხარ, იქნებ ცოლი უფრო უყვარს?

— რას ამბობთ, სამი წელიწადია, ყოველთვის დაბადების დღეს ჩემთან იხდის. აბა, ის ქალი რომ მართლა უყვარდეს, განა ერთხელ მაინც მასთან არ გადაიხდიდა დაბადების დღეს? — თქვა და ტილოზე გამოხატული კაცის პორტრეტი გულზე მიიკრა.

— ახლა სად არის შენი სათაყვანო რაინდი? — რატომღაც სიბრაზე შეერია ქალს ხმაში.

— იბრძვის! — ამოიოხრა გოგომ, — ხომ იცით, ახლა როგორ გვიჭირს ქართველებს. ბესო ნამდვილი გმირია. აი, ისეთი, წიგნებში რომ წამიკითხავს. ეხ, ნეტა მე და ბესოს შვილი გვეყოლებოდეს, მაშინ კი ნამდვილად მიატოვებდა თავის უგულო ცოლს.

— რა იცი, რომ ის ქალი უგულოა? გინახავს?!

— არა, მაგრამ ბესო ამბობს, მთელი დღე იატაკის ხეხვისა და რეცხვის მეტი არაფერი ახსოვსო, ოთახში სიარულისაც კი მეშინია, უკან ცოცხით მომდევს და ჩემს ნაკვალევს შლისო.

ეს რომ თქვა, ხვარამზეს ლეგენდა გამახსენდა. ჰოდა, ერთხელაც, ტალახიანი ფეხსაცმლით შემოვიდა ოთახში. ნაფეხურები ამ საცოდავ იატაკს ისე ემჩნეოდა, როგორც დინოზავრის ნაკვალევი. იმ ღამეს არაფერი; დილით, სანამ გაიღვიძებდა, გავიპარე, ყვავილები ვიყიდე და მისი ნაფეხურები ყვავილებით მოვაგვირისტე. გაიღვიძა, ჯერ დაბნეული უყურებდა იატაკზე მიმობნეულ გვირილებს, მერე გაიცინა, — ეხ, კაცს რომ ბედი არაფერში ექნება; ერთი უაზრო სისუფთავით მახრჩობს, მეორე კი ისეთი თხუპნიაა, ტალახსაც კი ყვავილებით ამკობსო.

არა, მაინც სად არის ამდენხანს ნუნუ? — ია წამოდგა, კართან მივიდა, თავბრუ დაეხვა. ისევ ლოგინზე ჩამოჯდა.

აღარ მოვა. ალბათ ნესიერ, კარგ შვილზე ოცნებობდა, მე კი... მე კი სხვისი ქმრის ერთგული ლეკვი ვარ და სხვა არაფერი.

არ მოვა და ნურც მოვა! აბა, რა ეგონა... ოცი წლის ისე გავხდი, ერთხელაც არ ვუნახივარ, ერთხელაც არ მოვნატრებივარ და ფრთახატულა ანგელოზი დავხვდებოდი? ან ასეთიც როგორ ვარ, მიკვირს, როგორ არ მძულს მთელი სამყარო!

ნუ მოვა, ნუ მოვა, ნუ მოვა. ახლა რაღაში მჭირდება დედა, ოთახშიც არ შემოვუშვებ.

კარი გადარაზა. ვერ მოისვენა, ისევ გაალო. დაწვა. კარს ზურგი აქცია. ფეხის ხმა გაიგონა. საბანი თავზე წამოიხურა.

***

— როგორ ხარ, ია! — მოესმა ქალის თბილი, ალერსიანი ხმა, —ია, ია, ცუდად ხომ არ ხარ? რა მოგივიდა?

ქალმა ვაშლები ამოალაგა მაგიდაზე.

რაღაც ძალამ კრიჭა შეუკრა იას. იწვა გამეხებული და ცივი თვალებით უცქეროდა ქალს.

„ჩემი ქმარი ხომ არ დაბრუნდა?" — ეჭვი შეეპარა ქალს, — რა მოუვიდა, ხომ არ გაიგო, ვინ ვარ?

ისე, ახია ჩემზე! რას დავეთრევი აქ, ვნახე რა მეც სამეგობრო. არასოდეს ვიყავი ნორმალური და იმიტომ დამცინის ბედი. — ახლა ქალს მოაწვა ყელში სიბრაზის ბურთი, მოაწვა და სახე აუჭარხლდა, — ახია ჩემზე, ყველაფერი ახია.

— მე ვიცი, ვინცა ხართ!!! თქვა იამ, — დიდი მადლობა გადარჩენისათვის, მაგრამ თქვენ უკვე დიდი ხანია გამწირეთ.

— მე, მე გაგწირე თუ შენ, შე ძუკნავ, შენა! შენ ჩემი ხელით მოსაკლავი ხარ! უკვე კიოდა ქალი.

— აბა, რა გეგონა, — ხმას აუწია გოგონამ, — ოცი წელი მიმატოვე და ახლა მოგინდა ჩემი დედობა? შენ თვითონ ვინ ხარ? შენ რომ პატიოსანი ქალი ყოფილიყავი, ასე უპატრონოდ დამტოვებდი?! შენ ჩემი დედა ვერასოდეს იქნები, ჩემი დედა უკვე მოკვდა!

— რა დედა, რის დედა, მე ბესოს ცოლი ვარ.

— ქალი ლოგინზე მოცელილივით დაეშვა, — ბესოს ცოლი!

გოგომ ერთი წამით ვერ გაიგო, თუ არ გაიგო, რა თქვა ქალმა. მერე თვალი გაუშტერდა და უცებ სიცილი წასკდა. სიცილი აწყდებოდა კედლებს, ჭერზე დაკიდებულ ნათურას, სარკეს, აწყდებოდა და იმსხვრეოდა და მთელი ოთახი სიცილის ნამსხვრევებად ივსებოდა. ეს ნამსხვრევები ახლა ქალსაც ეცემოდა და სერავდა, სერავდა.

— რაო, დედაო?! დედაშენიც შენნაირი უნამუსო იქნებოდა, ალბათ, იმასაც ქმრის წართმევა სურდა ვინმე პატიოსანი ქალისთვის და შენ გაგაჩინა. ბესო, ბესო, ბესო — რაინდი, გმირი! გმირი! გმირი კი არა, ლაჩარია შენი ბესო, საომრად კი არა, კახეთში წავიდა ღვინის ქარხნის შემოწმებაზე. ეგ რომ კაცი იყოს, შენ ასეთ სოროში გაცხოვრებდა? ყოველ დაბადების დღეს ერთად ვიხდითო... ჰა, ჰა, ჰა — ახლა ქალი ხარხარებდა — ბესო ოცდაორ ივნისს კი არა, ოც ოქტომბერს არის დაბადებული და ყოველთვის ოცკაციან სუფრას მაშლევინებს. შენ აქ კვდები, ის კი, ალბათ სუფრის თავში ზის და საქართველოზე ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს აცხობს.

ქალი ქუჩაში მიდიოდა. კი არ მიდიოდა, მირბოდა. ახლა ცრემლებიდან უფრო საცოდავად მოჩანდა გულამომწვარი, თვალებჩაღამებული ქალაქი... ახლა ეს პროსპექტი თვით ნუნუს დამსგავსებოდა — გაბრაზებული, მოძმის ხელით განწირულა და დაცხრილული.

***

ორი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ია ედგა თვალწინ — პირგამეხებული, საკუთარ დედაზე გულდაკოდილი, მოტყუებული.

ვითომ ბედნიერი ხარ ახლა? — უკვე მეათასედ ეკითხებოდა ნუნუ თავს. — ხომ გადაუხადე სამაგიერო, ხომ დაალრჩვე სიმწრის სიცილით, ხომ დატოვე სიძულვილით ავსებული.

ბოლოს მიხვდა, რომ უჭირდა იას გარეშე ყოფნა. მესამე დღეს ფეხებმა თვითონ მიიყვანეს ალევის ქუჩაზე. სხვენი გამოკეტილი დახვდა. კარებში ტილოს პატარა ნაჭერი შეამჩნია, გახსნა. ტილოზე ბარათი იყო ამოქარგული:

„ქალბატონო ნუნუ, მაპატიე, თუ შეგიძლიათ, გულის ტკენა მაპატიეთ. თქვენ ნამდვილი დედასავით კეთილი და სათნო ხართ. მე ბესოს აღარასოდეს ვნახავ. სამუდამოდ მივდივარ ამ ქალაქიდან. მშვიდობით".

ტილოს შუაგულში ნუნუს სახე იყო ამოქარგული, კუთხეში — მზე. დაბლა კი — ყვავილები.



## თამარ მასხარაძე

***

მე ჩემს გრძნობებზე ველარ ვბატონობ,
იქნება ჯადო ამხსნათ, ბატონო.
არ ვარ ეული და უპატრონო,
დედაც მყავს, მამაც და ძმაც, საცოლო,
საქმროც კი მყავდა (ღმერთმა აცხონოს!).
მაგრამ გამოჩნდი შენ, ეშმას დარი
და ამირიე ყველა დავთარი,
ველარცა კდემის ვიფარე ფარი
და ვერც დუმილით გრძნობა დავფარე,
ვერც შევაფარე თავი მონასტერს,
ვერც გავერიე პირქუშ მონაზვნებს,
ვერც ვილოცე და ვერც ვიგალობე,
(ალბათ, ღმერთებიც აღარ მწყალობენ),
ალბათ არ მელის ცოდვილს სამოთხე,
უფალს შენდობას ველარ გამოვთხოვ
და როს ჩამოთოვს ქალარა თმაში,
სულს ცოდვის შიში გათანგავს მაშინ...
მე ჩემს გრძნობებზე ველარ ვბატონობ,
იქნება ჯადო ამხსნათ, ბატონო!

***

„მარტო ვარ, მარტო ვიმღერი,
არავინა მყავს მობანე."
ხალხური

მემღერება და ვიმღერი,
სილაღით ყელ მავიღერე,
თუმც მაჩქარებენ: „წავიდეთ!"
ამ ერთხელ მაინც ვიმღერებ.
მემღერება და ვიმღერი,
მობანე არა მჭირდება,
ახლა ჩემშია ყველა ხმა,
გალობად ამობრწყინდება!
მემღერება და ვიმღერი,
სულს შენ წინ დავლევ გალობით,
მარტო არასდროს ვიქნები,
შენ მყავხარ, ღმერთის წყალობით!
მემღერება და ვიმღერი!

### შავი ავაზა

შავი ავაზა მზის გულზე წვება,
მზე უვარდება თითქოს თვალებში,ც,
მზისებრ მცხუნვარეს ასხივებს ვნებას
და თვრება, დნება სხივთა ალერსში.
შავი ავაზა ბალახზე წვება,
და ისრუტავენ თვალები მწვანეს,
რბილ აბრეშუმზე ყირაზე დგება
და ვერც კი ხვდება, რომ მოდის ღამე.
შავი ავაზა შავ ღამეს ერთვის
და უჩინარი დაეძებს ზვარაკს,
ულრენს მთვარეს და უკუნ ღამეებს
თვალების ორი მწველი მზით ზარავს...

***

ღილილოვ, ჩემო ღილილოვ,
ქარში რომ წყნარად ირწევი,
ხან გამიღიმებ მაცდურად,
ხან მკლავზე გადამიწვები.
ღილი შეგაწყდა საკინძეს,
ქარში ღილინით გაფრინდა,
მკერდგაღეღილო ღილილოვ,
დამეხსენ, ჩემგან რა გინდა?!

### თოვლისპირული

თოვლი მოვა, თოვლი მოვა,
იბურება ზეცის ბროლი,
მიყვარს თოვლისფერად თოვა,
მიყვარს თოვლისფერი თოვლი!
თოვლი მოვა, თოვლი მოვა,
მოვა, აბა რა იქნება?!

ყველაფერი გაბრწყინდება,
სითეთრეში დაინთქმება!
ხელს მომხვევ და გამაქროლებ
შენი თოვლისფერი რაშით,
ენძელებიც გაერევა
თოვლის ფიფქთა ამალაში,
ითოვებს და ითოვლთოვებს,
იწკრიალებს ზეცის ბროლი,
ყველა შავი ზრახვის ჯიბრზე
მოვა „იისფერი" თოვლი,
ყველა შავი ფიქრის ჯიბრზე
მოვა „ვარდისფერი" თოვლი,
ყველა შავი გულის ჯიბრზე
მოვა თოვლისფერი თოვლი!

* * *

„მიყიდე ცოტა სიცოცხლე,
ნეტა რა ელირებაო?!"
ხალხური

მიყიდე ცოტა ღიმილი,
გულს დარდი გადაივიყარო,
გამთენებელო ღამისა,
ჩემო დილავ და ცისკარო!
სიხარულები მიყიდე,
თვალებმა ელვა გაკვესოს,
ცრემლი შეჩერდეს წამწამზე,
გული იმედით ამევსოს;
ბედნიერება მიყიდე,
რა მოხდა, რა ელირება?!
სიყვარულს გიძღვნი სანაცვლოდ,
გულს შუქი ჩაგეფინება!
მიყიდე ცოტა სიცოცხლე,
მოკლეა წუთისოფელი,
ტკივილიან სულს გაჩუქებ,
შენზე ვიქნები მლოცველი!
თუ არ მაჩუქებ ღიმილს და
სიხარულს არ მაზიარებ,
სიცოცხლეც აღარ მიყიდო,
რად მინდა ოხერ-ტიალი!
რაცა მაქვს, ისიც წაიღე,
ღმერთმა დღე მოგცეს მზიანი!

* * *

ქარი, ქარი, ისევ ქარი...
სულზე სევდის მარმაში,
თურმე მართლა გყვარებივარ,
არ ყოფილა თამაში!
ქარი, ქარი, ქროლვით მთვრალი,
მეც რომ დამიდობილა,
მეგონა ვერ ვიმღერებდი —
რა ადვილი ყოფილა!
ცაო, გახსენ ეგ თაღები,
სული შენკენ მოფრინავს!
მე მეგონა, ვერ ვიფრენდი —
რა ადვილი ყოფილა!
ცას გალობით მივაშურე,
ცა მზის სხივით მკობილა,
მე მეგონა, ის მეძახდა —
სიყვარული ყოფილა!
ქარი, ქარი, ისევ ქარი...

* * *

„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი,
არამედ რაღაც სხვა"...
ტერენტი გრანელი

ო, ტკივილმა ოცნებები ვერ დაბინდა —
ჩემს სამყაროს ოცნებების ფერით ვწერდი,
მაგრამ, ღმერთო, რა ვქნა, თუკი ახლა მინდა
ოცნებაზე რაღაც მეტი!

ლაჟვარდები... ლაჟვარდები...
ბროლი წმინდა...
ცას მიანდა ჩემი სულის თეთრი მტრედი,
მაგრამ, ღმერთო, რა ვქნა, თუკი ახლა მინდა
ამ ლურჯ ცაზე უფრო მეტი!

გული თითქოს საგულედან ამოფრინდა,
ამ შეხვედრას გვიმზადებდა ალბათ ღმერთი,
მე კი, ღმერთო, რა ვქნა, თუკი ახლა მინდა
სიყვარულზე რაღაც მეტი!

ამ ბალახმა, ხედავ, ქვაშიც ამოხეთქა
და სიცოცხლეს უცნაური ჟინით ელტვის,
მე კი რა ვქნა, რა ვქნა, თუკი ახლა მინდა
სიცოცხლეზე რაღაც მეტი!

* * *

ნაბოძები ღვთით სიცოცხლე
გამეფანტა, როგორც ფეტვი,
ყველაფერი გადახუნდა,
შენი სიყვარულის მეტი!
აღარ ელავს შორს მთიები,
სულს კი შერჩა ნათლის სვეტი,
ყველაფერი სიზმარია,
შენი სიყვარულის მეტი!
სად ვიარე, სად ვეხეტე,
რას ველოდი, რას ვეძებდი,
რაც ვიპოვე, დამეკარგა,
შენი სიყვარულის მეტი!
ამ ჯოჯოხეთს თუ გადავრჩი,
სულს წაიღებს ცისკენ მტრედი,
რა მომკლავს და რა მაცოხლებს,
შენი სიყვარულის მეტი!





## ძველი სახლის ძველი ფიალა

ნართველარი შემოდგომა წელში გამართული მიფიცხებოდა შუადღის გურგურა მზეს.

სოფელს მონატრებული სოფლელი ნელი ნაბიჯებით მივიწევდი ტყისკენ. ზურგზე აბგა მეკიდა, რომელშიც ლაზათიანად იყო ჩალაგებული პაპასათვის განკუთვნილი სადილი. მწყემსი პაპა ტყის პირას აძოვებდა საქონელს და სადილზე მეტად მონატრებულ შვილიშვილს მელოდა.

სოფლის ბოლოში ერთი ძველი სახლი შემომეყარა. ქოხად ქცეული. ეული მწირივით განსდგომოდა სხვა სახლებს და მეფე ლირივით მარტოდ-მარტო ებრძოდა ჟამცვლას. ებრძოდა როგორც შეეძლო. ეტყობოდა, რომ ადამიანები ალარ სტუმრობდნენ. არ სტუმრობდნენ, რადგან არც გულუხვი მასპინძელი ელოდათ, არც სანახავი და არც მოსაპარი რამე. ალბათ, ხანდახან კლდის მერცხალი დაიდებდა ხოლმე ბუდეს, ისიც მაშინ, როცა ადამიანის ხელით კერა მონგრეული, სხვა შესაფარს ვერსად ნახავდა.

უპატრონობით ატიალებულ ნასახლარს ატევრილი ეკალ-ბარდი უტიფრად შემოხვეოდა აპოკალიფსის წყვდიადივით. მდგომარეობით გათავხედებული ეკლის ურდო მოურიდებლად ლომნიდა, ეკლიანი საცეცებით ხოკავდა ხავსით დახარკულ ნასახლარის კედლებს. ეკლის ხარჭად ქცეული, ნაგრიგალარ-ნათქეშარი, მოკაკული, მოძაბუნებული, სუროთი შეძაძული, სტიქიით გვემული ძრწოლვით ელოდა დაუნდობელი ბუნების მორიგ მათრახს, მოვლენათა ტირანიის დაბრმავებულ სახრეს. ბედისგან განწილებულს მოსვენებას უკარგავდა მასში გაჩაღებული გაუთავებელი ქსოვა აბლაბუდეებისა, ჭიალუების დაუსრულებელი ფუსფუსი, ქვეწარმავლების ამაზრზენი სისინ-სრიალი. მოსვენებადაკარგული, ტანჯვით დადაღული, სევდით დაბანგული ნასახლარი ზეცას მისჩერებოდა და ელოდა...

დიდხანს ვუყურე მიუსაფარ შენობას. ნანახმა წამხდარი ეპოქით ნაცემი გული გამიშოლტა და ცრემლი მომადგა თვალზე. ჩემს თვალზე ცრემლი? გამიკვირდა. ტირილი მომინდა და ვერ გავბედე. იმდენი სატირალი არ მქონდა ნატირი, რომ უპატრონო სახლისთვის ტირილი ალარ გამემეტა. არადა, მეტირებოდა. მძლია ქედმაღლობამ და ნანისნანატრი ცრემლი სწრაფად შევიხოცე ნასოვლებ თვალზე.

გაიმრიალა სახრემ და ერთიანად მოულო ბოლო ნასახლარზე ნაბატონარ ეკლის ურდოს.

ერთი.

ორი.

სამი.

დამტვრეულ-გალეწილი ეკლის რტოები ცახცახით ებღაუჭებოდნენ და ძმებს, რომლებშიც უთავბოლოდ ახლართულიყვნენ.

გახელებული ვიქნევდი მარჯვენას.

წყენას გადაჩვეული ეკლის ბარდები დაუნდობლად მკბენდნენ სხეულზე. ურცხვად ეხვეოდნენ ჩემს სამოსს. ცდილობდნენ დავეჭირე.

ნასახლარის კარში გაბმული სქლად ნაქსოვი აბლაბუდა უტიფრად მომეფათურა ოფლით დაჭირხლულ შუბლზე. უზბაშივით შემომეგება მხოხავი. ისე გახოხდა, ერთიც არ შემოუხედავს ჩემთვის, დაუპატიჟებელი სტუმრისთვის.

ნასახლარის ნაკერალთან ვიდექ.

არა, საკუთარი სურვილით რა შემიყვანა ამ ლხინშემუსრულ შენობაში. რაღაც ძალამ დამატყვევა, დამათრო, შემომიტყუა და გამეპარა.

მოვგონდი.

ვიდექ შემკრთალი, ტანში შიშნარევი ჭმუნვა ჭიხვინებდა. დამფრთხალი კვიცივით ვაცეცებდი ნასოვლებ თვალებს.

ეკლის ბარდები.

სურო.

ბალახი ხმელი, ნედლი.

კოჭებში ბევრი ფულურო.

ჩამოქცეული ჭერი.

ჩამოჟანგული კედლები.

ათასი ჭრელი მწერი.

მინაში შავი ხვრელები.
გველის პერანგი სერი.
უხვად ნაქსოვი ქსელები.
ღამურის რუხი ფეხები.
ხვლიკები.
ობობები.
ტარაკნები.
მატლები.
ჭიები.

უეცრად თვალები გამიბრწყინდა, სწორედ ისე, წყურვილით ნაგვემ მეუდაბნოეს რომ გაუბრწყინდებოდა ოაზისის დალანდვისას.

ბალახებში თიხის ფიალა დავლანდე.

მიველ.

არ იყო ლანდი, ფიალა იყო, ნამდვილი თიხის ფიალა. კერიის უკანასკნელი, ნასახლარის ერთადერთი და ერთგული იმედი.

სწრაფად გადავწიე ბალახი.

ჟამთასვლას კადნიერებით გადაეფარებინა ხავსისა და მტვერ-ჭუჭყის ტანდემი სუდარა პირმომტვრეული ფიალისათვის.

ავიღე ფიალა.

დიდხანს ვუყურე.

დავუწყე წმენდა.

მსიამოვნებდა.

სიამოვნებდა ფიალასაც. უამრავ სუფრაზე ნასუფრალი სასმისი მადლიერების ნიშნად მადლით მავსებდა. მადლით, რომლითაც უხვად ავსებულიყო ქართულ სადღეგრძელოებად შესმული. ვივსებოდი და მთელს სხეულში სასიამოვნოდ მაჟრჟოლებდა.

საგულდაგულოდ გავასუფთავე მადლიანი სასმისი.

ჩავიჩოქე.

ფიალა წინ დავიდგი.

მოვიხსენი ზურგზე მოკიდებული აბგა. მოვხსენი პირი. ამოვიღე პაპის სადილი. ამოვდგი ახლად დამჯდარი რქაწითელით სავსე ჭურჭელი, მოვხადე პირი და კრძალვით შევავსე ძველი სახლის ძველი ფიალა.

აენთო, აელვარდა, ათრთოლდა ძველი სახლის ძველი ფიალა. შლეგი ტაიჭივით როკავდა ჩემს ხორბლისფერ მტევანში. ძალიან მიხაროდა, უხაროდა ფიალასაც. ჩვენ ორივეს ძალიან გვიხაროდა, რა?..

ვადიდე უფალი და მოსეს მრევლივით მწყურვალი დავეწაფე, მადლიან სასმისს. ისე დავეწაფე, პირველი შიმშილისას ახალშობილი დედის ძუძუს რომ დაეწაფება ხოლმე. ო, რა ტკბილი იყო ფიალა. იქნებ დედის ძუძუზე ტკბილიც. იქნებ უფრო ტკბილი, ვიდრე სატრფოს ბაგე. ყმაწვილობისას რომ დაეწაფები გაუხედნავი ბაგით. ჰო, მეტად ტკბილი იყო ძველი ფიალა. უფრო ტკბილს ჯერ არაფერს დავწაფებოდი.

ძლივს მოვირიდე ბაგიდან ანდამატი სასმისი.

შევავსე ხელახლა.

აენთო, აელვარდა, ათრთოლდა ძველი სახლის ძველი ფიალა.

ვუდღეგრძელე ფიალას ფუძე და ხელმეორედ დავეწაფე სასმისს. კიდევ უფრო ტკბილი მეჩვენა ის მადლიანი.

კვლავ შევავსე.

კვლავ აენთო, აელვარდა, ათრთოლდა ძველი სახლის ძველი ფიალა.

დავულოცე ფიალის ჩამომქნელს დაკოჟრილი მარჯვენა. დავეწაფე და კვლავ გამოვცალე.

ისევ შევავსე.

ისევ აენთო, ელვარდა ათრთოლდა ძველი სახლის ძველი ფიალა.

მოვიგონე, განვანათლე რჯულიერი წინაპრები. გატეხილი პირიდან ცრემლი გადმოუგორდა ფიალას. მეც მომწყდა ცრემლი წამწამიდან. ჩვენი ცრემლები ერთად, ერთ ადგილას ჩააშრა სტუმარდამშეულ მიწას.

ვავსებდი ფიალას.

ვეწაფებოდი ფიალას.

ვცლიდი ფიალას.

მადლიანი ღვინო უდროო დროს შემომელია მადლმორეულ კახელს. ვაი, ჩემს კახელობას.

მეშვიდედ და უკანასკნელად შევავსე ძველი სახლის ძველი ფიალა.

აენთო, აელვარდა, ათრთოლდა ქეიფზე მოსული ფიალა.

ვადიდე უფალი, ვახსენე ყველაწმინდა.

ის იყო, უნდა დავწაფებოდი მადლიან სასმისს და...

„ჩემს წასვლას, თქვენს დარჩენას გაუმარჯოს!" ანცი კვიცივით გამომიხტა მატრაკვეცა სიტყვები. რაღას დავიჭერდი გაქცეულ სიტყვებს.

მეტორტმანდა, დამისხლტა ხელიდან ძველი სახლის ძველი ფიალა და მთელი ძალით დაენარცხა უდარდელად გართხმულ კაჟის ქვას.

ერთიანად დაიმსხვრა საბრალო სასმისი.

არა, მთვრალი არ ვყოფილვარ, ეს ფიალამ ქნა თავად.

მერედა, რატომ?

იქნებ იქ ჩემი სამუდამოდ ჩარჩენა უნდოდა?

არა, მაგას როგორ მოინდომებდა.

იქნებ უნდოდა თან წამეყვანა?

არა, არ მიატოვებდა ძველი სახლის ძველი ფიალა მარტოხელა ნასახლარს.

ვაი, შენ, ბეჩავო ჩემო თავო!

სიტყვები მიწყინა ფიალამ. ჩემი წასვლა როგორ იქნებოდა გამარჯვება. ჩემი სტუმრობა სურდა ფიალას, თუნდაც იშვიათად, მაგრამ სტუმრობა. მე, მე კი სამუდამოდ დავემშვიდობე სტუმარმონატრებულ მასპინძელს. თან მიმქონდა ჩემგანვე მოტანილი იმედი. იმედი მომავლისა.

ავკრიფე დამსხვრეული სასმისი, სინანულით გავახვიე ტილოში და საგულდაგულოდ შევინახე ნასახლარის ნაკერალში.

...ყოველ ვარდობისთვეს ნასახლარის ნაკერალზე ერთი შავი ვარდი ჰყვავის. ეს ვარდი ჩვენს ნაცრემლარზეა ამოსული, ფიალასავით შავი და მშვენიერი, ჩემსავით უკარება და ქედმაღალი. უფრო კადნიერი სილამაზე არსად მინახავს.

ყოველ ვარდობისთვეს ვსტუმრობ ძველი სახლის ძველ ფიალას. ღვინოც მიმაქ და ახალი სასმისიც.

ვაი, რომ, ძველი სახლის ძველ ფიალაზე ტკბილს დღემდე არაფერს დავწაფებივარ.





# მაყვაჰანსხი

## პიესა

მოქმედი პირები:

**ირაკლი**
**გურამი** ირაკლის მამა
**მეგი** ირაკლის დედა
**ეკა** სტუმარი ქალი
**ტერეზა** შინამოსამსახურე
**ნანა** ირაკლის და
**ქეთი** ირაკლის და
**დოდო** ირაკლის მეზობელი

### სურათი პირველი

სასტუმრო ოთახი. სცენის მარჯვენა კუთხეში როიალი დგას, შუაში მრგვალი მაგიდა ირგვლივ შემოწყობილი სკამებით, მარცხენა კუთხეში ფართო ტახტი. კედელზე ფერნერული ტილოები კიდია. ტახტზე ტელეფონი დევს. შემოსასვლელიდან ისმის ზარის ხმა.

**ტერეზა.** ეხლავე, ემ წუთში! (გაიძახის ტანთხელი, საშინაოდ ჩაცმული მოხუცი ქალი, ცოცხს და აქანდაზს ჩქარი მოძრაობით სკამზე აწყობს, კარისკენ მიემართება და აღებს. კარში ზამთრის პირობაზე ჩაცმული ასაკოვანი ქალი დგას. ტერეზა დაკვირვებით ათვალიერებს.)

**ეკა.** გამარჯობა. ირაკლის ნახვა მინდოდა.

**ტერეზა.** სალამი... ინსტიტუტშია, ალბათ დააგვიანდება.

**ეკა.** რა გაეწყობა, დაველოდები. (იხრება, სამგზავრო ჩანთას ხვნეშით იღებს და კარში შემოდის. ტერეზა შეცბუნებულია.)

**ტერეზა.** ჩანთა აქვე დატოვეთ, პალტო კი აი, იქ დაკიდეთ. (საკიდარზე უთითებს. სტუმარი პალტოს იხდის, საკიდარზე კიდებს, თავშალს იხსნის. ტერეზა მაგიდისკენ მიაცილებს.) დაბრძანდით. აგერ, ჟურნალ-გაზეთები დაათვალიერეთ, თუ გნებავთ, ტელევიზორსაც ჩაგირთავთ.

(სტუმარი ჯდება.)

**ეკა.** ღამის მატარებლით მგზავრობამ იმდენად დამქანცა, არაფრის თავი არა მაქვს.

**ტერეზა.** საიდან მოდიხართ?

**ეკა.** ზღვისპირეთიდან. (პასუხობს და ოთახს გულდასმით ათვალიერებს.)

**ტერეზა.** თქვენ ნამდვილად ეკა იქნებით!

**ეკა.** როგორ მიხვდით?

**ტერეზა.** ირაკლი ზღვისპირეთიდან რომ ჩამოდიოდა, თქვენზე იმდენ რამეს ყვებოდა?

**ეკა.** დახე, არ დავვიწყებივარ!

**ტერეზა.** რას ამბობთ, ლამისაა მთელი ოჯახი ცხოვრების თქვენებურ ყაიდაზე გადაიყვანოს.

(სტუმარი დამხვდურს ღიმილით შეჰყურებს.)

**ეკა.** არც ერთი წერილის პასუხი რომ არ მიმილია?

**ტერეზა.** რომელი წერილების? (გაკვირვებით შეჰყურებს.)

**ეკა.** ირაკლის ვუგზავნიდი.

**ტერეზა.** ჩვენთან ამდაგვარი არაფერი მოსულა.

**ეკა.** როგორ, ამ მისამართზე ვაგზავნიდი!

**ტერეზა.** გასაოცარია! (ჩაფიქრებული სცენის მარჯვენა მხარეზე იცქირება.) თუმცა...

**ეკა.** როგორ მეიმედებოდა... დახმარებას შემპირდა.

**ტერეზა.** რომ მიელო, უპასუხოდ არ დაგტოვებდათ...

**ეკა.** თქვენ მისი რა ხართ?

**ტერეზა.** ოჯახის ახლობელი, ტერეზა მქვია, ოცი წელია, აქ ვცხოვრობ.

**ეკა.** ააა, მოსამსახურე?

**ტერეზა.** არა, ახლობელი.

**ეკა.** მოსამსახურე გვყავსო, ამბობდა ხოლმე ირაკლი.

**ტერეზა.** როგორ არა რცხვენია, მთელ ამაგს აი, ასე, წყალში მიყრის! (თავს უკმაყოფილოდ იქნევს.)

**ეკა.** ასეა, თუ ისე, თქვენ მაინც მოსამსახურე ხართ.

**ტერეზა.** ამის გამოსარკვევად ჩამოხვედით, თუ ირაკლის სანახავად? რას ამოიჩემეთ ეს, მოსამსახურე, მოსამსახურე! (უკმეხად წამოიძახებს.)

**ეკა.** ოჯახის ნათესავი და გულშემატკივარი ცოცხსა და აქანდაზს ამ ძვირფას სკამზე არ დაყრიდა! (პასუხობს სტუმარი და სკამზე უთითებს.)

**ტერეზა.** ის იყო, დარეკეთ და სიჩქარეში დავდევი... (თავს იმართლებს. მერე სკამიდან ცოცხსა და აქანდაზს იღებს და სცენიდან გადის. სტუმარი სათვალეს იკეთებს. კედელზე გაკრულ ფერწერულ ტილოებს ყურადღებით აკვირდება. ტერეზა ბრუნდება და მის პირდაპირ ჯდება.) ჩემი ადგილის დასაკავებლად თუ ჩამოხვედით, პირდაპირ მითხარით, ამ დარტყმასაც როგორმე გავუძლებ. შრომა შეგეძლოს, თორემ კარგ მოსამსახურეს სანთლით დაეძებენ... იცით, რამდენს უხდიან?

**ეკა.** აქ რამდენს გაძლევენ?

**ტერეზა.** აჰა, ეს კი მესმის, პირდაპირ საქმეზე გადავედით. ას მანეთს მიუმატეთ უფასო კვება და გამონაცვალი ტანსაცმელი...

**ეკა.** და ეს ამხელა ქალი ამის გამო ცდებით?

(ტერეზა სახტად რჩება.)

**ტერეზა.** თქვენ რა, აქ მოსვლას უფრო ძვირად აპირებთ? (ეცინება.) მეგი ამასაც ძლივს იმეტებს.

**ეკა.** ღმერთმა დამიფაროს! საქმის გამო ჩამოვედი... თქვენც გირჩევთ, ნასუფრალით ცხოვრებას შეეშვათ.

**ტერეზა.** პენსიონერი ქალი ვარ, შვილს ვეხმარები...

**ეკა.** უკაცრავად!.. ეს რა ეშმაკი შემომიჩნდა, არ ვიცი?! (გაიოცებს და დგება.)

**ტერეზა.** მიდიხართ?

**ეკა.** ირაკლის მოსვლამდე ცოტას გავივლი, ჩანთას აქ ვტოვებ. ძალიან გთხოვთ, ყურადღება მიმიქციოთ.

**ტერეზა.** ეს ნესიერი ოჯახია.. რა ვქნა, თოფი ხომ არ მოვიმარჯვო და ისე დავადგე?

(ირონიულად ეკითხება).

**ეკა.** (ირონიას ვერ მიუხვდება და დაბნეულად პასუხობს.) მგონი მაგდენი თავგამოდება საჭირო არაა.

(კარისკენ მიემართება, პალტოს იცვამს და სცენიდან გადის.)

(სცენის მარჯვენა მხრიდან შემოდის გამხდარი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი, კოხტად მორგებული ზედაწელი და ჯინსის შარვალი აცვია.)

**მეგი.** უცხო ხმა მესმოდა, ნეტა ვინ იყო?

**ტერეზა.** ირაკლის ეკა ჩამოვიდა.

**მეგი.** ეგღა გვაკლდა! რაო, რა მინდაო?

**ტერეზა.** ირაკლი დახმარებას შეჰპირებია. ცოტა უცნაური ქალი კი ჩანს... ასე თქვა, ირაკლის წერილებს ვუგზავნიდიო... საინტერესოა, ეს მოხუცი ქალი ირაკლის რაზე წერდა. (მეგი შეცბება.) მერე მომდგა, მოსამსახურეობაზე როგორ ცდებიო...

**მეგი.** ოჯახის წევრად რომ მიგვაჩნიხარ არ გითქვამს?.

**ტერეზა.** კი ვუმტკიცე, ახლობელი ვართქვა, მაგრამ ირაკლის...

**მეგი.** ოჰ, ეს ირაკლი! ეგ ბიჭი ნამდვილად გადამრევს!.. სახლში რომ არ მოდის, ისიც ხომ არ გითქვამს?

**ტერეზა.** რა თქმა უნდა, არა.

**მეგი.** სტუმარი სადღაა?

**ტერეზა.** ირაკლის მოსვლამდე ცოტას გავივლიო.

**მეგი.** დიდხანს კი მოუწევს.

**ტერეზა.** შენ ეგა თქვი... როდემდე ვატყუოთ?

**მეგი.** სანამ არ გაემგზავრება.

**ტერეზა.** ეგ ქალი აქედან ასე ადვილად წამსვლელი რომ არა ჩანს?

**მეგი.** რა იცი?

**ტერეზა.** აგე, ჩანთა, ძლივს შემოათრია (ჩანთაზე უთითებს.)

**მეგი.** აქ დასახლებას ხომ არ აპირებს!

**ტერეზა.** (სიცილით.) მგონი.

## სურათი მეორე

იგივე ოთახი. მაგიდას უსხედან ეკა, მეგი და ტერეზა. საუზმობენ.

**მეგი.** დეპეშა რომ გამოგეგზავნათ, სადგურზე დაგხვდებოდით. ალბათ, ჩვენს სახლს დიდხანს ეძებდით.

**ეკა.** არა, ადვილად მოვაგენი... ჩემს არც ერთ წერილს აქამდე არ მოუღწევია და, გზას რაღა დეპეშა გამოიგნებდა.

**მეგი.** ფაქტია, ფოსტა-ტელეგრაფმა ბოლო ხანებში მეტისმეტად აურია...

**ეკა.** ვიფიქრე, მოულოდნელად გამოვეცხადები-თქვა. წარმოდგენილი მაქვს, ირაკლის როგორ გაუხარდება!

(ტერეზა და მეგი ერთმანეთს გადახედავენ.)

**მეგი.** ტერეზამ მითხრა, ირაკლისთან რაღაც საშური საქმე გქონიათ.

**ეკა.** უეჭველად დაგეხმარებიო, და, აი...

**მეგი.** თუ საიდუმლო არაა, მომიყევით, იქნებ მეც შემიძლია რაღაცა.

(ეკა წინ დახვავებულ თეფშებს მისწევ-მოსწევს, ხელჩანთიდან ქაღალდების დასტას ამოიღებს, მაგიდაზე გაშლის და წინ მსხდომთ გადახედავს.)

**ეკა.** აი, საბუთები, რომელთა მოგროვებაც მოვახერე (საიდუმლოსავით ამბობს.) მე აქ ზღვის გამო ჩამოვედი, როგორაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა დავახევინო!

(ქალები საბუთების დასტას დუმილით დასცქერიან, შემდეგ გაოცების ნიშნად ერთმანეთს გადახედავენ.)

**მეგი.** გამაგებინეთ, ზღვას რანაირად უნდა დაახევინოთ?

**ეკა.** ეგ მე ვიცი!

**მეგი.** და ამაში ირაკლი უნდა დაგეხმაროთ?!

**ეკა.** აკი შემპირდა!

(ქალები ისევ გაოცებით გადახედავენ ერთმანეთს.)

**მეგი.** იქნება გაგვარკვიოთ, რა სახის უნდა იყოს ეს დახმარება?.. ირაკლი წინ უნდა დაუდგეს ზღვას და...

**ეკა.** რაფერ დაგაბნიეთ! (ეღიმება.) ირაკლი, ალბათ მოგიყვებოდათ, რომ ჩემი სახლი ზღვიდან ნახევარ ვერსზე იყო. ამ შვიდიოდე წლის წინ ზღვამ ნაპირი გადმოლახა, ნალეკა ეზოები და შენობების პირველი სართული დაფარა. თავიდან გაზაფხულზე, წყალუხვობისას აქტიურდებოდა, ზაფხულის დადგომისთანავე კი პირვანდელ ადგილს უბრუნდებოდა, მაგრამ მესამე წელია მეტისმეტად შემოგვეჩვია, მეზობლები უკვე გაასახლეს, მე კი სახლის დატოვებაზე ვერ დამიყაბულეს.

**მეგი.** დარწმუნებული ვარ, მანდ ცხოვრება საშიში იქნება. მეზობლებთან ერთად რომ გადასულიყავით, უფრო დაცული იქნებოდით.

**ეკა.** სათქმელად იოლია... აბა, მე მკითხეთ!.. იმ სახლში დავიბადე, გავიზარდე, ქმარიც იქ მოვიყვანე, იქვე გარდაიცვალა და სახლის უკან, ბაღში დავკრძალე. ამქვეყნად იმ სახლზე უფრო ძვირფასი რამ არაფერი გამაჩნია და თავზე რომც დამენგრეს, მის დატოვებას არაფრით ვაპირებ. რადაც არ უნდა დამიჯდეს, ზღვას უნდა დავახევინო და ჩემი სახლი და ეზო როგორმე გადავარჩინო.

**მეგი.** ცოტა არ იყოს, მეტად რთული საკითხი ჩანს. მიკვირს, ირაკლი ამაზე როგორ დაგთანხმდათ.

**ეკა.** თეონაც დამპირდა, ამ საქმეში ბებიაჩემს ჩავრევო.

**მეგი.** თეონასაც იცნობთ?

**ეკა.** ისინი ხომ შარშან და შარშანწინ ჩემთან ისვენებდნენ.

**მეგი.** და მე ამას ახლა ვიგებ!

**ეკა.** ერთმანეთი რომ უყვართ, არც ეს იცოდით?

**მეგი.** როგორ არა, მაგრამ მოდით, ახლავე შევთანხმდეთ, რომ თქვენ ამ საქმეში არ ჩაერევით... გამაგებინეთ, რა დროის მათი სიყვარულია!..

**ეკა.** მაპატიეთ, მაგრამ მაგ საკითხში სწორედ რომ ვერ შევთანხმდებით.

**მეგი.** ამით რისი თქმა გინდათ?

**ეკა.** მათ სიყვარულის ასაკი უდგათ და როგორი წინააღმდეგობაც არ უნდა გაუწიოთ, არა მგონია რამე გამოგივიდეთ.

**მეგი.** ყურადღებით დამაკვირდით და მიპასუხეთ, ვგავარ ისეთ ქალს, ვისაც დედამთილობა შეჰფერის?.. მე ხომ ჯერ ისევ ახალგაზრდა ვარ... ისინიც თითქმის ბავშვები არიან... დავუშვათ და, ირაკლიმ მართლაც შეირთო თეონა. მიპასუხეთ, რა სახსრებით უნდა იცხოვრონ? ბავშვი რომ გაჩნდება, ვინ მოუვლის... თეონა?.. რაღაც არ მჯერა. ყველაფერმა ჩემს თავზე უნდა გადაიაროს. დედამისი ქმართან დიდი ხნის გაცილებულია, მარტოხელა ქალის ცხოვრებას ეწევა. ბებიამისს თავისი ინსტიტუტის გარდა ქვეყანაზე არაფერი ახსოვს... დარწმუნებული ვარ, მაგათთვის წუთითაც ვერ მოიცლიან...

**ეკა.** თქვენი აზრით, როგორ უნდა მოიქცნენ?

**მეგი.** ფეხზე მყარად დადგომამდე დაიცადონ. მაგათ ასაკში ჩვენც ვითმენდით... ახლა შვილიშვილის საცვლების რეცხვაღა მაკლდა! (ამრეზით.)

**ეკა.** როცა შვილებს აჩენდით, უნდა გეფიქრათ, რომ მათთვის ყველაფრის გაკეთება მოგიწევდათ. მაპატიეთ, მაგრამ ამ სიტყვებს ასე მგონია, უფრო ეგოიზმი ალაპარაკებთ.

**მეგი.** დავუშვათ, რომ ასეა!

**ეკა.** ნეტა ვიცოდე, რა აზრისაა თქვენი მეუღლე.

**მეგი.** ეგ ამბავი არც კი დასიზმრებია.

**ეკა.** უმალავთ?

**მეგი.** კაცი სულაც არაა ვალდებული, ოჯახის ყოველი წვრილმანი იცოდეს.

**ეკა.** და თქვენ ეს წვრილმანად მიგაჩნიათ?.. როგორ გეკადრებათ!

**მეგი.** იმდენი მოვალეობები აკისრია, ამ ამბებით ვერ დავამძიმებ.

**ეკა.** ისეთი რა ტვირთი აწევს, რომ...

**მეგი.** ტელევიზია, ინსტიტუტები, ცალკე ათასი კომიტეტი.

**ეკა.** თქვენი ნათქვამიდან ისე გამოდის, თითქოს იგი მარტო ტელევიზიისათვის და რაღაც აბსურდული კომიტეტებისთვის არსებობდეს, შვილის ბედი კი მეორეხარისხოვანი იყოს.

**მეგი.** აქ ქალბატონო, ასეა. ჯერ საქმე, მერე ოჯახი...

**ეკა.** სად აქ... ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარია.

**მეგი.** რას იზამთ, პროვინციაში სხვანაირი ტემპით ცხოვრობენ.

**ეკა.** მაგაში ვერ დაგეთანხმებით... თქვენმა მეუღლემ ჯერ ოჯახის საქმეები უნდა მოაგვაროს, მერე კი რაღაც კომიტეტების...

**მეგი.** რა იცით, რომ ასე არაა?

**ეკა.** ამ წუთში საპირისპიროს მიმტკიცებდით...მაგრამ კარგით, კამათს შევეშვათ. მითხარით, ჩემს საქმეს რა ეშველება. ირაკლისა და თეონას იმედით ჩამოვედი. თითქმის ბედის ანაბარა მივატოვე სახლი, რომელსაც შესაძლოა ზღვამ საძირკველი გამოუთხაროს, ან ჩემი არყოფნით ისარგებლონ და დაანგრიონ... მალე თუ მოვა ირაკლი?

**მეგი.** ამის თქმას არ ვაპირებდი, მაგრამ... უნდა გაგაწბილოთ, არა.

(ტერეზამ თავი ჩაჰკიდა.)

**ეკა.** აკი ინსტიტუტშია და სადაცაა მოვაო?!

**მეგი.** ორ თვეზე მეტია სახლში არ ჩნდება.

(ეკა წამით გაირინდება.)

**ეკა.** ასე გარე-გარე სანამდე უნდა იაროს?

**მეგი.** სანამ თეონას შერთვას არ გადაიფიქრებს.

**ეკა.** თუ არ გადაიფიქრა?

**მეგი.** დარწმუნებული ვარ, გადაიფიქრებს.

**ეკა.** როგორც ჩანს, მე აქ დროს ტყუილად ვკარგავ. მითხარით სადაა და იქ მივაკითხავ.

**მეგი.** მეგობრებთან.

(ეკა სწრაფი მოძრაობით თავის ქაღალდებს მოაქუჩებს, დგება და გეზს გასასვლელისკენ იღებს.)

**მეგი.** საით? დარჩით ჩვენთან.

(ეკა შედგება და მეგის მოუტრიალდება.)

**ეკა.** მე თქვენ არ გიცნობდით, თქვენთან არც არავითარი საქმე მქონია. ვინაც დახმარებას შემპირდა, იმათი ნახვა მინდა, არადა, ამალამვე ვბრუნდები.

**მეგი.** მოითმინეთ, ჩემი მეუღლე სადაცაა მოვა. იქნება იმან მაინც გირჩიოთ რამე. ის ბავშვები, ალბათ, დახმარებას ჩვენი იმედით გპირდებოდნენ, თორემ...

**ეკა.** კარგი, თქვენს მეუღლეს დაველოდები, მერე ირაკლისთან წავალ.

(ბრუნდება და მაგიდისგან მოშორებით ჯდება.)

**მეგი.** მოიწიეთ, რამე მიირთვით.

**ეკა.** გმადლობთ, ჭამის სურვილმა საერთოდ გადამიარა. (მაგიდას ათვალწუნებით დახედავს.)

**მეგი.** არ გეწყინოთ და, მეეჭვება მაგ საქმიდან რამე გამოვიდეს. წარმოდგენა არა მაქვს, აქედან ზღვას თავის პირვანდელ ადგილს როგორ დაუბრუნებენ. რაღაცა თქვენი ქალაქის უფროსებთან უნდა გეცადათ.

**ეკა.** იქ არავინ დამიტოვებია. მაიმედებდნენ, მაგრამ სანამ ეზოს და სახლს ზღვამ არ შემოუტია, ხელის განძრევა არც არავის უცდია. რა გახდა ეს შენი სახლი, დავანგრევთ და უსაფრთხო ადგილას ახალში შესახლდებიო, მამშვიდებდნენ...

(ტელეფონის ზარი გაისმის. მეგი დგება, მიდის ტახტთან და ყურმილს იღებს.)

**მეგი.** გისმენთ!..ჰოო?..გაგიმარჯოს...არა... თუ სადმე გადააწყდე, გადაეცი, ეკა დეიდა ჩამოვიდა-თქო. ჰო, ეკა დეიდა... ვფიქრობ, ლექსოსთან უნდა იყვნენ... გადმორეკავ?.. გელოდებით. (ეკას მოუტრიალდება.) თეონას დაქალი იყო, ირაკლის ისინიც ეძებენ.

(მეგი თავის ადგილს უბრუნდება.)

**ეკა.** ირაკლის საქციელის გამო თქვენი მეუღლე ნეტა რა აზრისაა?

**მეგი.** გურამი მთელი თვით მივლინებაში იყო, მერე ამას ირაკლის სესიები წაეწყო, ამ დღეებში არდადეგები დაიწყება და ბაკურიანში აპირებენ... ასე რომ, ყველაფერი ნორმალურად გამოიყურება.

**ეკა.** ფაქტიურად კი ყველაფერი არანორმალურადაა აწეწილი... თქვენ რა, ფარსს თამაშობთ, თუ ოჯახს უძღვებით?.. ასეთ შემთხვევაში იცით, ნოე რას იტყოდა?..

**მეგი.** მაპატიეთ და, სულაც არ მაინტერესებს რას იტყოდა ეგ თქვენი ნოე. ძალიან გთხოვთ, თავი ოდნავ მაინც შეიკავოთ.

**ეკა.** არა, მართლა არ გაინტერესებთ, რას იტყოდა ნოე?

**მეგი.** კი მაგრამ, ვინაა ეს ნოე?

**ეკა.** ჩემი სულიერი მეგობარი.

(მეგი ერთხანად ცნობისმოყვარედ შეჰყურებს. სიცილი აუტყდება. ტერეზაც აჰყვება.)

**მეგი.** ძაან უცნაური ქალბატონი კი ბრძანდებით... ჰა, ჰა, ჰა, ჰა... სულიერი მეგობარი! ჰა, ჰა, ჰა, ჰა!..

**ეკა.** ჩვენთან ეს არავის უკვირს.

**მეგი.** თქვენს ასაკში ასეთი რამ ცოტა ექსტრავაგანტური მეჩვენება.

**ეკა.** ასაკი? სულიერი მეგობრობისთვის გენაცვალე, ასაკი გადამწყვეტი სულაც არაა. აი, თქვენ გყავთ მეუღლე, ვისაც სათუთ გრძნობებს უზიარებთ, ენდობით, გულისფანცქალით ელოდებით... მე ასეთი მეგობარი ბედისწერამ ხელიდან ადრე გამომაცალა... წლების შემდეგ მოვიდა ნოე. ჩვენი წმინდა დამოკიდებულება არასოდეს შებღალულა. რა არის იმაში ცუდი, რომ მარტოხელა ქალს გვერდით ერთგული მამაკაცი ედგეს, განა ეს სასაცილო, ან გასაკიცხია?.. თქვენ ასე იმიტომ შეიცხადეთ, რომ გყავთ მზრუნველი ქმარი...

**მეგი.** კი, მყავს, მაგრამ მასთან ყოფნისას გულისფანცქალი დიდი ხანია, რაც არ განმიცდია. ქარაფშუტული სიყვარული წარსულს ჩაბარდა.

**ეკა.** სიყვარული ქარაფშუტული არასოდეს არაა. საინტერესოა, ამ აზრამდე როგორ მიხვედით.

(მეგი იბნევა. გონს მალე მოეგება.)

**მეგი.** ჰოდა, ის თქვენი სულიერი მეგობარი ამ შემთხვევაში რას იტყოდა?

**ეკა.** უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონნენო.

(მეგი შეცბება.)

**მეგი.** ეს კი მეტისმეტია!

**ეკა.** ამას ნოე ამბობს!..

**მეგი.** მეტად თავკერძა ბრძანებულა ეგ თქვენი ნოე.

**ეკა.** სულაც არა. უბრალოდ, მოვლენათა ასე ხატოვნად შეფასება ახასიათებს ხოლმე, ეგ არის და ეგ...

(სცენაზე ორი ქალიშვილი შემოდის. ერთი გამხდარი, მაღალი, თმამოშვებული, სანდომიანი გოგოა, მეგის ჩამოჰგავს. მეორე ოდნავ დაბალი, ტანსრული, ბიჭურად თმაშეკრეჭილი.)

**მეგი.** ჩემი ქალიშვილები (გოგოებს ეკაზე უთითებს), ირაკლის ეკა დეიდაა.

**ქეთი.** (მაღალი გოგო.) სასაიამოვნოა. (არტისტული ხაზგასმულობით ჩამოართმევს ხელს და მაგიდასთან ჯდება.)

**ნანა.** წარმოდგენილი მაქვს, ირაკლის როგორ გაუხარდება! (გადაკოცნის და დედას

გადახედავს.) კაფეში შევხვდი, ტანსაცმლის წასაღებად ამოვალო.

**მეგი.** როდის მიემგზავრებიან?

**ნანა.** ხვალ ან ზეგ. თეონას არ უშვებენ. ირაკლიმ, ნამდვილად შეთქმულებას მიწყობენ, ჩანს, ისინი დედაჩემმა გააქეზაო..

**მეგი.** საიდან მოიტანა!

**ნანა.** დედამისს რაღაც...

**მეგი.** აჰ, ეს დედამისი! შემპირდა, თეონას არაფერს ვეტყვიო.

**ნანა.** თეონას ყური თვითონ მოუკრავს.

**მეგი.** თუ ასეა, ძაანაც კარგი!

**ნანა.** თქვენ იმდენს იზამთ, შვილებს დაკარგავთ, ასეთ გაჯიუტებას რა აზრი აქვს არ ვიცი?

**მეგი.** ჯერ კიდევ ბავშვები არიან.

**ნანა.** მაგათ ასაკში თქვენ ქეთი გყავდათ.

**მეგი.** მაშინ სხვა დრო იყო.

**ნანა.** ამ შემთხვევაში დრო თავის გასამართლებლად არ გამოდგება.

**ქეთი.** კამათს შეეშვით... სტუმარს მაინც მოერიდეთ.

**ნანა.** ეკა დეიდამ თეონასა და ირაკლის შესახებ ჩვენზე მეტი იცის... ირაკლიმ მითხრა, თუ ძაან გააჭირეს, ეკა დეიდასთან წავალთო.

**მეგი.** ეს თქვენ იცოდით? (მიუბრუნდება ეკას.)

**ეკა.** პირველად მესმის.

**მეგი.** თქვენს გარეშე როგორ გადაწყვიტა?

**ნანა.** ეკა დეიდა არაფერ შუაშია...

**მეგი.** არ მჯერა, ალბათ, ამის გამო ჩამოვიდა.

**ეკა.** რისთვისაც ჩამოვედი, უკვე გითხარით (მიმართავს მეგის.)

**მეგი.** ჰო, ზღვას უნდა დაახევინოთ! (ირონიულად.)

**ეკა.** მე აქ დახმარებისთვის ჩამოვედი, მაგრამ ჩანს, ჩემი გაჭირვება არავის ადარდებს. წერილებზე პასუხს რომ ვერ ველირსე, ნოესთვის უნდა დამეჯერებინა.

**ნანა.** რომელ წერილებზე?

**ტერეზა.** ირაკლის ვუგზავნიდიო.

(ნანამ და ქეთიმ ერთმანეთს გადახედეს, მერე მეგის მიაჩერდნენ. მეგიმ მათ თვალი მოარიდა.)

**ნანა.** დარწმუნებული იყავით, ირაკლის ამ წერილებისთვის თვალი არც მოუკრავს.

**ეკა.** ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თვითონ ჩამოვედი.

(ტელეფონი რეკავს. ნანა ყურმილს იღებს.)

**ნანა.** შენ ხარ? (ხმადაბლა.) არ შემიძლია, სტუმარი გვყავს... ტყუილად მეხვეწები... იქნებ ხვალ ან ზეგ მოვახერხო (ყურმილს კიდებს.) წერილებზე პასუხი რომ ვერ მიიღეთ, დაგერეკათ. (მიმართავს ეკას.)

**ეკა.** თქვენი ბინა არ პასუხობდა.

**ნანა.** დაუჯერებელია. (დედას გადახედავს და თავის ადგილს უბრუნდება.)

**მეგი.** რა არის დაუჯერებელი?

**ნანა.** რომ წერილები უგზო-უკვლოდ ქრება, რომ სახლში, სადაც ოცდაოთხი საათი ვიღაცა მაინც იმყოფება, ტელეფონი არ პასუხობს, რომ...

**მეგი.** რატომაც არა, ხდება ხოლმე.

**ნანა.** ხდება ერთხელ, მაგრამ როცა ასეთი რამ სისტემატურ ხასიათს იღებს...

**მეგი.** შენ იმისი თქმა ხომ არ გინდა, რომ...

(შემოსასვლელიდან ზარის ხმა ისმის. ნანა კარისკენ მიემართება და აღებს. სცენაზე შემოდის მაღალი, შეჭაღარავებული, საშუალო ასაკს მიტანებული კაცი. იხდის პალტოს, საკიდარზე კიდებს და მაგიდისკენ მიემართება.)

**ნანა.** სტუმარი გვყავს, ირაკლის ზღვისპირელი ეკა დეიდა.

**გურამ.** სასიამოვნოა. რა კარგია, რომ თქვენი მასპინძლობის საშუალება გვეძლევა, (გურამი ეკას ხელს ართმევს, ყურადღებით აკვირდება და მის წინ ჯდება.) თვითონ ირაკლი სადღაა?

**მეგი.** სადაცაა გამოჩნდება.

**გურამ.** სტუმარს ასე მშრალად ხვდებით? აბა, მეგი და ტერეზა, დატრიალდით.

(ტერეზა და ნანა დგებიან და სცენიდან გადიან. მეგი ადგილიდან არ იძვრის.)

**მეგი.** ქალბატონი ეკა საქმის გამო ჩამოვიდა, დახმარება ჭირდება.

**გურამ.** (ეკას მიუტრიალდება.) დიდი სიამოვნებით, გვიმსახურეთ.

**ეკა.** თუ შეიძლება, ტელევიზორი ან რადიო ჩართეთ, (გურამი გაოცებით შეჰყურებს.) ამინდის ცნობები მაინტერესებს. ისევ გადაუღებლად თუ წვიმს, ზღვა ჩემს ეზოსა და სახლს ნამდვილად წაიღებს.

(ქეთი დგება, რთავს რადიოს. მუსიკა გაისმის, მერე უკანასკნელი ცნობები, ბოლო ამინდის პროგნოზი: „დასავლეთ საქართველოში ძლიერი ნალექი, ზღვისპირა რაიონებში მოსალოდნელია წყალდიდობა...)

**ეკა.** თუ შეიძლება, ხმას ჩაუწიეთ (ქეთი თიშავს რადიოს. მეგი, გურამი და ქეთი ეკას მისჩერებიან.) ჩემო ბატონო, ალბათ გახსოვთ, ათიოდე წლის წინათ ჩვენს ქალაქთან წყალსაცავი და ელექტროსადგური რომ ააგეს. ახლა იგი ნაწილობრივ მუშაობს, რადგან მის აგრეგატებში შლამი და მთის ნაშალი ღორღი ილექება... (უცბად ჩუმდება და გურამს მორიდებით შეჰყურებს, მერე ქაღალდების გროვას წინ დაუდებს.) აი, მანდ ყველაფერი დაწვრილებითაა აღწერილი.

(გურამი საბუთებს ყურადღებით ფურცლავს.)

**გურამ.** და ეს პროცესები დიდი ხანია დაიწყო?

**ეკა.** შვიდიოდე წელიწადია. ულამაზესი, სილით დაფარული პლაჟების ნაცვლად გაშიშვლებული, ქვებით ჩახერგილი მიუვალი სანაპირო შეგვრჩა. ზღვა რკინიგზას და გზატკეცილსაც ნალეკვით ემუქრება... რაც დრო გადის, მოსახლეობასაც ავიწროებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გურამ.** ნუთუ ქალაქის ხელისუფლებამ არაფერი იღონა?

**ეკა.** ყველაფერი სანაპიროდან სილის არაგეგმაზომიერ ამოღებას დააბრალეს და მის გამაგრებას შეუდგნენ. პირველ ხანებში ამ სამუშაოებმა თითქოს გაამართლა, მაგრამ დამბები უძლური აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, სამუშაო მაინც გრძელდება. შესაძლებელია ერთხელ და სამუდამოდ ავიცილოთ ეს კატასტროფა და უაზრო ხარჯებიც... ერთ ჩვენებურ ახალგაზრდა ინჟინერს მეტად საყურადღებო პროექტი აქვს, ვიღაცებს ხელს არ აძლევს და ეწინააღმდეგებიან... ჩვენ კი გამოუვალ მდგომარეობაში ვიმყოფებით. მეზობლების ოცდაოთხი ოჯახი უკვე გაასახლეს. დავრჩით მე და ერთი ახლობელი კაცი. ისიც ჩემსავით მარტოხელაა. ამ გაზაფხულზე ზღვამ ჩვენი ეზოები გადმოლახა და სახლის პირველი სართული დაფარა.

**გურამ.** და მიუხედავად ასეთი საშიშროებისა, თქვენ ისევ იმ სახლში ცხოვრობთ?

**ეკა.** სადღა უნდა წავიდე, ჩემო ბატონო?

**გურამ.** თავზე რომ დაგენგრეთ?

**ეკა.** ვისაც ჩვენი სიცოცხლე არ ედარდება, ნახონ, რაც ჩაიდინეს.

**გურამ.** ასეთი მსხვერპლის ფასად?

**ეკა.** იცით, როგორი ეზო მქონდა? ზღვამ ბაღჩის ნაწილი მოთხარა, მაგრამ თუ დროზე დაგვეხმარებიან, ბევრი რამის აღდგენა კიდევ შეიძლება.

**გურამ.** ჩვენ რა შეგვიძლია?

**ეკა.** მთავრობამ ჩვენებური ინჟინრის პროექტი გამოითხოვოს და საქმეს სწორი მსვლელობა მისცეს.

**გურამ.** ეს საქმე ასე, ხელის ერთი დაკვრით ვერ მოგვარდება. თუ მოიწონეს, პროექტს დაფინანსება და კიდევ იმდენი რამ სჭირდება... თვით აღდგენის პროცესიც ხანგრძლივი იქნება... იმ სახლში მაინც არ უდა დარჩეთ...

**ეკა.** მანამადე ხომ შეძლება სანაპირო დროებით გაამაგრონ, უამისოდაც ხრეშის დაყრა მაინც მოუწევთ.

**გურამ.** აკი თქვით, დამბები საქმეს არ წაადგაო... იქნებ თავის გაწირვად არ ღირდეს.

**ეკა.** ღირს, ჩემო ბატონო, ღირს.

(სცენაზე შემოდიან ტერეზა და ნანა, მაგიდაზე ალაგებენ ჭურჭლეულობას, ბოთლებით ღვინოს. სხდებიან. გურამი ღვინოს უსხამს ეკას, მეგის და თავის ჭიქასაც ავსებს.)

**გურამ.** ეს თქვენს ჩამობრძანებას გაუმარჯოს ქალბატონო ეკა. ირაკლი იმდენად გემადლიერებოდათ, ამ ზაფხულს თქვენთან ჩამოსვლა მეც გადავწყვიტე.

**ეკა.** სიამოვნებით... მაგრამ სახლი თუ დაინგრა, თქვენი მიღება გამიჭირდება.

**გურამ.** ყველაფერს ვიღონებთ და სახლებსა და სანაპიროს უეჭველად გადავარჩენთ.

**ეკა.** მთელი სიცოცხლე თქვენზე მლოცველი ვიქნები!

**გურამ.** რას ამბობთ, ჩემს ბიჭზე იმდენად კეთილად იმოქმედეთ, ზოგჯერ ცნობაც კი მიჭირს.

**ეკა.** მე არაფერ შუაში ვარ, ეს ნოეს დამსახურებაა.

**გურამ.** ნოე?.. ჰო, ირაკლი ამ სახელს ხშირად ახსენებდა.

**მეგი.** ქალბატონ ეკას სულიერი მეგობარი (ირონიულად ჩაურთავს. გურამი მას ყურადღებით გადახედავს.)

**გურამ.** ასეთი სულიერი მეგობრები ღმერთმა გვიმრავლოს! (იტყვის და ჭიქას გამოცლის.)

**ეკა.** გმადლობთ, ჩემო ბატონო! (ღვინოს ოდნავ მოსვამს.)

**გურამ.** ვერ მეტყვით, ირაკლის ასე რატომ აგვიანდება?

(მეგი თვალს მოარიდებს გურამს. დაბნეული სახით უყურებს ეკას.)

**მეგი.** ალბათ, სადმე შეყოვნდა.

**გურამ.** როგორც კი გამოჩნდება, ჩემთან შემოვიდეს, სალაპარაკო მაქვს.

**მეგი.** რაზე გურამ?

(გურამი ქალს უკმაყოფილო სახით გადახედავს.)

**გურამ.** ყველაფერზე. რამდენი ხანია მასთან გულითადად არ მისაუბრია. ახლა მაპატიეთ, უნდა დავრეკო.

(მიუბრუნდება ეკას, თავს დაუკრავს და სცენიდან გადის.)

**ეკა.** რა დიდებული მეუღლე გყოლიათ. სხვათა შორის, ირაკლი მამას ძალიან ჰგავს.

**მეგი.** მხოლოდ გარეგნობით.

**ეკა.** მამამისივით კეთილშობილია.

**მეგი.** მაგის რა მოგახსენოთ.

**ნანა.** დედა, გეგონება, უცხო ვინმეზე საუბრობ.

**მეგი.** ჩემთვის ეს არასოდეს დაუმტკიცებია. ამას ყოველთვის სხვები მეუბნებიან. შვილი კი გულისხმიერი პირველ რიგში მშობლებთან უნდა იყოს.

**ნანა.** რაც თქვენს შორის მოხდა იმის შემდეგაც?

**მეგი.** როგორც დედა, ვალდებული ვიყავი გამეფრთხილებინა. იმან ჩემი რჩევა არაფრად ჩააგდო. ადგა, კარი გაიჯახუნა და...

**ტერეზა.** საწყენად ნუ მიიღებ და იმ დღეს ულმობელი იყავი.

(მეგი გაოცებული სახით მიუბრუნდება ტერეზას.)

**მეგი.** შენც ასე მიგაჩნია?!

**ტერეზა.** შეეძლო, გაფრთხილების გარეშეც გადაეწყვიტა.

**მეგი.** როგორც გინდათ ისე გამიგეთ, მაგრამ სანამ პირში სული მიდგას, ლონდას შვილს ჩემს სახლში არ გავაჭაჭანებ. შეირთოს, მაგრამ აქ? არაფრისდიდებით!

**ეკა.** ამას თეონაზე ამბობთ?

**მეგი.** კი, ბატონო!

**ეკა.** მაგისთანა შვილის ყოლას, სწორედ რომ ვინატრებდი.

**მეგი.** მე კი, პირიქით... ბებიამისს დედამისი ვისგან ჰყავს, თვითონ არ იცის. დარწმუნებული ვარ, არც დედამისს ეცოდინება, თეონა ვისგან ეყოლა...

**ქეთი.** დედა, ამ უმსგავსი ჭორების აყოლა არ გეკადრება!.. დავუშვათ და, ასეც იყოს, რა თეონას ბრალია...

**ნანა.** იმის შემდეგ, რაც ირაკლიმ თეონას გამო აი აქ (თითით ადგილს შემოხაზავს.) ლამის იატაკს თავი ახალა, ისევ?... ან მშობლების ცოდვები შვილებს რატომ უნდა მოეკითხოთ, არ ვიცი?

**მეგი.** შენ ამეების არაფერი გაგეგება. ჯობია გაჩუმდე, იმ შენს ვაჟბატონს მიხედო და სანამ შორს არ შეგიტოპავს, დროზე გადაწყვიტო რა გზას დაადგე.

**ნანა.** ჩვენს შორის მხოლოდ მეგობრული ურთიერთობაა.

**მეგი.** ზუსტად ასე იყო ირაკლიც. თეონა ასე, თეონა ისეო, ყური გამოგვიჭედა. ბოლოს, ინებეთ!.. სხვათა შორის, დედამისისგან ვიცი, წინააღმდეგები არიან, განსაკუთრებით ბებიამისი... იცი რა თქვა?.. (ნანას ნიშნისმოგებით შესცქერის.) მე უფრო თავისუფალი კავშირის მომხრე ვარ, ვიდრე ქორწინებისო... და ამას ამბობს ოთხმოც წელს მიტანებული ქალი... ოღონდ ბავშვი არ გააჩინონ და ისე იყვნენო... ამაზე რას იტყვით?! (ოთახში მყოფთ გამომწვევად გადახედავს.)

**ეკა.** ეს ხომ უზნეობაა! (აღშფოთებისაგან თავს ვერ იკავებს.)

**მეგი.** მეც მანდა ვარ და ამიტომაც მინდა ირაკლის იმ ხალხთან ურთიერთობა ავაცდინო, მაგრამ ჩემ წინააღმდეგ ყველას პირი ისე შეუკრავს, თითქოს საკუთარი შვილის დაუძინებელი მტერი ვიყო.

**ნანა.** თეონა იმათ არაფერში ეთანხმება.

**მეგი.** შენ რა იცი?

**ნანა.** ამასწინათ საგანგებოდ შევხვდი. თქვენს გამო ძალიან შეშფოთებულია.

**მეგი.** ვის, ჩვენს გამო?

**ნანა.** ბებიამისის, დედამისისა და შენს გამო. მამაშენის აზრი მაინტერესებს, ის ხომ ამ ორივე ოჯახში ერთადერთი მამაკაცია, რომელსაც გადაჭრით შეუძლია ზომების მიღებაო.

**მეგი.** არ გაბედოს! ვიცი გურამის მოწყალე გულის ამბავი, შეებრალება.

(ეკა დგება და გასასვლელისკენ იღებს გეზს.)

**ნანა.** სად მიბრძანდებით?

**ეკა.** ჩემთან, ზღვისპირეთში.

**ნანა.** აკი მამა დახმარებას შეგპირდათ?

**ეკა.** ამ სახლში დაიმედებული მოვდიოდი, მაგრამ ვხედავ, ჩემთვის ვერც მოიცლით. აქ უფრო დიდი გაჭირვება დავინახე, ვიდრე ჩემი სახლის ყოფნა-არყოფნაა. აშკარაა, თქვენ იმათ დაღუპავთ. ის ვერ შეგიგნიათ, რომ პირადი მოსაზრებები, რასაც აქ აფრქვევთ, მხოლოდ ამაო ლაყბობაა (მეგის მიუბრუნდება.) ასე გულარხეინად როგორ ზიხართ, როცა შვილი სადაა არ იცით?!

**მეგი.** (დაბნეული.) აკი მალე მოვაო?

**ეკა.** დღევანდელ დღეს როდი ვგულისხმობ... ორი თვე რამ გაგაძლებინათ, ორი თვე როგორ ელოდით, რომ იგი თავის სათუთ გრძნობებს გულში ჩაიკლავდა და სახლს დაუბრუნდებოდა... (მიტრიალდება და გასასვლელისკენ მტკიცე ნაბიჯით გაემართება. ამ დროს ტელეფონი აწკრიალდება.)

**ქეთი.** (ყურმილს იღებს) საქალაქთაშორისოა... დიახ!.. გისმენთ... ვის?.. ცუდად ისმის. დიახ! რა გვარი თქვით? ჰოო?.. ასეთი ვინმე აქ...

**ეკა.** ალბათ, მე მირეკავენ! (წამოიძახებს და ტელეფონისკენ მიემართება. სცენაზე მყოფნი გაკვირვებით შეჰყურებენ. ეკა ქეთის ყურმილს ართმევს.) გისმენთ!?.. ნოე ხარ?.. გაგიმარჯოს!.. როგორაა საქმე?.. მოიმატა?.. საიდან რეკავ?.. გასაგებია... კი, აქ დახმარებას შემპირდნენ. წამოსვლას ამალამვე ვაპირებ... არა?... მართალი ხარ... ის ხალხი თვითონ უნდა ვნახო.?.. ქალაქის მმართველობიდან ვინმე ხომ არ გამოჩენილა?.. ნოდარი?.. მგონი აქ მისი პროექტი დასჭირდებათ... საქმე თუ მიჭირდა, დარეკე, სახლები წუთითაც არ მიატოვო... კარგი... გავიგე... ალო!.. ალო!.. გაითიშა! (გულდაწყვეტით ჩაილაპარაკებს, ყურმილს დებს, მაგიდასთან მიდის და თავის ადგილზე ჯდება.)

**ნანა.** ცუდი ამბებია?

**ეკა.** ზღვამ ეზოს უფრო შემოუტიაო. გამგეობიდან ისევ მისულან. ნოე თოფმომარჯვებული დახვედრია... სანამ ყველაფერს არ გაარკვევ, არ წამოხვიდეო... მაშასადამე, ვრჩები... (თქვა და მიიხედ-მოიხედა.) ისე დავიქანცე, ფეხზე ვერ ვდგები.

**ნანა.** ჩემს ოთახში მოისვენეთ.

(ეკა დგება და ნანას რაღაცას ეჩურჩულება. ისინი შემოსასვლელისკენ მიდიან, მძიმე ჩანთას იღებენ და ხვნეშა-ხვნეშით ნანას ოთახისკენ მიემართებიან. ტერეზა მათ განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით ადევნებს თვალს, მერე ქეთისთან ერთად მაგიდის ალაგებას შეუდგება. მეგი გაუნძრევლად ზის. ქეთის და ტერეზას საჭმლის ნარჩენები და ჭურჭლეულობა გააქვთ. სცენაზე გურამი შემოდის.)

**გურამ.** რა დაღონებული სახე გაქვს. (მეგი დუმს. მეუღლეს ფიქრიანი სახით შეჰყურებს.) ირაკლი არ მოსულა?

**მეგი.** არა.

**გურამ.** სტუმარი სადღაა?

**მეგი.** ნანამ მოსასვენებლად წაიყვანა.

**გურამ.** რა კაცია ეს ირაკლი! სტუმარი მასთან ჩამოვიდა, თვითონ კი მთელი დღე სადღაცაა დაკარგული.

**მეგი.** მთელი ორი თვე. (თავდახრილი პასუხობს.)

(პაუზა.)

**გურამ.** (გაკვირვებით.) რამე ხომ არ გეშლება?!

**მეგი.** არა. მივლინებაში რომ წახვედი, იქიდან მოყოლებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გურამ.** მივლინებით მხოლოდ ერთი თვე რომ ვიყავი?

**მეგი.** სამსახურის საქმეებს იმდენად ხარ გადაყოლილი, მისი არყოფნა არც შეგიმჩნევია. მოხვალ შინ, ნაჩქარევად ივახშმებ, სამუშაო ოთახში ჩაიკეტები, გვიან ღამემდე თავაუღებლად მუშაობ, დილით კი უთენიაზე გარბიხარ...

**გურამ.** რატომ ერთხელ მაინც არ მიმანიშნე?!

**მეგი.** გცალია, რო? საერთაშორისო პრობლემების გარდა არაფერი გადარდებს... ოჯახი თავზე რომ გვენგრევა, თითქოს არაფერია...

**გურამ.** მოიცა, მოიცა... რას ნიშნავს, ოჯახი თავზე გვენგრევაო?!

**მეგი.** გვენგრევა და, ეგაა. ირაკლის ჩემი გაგონება არ უნდა.

**გურამ.** რაღაცაში მართალი არ იქნები და იმიტომ.

**მეგი.** აჰა, ჯერ არაფერი იცი და უკვე მის მხარეზე ხარ!

**გურამ.** როცა ვინმე სახლიდან მიდის, საქმის გამწვავება არ სურს, ან თავს დამნაშავედ არ თვლის.

**მეგი.** არაფერი გამივიდა. მგონი მალე მოვა. დაელაპარაკე, დაარწმუნე, რომ მისთვის ოჯახის შექმნა ნაადრევია.

**გურამ.** ააა, ამის გამო იკინკლავეთ?

**მეგი.** რას მიქვია კინკლაობა?

**გურამ.** უყვარს?

**მეგი.** როგორც თვითონ ამბობს, ძალიან.

**გურამ.** ქალიშვილს?

**მეგი.** მგონი, იმასაც.

**გურამ.** ყველაფერი დღესავით ნათელია. უყვარდეთ მერე, ასეთ ამბავს მივესალმები, მეტად სასიამოვნოა!

**მეგი.** გურამ!

**გურამ.** რა იყო?

**მეგი.** რატომ არ იკითხავ, გოგო ვინაა?

**გურამ.** რომ იცოდე, ჩვენთვის ამას მაინცდამაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა არცა აქვს. ეს, იმათ უნდა იცხოვრონ ერთად, გაიგე?

**მეგი.** ჩვენ? ჩვენც ხომ უნდა ვიცხოვროთ მათთან ერთად?

**გურამ.** რა თქმა უნდა, თუ მოისურვებენ.

**მეგი.** და შენ ამ საკითხს ასე მარტივად უყურებ?

**გურამ.** საქმეს ისე ართულებ, გეგონება, სადღაც გადაკარგულში მცხოვრები ქალი იყო. იმის მაგივრად, რომ საცოლე ბიჭი მოგვესწროო, გიხაროდეს, ზიხარ და რაღაცებს მიედ-მოედები, თუ...

**მეგი.** არაფერსაც არ მივედ-მოვედები... ჩვენი სარძლო ლონდას შვილია.

**გურამ.** თეონა?

**მეგი.** ჰო, და ვშიშობ, ბებიამისსა და დედამისს არაფრით დაემსგავსოს, ხომ იცი, მემკვიდრეობითობა...

**გურამ.** მაოცებს, შენი ცოდნა მემკვიდრეობითობის ცალმხრივ თეორიას რომ ვერ გასცდა. მოდი, საკითხი ამგვარად განვიხილოთ: ლონდას დედა აღიარებული მეცნიერია, მისი ქმარი ომმა იმსხვერპლა. თავის დროზე მეტად მომხიბვლელი ქალი იყო და თაყვანისმცემელიც არ მოჰკლებია, მაგრამ მეორედ არ გათხოვილა, შვილს საუკეთესო აღზრდა მისცა. თვითონ ლონდაც დიდებული ქალია, მისი ქმარი ვიღაც ქარაფშუტა გასტროლიორს გაეკიდა, მაგრამ სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილა, საოცარი სიმტკიცე გამოიჩინა და...

**მეგი.** მიდი, მიდი, გაამართლე. ძველი დრო რომ ყოფილიყო, მომრიგებელი მოსამართლეობა არ აგცდებოდა.

**გურამ.** ჩემი გასამართლებელი მაგ ხალხს არაფერი ჭირს. დახე, ლონდამ რა მშვენიერი გოგო გაზარდა, ჩვენს ბიჭს უყვარს... ახლა, მემკვიდრეობითობის სხვა მხარეზე ვისაუბროთ... ბებიაშენი თავზეხელაღებული ქალბატონი ყოფილა. ბაბუაშენი ამბობდა თურმე, რვა თვის ფეხმძიმე ცხენიდან ძლივას ჩამომყავდაო. დედაშენი სახლიდან გაპარულა, მფრინავობა მოუნდომებია, პარაშუტით ხტომის რეკორდსმენიც იყო. ხომ ყოფილა ისიც ყოჩაღი ქალი? შენ კიდევ შარშანწინ ფშავში ყოფნისას ცხრა კაცმა ცხენზე ძლივს აგზიდა და ოთხიც ზედ ძლივს გაკავებდა, პარაშუტით გადმოხტომისა კი, რა მოგახსენო, თბილისიდან ტალინში ან მოსკოვში ყოველი ფრენისას ორ-ორ პარკს პატიოსნად ავსებდი ხოლმე (იჯღანება.) ასე რომ, როცა საუბარი მემკვიდრეობითობაზე მიდის, სხვა რამეებიცაა გასათვალისწინებელი.

**მეგი.** ის ამბავი როგორ მოგწონს, ლონდამ, შვილიშვილის გამზრდელი არა ვარ, რაც უნდათ, ის უქნიათ, ბავშვიანად ნუ მომაკითხავენო.

**გურამ.** იმ ქალს ისიც ეყოფა, რომ თეონა უმამოდ გაზარდა. როგორია, სამი სული ერთად რომ ავკიდოთ. ან ჩვენი შვილი და შვილიშვილი მაგათთან რატომ უნდა იყვნენ, ჩვენ რა, სახლი არა გვაქვს თუ?..

**მეგი.** და ეს შენ სავსებით ნორმალურად მიგაჩნია?

**გურამ.** ასეა.

**მეგი.** რა გენაღვლება, ისინი სასწავლებელში ივლიან, საღამოობით გართობასაც არ დაიკლებენ, მე კი ბავშვს უნდა დავუჯდე და...

**გურამ.** აჰა, ამის გამო ღელავ? ჯერ ერთი, სანამ ისწავლიან, ხელშეწყობა დასჭირდებათ, მეორედ, თეონა ისეთი გოგონა არა ჩანს, რომ ყველაფერი შენ გადმოგაბაროს. მერე აქვე არ არიან ქეთი, ნანა, ტერეზა.

**მეგი.** ქეთისა და ნანას შეეეშვი, ნანა დღედღეზე გათხოვდება.

**გურამ.** რას მეუბნები!

**მეგი.** მაშ, რა გეგონა?

**გურამ.** სასიამოვნოა.

**მეგი.** გადამრევ! რავა ყველაფერი სასიამოვნოდ და სასიხარულოდ გეჩვენება. ვთხოვ-

დებიო რომ გითხრა და ამაზეც სასიამოვნოაო რომ მიპასუხო, არ გამიკვირდება.

**გურამ.** (სიცილით.) ეს უკვე საშინელება იქნება!

**მეგი.** გონიერ პასუხს ძლივს არ ველირსე?

**გურამ.** (ცოლს აკვირდება.) მითხარი, რა გემართება?

**მეგი.** (მოშვებული) არ მეგონა ყველაფერი ასე მოულოდნელად რომ დამატყდებოდა... რა უცბად დაიზარდნენ!

**გურამ.** (ღიმილით.) სრულიად ბუნებრივია. ასე რომ არ მომხდარიყო, უფრო სამწუხარო იქნებოდა.

**მეგი.** შენ ისევ ხუმრობ!

**გურამ.**' პირიქით. ასეთი სერიოზული არასოდეს ვყოფილვარ.

**მეგი.** ირაკლის მოელაპარაკები, არა?

**გურამ.** აუცილებლად. ახლა ცოტას წავიმუშავებ. როცა მოვა, ჩემთან შემოვიდეს.

**მეგი.** არ შეიძლება, ქორწინება ცოტა ხნით მაინც გადადონ?

**გურამ.** შენ ისევ თავიდან იწყებ?

**მეგი.** მეშინია, სწავლაში ხელი შეეშლებათ.

**გურამ.** ბავშვები კი არ არიან. ახლა რომ შევეწინააღმდეგოთ, თავგზა უფრო აებნევათ.

**მეგი.** (ღიმილით.) ლაპარაკში ფულს ტყუილად კი არ გიხდიან, ვისაც გინდა, დაიყოლიებ.

**გურამ.** მოდი, ერთხელ და სამუდამოდ შევთანხმდეთ, შვილებს ხელოვნურად ნუ დავაბრკოლებთ.

**მეგი.** კეთილი, ბატონო.

**გურამ.** (მხიარულად.) ეს უკვე სხვა ამბავია. თავი მაღლა ასწიე, ჩემო დედოფალო! (იტყვის და ხელს გაუწოდებს.მეგი წამოდგება და გურამს მიეხუტება. მეგი სცენიდან გადის. გურამი მაგიდასთან ჯდება, გაზეთს კითხულობს. კარი იღება და ოთახში მაღალი, გამხდარი ახალგაზრდა შემოდის, მაგიდას მიუახლოვდება და გურამს დაჰყურებს.)

**გურამ.** მოხვედი? (გაზეთს გადადებს, დგება. ირაკლი ლოყაზე კოცნის, გურამი თავზე ხელს გადაუსვამს, სხდებიან.)

**ირაკლი.** სხვები სად არიან?

**გურამ.** დასაძინებლად წავიდნენ.

**ირაკლი.** ეკა დეიდაც?

**გურამ.** კი შვილო.

(გურამი შვილს ყურადღებით აკვირდება.)

**ირაკლი.** როდის ჩამოვიდა?

**გურამ.** დღეს. დახმარება ჭირდება. (ირაკლი დგება, სცენიდან გასვლას აპირებს.) მოიცა, შენთან სალაპარაკო მაქვს.

(ირაკლი ისევ ჯდება და გურამს შესცქერის.)

**გურამ.** სახლიდან შენი წასვლა დღესღა შევიტყვე... შენი ხნის კაცს ცალკე ცხოვრების უფლებას ვერავინ წაართმევს, მაგრამ ასე, ხელის ერთი მოსმით ოჯახთან კავშირის განყვეტას ვერ მოგიწონებ.

**ირაკლი.** დედამ შენი აზრიც მომახსენა.

**გურამ.** ეს არ შეეძლო. დღემდე ამ ამბის გარშემო არაფერი ვიცოდი...

**ირაკლი.** იცრუა?

**გურამ.** ეგონა, ცდებოდი და ეს ფანდიც, ალბათ ამიტომ დასჭირდა.

**ირაკლი.** მამართლებ?

**გურამ.** გასამართლებელი რა გჭირს, ყველა კაცი ადრე თუ გვიან, ირჩევს ქალს... და ეს ისე ბუნებრივია...

**ირაკლი.** წინააღმდეგი არ ხარ? (გაცისკროვნებული სახით.)

**გურამ.** პირიქით, შენს მოწინააღმდეგეს საქმე ჩემთან ექნება. (ირაკლი წამოხტება და გადაეხვევა მამას. გურამი თავზე ხელს გადაუსვამს.) დამშვიდდი, ყველაფერი კარგად იქნება.

**ირაკლი.** თავიდანვე შენთვის უნდა მეთქვა.

**გურამ.** ეს ნაწილობრივ ჩემი ბრალიცაა, საქმეს ვერა და ვერ დავუძვერი. წესით, ახლაც ერთ-ერთ სხდომაზე უნდა ვიჯდე.

**ირაკლი.** პატარები რომ ვიყავით, ჩვენთვის უფრო მეტად იცლიდი.

**გურამ.** მაშინ ამდენი საზრუნავიც არ მქონდა. რაც დრო გადის, საქმეში უფრო და უფრო ვეფლობი. გეგონება, ამოსასუნთქი დრო ჩემთვის უფალს არც გამოუმეტებია.

**ირაკლი.** დედას რომ არ ეთქვა, ეტყობა ჩემს არყოფნას ვერც შენიშნავდი.

**გურამ.** როგორ არა, მაგრამ, ალბათ მოგვიანებით. თანაც, ვფიქრობდი, გამოცდები აქვს და ხელს შევუშლი-მეთქი. თქვენ ხომ ერთად მეცადინეობთ ხოლმე.

**ირაკლი.** ესე იგი, შენ მხარს მიჭერ!

**გურამ.** რას ჰქვია! ასეთი ვაჟკაცი რომ მომესწარი, მიხარია.

**ირაკლი.** მეც მიხარია, რომ ერთმანეთს გავუგეთ.( დგება, ტელეფონზე რეკავს. დიდხანს უსმენს. მერე ყურმილს დებს და მამის პირდაპირ შეშფოთებული სახით ჯდება.)

**გურამ.** ვისთან რეკავდი?

**ირაკლი.** თეონასთან... უცნაურია, არავინ პასუხობს.

**გურამ.** იქნება შინ არ არიან?

**ირაკლი.** გუშინ და დღეს არსად გამოჩენილა.

**გურამ.** იქნება ავადაა?

**ირაკლი.** მეგობარი მივაგზავნე, ვერაფერი შეიტყო.

**გურამ.** ისინი რა, წინააღმდეგები არიან?

**ირაკლი.** დედამისს და ბებიამისს არაფრის გაგონება არ უნდათ. დედაჩემსაც თავისი აზრი არ დაუმალავს და ეტყობა, ჩემს წინააღმდეგ ამან უფრო განაწყოთ.

**გურამ.** ნამდვილად გადაგრევს ეს ხალხი, ყველაფერს სხვის მაგივრად როგორ წყვეტენ!

**ირაკლი.** (ჩაფიქრებული.) ერთი ეჭვი მაქვს, და თუ ეს გამართლდა, დავიღუპე!

**გურამ.** (ფეხზე წამოიჭრება.) რა ეჭვი, მითხარი, ნუ გერიდება!

**ირაკლი.** ეს მხოლოდ ეჭვია. ღმერთმა ქნას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ასე იყოს... შენთვის ამისი გამხელა ძალიან მიჭირს.

**გურამ.** თუ ასეა...

**ირაკლი.** მე ახლა ეკა დეიდას ვნახავ, მერე თეონასთან უნდა წავიდე.

**გურამ.** რამე რომ გართულდეს, არ დამიმალო, ჯობია ყველაფერი ახლავე გაირკვეს, გაიგე?

**ირაკლი.** არაფრის დამალვას არ ვაპირებ.
(ირაკლი გადის. გურამი ჯდება და გაზეთს იღებს.)

## სურათი მესამე

(მაგიდას უსხედან ეკა, მეგი და ტერეზა.)

**მეგი.** (ტერეზას) სადილი გააწყვე.
(ტერეზა დგება და სცენიდან გადის.)

**ეკა.** ნუ შეწუხდებით, ქალაქში უკვე გეახლით... ჩემთან ხომ არ დაურეკიათ?

**მეგი.** ჯერ-ჯერობით არა. საქმის გარშემო რა ისმის?

**ეკა.** თქვენმა მეუღლემ და მე დღეს იმდენი კაბინეტი შემოვიარეთ, ლამის თავბრუ დამეხვა. კაშხლისა და ჩვენი სანაპიროს გარშემო რაღაც-რაღაცები სცოდნიათ, მაგრამ თავის შეწუხება არავის უცდია.

**მეგი.** და ასე გულარხეინად უყურებდნენ?

**ეკა.** დავექადნე, ასე ადვილად ვერ მომიცილებთ-მეთქი.

**მეგი.** არაფერს შეგპირებიან?

**ეკა.** როგორ არა, მაგრამ მათი დაპირებების ამარა ჩემი მტერი იყოს. ერთადერთ იმედს გურამზელა ვამყარებ. ტელევიზიაშიც მოელაპარაკა, გადაცემის რედაქტორთანაც შემახვედრა. მთავარია საზოგადოებრივი აზრის შექმნა, სანამ მშენებლები შეთანხმდებიან და რაღაც საშუალებას მონახავენ, ვიღაცა ხალხს ამ საგანგაშო მდგომარეობაზე თვითონ უნდა ელაპარაკოს და თქვენ ამ გადაცემისათვის საუკეთესო ვარიანტი ხართო, მითხრა იმან. იქვე, ხელმძღვანელობა შეიკრიბა, სასწრაფოდ მოითათბირეს და სანამ რამეს ვიტყოდი, ჩაწერა ხვალისთვის დანიშნეს.

**მეგი.** რა საინტერესოა?!. არ გეშინიათ?

**ეკა.** იქ ისეთი გასაჭირი გვადგას, შიში რა სახსენებელია. თუ საქმეს რამე ეშველება, უკან დახევა რას მიქვიან.

**მეგი.** (ეკას შესცქერის.) ნამდვილი ოთარაანთ ქვრივი ხართ! ახლაღა ვხვდები, ირაკლი რატომ იყო თქვენით აღტაცებული!

**ეკა.** ეჰ, რა დროის ჩემით აღტაცებაა?! მე თავს ვიცავ. ჩემს ადგილას თქვენც ამგვარად მოიქცეოდით.

**მეგი.** შესაძლოა, მაგრამ მე თქვენებური ცეცხლი მაკლია.

**ეკა.** თავზე საიმედო ქმარი გადგათ და იმიტომ. მარტოდ დარჩენილ ქალებს კი იმდენი საზრუნავი უჩნდებათ?! მით უმეტეს, თუ ყმაწვილქალობაში დაქვრივდნენ... ჯერ ქმრის ნათესავთა შემოტევები და აკრძალვები... მულები ჩემი ქმრის ნივთების დაბრუნებას ამდენი ხნის შემდეგაც მოითხოვენ, გეგონება, მათ ძმას დროებით მივთხოვდი და გარდაცვალებისთანავე მის საკუთრებაზე უფლება ჩამომერთვა... მერე ხელის მთხოვნელთა და მოძალებულ მოარშიყეთა, მერე მეზობელთა, უცნობთა და ნაცნობთა იერიშები... და ამასობაში ისე გამოიკვერები, აუღებელ ციხე-სიმაგრეს ემსგავსები... და ვაი, იმ ქვრივს, ციხის ქონგურებს რომ ჩამოუშლიან!..

**მეგი.** ხომ არიან ისეთებიც, ვისაც დაპყრობა და ძალის გამოყენება სულაც არ სჭირდება?

**ეკა.** რამდენიც გინდა, მაგრამ ისინი მხედველობაში არც მყოლია.
(მეგი დაჟინებით შესცქერის ეკას.)

**მეგი.** მაპატიეთ. თქვენს წინაშე დამნაშავე ვარ.

**ეკა.** ნუ გაგიკვირდებათ და, არცკი მაინტერესებს, ახლა ვის რა ეწყინება, ან რა მოეწონება, მე საქმეზე ვარ აქ და ეს საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო.

**მეგი.** არ გაინტერესებთ, მაინც პატიებას რატომ გთხოვთ?

**ეკა.** მითხარით.

**მეგი.** (ჯერ ყოყმანობს, მერე უეცრად ალაპარაკდება.) აი, მე ოჯახი მაქვს, მყავს მზრუნველი ქმარი, ჩემი ოჯახის გარდა თითქოს არაფერი არ უნდა მაინტერესებდეს...

**ეკა.** გასაგებია. სინდისის ქენჯნა გალაპარაკებთ... მაგრამ უნდა დაგამშვიდოთ. თქვენ ისეთსავე საქმესა ხართ შეჭიდებული, როგორაც მე, ან ნებისმიერი სხვა ქალი. ისე, რომ იცოდეთ, რომ არა ზღვის ახირება, სახლიდან გამოსვლას არც ვიფიქრებდი, მაგრამ როცა დავინახე, რომ ხმის ამოღებას არავინ აპირებდა, ვერ მოვისვენე. დავიწყე სიარული ჯერ მეზობლებში, მერე ქალაქის მმართველობაში და... ბოლოს გულმა აქეთკენ გამომიწია. გაჭირვებამ მაიძულა, თორემ რომელი ჟანა'დ არკი მე ვარ.

**მეგი.** სხვები რატომ არ ამოგიდგნენ?

**ეკა.** ოცი-ოცდაათი წლის წინათ ჩვენს ქუჩაზე, ანუ სანაპიროზე ოცდაშვიდი ოჯახი ცხოვრობდა. ერთმა ამ შვიდი წლის წინ სახლი გაყიდა და სხვა ქალაქში გადავიდა. იმ ქუჩაზე დაბადებულებსა და გაზრდილებს იმ ადგილის დატოვება გვიჭირს, რადგან მასთან წარსული გვაკავშირებს, გვიან დასახლებულებისთვის კი სულერთია, ოღონდაც კი ჭერი მისცენ და, სადაც მიუთითებენ იქ წავლენ. მათ გამოა ასე რომ გვებრძვიან, თქვენ რა ისეთი წითელი კოჭები ხართ, აგერ, რამდენი ვინმე გადადისო... იმას კი არ ფიქრობენ, რომ ზღვა თანდათანობით შემოეჩვევა ქალაქს და უფრო მეტ ადგილს წაართმევს. ჩვენ ამ საერთო დაუდევრობასა და გულგრილობას ვუპირისპირდებით.

**მეგი.** თქვენ და ნოე მარტო დარჩით, არა?

**ეკა.** თავიდან მარტონი ვიყავით. ახლა ბევრი მხარდამჭერი გვყავს. ესაა, ქალაქის ყრუ მმართველობა ვერ დავარწმუნეთ. იმათ ჰგონიათ, რომ მხოლოდ ჩვენი სახლკარის გამო ვწუხვართ.

**მეგი.** ასეც რომ იყოს, განა დასაძრახია?!

**ეკა.** (ჩაფიქრებული.) რა ვიცი!

**მეგი.** მშობლიური კედლების მიტოვება იოლი როდია. ზოგჯერ ისეთი წვრილმანი რამ, რის არსებობასაც საერთოდ ვერ ამჩნევ, ისეთი ძვირფასი ხდება!..

**ეკა.** არ ვიცი, რომელ ერთზე ვილაპარაკო. ის სახლი ხომ წარსულის მოგონებებითაა სავსე. იქ ყველაფერი ჩემი მონდომებითაა მოწყობილი: ბაღჩა, ყვავილნარი, ვენახი, ჭურ-მარანი... ყველაფერ ამას წყლით დაფარულს რომ წარმოვიდგენ, სიკვდილი შვებად მეჩვენება... შარშან ორი მეზობელი გადაასახლეს. სანამ მათ სახლებს დაანგრევდნენ, გადასვლაზე ჯერ კიდევ თანახმა ვიყავი, მაგრამ როცა მანქანები დატვირთეს და ეზოში მიმოყრილ ნივთებს თვალი მოვავლე, თავზარი დამეცა. წინა დღეს ყოველ იმ ნივთს თავისი ადგილი ჰქონდა, ჭირდებოდა პატრონს, ახლა კი ზედმეტი და ყოვლად გამოუსადეგარი ჩანდა... ალბათ, როცა ფესვებს მოგვწყვეტენ და სურვილის საწინააღმდეგოდ სადმე გადაგვისვრიან, უსუსურნი და ზედმეტნი ვხდებით.

**მეგი.** (ეკას გარინდული შეჰყურებს.) ამისი დაშვება არაფრით შეიძლება.

**ეკა.** ამასწინათ ჩვენს ქალაქს უცხოელი მილიონერი ესტუმრა. მთელი უბანი ფეხით შემოიარა, ყველაზე ღარიბი მოსახლის ქოხიც მოინახულა, მისი ჭუჭყიანი საბან-საგებელი განსაკუთრებული ყურადღებით დაათვალიერა, მათ ყოველდღიურ მწირ სადილსაც გემო გაუსინჯა. როცა უცხოელს ჩვენმა წარმომადგენელმა ამ დათვალიერების მიზანზე სიტყვა ჩამოუგდო, იცით იმან რა უპასუხა?.. უძრავ-მოძრავი ქონება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მაქვს დაბანდებული, დედამიწის ნებისმიერი წერტილის ბედ-იღბალზე, მის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ბევრადაა ჩემი ბიზნესი დამოკიდებული და ამის გამო ადამიანთა წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობო... როგორ მოგწონთ, ვიღაცა თავისი ბიზნესის გამო მთელ სამყაროზე ზრუნავს, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები კი მათ ცხვირწინ ყველაფერი რომ ინგრევა, თვალს ხუჭავენ.

(ტერეზა შემოდის. მაგიდაზე თეფშებს ალაგებს.)

**ტერეზა.** სადილი ძალიან დამიგვიანდა.

**მეგი.** რომელი საათია?

**ტერეზა.** ოთხი დაიწყო.

**მეგი.** მოდით, დავიწყოთ, ამასობაში სხვებიც შემოგვიერთდებიან.

**ეკა.** ჩემს გამო ნუ იჩქარებთ. ბატონ გურამს და გოგოებს დავუცადოთ... ირაკლიც, ალბათ მალე მოვა, არა?

**მეგი.** მაგ ბიჭის ამბავს ნუ მკითხავთ. როცა უნდა, მოდის, როცა უნდა, მიდის. თქვენს გამო მაინც დროზე უნდა მოსულიყო.

**ეკა** მის მდგომარეობაში მყოფს არც გაემტყუნება...

**მეგი.** რამე კონკრეტულზე გელაპარაკათ?

**ეკა.** (შეცბება.) ისეთი არაფერი უთქვამს, მაგრამ შეყვარებულების ამბავი ხომ იცით, ხშირად დღე და ღამე ეცვლებათ...

**მეგი.** (უკმაყოფილოდ.) მეც ეგ არ მაგიჟებს?

**ეკა.** მაგათ ასაკში ჩვენც მასე ვიყავით.

**მეგი.** ყოველ შემთხვევაში მე არა.

**ეკა.** თქვენ რა, გარიგებით გათხოვდით?

**მეგი.** არა, მაგრამ...

**ეკა.** ეტყობა, არ გახსოვთ. ადამიანებს ხშირად საკუთარი განცდები ავიწყდებათ.

**მეგი.** არაფერიც დამვიწყნია. უბრალოდ, ბევრ რამეს ვითვალისწინებდი, ვაანალიზებდი...

**ეკა.** ბატონი გურამიც?

**მეგი.** გურამი უფრო დაბნეული იყო, შეეძლო ჩემი ბინის ფანჯრებთან ოცდაოთხი საათი გაშეშებული მდგარიყო.

**ეკა.** ირაკლი ამაშიც მამამისს მგვანებია...

**მეგი.** მართლა?

**ეკა.** დიახ.

**მეგი.** გურამი უფრო ვაჟკაცური ბუნების, მეოცნებე თუ რა ვთქვა, პირდაპირ გამოცხადებული რაინდი იყო.

**ეკა.** ირაკლიც რაინდია, მხოლოდ უფრო თანამედროვე და ამისი მოწმე უამრავჯერ ვყოფილვარ.

(მეგი თავს უკმაყოფილოდ გადააქნევს.)

**მეგი.** მაგას რაინდობაზე წარმოდგენა არცა აქვს.

**ტერეზა.** გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, და აქვს!

(მეგი ტერეზას გაკვირვებით გადახედავს.)

**მეგი.** შენ რა იცი!

**ტერეზა.** ეს თუ არ ვიცი, ამ სახლში უაზროდ დავბერებულვარ.

**მეგი.** აკი, მისით უკმაყოფილო იყავი!

**ტერეზა.** მე ხომ თეონა არა ვარ, რომ წარამარა სიყვარული მიმტკიცოს...

**მეგი.** აი, სეირიც... ასე გამოდის, ამ სახლში ყველაზე ჩამორჩენილი მე ვყოფილვარ! (შესძახებს, წყლის, ჭიქას დასწვდება და ბოლომდე დაცლის. ტერეზა ოთახიდან გადის.)

**ეკა.** საქმე ჩამორჩენილობაში როდია. მგონი არ გჯერათ, რომ თქვენი შვილი კარგა ხანია სრულწლოვანია.

**მეგი.** (ეკას თვალს არიდებს.) ამისი შეგუება ნამდვილად მიჭირს.

**ეკა.** დაფიქრდით, თქვენ ხომ მას ამუხრუჭებთ.

**მეგი.** მე ვამუხრუჭებ? საიდან მოიტანეთ?

**ეკა.** ირაკლი ვაჟკაცობს. თქვენ არ გინახავთ თეონას როგორ დასტრიალებს, მისი გულისთვის რას სჩადის... თქვენი ბიჭისთანა თავაზიანი და გაწონასწორებული ყმაწვილი იშვიათად შემხვედრია.

**მეგი.** დესპოტივით რომ მეპყრობა?

**ეკა.** იმიტომ, რომ ეწინააღმდეგებით. იმის მაგივრად, რომ მასში ქალისადმი სიყვარული აღზარდოთ, აღმაფრენა შეჰმატოთ, ამ გრძნობის ჩაკვლას ცდილობთ...

**მეგი.** იცით, ამასწინათ სააბაზანოში შესულა, უბანავია. ახალი დაბრუნებული ვიყავი. ტერეზა შინ არ იყო. აბაზანა მივალაგე, გავრეცხე და გამოვედი. ირაკლი ამასობაში სადღაც წავიდა. ათი წუთიც არ იყო გასული, გულამოვარდნილი მოვარდა, შეგლიჯა სააბაზანოს კარი, უმალვე გამოვარდა და სად არის, რა უყავიო, დამაცხრა. რა-მეთქი, რას მიქვია რა, ვითომ არ იცი, ძეწკვი, ალბათ ნახე, ახლა კი მიმალავ, რადგან თეონას ნაჩუქარიაო... ვერ წარმოიდგენთ როგორი შეურაცხყოფილი დავრჩი. ხმა არ ამომიღია. სააბაზანოში შევედი და ძებნა დავიწყე. შემოვიდა და ლურსმანზე მიმითითა, აქ დავკიდეო. ქვემოთ რომ დავიხედე, კუთხეში დაგდებული ვერცხლის ძეწკვი შევნიშნე, ეტყობა, შეხსნილა და ჩამოცურებულა. ძეწკვზე თვალი ორივეს ერთდროულად მოგვიხვდა. დაიხარა, აიღო, სარკესთან მივიდა, გაიკეთა, შეტრიალდა და გავიდა. არც ბოდიში, არც რამე სინანული... ტერეზამ აბაზანაზე ჩამომჯდარი მიპოვა. ეს (კარისკენ მიანიშნა.) გულთმისანი ქალია. მაშინვე მიხვდა, რომ ჩემს თავს ფარსაგი რაღაც იყო. მოვუყევი. ხომ ხედავ, ერთი ბეწო ძეწკვის გამო რა ამბავი დაგატეხა და, წინააღმდეგობა რომ გაუწიო, შესაძლოა, შენზე საერთოდ ხელი ჩაიქნიოსო.

**ეკა.** არა მგონია წონასწორობა ასე დაეკარგა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ჯობდა თავის ნებაზე მიგეშვათ.

**მეგი.** ტერეზამაც ასე მითხრა... ამის შემდეგ მის საქმეში როგორ ჩავერეოდი... წარმოგიდგენიათ? (ღიმილით.) ინვალებ, ნემსის ყუნწში გაძვრები, წამოიზრდებიან და მათ საქმეში ჩარევა გეკრძალება.

**ეკა.** რას იზამ, ადამიანის გაჩენიდან ასეა.

**მეგი.** ძნელი შესაგუებელი ყოფილა.

**ეკა.** სხვათა შორის, სკოლაში ბიოლოგიას ვასწავლი... ცხოველებში ეს პროცესი უფრო ჰარმონიულად მიმდინარეობს... ჯობდა, ადამიანებს ზოგ რამეში მათთვის მიგვებაძა....

**მეგი.** ასე გამოდის, მხეცებიც გვჯობიან!

**ეკა.** გვჯობიან და, მეტი არა?

**მეგი.** მერედა, რატომ, ადამიანი ხომ ერთადერთი გონიერი არსებაა?

**ეკა.** ბუნებას დავცილდით, წინაპართა უამრავი გამოცდილება დავივიწყეთ. ისეთ რამეებსა ვართ გამოდევნებული, ჩვენი ერისთვის რომ არაა დამახასიათებელი... მე საერთოდ პროგრესის დიდი მომხრე ვარ, მაგრამ ქალი მამაკაცურ პროფესიას რომ ეჭიდება, ვერაფრით ვეგუები. ამით, ეტყობა, ჩემს პროვინციულ ბუნებას ვავლენ, მაგრამ რა ვქნა, მირჩევნია პროვინციელად დავრჩე, ვიდრე ტრაქტორზე და სატვირთო მანქანებზე მჯდომ ქალებს შევეგუო. მითხარით, ასეთ ქალს როგორ უნდა მოეფეროს მამაკაცი: ჩემო ნაზო ტრაქტორისტოო?.. (მეგი თავშეკავებით იცინის.) მამაკაცების ნაკლებობა რომ იყოს, კი ბატონო, დროებით შეიძლება შეენაცვლონ კიდეც, მაგრამ ხშირად მიფიქრია, ქალები ამგვარ პროფესიას რატომ ირჩევენ?.. ახლახან ერთი გაწლიკული გოგონა ისვენებდა ნოესთან. გავესაუბრე, პროფესია ვკითხე, მეტალურგი ვარო, მიპასუხა (ხმამაღლა ეცინება.) მეტალურგს ფიზიკურად ძლიერ მამაკაცს წარმოვიდგენდი ხოლმე, მარტენის ღუმელთან უზარმაზარი რკინის საჩხრეკი ჯოხით მდგომს, ეს კი ნამდვილი ღლაპი იყო. ქიმიურზე ვერ მოვეწყვე, იქ ჩამრიცხეს, ახლა ლაბორატორიაში ვმუშაობო.კიდევ კარგი, გაუმართლა თურმე. იცით, მჭედელი ქალებიც რომ არსებობენ? (მეგის მხიარულად ეცინება.) ვის რაში ჭირდება ეს? ქალი პირველ რიგში დედა უნდა იყოს და არა რაღაც...

**მეგი.** თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, მაინც არიან ქალები, რომლებიც მამაკაცურ პროფესიაზე ოცნებობენ, ეუფლებიან კიდეც და მამაკაცებს ტოლს არ უდებენ.

**ეკა.** რამდენიც გნებავთ. მაგრამ ოჯახი?.. შვილები?.. თქვენ ასეთ ქალებთან სახლში ნამყოფი ხართ?

**მეგი.** თვითონ არქიტექტორი ვარ.

**ეკა.** მაგიტომაც დაგჭირვებიათ მოსამსახურე... თქვენ, ალბათ, თქვენი ლოგინიც კი წესიერად არ გექნებათ მილაგებული.

**მეგი.** ჩემი ლოგინი სხვას არასოდეს მიულაგებია.

**ეკა.** სახლი?

**მეგი.** როცა სახლში ტერეზა არაა...

**ეკა.** ამ სახლის მოვლას რა უნდა? მე შენ გეტყვი და, იატაკს ყოველდღე არ ხეხავდეთ, თქვენც ახლა ყოველდღე ორმოც სტუმარს არ იღებდეთ.

**მეგი.** არც ეგ გვაკლია ხოლმე.

**ეკა.** ალბათ, იშვიათ შემთხვევაში.

**მეგი.** თავიდან მართლაც ძალიან მიჭირდა. აქეთ სამსახური, იქით ოჯახი, ბავშვები. გამოგიტყდებით, საქმეს ვერ ავუდიოდი, სამუშაო ხშირად სახლში მომქონდა. გურამს მცირე ხელფასი ჰქონდა და ერთმანეთს ვეხიდებოდით. ახლა ვითარება შეიცვალა, გოგონები წამოიზარდნენ, მეც საკეთებელი ბევრი არა მაქვს, მაგრამ ამდენი წლის შემდეგ უკვე საჭირო არა ხარო, რა პირით ვუთხრა ტერეზას, ვინაც ჩვენი ოჯახის ნამდვილი წევრია, ჩემი შვილების ბედს ჩემზე არანაკლებ განიცდის, ირაკლის პერანგებს ავი დედამთილივით

არ მანდობს, გოგოებს მასთან იმდენი საიდუმლო აქვთ, რომ...

**ეკა.** გეტყობათ, ნამეტანი გამინაწყენდით...

**მეგი.** რატომ? საუბარმა მოიტანა, ხომ უნდა იცოდეთ, რომ თავიდან ასეთი უზრუნველყოფილები არ ვყოფილვართ.

**ეკა.** სამაგიეროდ, თქვენი რძალი იქნება უზრუნველყოფილი, სახლში დედამთილი, მამამთილი, მულები, ტერეზა ეყოლება... ეს ხომ ბედნიერებაა!

**მეგი.** გეთანხმებით. ჩემები პატარები რომ იყვნენ, მათი ერთი წუთით დამტოვებელი არავინ მყავდა. ეზოში გამოეფინებოდნენ მეზობლების დედები, დეიდები, მამიდები, ბებიები, და მთელი ღღე დაჰფოფინებდნენ ისეთი ქალების ბავშვებს, რომელთაც საქმე არაფერი ჰქონდათ. მე დარეცხვაც უნდა მომესწრო, სადილის მომზადებაც, ბავშვების მიხედვაც, ნასაკითხიც წამეკითხა, პროფესია რომ არ დამვიწყებოდა, მემუშავა... შემთხვევით ვიპოვე ტერეზა, შიშველ-ტიტველი, ოჯახიდან დათხოვილი, გაუბედურებული ქალი. მგონია, და, ალბათ მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ მან ნამდვილი ოჯახური სითბო ჩვენთან იპოვა. ხუთი წლის წინ ფულის აღებაზე უარი თქვა, პენსია მეძლევა, ისედაც თქვენს კისერზე ვარ და ქირა რატომ უნდა მიხადოთო.

**ეკა.** აკი ას მანეთს მიხდიან, გამონაცვალ სამოსსაც მაძლევენო...

**მეგი.** (სიცილით) განზრახ იტყოდა.

(შემოდის გურამი.)

**გურამ.** ირაკლი არ გამოჩენილა? (ეკა დგება.) ბრძანდებოდეთ, რატომ ნუხდებით. (ეკა ჯდება.)

**მეგი.** ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

**გურამ.** სამსახურში დაგირეკავო, შემპირდა. აქაც ვრეკავდი. ყურმილს რატომ არ იღებთ?

**მეგი.** ტელეფონი დილიდანვე დუმს. ნეტა რაშია საქმე? (დგება და ტელეფონთან მიდის, ყურმილს იღებს და უსმენს.) ჩვეულებრივად მუშაობს (თავისთვის ამბობს, მერე გასასვლელი კარისკენ მიემართება.)

**გურამ.** სად მიდიხარ?

**მეგი.** დოდოსთან გავალ და შევამოწმებ.

**გურამ.** რა საჭიროა, ხომ მუშაობს?.. ჰო, მართლა, კიბეზე რომ ამოვდიოდი, დოდო შემომხვდა, ახლავე დავბრუნდებიო, თქვენთან მეტად საშური საქმე მაქვსო.

(მეგი ჩერდება. გაოცებული სახით გახედავს ქმარს, მერე მაგიდასთან ბრუნდება.)

**მეგი.** ნეტა ასეთი რა საქმე გამოუჩნდა?

**გურამ.** ხომ გითხარი, არ ვიცი. ალბათ, სერიოზული რამაა, თორემ იქვე მეტყოდა.

**მეგი.** (ეკას უხსნის.) კარის მეზობელი, უცნაური შინაბერა ქალია. ძალიან უყვარს ირაკლი. გაგიჟდები, ირაკლის გარდა მასთან საერთო ვერავინ გამონახა, ან როგორ მოძებნიან. მის კარზე ზარს რომ დარეკავ, სათვალთვალოდან გულდასმით შეგათვალიერებს, თუ ისურვა, გაგიღებს, არადა, გაუჩინარდება. კარის გაღება თუ ინება, ფეხსაცმელს გაგახდევინებს, ქეჩაზე შეგაყენებს და თავის არანორმალურად გაკრიალებულ ბინაში შეგასრიალებს, მერე საფუძვლიან დაკითხვას მოგიწყობს, რატომ, რის გამო, რა მოსაზრებით ეწვიე, თან მშრალი ტილოთი წარამარა ავეჯს აპრიალებს და უფლებას თუ მისცემ, შენც გაგაპრიალებს.

(ეკა და მეგი იცინიან.)

**გურამ.** გეყოფა, ქილიკობას შეეშვი. ყველაფერი, ყველაფერი და, წესიერებას ვერ წაართმევ.

**მეგი.** მე მგონი გადაჭარბებული არაფერი მითქვამს.

**გურამ.** ყველაზე ასე ლაპარაკი არ შეიძლება.

**მეგი.** კარგი ბატონო, ვჩუმდები.

(კარზე ზარის ხმა გაისმის. მეგი დგება, მიემართება კარისკენ და აღებს. სცენაზე ტანსრული, ასაკში შესული ქალი შემოდის, თმა უჩვეულოდა აქვს აფოფრილი, ჭყეტელა კაბა აცვია. მაგიდისკენ მიემართება. გურამი დგება და სკამს სთავაზობს.)

**მეგი.** ჩვენი ოჯახის ახლობელია, გაიცანი, (მიმართავს დოდოს.) ჩვენი კარის მეზობელი (მიმართავს ეკას. ქალები ერთმანეთს ეცნობიან, სასიამოვნოაო, ბუტბუტებენ და სხდებიან. დოდო გაფაციცებით ათვალიერებს ოთახს, მაგიდის ირგვლივ მსხდომთ.)

**გურამ.** გნებავს? კაბინეტში გავიდეთ.

**დოდო.** მეგისთან დასამალი რა მაქვს, მაგრამ მირჩევნია, თავიდან შენ გითხრა, შემდეგ კი თუ საჭიროდ ჩათვლი...

**მეგი.** ჩვენ გავალთ.

**დოდო.** როგორი უხერხულია, ჩემს გამო სტუმარი უნდა შეაწუხოთ, ღმერთო, რა უხერხულია!

**მეგი.** არა უშავს, ისაუბრეთ.

(მეგი და ეკა დგებიან და სცენიდან გადიან.)

**დოდო.** გურამ, ძალიან მეუხერხულება, მაგრამ შენთვის რომ არ მომემართა, სხვა გზა არ მქონდა.

**გურამ.** (ღიმილით) ასეთი რა არის?

**დოდო.** ოღონდ შემპირდი, რომ არ გამამხელ, ირაკლის კეთილგანწყობის დაკარგვა არ მინდა.

**გურამ.** როგორ გეკადრება!

**დოდო.** ხომ იცი, შენს აზრს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მიპასუხე, როგორ უნდა მოვქცეულიყავი ირაკლი ჩემთან დახმარებისთვის რომ მოსულიყო, უფლება მქონდა თუ არა, ხელი გამემართა?

**გურამ.** მართალი გითხრა, ამაზე არასოდეს მიფიქრია...

**დოდო.** მე კი მიმაჩნია, რომ ამისი მორალური უფლება მქონდა და მაქვს კიდეც.

**გურამ.** კი, ბატონო... რა სახის იყო ეს დახმარება?

ვალ?.. გელოდები. (პასუხობს, ყურმილს დებს და დოდოს მიუბრუნდება). ირაკლი იყო. მალე მოვალო.

**დოდო.** შენს არყოფნისას რამდენიმეჯერ ფული ისესხა.

**გურამ.** რატომ დედამის არ გამოართვა?

**დოდო.** ყველაზე მეტად ამ შეკითხვის მეშინოდა. ვკითხე, დედაშენს თუ მიმართემეთქი, დარწმუნებული ვარ, არ მომცემს და რა აზრი აქვს, ისევ შენ უნდა მიხსნაო. გურამ, იმ ფულის დაბრუნებას როდი გთხოვ, მეშინია, რამე ცუდ საქმეში არ გაებას... ადრე ცოტ-ცოტას მართმევდა, გუშინწინ კი რვაასი ლარი მთხოვა.

**გურამ.** მიეცი?

**დოდო.** არ უნდა მიმეცა?

**გურამ.** რისთვის მჭირდებაო, არ უთქვამს?

**დოდო.** მაინც ვერ გეტყვი, ოღონდ იცოდე, ამ ფულს ცუდ საქმეს არ მოვახმარო. არავისთან გამამხილოო, მეხვეწა.

**გურამ.** მამასთანაცო?

**დოდო.** მამას თვითონ ვეტყვიო.

**გურამ.** უცნაურია, წუხელის რატომ არაფერი მითხრა?

**დოდო.** არ იფიქრო, რომ შენი ოჯახის საქმეებში ვერეოდე. ირაკლი თვითონ რომ არ მოსულიყო და თეონას შესახებ არ შემოეჩივლა, ეს ამბები აზრადაც არ მომივიდოდა. მივლინებიდან რომ დაბრუნდი, შემოსასვლელში ორჯერ დაგხვდი. მომერიდა. გუშინწინ ირაკლის ვკითხე, ეს ყველაფერი მამამ თუ შეიტყო-მეთქი და, არ ვიციო. შენთან მოსვლა მაშინ გადავწყვიტე. ვწუხვარ, დასმენასავით გამომდის.

**გურამ.** ასეთი უცნაური აზრები საიდან?!

**დოდო.** აქ ჩემზე იმდენ რამეს ყბედობენ, ახლა ეს სახელიღა მაკლდა.

**გურამ.** ვინ რას ყბედობს, სულაც არ მაინტერესებს. სხვათა შორის ამაზე არც შენ არ უნდა წუხდებოდე. ჯობია, ყველამ თავის თავს მიხედოს... ამ შემთხვევაში კი ჩემთან რომ არ მოსულიყავი, საწყენი იქნებოდა.

**დოდო.** თავს ამით ვინუგეშებ.

**გურამ.** რისთვის ჭირდებოდა ეს ფული, არ უთქვამს?

**დოდო.** მეო, ყველაფერს კაპიკ-კაპიკობით დაგიბრუნებო, არ გეგონოს, რამეს შევირჩენდეო.

**გურამ.** ეგღა აკლდა!.. სულ რამდენი იქნება?

**დოდო.** თვითონ იცის. გუშინწინ შემკრთალი ჩანდა. თქვენს იქით გზა არა მაქვსო, უთავბოლოდ ლუღლუღებდა. ეტყობა, მართლაც სხვა გზა არ ჰქონდა, თორემ ასეთი ამაყი ბიჭი ისევ ჩემთან არ მოვიდოდა. ვიფიქრე, ახლა ამან ფულის გულისთვის რამე რომ აიტეხოს, რანაირად უნდა ვიცოცხლო-თქვა. სალაროში ორიოდე გროში მერიცხება, გამოვიტანე და მივეცი. როგორაც გინდათ ისე გამამტყუნეთ, მაგრამ...

**გურამ.** (ღიმილით შეჰყურებს ქალს) მადლობის მაგიერ?

(ტელეფონი რეკავს. გურამი დგება და ყურმილს იღებს, ვიღაცას დუმილით უსმენს.) კარგი, კარგი... სახლში როდის მოხ-

**დოდო.** მალეო? (ადგილიდან წამოიჭრება და დაფაცურდება.) იმედი მაქვს, ისეთს არაფერს ეტყვი, რომ ისევ გაიქცეს. ფულს გარკვეულ დრომდე საერთოდ ნუ ახსენებ, კარგი?

**გურამ.** შევთანხმდით.

**დოდო.** მაშინ მე წავალ. იმათ (კარისკენ უთითებს.) ბოდიში გადაეცი. (ემშვიდობება და გასასვლელისკენ მიემართება.)

(სცენაზე მეგი შემოდის.)

**მეგი.** წავიდა? ნეტა ასეთი საიდუმლო რა ჰქონდა?

**გურამ.** ირაკლის შესახებ ვილაპარაკეთ .

**მეგი.** აჰ, ეგ უთუოდ არნახულ ჭორებს დაახვავებდა!...

**გურამ.** ესე იგი, მეც ჭორიკანა გამოვდივარ... ეს სისულელეები საიდან მოგაქვს, არ ვიცი? ის ქალი ჩვენს შვილზე ისე ზრუნავს, გეგონება, მეზობელი შენა ხარ და ის კიდევ — დედა.

**მეგი.** რაო, რაო?!

**გურამ.** რაო და, ჩემო ძვირფასო, შენ რომ შვილი სახლიდან გაგექცა, უკაპიკოდ დაწანწალებდა და ეს ქალი რომ არა, შესაძლო იყო, სხვის ჯიბეში ხელი ჩაეყო. (მეგი თავჩაღუნული დგას და დუმს.) შეიძლება, შენს ახირებულ აკვიატებათა გამო ორი თვე შვილი რით არსებობდა არ იცოდე? ასეთი ინდეფერენტიზმი საიდანა გაქვს? მეზობელმა ქალმა ჩვენს შვილზე იმდენი რამ იცის, რომ თავი უხერხულად ვიგრძენი. ეს ქალი მასთან ურთიერთობაში გულწრფელია, შენ ებრძვი, აქედანვე დათმობას გინდა მიაჩვიო. ან რაში გამოგადგება ისეთი შვილი, რომელიც ქალის სიყვარულზე ვიღაცის ჩაგონებით უარს იტყვის. შენ რა, შვილი იმისთვის გააჩინე, რომ შენი ხუშტურების მონა იყოს... თუ თავისი თავის პატრონი?

**მეგი.** ყველაფერში დამნაშავე მაინც მე გამოვდექი (ხმადაბლა.)

**გურამ.** მე აქ სასამართლო არა მაქვს.

**მეგი.** კი, კი. თქვენ ყველანი შეუძლებელს მთხოვთ. როგორ მოვიქცე არ ვიცი.

**გურამ.** ცხოვრებას ხელოვნურად ნუ ართულებ, ესაა და ეს.

**მეგი.** მე ვართულებ?.. ჩემი დუმილი საქმეს თუ უშველის, ხმას საერთოდ არ გავიღებ.

**გურამ.** ახლა დუმილისა და კუკუმალობიას დრო აღარ არის, გონიერი მოქმედებაა საჭირო.

**მეგი.** მირჩიე, რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

**გურამ.** როგორ და, შვილს თვითდინებაზე ნუ მიუშვებ.

**მეგი.** ჩემი გაგონება რომ არ უნდა?

**გურამ.** ვისი ბრალია მერე?

**მეგი.** აზრის გამოთქმის უფლება ჩამომართვით?

**გურამ.** არა, მაგრამ აზრის თავისმოხვევას შეეშვი.

**მეგი.** ისე გამოდის, საკუთარი თავი არ მცნობია..

(სცენაზე შემოდის ირაკლი. მეგისკენ მიემართება, კოცნის, მერე გურამის პირდაპირ ჯდება. მეგი შვილს რიდით შეჰყურებს.)

**ირაკლი.** ჩემი შიში გამართლდა. თუ ამ დანაშაულს ხელი ვერ შევუშალე, ორივენი ვიღუპებით! (წამოიძახებს, წამოიჭრება და სცენაზე წრიალს მოჰყვება. მეგი და გურამი გაოცებით შესცქერიან.)

**გურამ.** გასაგებად თქვი, რისი შიში გაწუხებს, შვილო.

(ირაკლი ისევ წრიალებს, მერე ჯდება და გურამს თვალს მიაპყრობს.)

**ირაკლი.** ამ საკითხზე შენთან ცალკე მინდოდა მელაპარაკა, მაგრამ ახლა ვხედავ, დედასთან ამის დამალვას აზრი არა აქვს... ვიღუპები... ჩვენ ვიღუპებით! (განწირულივით წამოიძახებს.)

**მეგი.** ნასვამი ხომ არა ხარ?

**ირაკლი.** ცოტათი, მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს. ამ ამბებს რომ ვუფიქრდები, მეშინია არ გავგიჟდე!.. ყველას პირი ჩემ წინაალმდეგ შეუკრავს, ყველას!.. ოღონდაც თავისას მიაღწიონ და, დანაშაულის გამართლებასაც არ ერიდებიან! მათთვის სულ ერთია, თეონა და მე შევუღლდებით თუ არა, მთავარია თავიანთ მიზანს მიაღწიონ.

**გურამ.** რა ნართაულებით გველაპარაკები. რომელ შიშზე და დანაშაულზე საუბრობ, მე ხომ შეგპირდი, ყველაფერში მხარს დაგიჭერ-მეთქი. ჩანს, შენი ნდობა მაინც ვერ მოვიპოვე.

**ირაკლი.** ამ შემთხვევაში მე თეონას დედას და ბებიას ვგულისხმობ. იცით?.. ჩვენ ბავშვს ველოდებით...

**მეგი.** უკვე?!.. (თავისებური ირონიით ამბობს, მაგრამ მისი რეპლიკა ყურადღების გარეშე რჩება.)

**ირაკლი.** და ისინი ეწინაალმდეგებიან. მთელი კვირაა, მუცლის მოშლაზე ტვინს უხვრეტენ.

**გურამ.** თეონა?..

**ირაკლი.** ვერა და ვერ დაითანხმეს. რამდენიმე დღის წინ შევთანხმდით, რომ გავიპარებოდით, დოდო დეიდას რვაასი ლარი ვესესხე, მაგრამ ორი დღეა თეონა არსად ჩანს და ვაითუ...

(გურამს სახე უმკაცრდება.)

**გურამ.** რა უფლება აქვთ, ასე თვითნებურად მოგვექცნენ. ადექი, მივიდეთ იქ და ყველაფერი ადგილზე გავარკვიოთ.

(ირაკლი წამოიჭრება და მამასთან ერთად სცენას ტოვებს. მეგი ოთახში მარტო რჩება.)

### სურათი მეოთხე

ისმის ზარის ხმა. ტერეზა ცოცხსა და აქანდაზს სცენის კუთხეში დებს და კარისკენ მიემართება. ეკას შემოუძღვება. იგი მაგიდასთან ჯდება. დუმს. ტერეზა მდუმარე ეკას რიდით შეჰყურებს.

**ტერეზა.** ტელევიზიიდან მოდიხართ?

**ეკა.** რკინიგზის სადგურიდან.

**ტერეზა.** ბილეთს ხომ ჩვენც აგილებდით, ან ასეთი საჩქარო რა იყო? (ეკა დუმს.) ჩანერამ როგორ ჩაიარა?

**ეკა.** (ფიქრებიდან გამოერკვევა.) ჩაიშალა. უფრო სწორად, ჩაშალეს.

**ტერეზა.** და თქვენ ასე... წამოხვედით?..

**ეკა.** ვიღაც გასხეპილი გოგო კითხვებს მაყრიდა. მე ვპასუხობდი. ოპერატორი ბიჭი ჟესტებით მამხნევებდა, მაგრამ იქვე ვიღაც ქალი ტრიალებდა და, რას მიედ-მოედებით, ასე როგორ შეიძლებაო, დაგვჩხაოდა.

**ტერეზა.** მოიცათ, თუ ჩაგწერეს, გადაცემა რანაირად ჩაიშალა?

**ეკა.** ჩაწერა რომ დამთავრდა, იმ ქალმა, ტელევიზიის ხელმძღვანელობა ამ მასალის გაშვებას არ დაუშვებსო, გამოგვიცხადა.

**ტერეზა.** ეგ ქალი პასუხისმგებელი პირია?

**ეკა.** ვიცი?.. პროდიუსერი კი დაუძახეს.

**ტერეზა.** უფროსობასთან შეხვედრა რომ მოგეთხოვათ?

**ეკა.** ვცადე, მაგრამ დაცვის თანხლებით შენობიდან გამომაძევეს და ამ საკითხზე აქ მოსვლას ნუ ეცდებითო, გამაფრთხილეს.

**ტერეზა.** გამოდის, თქვენი სახლი განწირულია?

**ეკა.** დიდი ამბავი, ერთი სახლი თუ დაინგრაო, მიკიოდა ის ქალი. იცით მის ხმაში როგორი გულგრილობა გამოსჭვიოდა? ასე მგონია, მთელი ქვეყანა მეწყერმა რომ წალეკოს, არცკი შეკრთება. თქვენნაირმა გულცივმა ადამიანებმა ქვეყანა დაღუპეს-მეთქი. თქვენისთანა გადარეულებმა კი დომხალს დაამსგავსესო — იმან. წარმოგიდგენიათ? ღმერთო, ეს რა დღეში ჩაგვყარეს, მაგისთანა უსულგულოებზეა თურმე ჩვენი ყოფნა-არყოფნა დამოკიდებული.

**ტერეზა.** და თქვენ იმედი დაკარგეთ?

**ეკა.** რას ამბობთ! სანამ ირაკლისნაიები იქნებიან...

**ტერეზა.** ვისნაირები?..

**ეკა.** ირაკლისნაირები. თავის ძმაკაცებთან ერთად მოვარდა. ატყდა ერთი შეხლა-შემოხლა. ამათ გადასალეაბად მეშვიდე არხი გამოჩნდა. საქმე ისე წარიმართა, ვისთანაც

ვიყავი, იმათ ხვეწნა დაგვიწყეს, ზევით ავიდეთ და იქ მოვილაპარაკოთო.

**ტერეზა.** დათანხმდით?

**ეკა.** ამ ამბავს თავიდან ბოლომდე მეშვიდე არხი გააშუქებს, თქვენ დროს გაწელავთ და ყველაფერს დაასამარებთო, უყვირა ირაკლიმ.

**ტერეზა.** მეგი კიდევ, მაგაზე ბავშვი არისო, გაიძახოდა.

**ეკა.** ჰო, მართლა, მეგი არ დაბრუნებულა?

**ტერეზა.** ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

**ეკა.** იცით, საავადმყოფოში რა ამბები დატრიალდა?

**ტერეზა.** რომელში?

**ეკა.** სადაც თეონა დედასა და ბებიას ბავშვის მოსაცილებლად ჰყოლიათ მიყვანილი.

**ტერეზა.** ღმერთო ჩემო!

**ეკა.** უნდა გენახათ, თეონასები რა გაკაპასებულები იყვნენ. ირაკლიმ, ჩემს შვილს რამე რომ დაუშავოთ, იცოდეთ, გიჩივლებთო. თეონას დედა მომდგა, ყველაფერი შენი ბრალია, შენ გვიხლებ ბავშვებსო.

**ტერეზა.** ასეთი რამ როგორ ეკადრება!

**ეკა.** სწორედ რომ ეკადრება! ირაკლის პირდაპირ გამოვუცხადე: თუ ახლა ამ ქალებს, რომლებსაც რატომღაც ქვეყნის ჭიპებად მოაქვთ თავი, ადგილს არ მიუჩენ, დაკაცებას ველარასოდეს ეღირსები-მეთქი. ეს იმათთვისაც არ დამიფარავს.

**ტერეზა.** იმათ რაო? (სიცილით)

**ეკა.** უყურე ამას, ხომ ვამბობდითო, და მომდგნენ, მარა რას მომდგნენ. მეგის სახეზე კმაყოფილი გამომეტყველება, ესეც შენო, ეწერა, ხოლო როცა თეონას დედამ მაკვარანცხი მიწოდა, თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა გაეცინა. გურამმა ისე მკაცრად გაანყვეტინა, მეგის პირი ღია დარჩა, ვითომ ამათთან ეს როგორ მაკადრაო. გულიანად ვიცინე... თეონას დედას კარგი შედარება გამოუვიდა და იმიტომ (ეკა იცინის, ტერეზა ჯერ გაოცებული შეჰყურებს, მერე თავშეკავებულად აჰყვება).

**ტერეზა.** ისე, არ უნდა ეკადრებინა!

**ეკა.** მოგცლიათ ერთი!.. ეგ ზედმეტი სახელი არცთუ ურიგოა — „მაკვარანცხი!"... (ეკა ღიმილით შეჰყურებს ტერეზას, რომელიც შეცბუნებული სახით მისჩერებია სტუმარს და არ იცის, იცინოს თუ იტიროს. ეკა დგება) მე აქ გავილექსე, მალე ისინი დაბრუნდებიან და მეგის მაკვარანცხი აქვე რომ დახვდეს, ადვილი დასაშვებია, ამდენ კულტურულობას ვერ გაუძლოს და რაღაც იკადროს. ამიტომ, ნათქვამია, საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო.

**ტერეზა.** მართლა არ დაელოდებით?

**ეკა.** რომელი საათია?

**ტერეზა.** რვის ოცი წუთი.

**ეკა.** მე მათ უკვე დავემშვიდობე. ორმოც წუთში სადგურზე უნდა ვიყო. ირაკლი და თეონა, ალბათ უკვე მელოდებიან. ახლავე ჩანთას გამოვიტან და...(ტერეზა თვალს ადევნებს, როგორ გადის ის სცენიდან, მერე დგება, ცოცხსა და აქანდაზს იღებს და ოთახს ალაგებს. ეკა ჩანთას ხვნეშა-ხვნეშით მოათრევს. ტერეზა ოთახის დალაგებას თავს ანებებს და ეკას ჩანთას აკვირდება.)

**ტერეზა.** სხვანაირად არ ჩამომართვათ და, მაინტერესებს, ამ ჩანთაში ამსიმძიმე რა გიდევთ. თქვენ ხომ რაღაც ორი დღით ჩამოხვედით.

(ეკა ჩერდება და ჩანთას იატაკზე დებს.)

**ეკა.** ამისი კითხვა უხერხული სულაც არაა... ოცი წელია, სახლი ამდენი ხნით არ დამიტოვებია, მითუმეტეს ახლა, როცა ზღვა წალეკვით ემუქრება. წამოსვლა მეტისმეტად გამიჭირდა... ამიტომ... ოჯახის სურათები იქნება, ახლობელთა წერილები თუ სხვა ჩემთვის ძვირფასი ნივთები, თან წამოვიღე... წამოსვლის წინ რატომღაც ამეკვიატა, ხომ შეიძლება უკან დაბრუნებულს სახლი არც დამხვდეს-მეთქი (ეკა სახემოქუფრული დაჰყურებს ჩანთას.)

**ტერეზა.** თქვენთვის გულის ტკენა სულაც არ მინდოდა ...და, საერთოდ უტაქტობის გამო ბოდიში უნდა მოგიხადოთ...

**ეკა.** კარგი ახლა, ნამეტნავად ნუ ამიჩუყებთ გულს. მოდით, ერთ რამეზე ახლავე შევთანხმდეთ: მაკვარანცხი კარში რომ გავა, რამე მხიარული მუსიკა ჩართეთ და გახალისდით.

**ტერეზა.** მოიცათ, კიბეზე მაინც ჩაგაცილოთ.

**ეკა.** ასე იყოს. (ჩანთას აქეთ-იქით ხელს ჩაჰკიდებენ და კარებში გადიან.)

მხიარული მუსიკის ხმა თავიდან ხმადაბლა ისმის. სცენაზე შუქი ქრება. მუსიკა თანდათან ძლიერდება.



# ქრისტოფ ჰაინი

## ბოზონა ხვლიკით

(დასასრული)

11

„მძიმე ხვედრი გხვდა წილად“, უთხრა გოგონას ხვლიკით. „ის დიდდება და დიდდება, შენ სულ უფრო და უფრო პატარავდები, ბოლოს თვალებიც უნდა უჟუჟუნო მას. შენ, გოგონამ – ხვლიკს! თუ აკოცე, პრინცად რომ ქცეულიყო? მაგრამ, ნაცვლად ამისა, გადიდდა, შენ კი დაილიე“. შესცქეროდა მას და ეჩვენებოდა, რენე დალმანმა სისაძაგლე ჩაიდინა, წმიდათაწმინდა შეურაცხჰყოო. „მისი და ხარ? სძულდი? თუ სძულდი და უყვარდი ერთსა და იმავე დროს“?

ოთახიდან გავიდა და ნამცეცა პირსაბანიან ტუალეტში შევიდა. პირსაბანის თავზე ნამცეცა თარო მიემაგრებინათ კბილის ჯაგრისის, საპარსისა და სავარცხლისათვის. საპარსს დანის პირი მოხსნა და ოთახში დაბრუნდა. „არ მოგეწონება, მაგრამ უნდა გავაკეთო ეს“. სურათის უკანა მხარეზე დაწებებული ქაღალდი ჩარჩოს გასწვრივ გაჭრა. სქელი ოქროსფერი ჩარჩო პატარა ხრახნებით მეორე ჩარჩოზე აღმოჩნდა მიხრახნილი. სწორედ მასზე იყო ტილო გადაჭიმული. სახრახნისით, რომელიც ჩაწყვეტილი კონტაქტის გასარემონტებლად სჭირდებოდა, ხრახნები ამოაძრო. ეშინოდა, სქელი, ოქროსფერი ჩარჩო მაგრად იქნება ტილოზე მიკრულიო, მაგრამ ადვილად შეძლო მისი ჩამოღება.

სურათი კედელზე მიაყუდა, საწოლის გვერდით და მის წინ იატაკზე დაჯდა. მარჯვნივ ქვემოთა კუთხეზე რომ დალმანი ეწერა ბავშვური ხელწერით, D-ს ენერგიულად დაბოლოებული რკალით, ოდნავ ირიბად, არ გაჰკვირვებია, გაუკვირდებოდა, იქ სხვა გვარი ან საერთოდ ავტოგრაფი რომ არ ენახა. ოქროსფერი ჩარჩოსგან გათავისუფლებულ სურათით მოგვრილმა ახალმა შთაბეჭდილებამ გააკვირვა. სულ რამდენიმე დამატებული სანტიმეტრი, ცის დამატებული ნაგლეჯი გოგონას თავზე, მისი იდაყვი, რომლის წვეტს ჩარჩო აღარ ფარავდა, ხვლიკის მთლიანად ხილული სხეული ისეთ თავისუფლებას ანიჭებდა სურათს, ზღვაზე რომ სუნთქავ ხოლმე, როცა ქარს შეიგრძნობ და ზღვის სუნს შეიყნოსავ.

„მამაჩემმა დაგამწყვდია? თუ უკვე იმან, ვისაც მანამდე ეკუთვნოდა სურათი და შეიძლება ჯერ კიდევ ეკუთვნოდეს? ვინ არის ან ვინ იყო ის?“ ჩარჩო დაათვალიერა და შტრასბურგის სამხატვრო სალონის ეტიკეტი იპოვნა.

მატარებელში, მშობლიური ქალაქისკენ მიმავალმა, ბოლომდე ჩაიკითხა რენე დალმანის ბიოგრაფია. 1930 წელს მხატვარი ლიდია დიაკონოვას გასდევნებია პარიზში. ლიდია კაბარეს მომღერალი იყო, პროფესიით ექიმის, ორთოდოქსი ებრაელის ქალიშვილი. ელასტიური, ზღაპრული სილამაზით დაჯილდოებული, რენე დალმანის ხვლიკი, ხვლიკუნია. მისი სათუთი დამოკიდებულება ქალისადმი ბოლომდე უცვლელი დარჩა, რაც მისადმი მიწერილი წერილებიდან ჩანდა. რადგან დალმანი უაქცენტოდ ლაპარაკობდა გერმანულად და გვარიც გერმანული ჰქონდა, გერმანელ მხატვრად მიიღეს. ლუდვიგ იუსტმა კრონპრინცის სასახლეში პატარა დარბაზები მიუჩინა, მაგრამ როცა მისი უხამსი ქუჩური სიკვდილის როკვა 1933 წელს კარლსრუეს გამოფენაზე „მთავრობის ხელოვნება 1918-1933“ წარმოადგინეს, პრობლემები შეექმნა. გერმანიის მთავრობაზე იყო ლაპარაკი? სერია 1928 წელს პარიზში შეიქმნა, მაგრამ ებერჰარდ ჰანფშტაენგელმა დაუხურა დარბაზი, ლიდიას კი ერთ საღამოს ესესელებმა კაბარე მიულეწ-მოულეწეს. 1937 წელს მიუნხენში გამოფენის — „გადაგვარებული ხელოვნება“— გახსნის შემდეგ

დასაწყისი იხ. №1,2/2008

ლიდია და რენე დალმანებმა, რომლებმაც ამასობაში დაქორწინება მოასწრეს, გერმანია დატოვეს და სტრასბურგში გაემგზავრნენ. მიუხედავად იმისა, რომ რენე დალმანს საფრანგეთის მოქალაქეობა ჰქონდა, კვლავ გერმანელ მხატვრად ითვლებოდა და 1938 წელს მონაწილეობა მიიღო ლონდონში მოწყობილ გამოფენაში „Twentieth Century German Art". ამსტერდამსა და პარიზშიც გამოფინეს მისი სურათები, რომლებიც გერმანიის ხელისუფლების ორგანოებს კონფისკაციისა და გაყიდვისგან გადაურჩა და რენე დალმანისგან მისმა კეთილმოსურნე ვაჭრებმა და კოლექციონერებმა შეიძინეს.

გერმანელების სტრასბურგში შესვლის შემდეგ რენე და ლიდია დალმანების ყველა კვალი იკარგება. დარჩნენ ისინი სტრასბურგში თუ არაოკუპირებულ საფრანგეთში გაიქცნენ, ან პორტუგალიის გავლით ამერიკაში გადაიხვეწნენ? – ბიოგრაფი ზუსტ პასუხს ვერ სცემდა, თუმც თითოეულ ამ შესაძლებლობას განიხილავდა, რა მეტყველებდა მათ სასარგებლოდ, და რა საწინააღმდეგოდ. ისინი, ყოველ შემთხვევაში, რასაც ყოველთვის აკეთებდნენ, შეცვლილი გვარებითაც იმასვე გააკეთებდნენ.

1946 წელს ნიუ-იორკში გაიხსნა ვინმე რონ ვალომეს სურათების გამოფენა, რომელშიც წარმოდგენილ კოლექციას ხატვის მანერით ახალ ველურებთან ჰქონდა შეხება, შინაარსით კი დადაისტურ-სიურეალისტურ თემატიკასთან. ხომ არ იყო, როგორც ზოგი კრიტიკოსი ვარაუდობდა, რონ ვალომე იგივე რენე დალმანი? რონ ვალომესაც არ დაუტოვებია სანდო კვალი.

დედის ბინის გასაღები არ ჰქონდა. ტერასებიანი სახლის საფეხურზე ჩამოჯდა, შესასვლელთან. გასცქეროდა ბინებამდე და გარაჟებამდე მიმავალ წვრილი ქვებით მოკირწყლულ გზას, მარადმწვანე ბუჩქებით დაფარულ ფერდობს და ვარდებს შესასვლელი კარების გვერდით. ვარდებით დედა სკვერის სტერილურ ატმოსფეროს ებრძოდა. მამაზე ფიქრობდა. აღმოაჩინა, რომ არაფერი იცოდა მის შესახებ, არც ომის დროს დაბომბვაში მოყოლილი მამის მშობლების, მამის განათლების, მოღვაწეობის შესახებ ომის წინ, ომში და ომის შემდგომ.

## 12

„რას აკეთებდა მამა ომში"? გვერდით ეჯდა ტერასაზე დედას, რომელიც სამუშაოდან დაბრუნებულიყო და ჩაის ამზადებდა. დედამ შორს, სახურავებს მიღმა მიაპყრო მზერა, შემდეგ კი ამოიოხრა: „ახლა დაიწყო".

„არაფერიც არ დაიწყო. გარდაცვლილი მამის გამტყუნებას და დადანაშაულებას არ ვაპირებ. უბრალოდ, მაინტერესებს, როგორ მოხვდა მამასთან რენე დალმანის სურათი, რომლის ზუსტი ფასი არ ვიცი, თუმცა ასიათასამდე უნდა ღირდეს. მინდა ვიცოდე, რატომ იყო სურათი მამის მიერ ასე გასაიდუმლოებული".

„რადგან ეშინოდა, რომ მასში შეეცილებოდნენ. სამხედრო სასამართლოს მრჩეველი იყო სტრასბურგში. გაიგო, რომ სახლის მეპატრონეები, სადაც იგი ცხოვრობდა, ებრაელები იყვნენ ყალბი საბუთებით, დაეხმარა მათ და მადლობის ნიშნად სურათი მიიღო საჩუქრად".

„მამის პრობლემა რაში მდგომარეობდა"?

„ომის შემდეგ მხატვარი და მისი ცოლი გაუჩინარდნენ. ხალხში ჭორები გავრცელდა. მამას ეშინოდა, სახელი გაუტყდებოდა, თუ სურათს გამოაჩენდა. ვის დაარწმუნებდა, რომ საჩუქრად მიიღო იგი".

დედას შეხედა. დედა გვერდით ეჯდა, თუმც მისკენ არ იხედებოდა. „დედა"!

„ჰო", ახლაც არ მოუტრიალებია მისკენ სახე.

„მასთან ერთად იყავი სტრასბურგში? ყველაფრის მოწმე ხარ, თუ შემდეგ გიამბოეს"?

„რა მინდოდა მასთან სტრასბურგში ომის დროს"?

„დაიჯერე მისი მონათხრობი"?

ქალი კვლავ ზურგშექცევით იჯდა. ბიჭი ხედავდა მის პროფილს, რომელიც არც გაღიზიანებას გამოხატავდა, არც გაბრაზებას და არც სევდას. „როცა იგი 1948 წელს ფრანგული ტყვეობიდან დაბრუნდა და კვლავ შევხვდით ერთმანეთს, საქმე სხვაც ბევრი მქონდა, მისი ომის ისტორიებისთვის რომ მომეცალა. რა ამბები არ ჩამოჰქონდა მაშინ ხალხს ომიდან".

„თუ გჯეროდა მისი, ადრე ყოველთვის რატომ ამბობდი ებრაელის გოგოო"?

„გახსოვს ეს"?

ბიჭს არ უპასუხია. „რატომ"?

„ვფიქრობდი, გოგო მხატვრის ქალიშვილია – მეთქი, ისინი კი ებრაელები იყვნენ".

„ეს არ ხსნის შენს ღვარძლს", თავი გააქნია ბიჭმა. „არა, არ გჯეროდა მამის, არ მიიღე მისი მონათხრობი ებრაელთა დახმარების შესახებ. თუ ფიქრობდი, ეს არ არის მთელი ისტორია და გოგოსთან რაღაც ჰქონდა, იძულებით დაიმორჩილა იგიო? იცი, რომ მხატვრის ცოლი იყო"?

ქალს არაფერი უთქვამს.

„რატომ დაკარგა მამამ მოსამართლის ადგილი"? — დედას გადახედა, რომელსაც ნიკაპი წინ წამოეწია და ტუჩები მოეკუმა. მიხვდა, რომ პასუხის გაცემას არ აპირებდა. „უკეთესი იქნება, მის მაშინდელ უფროსს და კოლეგებს ვკითხო? უეჭველად ვიპოვნი ვინმეს, ვინც მიხვდება, რომ მე, მომავალ იურისტს, უფლება მაქვს, ვიცოდე, რა მოხდა".

„ის სამხედრო მოსამართლე იყო, გესმის? სამხედრო მოსამართლე მკაცრი, შეუვალი უნდა ყოფილიყო. როგორ ფიქრობ, მეგობრებს გაიჩენდა"?

„არა, მაგრამ მარტო მოსამართლედ ყოფნისთვის ომის შემდგომ არავინ დაუსჯიათ დისკვალიფიკაციით".

„მას რაღაც დააბრალეს, რაც თუმც სიმართლეს არ შეეფერებოდა, მაგრამ ისე ცუდად ჟღერდა, თავს ვერ ჩაიგდებდა საფრთხეში, თან ჩვენც გვიფრთხილდებოდა".

ბიჭმა დედას შეხედა.

„ერთი ოფიცრისთვის, რომელიც ებრაელებს დამალვაში დაეხმარა, სიკვდილის განაჩენი გამოუტანია. თუ გინდა ყველაფერი იცოდე, ოფიცრისთვის, რომელთანაც მეგობრობდა და რომელიც თავად დაუსმენია."

„ვინც ეს საქმე წამოსწია, მოწმეები იპოვნა თუ მასალები. საქმე პრესაში გახმაურდა"?

„ცენტრალურში, აქაურში არა. აქ იზრუნეს იმაზე, რომ სასწრაფოდ გაექროთ გაზეთების პირველი გვერდებიდან".

ბიჭს შეეძლო მაშინდელი ცენტრალური გაზეთები გადაეთვალიერებინა, ჟურნალისტისთვის მიეგნო, რომელმაც ეს ამბავი გაახმაურა და მასალები ენახა. იქნებ შეძლებდა დაედგინა, სად ცხოვრობდა სტრასბურგში მამამისი, კიდევ ვინ იყვნენ იმ სახლის ბინადარნი, ხომ არ არსებობდა იმ ებრაელთა სიები, რომლებიც სტრასბურგიდან სიკვდილის ბანაკებში გადაგზავნეს? არსებობდნენ რენე დალმანის ნათესავები, რომლებთანაც საუბარი ღირდა?

„რას ამბობდა მამა ამ ბრალდებაზე"? მაგრამ იკითხა თუ არა, მაშინვე დაკარგა მისი ცოდნის სურვილი.

„რომ ის და ოფიცერი და კიდევ სხვა ოფიცერი მრავალ ებრაელს დახმარებიან და რომ ვისაც მან სიკვდილი მიუსაჯა, მსხვერპლად უნდა შეეწირა, რათა ყველა დანარჩენი, უპირველეს ყოვლისა კი, საფრთხეში მყოფი ებრაელები, დაღუპვას გადაერჩინა; საერთოდ, შემთხვევით მოხდა, მას რომ წააყვანინეს სასამართლო პროცესი და განაჩენი გამოატანინეს".

ბიჭს გაეცინა. „მამა ყველაფერს სწორად აკეთებდა, მაგრამ სხვები ვერ უგებდნენ სწორად, ხომ"?

13

დედამ დასაძინებლად ტახტი შესთავაზა. ზურგის ტკივილის გამო ისედაც ხშირად ვწევარ იატაკზეო, მაგრამ ვაჟმა არ მიიღო მისი შეთავაზება. აუტანლად მოეჩვენა ტახტზე დაძინება, იმ სუნსა და ჩაღრმავებაში, დედის სხეულს რომ დაეტოვებინა იქ.

როცა ღამით გაეღვიძა, თითქოს ტახტზე წევსო, ისე ძლიერ იგრძნო დედის სიახლოვე. მისი სუნი ეცა, მისი სუნთქვა ესმოდა, მთვარის შუქზე მის ტანსაცმელს ხედავდა, აკურატულად გადაკიდებულს სკამის ზურგზე, საჯდომსა და საფეხურზე. როცა დედა ძილში გაინძრეოდა და ტახტის კიდისკენ ჩამოცურდებოდა, შუქი ეცემოდა სახეზე და ბიჭი მის თეთრ თმას და მკაცრ ნაკვთებსაც ხედავდა. იცოდა, რომ ოდესღაც ლამაზი ქალი იყო. ერთხელ ფოტოსურათი ნახა, მამას გადაეღო საქორწინო მოგზაურობისას. სურათზე დედა მოჩანდა, ღია ფერის კაბაში გამოწყობილი, ნაზი, გაოცებული და ბედნიერი სახით პარკის ცოცხალ ღობეს შორის მამისკენ მსუბუქი მიხვრა-მოხვრით მიმავალი. ბედნიერი დედა ვერ გაიხსენა. ვერც ის გაიხსენა, ოდესმე სინაზე გამოემჟღავნებინა მამის ან მის მიმართ. ომი იყო ამაში დამნაშავე? სტრასბურგის მოვლენები? მამამ მას ან ვინმე სხვას რაიმე ისეთი გაუკეთა, რისი პატიებაც ვერ შეძლო? მის მიმართ რატომღა იყო ასეთი მკაცრი? მამამისის გამო, მისი შვილი რომ იყო?

სევდა მოეძალა. დედაც შეეცოდა და მამაც. განსაკუთრებით კი საკუთარი თავი. დედის სიახლოვე, მისი ტანსაცმელი, სუნთქვა, სუნი კვლავ არ სიამოვნებდა. რატომ არ შემორჩა ბავშვობის მოგონებას დედური ყურადღება და ალერსი? ეს რომ ყოფილიყო, შეიძლება, მის დღევანდელ სხეულში მაშინდელი შეეცნო და ყვარებოდა.

დილით დედამ საქაღალდე გადასცა. მამას მის შესახებ გამოქვეყნებული სტატიები შეეგროვებინა, ამოეჭრა და თეთრ ფურცლებზე დაეწებებინა. ზემოთა კიდეზე წყარო იყო მითითებული, მარჯვენაზე — ძახილისა და კითხვის ნიშნებით მისი დამოკიდებულება პუბლიკაციებისადმი. უმეტეს შემთხვევაში აქ მოცემული ფაქტების უარყოფა იყო. ზოგჯერ შესწორება, როგორც ხელნაწერის გვერდებს ასწორებენ ხოლმე. ასე, მაგალითად, მას გადაეხაზა მონაცემი მისი ასაკის შესახებ, არეებზე ხაზით მინიშნება გაეკეთებინა და გვერდით სწორი ასაკი მიეწერა. შესწორება შეეტანა მის სამხედრო მოსამართლედ მოღვაწეობის პერიოდში, მის, როგორც მოქმედი ოფიცრის, სამხედრო წოდებებში, შეწყალების მოთხოვნის, უარის მიღების და განაჩენის, რომელიც მან ოფიცერს გამოუტანა, სისრულეში მოყვანის თარიღში. განსაკუთრებით ბევრი კორექტურა ახლდა ერთ დიდ გაზეთის სტატიას. ფურცლები სავსე იყო ბრალდების უარყოფით, რომელიც ბიჭისთვის ნაცნობ საბეჭდ მანქანაზე იყო აკრეფილი. „სწორი არ არის, რომ სტრასბურგში სამხედრო მოსამართლედ მოღვაწეობა 1943 წლის ივლისში დავიწყე, სწორია"... ასე გრძელდებოდა ფურცელ-ფურცელ. „სწორი არ არის, რომ ბრალდებულის ნდობა მოვიპოვე, გამოვტყუე მას ინფორმაცია, თუ როგორ ცდილობდა, გადაერჩინა ებრაელები და ბოროტად გამოვიყენე იგი. სწორია პირიქით. მე ბრალდებულის მცდელობას ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში დახმარება გავუწიე, მოსალოდნელი საშიშროების შესახებაც გავაფრთხილე, შევეცადე, როგორც ის, ასევე ებრაელებიც დამეცვა, სანამ, როგორც მოვალეობის დამრღვევი, თავად არ აღმოვჩნდი დიდი საშიშროების წინაშე. სწორი არ არის, რომ

სიკვდილის განაჩენის გამოტანისას ანგარება მამოძრავებდა და განგებ გადავხარე სამართალი ბრალდებულის საზიანოდ. სწორია პირიქით. მტკიცებულებები და სამართლებრივი მდგომარეობა სხვაგვარი მოქმედების საშუალებას არ მაძლევდა, თუ არა სიკვდილის განაჩენი გამომეტანა ბრალდებულისთვის. არ არის სწორი, თითქოს მე კანონსაწინააღმდეგოდ გავმდიდრდი ებრაელთა ქონებით, განსაკუთრებით მოძრავით, რომლითაც ებრაელები გარბოდნენ ან გაქცევას გეგმავდნენ. რომ მე მათ ჩემდამი ნდობით განვაწყობდი, რათა უკანონოდ მიმეთვისებინა მათი ქონება. სწორია პირიქით, მე არც ებრაელთა ქონების განკარგვის უფლებამოსილება მქონდა და არც მათი ქონებით დაინტერესება მევალებოდა. აქედან გამომდინარე, ვერც ჩემს უფლებამოსილებას და ვერც მოვალეობას გამოვიყენებდი ბოროტად. სწორი არ არის, რომ...“

ქალი უყურებდა, როგორ კითხულობდა მისი ვაჟი. „ცილისწამების უარყოფას იცნობ?“ — ჰკითხა ბიჭმა.

„ჰო“.

„გაზეთმა გამოაქვეყნა? გაგზავნა მამამ გაზეთში?“

„არა, მისმა ადვოკატმა არ ისურვა ეს“.

„შენ, შენ გსურდა“?

„გგონია, მამა მე დამეკითხებოდა“?

„არა, მაგრამ რას ფიქრობ იმაზე, რაც დაწერა? რას იტყოდი, რომ გამოქვეყნებული ყო“?

„რას ვიტყოდი“? მხრები აიჩეჩა დედამ „ყოველი წინადადება ზუსტად ჰქონდა მოფიქრებული. ერთ სიტყვაშიც კი ვერ გამოიჭერდი“.

„პარაგრაფები სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოუწერია. ამოუწერია, რათა ეჩვენებინა, რომ მისი დასჯა არ შეიძლებოდა. შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ისე იკითხება, თითქოს ყველაფერს აღიარებს, მაგრამ დაჟინებით მოითხოვს, არ დაისაჯოს. ისე, როგორც აღიარებ, რომ ვიღაც საკვებით მოწამლე, თუმც კატეგორიულად მოითხოვ, არ დაისაჯო, რადგან დოქტორ ოეტკერის სასწავლო სამზარეულო წიგნის მიხედვით მოქმედებდი. დიახ, ასე იკითხება იგი“.

ქალმა აიღო საქაღალდე, დააწყო ფურცლები მარცხნიდან მარჯვნივ, შეკრა მაგრად და დახურა. „იგი ბოლოს ფრთხილი გახდა. ომში ბევრად მეტი ქაოსი იყო, ვიდრე მას მთელი ცხოვრების მანძილზე შეიძლება დასჭირვებოდა. ომის შემდეგ ფრთხილობდა შენსა და ჩემს გამო. მაშინაც არ კარგავდა სიფრთხილეს, როცა სვამდა. ხომ იცი, მთვრალი ისეთ რამეს ამბობს, რაც არ უნდა თქვას და რისი თქმაც არ სურს. მამას ეს არასდროს გაუკეთებია“.

ისე ჟღერდა, თითქოს დედას ემაყებოდა. ემაყებოდა, რომ მამას მისი და სხვების მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა შეეძლო.

„იმისთვის, რაც დაგიშავა, როდისმე ბოდიში უთხოვია შენთვის“?

„ბოდიში უთხოვია?“, დაიბნა ქალი.

ბიჭმა თავი დაანება. მიხვდა, რომ არაფერს უმალავდა დედა. უბრალოდ, არაფერი იცოდა, რისი ცოდნაც სურდა და ვერც ის გაეგო, რატომ და რა აინტერესებდა.

ქალს მარტო ის უნდოდა, ვაჟიშვილი შეშვებოდა მას და მის ქმარს, როგორც თავად შეეშვა მას. მისი სულის დაჭრილი ადგილი გაქვავებულიყო და დარჩენილი ნაზი, ბედნიერების და სიყვარულისუნარიანი ქსოვილიც ჩაეთრია, შეხორცებულ ჭრილობად ექცია იგი. იქნებ მაშინვე ან დაჭრიდან ცოტა ხნის შემდეგ ჭრილობის განკურნება შეიძლებოდა, მაგრამ ახლა გვიან იყო, გვიან იყო, ისე დიდხანს ცხოვრობდა ჭრილობებით, ტკივილით და სიფრთხილით.

უცებ ბიჭს გაახსენდა, რომ დედა მხოლოდ ახლა არ შეშვებია. რაც თავი ახსოვს, ყოველთვის სურდა, არ შეეწუხებინა შვილს და თვითონაც არ აწუხებდა მას, თითქოს არაფერი ჰქონდა საერთო მასთან, თითქოს ბიჭს ოდესღაც ვაი-უბედურება მოეტანოს მისთვის. „მამამ, როცა მე ჩაგესახე, ძალა იხმარა შენზე? ეს მაშინ მოხდა, როცა სტრასბურგში იყო და უმსგავსო საქმეები ჩაიდინა? როცა რაღაც ჰქონდა ებრაელის ქალთან? შენ ეს სხვებისგან იცოდი და არ გსურდა მასთან ყოფნა. მას კი ფეხებზე ეკიდა, რა იცოდი და რა გსურდა და ძალა იხმარა შენზე? ასე მოვევლინე ქვეყანას? ეს ვერ მაპატიე“?

ქალი თავს აქნევდა უარის ნიშნად. შემდეგ ბიჭმა დაინახა, რომ ტიროდა. ჯერ გაშეშებული და დამუნჯებული იჯდა, მხოლოდ ცრემლები ჩამოსდიოდა ლოყებზე, იქიდან ნიკაპზე, ბოლოს კი — ქვედატანზე. როცა ხელები ცრემლების შესამშრალებლად ასწია, სლუკუნი აუტყდა.

ბიჭი წამოდგა, მიუახლოვდა და შეეცადა მოხვეოდა. გაქვავებულმა და გახევებულმა დედამ არ დაანება მოხვევა. დალაპარაკება სცადა, მაგრამ ამაოდ. მაშინაც არაფერი უთქვამს, როცა შვილი დაემშვიდობა.

14

სახლში დაბრუნდა და თავისი ცხოვრება განაგრძო. როცა ერთ დღეს ბიბლიოთეკარმა მოსწერა, შენს ქალაქში მაქვს საქმეო, შეხვდა მას, გაასეირნა, ავახშმა და შემდეგ თავისთან წაიყვანა. სურათი საწოლის ქვეშ შეაცოცა, მაგრამ მოსვენება დაეკარგა. რა იქნება, შემთხვევით საწოლის ქვეშ რომ შეიხედოს და სურათი აღმოაჩინოს? საწოლი რომ ჩატყდეს და ლეიბი ჩავარდეს? სურათი მოისპობა, და, გარდა ამისა, დალაგებისას ყველაფერი გამომჟღავნდება. რა იქნება, ძილში სურათს რომ დაველაპარაკო? ამას ხომ ხშირად ვაკეთებ ღლისითო. გოგონავ ხვლიკით, ახლა უნდა ვიმეცადინო. და იგი უყვებოდა, რა უნდა ესწავლა; ეკითხებოდა, რა აზრის იყო მის

ტანსაცმელზე, ან საყვედურობდა, დროზე რატომ არ გამაღვიძეო, ან მის ხვედრზე ესაუბრებოდა რენე დალმანთან და მამამისთან. „შენმა მხატვარმა შენი თავი მამაჩემს აჩუქა? თუ მამაჩემმა გამოსძალა შენი თავი მხატვარს, როცა მას შენთან ერთად სურდა გაქცევა? რატომ მაინცდამაინც შენთან ერთად? რა გიყო, გოგონავ ხვლიკით?“

დალმანის მემკვიდრეები მოეძებნა და მათთვის გადაეცა სურათი? მაგრამ მან ხომ არაფერი იცოდა მემკვიდრეებზე. ფულად ექცია იგი და ცხოვრება გაეადვილებინა? ან რაიმე კარგი გაეკეთებინა იმ ფულით? ვალში იყო იმათთან, ვისაც მამამისი უსამართლოდ მოექცა? რადგან იგი მამის უსამართლობით ნახულობდა სარგებელს? მაინც რა იყო ეს სარგებელი? გოგონას რომ უცქერდა და ესაუბრებოდა? საჩუქარი, ბედისწერა?

„რა გამოარკვიე სურათთან დაკავშირებით“? — ჰკითხა ბიბლიოთეკარმა. ლოგინში იწვნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ. „გამოძიებას აღარ ვაგრძელებ“. ისეთი სახე მიიღო, ცოტა ტკივილს, მაგრამ უდარდელობას რომ გამოხატავდა. „ადვოკატთანაც აღარ ვმუშაობ“.

„მანჰეტენში არის, ალბათ, პატარა ბინა, რომლის ბინადარნი დაიხოცნენ და რომელშიც ამ საუკუნის ყველაზე ცნობილი მხატვრის შეუცნობელი სურათი ჰკიდია, ისე, რომ არავინ იცის ეს. ბინადარი ღარიბი და მოხუცი იყო. მის ჭუჭყიან მაგიდაზე ტარაკნები დარბიან, მის ფეხსაცმელს ვირთხები ღრნიან, მის საწოლზე განგსტერი ხვრინავს, რომელსაც ბინა გაუტეხავს და იქ დამკვიდრებულა. ერთ დღეს ატეხილი სროლისას, ბახ, ბახ, გოგონას შუბლს გაუხვრეტს ტყვია, ხვლიკი კი კუდს დაკარგავს. იქნებ ეს მოხუცი თავად რენე დალმანი იყო? ქალი ცოტა ზედმეტს ლაპარაკობდა, მაგრამ ბიჭი სიამოვნებით უგდებდა ყურს. „შეგიძლია პასუხი აგო“?

„რაზე“?

„ყველაფერს რომ ბნელით მოცულს ტოვებ“.

„ვისაც ამის ცოდნა სურს, შეუძლია Sotheby’s ან Christie’s — თან მივიდეს ან ერთ-ერთთან მათ შორის, ვინც რენე დალმანზე დაწერა წიგნები.“

ქალი ჩაეხუტა. „რაღაც-რაღაცეები გისწავლია. ასეა ხომ?“

ბიჭს არ სურდა დაძინება. არ სურდა, ძილში ელაპარაკა. არ სურდა, ქალს გაღვიძებოდა, ტუალეტში შესულიყო, საწოლის ქვეშ ფეხსაცმლის ძებნისას სურათი ეპოვნა... მას არ სურდა... მაგრამ შემდეგ მაინც ჩაეძინა და გაეღვიძა, როცა უკვე ინათა, ქალი ტუალეტიდან დაბრუნდა და საწოლში ისე შეხტა, ბიჭი შეშინდა. მაგრამ საწოლის ბადე არ ჩატეხილა და არც ლეიბი ჩავარდნილა.

„მატარებელი 7 საათსა და 44 წუთზე გადის. უნდა მივუსწრო, 9-ზე რომ ინსტიტუტში ვიყო“.

„მე წაგიყვან“.

ოთახს გახედა, სანამ კარს მიხურავდა და ჩაკეტავდა. შეწუხდა, ეს არ იყო მისი ოთახი. ქალს წიგნებში ეფათურა, ლოგინი გაესისხლიანებინა, პლაჟზე სეირნობისას დაჟანგული ძველი წერილების სასწორი ეპოვნა და აქ მოეტანა, სურათი საწოლის თავზე არ ეკიდა. როცა ბიბლიოთეკარი სადგურზე მიიყვანა და დაემშვიდობა, უკვე ცოტათი დაბნეული და მოუსვენარი, სახლში დაბრუნდა, დაალაგა ყველაფერი. წიგნები თაროში დააბრუნა, თეთრეული გამოცვალა, სურათი საწოლის თავზე დაკიდა და სასწორი კარადაზე ჩემოდნის უკან შემოდო. „დიახ, გოგონავ, ახლა ყველაფერი კვლავ წესრიგშია“.

შუა ოთახში იდგა და წესრიგს ათვალიერებდა. წიგნების წყობა თაროში მას მამის თაროში წიგნების წყობას აგონებდა. ღარიბული სისუფთავე — სისუფთავეს, რომლითაც დედა ოჯახის დაცემას ებრძოდა. გოგონა ხვლიკით ოქროსფერ ჩარჩოში კი არა, ხეზე გადაჭიმული, ისევე დომინირებდა აქ, როგორც იქ, მშობლიურ სახლში და ისევ რჩებოდა განძად, საიდუმლოებად, ფანჯარად სილამაზისა და თავისუფლებისაკენ და, ამავე დროს, თავისშემკავებელ, მაკონტროლებელ ინსტანციად, რომელსაც მსხვერპლი უნდა შეწირვოდა. ცხოვრებაზე ფიქრობდა, რომელიც წინ ჰქონდა.

იმ დღეს არაფერი გაუკეთებია. ერთხანს ქუჩებში დადიოდა, იურიდიული ფაკულტეტის შენობას ჩაუარა, ლუდხანას, სადაც მუშაობდა, სახლს, რომელშიც სტუდენტი გოგონა ცხოვრობდა, ერთ დროს რომ უყვარდა. იცოდა კი, რა იყო სიყვარული?

საღამოს ცოტა ხნით სახლში შეიარა, გაახვია სურათი, ჩარჩო და რამდენიმე გაზეთი ზეწარში, რომელიც საწოლიდან ააძრო და სანაპიროსკენ გაემურა. ახალგაზრდებს ცეცხლი დაენთოთ და ერთობოდნენ. მირბოდა, სანამ უკანასკნელი კოცონი არ მოიტოვა უკან. გაზეთები და ზეწარი მაშინვე დაიწვა, ჩარჩოც. ახლა სურათი ჩააგდო ცეცხლში. ფერები გადნა და ერთმანეთში აირია, გოგონა ძნელად საცნობი გახდა, მაგრამ სანამ სურათი ჩაიწვებოდა, კიდეზე ტილო აიწია და მეორე სურათი გამოჩნდა, რომელიც პირველის ქვეშ იყო ჩარჩოზე გადაჭიმული: უზარმაზარი ხვლიკი, ნამცეცა გოგონა — მხოლოდ წამით მოჰკრა თვალი ნახატს, რომლის გადარჩენა და დევნილობაში წაღება სურდა რენე დალმანს. შემდეგ აბრიალდა ტილო.

როცა ცეცხლი ჩაქრა, ფეხსაცმლის წვერით გაქექა ნაკვერჩხალი. არ დალოდებია მის დაშრეტას და ფერფლად ქცევას. ერთხანს მოწითალო-მოცისფრო ალს შესცქეროდა. შემდეგ კი სახლისკენ გაუყვა გზას.

გერმანულიდან თარგმნა
ბელა სურგულაძემ



პიკასო

# ქართველ მწერლები

## კიდევ ერთხელ პიკასოს შესახებ

ხელოვნების ისტორიაში არის ერთი უჩვეულო სახელი, რომელიც უამრავი აურზაურისა და მრავალჯერადი კამათის საგნად იქცა. ის 1881 წელს, მალაგაში, მხატვრის – ხუან რუისის ოჯახში დაიბადა. ვაჟმა კი დედის — მარია პიკასოს გვარი აირჩია.

პაბლო პიკასო, მადრიდის სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, საფრანგეთში დასახლდა. „პარიზში თავისუფლება ვიგრძენი" – წერდა ის. ეს ქალაქი ყოველთვის იზიდავდა მხატვრებსა და პოეტებს, თითქოს მისი ჰაერი და ყოფა უნებურად, ყველაზე მეტად უწყობდა ხელს თავისუფალ ხელოვანთა აზროვნებას, მათ გამობრწყინებას. ღამე მონმარტრი ზეცასა და მინაზე ანთებულ ვარსკვლავთა ერთობლივი შუქით ბრწყინავდა, რაც განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა პარიზს.

ხელოვანი ხასიათით ნამდვილი ესპანელი იყო; ხოლო, როგორც მხატვარი, გოიასა და ველასკესისგან განსხვავებით, მხოლოდ ფრანგულ კულტურას ეკუთვნოდა.

პიკასო თავისუფალმა შემოქმედებითმა ექსპერიმენტებმა კუბიზმამდე მიიყვანა. ის თავდავიწყებით ეძლეოდა ფორმათა ძიებას. თუმცა ამბობს: „მე არ ვეძებ, მე ვპოულობ". მხატვარს საკუთარი თავის მიმართ რწმენა, ექსპანსიურობა და იმპულსურობა ახასიათებდა; გამოირჩეოდა უდიდესი ენერგიით. ყოველივე ეს მკვეთრად აისახა მის ქმნილებებში.

პიკასოს მხატვრობა რამდენიმე ეტაპად (ცისფერი, ვარდისფერი, მტრედების პერიოდი...) იყოფა. ის ნახატებიც კი, რომლებიც მის კლასიკურ პერიოდს მიეკუთვნება („პოეტის პორტრეტი", „პირველი ზიარება", „ავტოპორტრეტი", „არლეკინი") მუდამ საკამათო იყო. მისი ფორმათა შესრულების მანერა იმდენად მრავალფეროვანი და უჩვეულოა, რომ ამ მხრივ დიდ ყურადღებას იქცევდა. ეს იწვევდა მხატვრობაში მისთვის განკუთვნილი ადგილის შესახებ ურთიერთგამომრიცხველ აზრებს.

30 წელს გადაცილებული მხატვარი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. პიკასოს მხატვრობით ინტერესდებოდნენ: აპოლინერი, არაგონი, ნერუდა, კოქტო, ვერკორი, ელუარი... და უძღვნეს მის შემოქმედებას გამოკვლევები, ვრცელი პოემებიც კი; მიუხედავად ამისა, პიკასოსთვის დაუნდობელი კრიტიკაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო;

პაბლოს მხატვრობაში, ფორმათა ძიების ექსპერიმენტები ალიზიანებდა ჩერჩილს, ტრუმენმა მის შემოქმედებას გარყვნილება უწოდა, ხოლო ჰიტლერმა მუზეუმებიდან ჩამოახსნევინა მხატვრის ნამუშევრები.

ვარდისფერი პერიოდის შემდეგ (1905-06წწ) პიკასო სრულიად ცვლის თავის ხელწერას: ის ეძებს ფორმობრივ ვარიაციებს, მისი ფიგურები კარგავენ სიმრგვალეს. ნახატებში შემოდის ხალისიან ფერთა სიჭრელეც. კუბიზმის პერიოდიდან საგანგებოდ მინდა გამოვარჩიო მისი „გიტარა"(1912), „ხილის ლარნაკი"(1917), „ყვავილების ვაზა"(1943)...

ამ შემოქმედის სახელი აღელვებდა საზოგადოების სხვადასხვა ფენას. ხშირად, მასზე გამოთქმული ურთიერთსაწინააღმდეგო აზრის გამო, ადამიანებს შორის გაჩენილი დაპირისპირება დიდ აჟიოტაჟს იწვევდა; თითქოს



„გერნიკა“

პიკასოს მჩქეფარე და ენერგიული ხასიათი ასეთივე მოზღვავებული მუხტით ავსებდა მის შემფასებელთა განწყობილებებსაც, რაც მათ შორის გამართულ ზღვარსგადასულ კამათში აისახებოდა. დაახლოებით ოთხი ათეული წლის წინ, როცა პიკასოს მიერ გაფორმებული საბალეტო სპექტაკლის („აღლუმი“) დეკორაციები იხილა მაყურებელმა, დარბაზში ხელჩართული ჩხუბი გაიმართა განსხვავებული შეხედულებების მიზეზით. მასზე საუბრობდნენ ყველგან: საგამოფენო დარბაზებში, კაფე-ბარებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტშიც კი.

მხატვრის ენერგია და სიყვარული ფერწერას და ქალებს თანაბრად ეთმობოდა. ხელოვნების გამო არასდროს უთქვამს უარი ამქვეყნიურ ტკბობაზე.. მისი პირველი ცოლი საბალეტო დასის ულამაზესი მოცეკვავე ოლგა ხოხლოვა იყო (1918-1935); ხოლო, მეორედ, 1953 წელს 72 წლის პიკასომ აირჩია 26 წლის ჟაკლინ როკი. მათ თორმეტი წელი გაატარეს ერთად და პიკასოს გარდაცვალებიდან ცამეტი წლის შემდეგ, ქალმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. პიკასოს ათეულობით საყვარელი და ამასთანავე უამრავი მოდელი ჰყავდა გვერდით, რომელთა „შეცნობაც“, როგორც მისი თანამედროვენი იგონებენ, მისთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. „მე ნატურას არ ვხატავ, მე მისი დახმარებით ვხატავო“ — წერს ის; თუმცა სიცოცხლის ბოლო წლებში პიკასოს ნამუშევრები სქესობრივი ლტოლვისა და ეროტიკის აპოლოგიად იქცა. ასეთი თემების მიმართ დაუოკებელი სწრაფვა, ამ საოცრად საინტერესო, ორიგინალური და გამორჩეული მხატვრის ერთგვარ „უსიამოვნო უცნაურობად“ შეიძლება მივიჩნიოთ, მით უფრო, რომ ამ პერიოდის მხატვრობა განსაკუთრებულს ვერაფერს სძენს მის დიდ ხელოვნებას. აქვე უნდა გავიხსენოთ მისი შესანიშნავი ნახატი, რომელიც გარეგნულად, თითქოს, იგივე თემას ეძღვნება ოღონდ, ამ სურათით, პიკასო ზემოთქმულისაგან განსხვავებით, ნამდვილ და სრულყოფილ ფერწერას გვთავაზობს.

1936 წელს ის ქმნის ნახატების სერიას, რომელთა შორისაც გამოირჩევა „დორა და მინოტავრი". დორა მარი პიკასოს საყვარელი ქალი, რამდენიმე წლის განმავლობაში მისი მუზა და ცხოვრების მეგობარი იყო. დორა არაერთგზის ჰყავს მას გამოსახული. მხატვრის მჩქეფარე და მოუსვენარი, მარად ცვალებადი პირადი ცხოვრების ამსახველი ფაქტები, რასაკვირველია, ხშირად ასულდგმულებდა საკუთარ შემოქმედებით სიუჟეტებს.

53 წლის მხატვარმა თითქოს ახალი ენერგია აღმოაჩინა საკუთარ თავში და სიყვარულსა და ხელოვნებას თავდაუზოგავად მიეცა. მისი სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა ძალზე იოლად უძლებდა ამგვარ ყოფას. ამ ორ „დემონთან“ ერთდროულად გამკლავება, სხვა მხატვართაგან განსხვავებით, პიკასოსთვის არ აღმოჩნდა საშიში და დამღუპველი.

ჩვენს მიერ დასახელებულ ნახატზე ორი ფიგურაა: დორა — ქალი და მინოტავრი — ხარისთავიანი სხეული. შიშველი ქალი მდელოზე დაუწვენია მინოტავრს. მდელო მწვანეა. ეს არის ყოფის, არსებობის, მარადიულობის გამომხატველი ფერი. მინოტავრის უკან ფონი მოალისფრო-მოწითალოა. ეს ფე-

რი შერჩეულია გზნების, გულისცემისა და სისხლის აჩქარებული მოძრაობის მისანიშნებლად. შიშველი მინოტავრი ანუ მამაკაცი-ცხოველი თავდაჯერებული მოუთმენლობით დაჰყურებს ქალს. ის მუხლებზე დგას. ერთი ხელით დორას ფეხი უჭირავს, მეორე — მის მკერდთან აქვს. მინოტავრის შიშველი ტანი სქესობრივი აქტისადმი ლტოლვას განასახიერებს. დორას თეთრი, სრული სხეული წინააღმდეგობას და კონტაქტისათვის მზაობას ერთდროულად გამოხატავს. ქალი გახელილი თვალებით შესცქერის მინოტავრს. ის მოშვებული მიგდებულა მდელოზე და ოდნავ კისრისკენ აზიდული მხრები, წინ წამოწეული მკერდი, გაშლილი ფეხები გვაგრძნობინებს, რომ ვნებას აჰყოლია. აქ პიკასო ჯადოქრის სიზუსტით გადმოგვცემს „ვითომ", და, ნახევრად ნაძალადევი ინტიმური ურთიერთობის იმ მხარეს, როცა ძლიერი ენერგია აუცილებლად აღწევს შედეგს; ხოლო „მსხვერპლი", თითქოს საკუთარი ლოგიკისა და სურვილის საწინააღმდეგოდ, თავის „გადარჩენის ნიშნად" ემორჩილება არსებულ ფაქტს. ნახატზე, ქალისა და მამაკაცის ურთიერთსაწინააღმდეგო სახასიათო ნიშნის, ერთმანეთის მიმართ მიზიდულობის უცვლელი კანონის



ყვავილების ვაზა

ერთ-ერთი ინტერპრეტაციაა გამოსახული.

პიკასო აღწევს ფუნქცით მოგვითხროს ის სიუჟეტი, რომელიც მან მოამზადა და არ გვაძლევს ფანტაზიის საშუალებას. ის, ამგვარი თემის შემოთავაზების დროსაც ხშირად იმარჯვებს.

მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების ნაირსახოვანი ამპლიტუდები მეტყველებს იმაზე, რომ ამგვარი ექსპანსიური ნამუშევრების გვერდით, მის მხატვრობაში, მრავლად არის უნაზესი თემები; სადაც, სიმშვიდის მოპოვებისა და სიბრძნის წვდომის შედეგი, ამქვეყნიურ სიამეთა უკიდურესი უარყოფაც გვხვდება. მოვიგონოთ სურათი „ორი და" (შეხვედრა).

მხატვარი ამჯერად რელიგიურ სიუჟეტს დასტრიალებს. ორი ქალი შეხვედრია ერთმანეთს. მათი თალხი სამოსი და თავსაბურავები კისრიდან ფეხის კოჭებამდე ფარავს ფიგურებს. მონაზვნებს თავები ერთმანეთისკენ მიუპყრიათ. მოუჩანთ მხოლოდ სახეები, შიშველი ხელის მტევნები და ფეხის ტერფები. ფონიც ბინდისფერია. ირგვლივ საოცარი სიმშვიდე სუფევს. ერთ დას თვალები დაუხუჭავს და საკუთარ ფიქრებს ჩაღრმავებია. მეგობრები არც კი საუბრობენ. ისედაც ნათელია მათთვის ყოველი. ნახატზე საგრძნობია, რომ ეს ხანმოკლე სიამოვნება ერთად და ერთმანეთის გვერდით ყოფნა, მონაზვნები-

ხილის ვაზა



სათვის ამქვეყნიურ სურვილებთან დამაკავშირებელი უმნიშვნელო ბილიკია. როდესაც ნახატს აკვირდები სევდა გეუფლება; ხვდები, რომ ეს უსიხარულო შეყრა ის "მაქსიმუმია", რაც დებს ჯერ კიდევ შერჩენიათ მიწიერი ყოფიდან. მხატვართან ერთად განიცდი მათ უჩინარ (ოღონდ, არა უფლისთვის) ყოფას. ეს არის მეგობრული და არა საქმიანი შეხვედრა; რაც გვაგრძნობინებს, რომ ჩვენ ადამიანებთან გვაქვს საქმე და არა უხორცო წმინდანებთან. ამიტომაც არის დასაფასებელი ის ღვაწლი, რაც მათ სულის გადასარჩენად, წუთისოფლის სიამეთა უარყოფით უტვირთავთ. ფიგურების სახეთა გამომეტყველება გვაგრძნობინებს, რომ მათთვის ტრაგიკული განცდები ჯერ კიდევ არ არის უცხო და საბოლოო სიმშვიდემდე მისასვლელი გზა ისევ გრძელდება.

ნახატში დების სახეებზე კოსმიური სამყაროს შეცნობის სურვილია ასახული. პიკასო ახერხებს ჩასწვდეს ცოდნაზე დამყარებულ სიმშვიდეს, ადამიანის სულის მოძრაობას; ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად მხატვრის ექსპანსიური და ცვალებადი ცხოვრების წესისა, მას აქვს უნარი აღიაროს დიად ფასეულობებზე დაფიქრებულ კაცთა უპირატესობა; პიკასო აფასებს ყველაფერს, რასაც ადამიანის გული შეუპყრია და სულით-ხორცამდე შეუძრავს. ის მაქსიმალისტია და არ ცნობს სანახევრო სურვილებს, სანახევრო ქმედებებს.

შემომქმედი ხშირად უტრიალებდა შემდეგ თემებს: დედა-შვილობა, ომი, უბრალოების ხიბლი, მხატვრის ტრაგედია... უყვარდა ზოგიერთი მითოლოგიური გმირის, აგრეთვე ხართა ბრძოლების, მტრედების ხატვა.

პიკასოსთვის მტრედი ფრინველი კი არა,

მტრედი





ორი და

საკუთარი შემოქმედების თანამგზავრი იყო.

მხატვარი სამუშაოდ იყენებდა ყველანაირ მასალას: ქაღალდს, ტილოს, ცარიელ კოლოფებს, ფანერას, კედელს... ის ვერ იტანდა მოუხატავ სივრცეს. სახელოსნოში საღებავები მთებივით აზიდულიყო. „ახალგაზრდობაში ფული არ მქონდა და საღებავებს ვერ ვყიდულობდი; ამიტომ ახლა, მრავლად მოვიმარაგე უამრავი რაოდენობით, რომ მთელი ცხოვრება მეყოსო" — უთხრა ერთ გაოცებულ სტუმარს. სახელოსნოში უამრავი სხვადასხვა ყოფითი ნივთი ჰქონდა: ძველისძველი ქამარი, მავთული, თმის სარჭი, ქილა, გალია... არეულობა მას არ აღიზიანებდა, თუმცა ირგვლივ დასაჯდომი ადგილიც ძნელად მოიძებნებოდა. მაგიდებზე — გრავიურები, მოლბერტებზე — სხვადასხვა დროს დაწყებული ნახატები, ძირს დაყრილი, წიგნებისთვის შექმნილი ილუსტრაციების ნიმუშები... მისთვის ჩვეულებრივი გარემო იყო. პიკასო სამოცდაათ წელს გადაცილებულიც თავდაუზოგავად შრომობდა. ის 1973 წელს გარდაიცვალა და დატოვა უამრავი შესანიშნავი ნახატი.

„მე არ მაინტერესებს თვალით დანახული გარემო, ვხატავ სამყაროზე ჩემი აზროვნებისა და ფიქრების შედეგს" — ამბობდა საკუთარ შემოქმედებაზე.



ლეონარდო და ვინჩი

რეზო ადამია

# „ჯოკონდა“ — ნისლმოფენილი სახე სამყაროსი

ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდასთან“ რომ წარსდგებით, მაშინვე სურათის იდუმალი, კოსმიური, ღრმა განწყობილების წინაშე აღმოჩნდებით. აღელვებულს, აღფრთოვანებულს და აღტაცებულს ტანში ჟრუანტელი გივლის, უცხო სულიერი ფორმით გახელებული ადამიანი შენს თავს არ ეკუთვნი. „ჯოკონდა“ ნებისმიერ დროში ხილვისას საწყისი წუთებიდანვე უცაბედად ანთებულ ვარსკვლავად შემოდის შენში. მისი ღიმილნარევი სახის განწყობილება, მოწმენდილ ცაზე მზის ამოსვლასავით უცნაურად გეპარება. ვუმზერ, დიდი მხატვრების: ტიციანის, ვერონეზეს, ტინტორენტოს, პაოლო უჩელოს, პიერო დელა ფრანჩესკოს და მრავალ სხვათა მეგობრულ გარემოცვაშია ის — მიდიხარ, ვითომ, ჩვეულებრივ შედევრთან, მაგრამ დროთა ჟამში, მისი საოცარი მხატვრული ზეძალა ნელ-ნელა გიზიდავს. „ჯოკონდასთან“ ნახევარსაათიანი გამთლიანებისას, თითქოსდა, აღქმის ბოლო შესაძლებლობას ამოწურავ, ხის მოაჯირზე ხელებს მორჩილად დააწყობ და მონუსხული მოთმინებით უყურებ და იწყება სიღრმისეული „ჯოკონდა“, შენს წინ სასწაულებრივად ამოდის და იბადება კოსმიური ბურუსიდან, სამყაროს და შორეული გალაქტიკების ნისლიდან. „ჯოკონდა“ კოსმიური ნისლი და ფიქრია უსასრულო სამყაროსი. „ჯოკონდაში“, ტექნიკური და მხატვრული შესრულების ხერხებიდან გამომდინარე, არ კითხულობ მძაფრსა თუ მკვეთრ ხაზებს, ფერთა ინტენსიურ გამას, დინამიურ ლაქებს, მძიმე ან გადამეტებულ მძლავრ ფორმებს. სულ სხვა სახის მაღალმხატვრული იდუმალი მოძრაობაა აქ თავმოყრილი. შეუმჩნევლად, ამომავალ მზესავით, ნელ-ნელა იხსნება შენში, ღრმადმორწმუნე ადამიანში, როგორც ღმერთია ჩასახული; ასევე ჯოკონდაც — ნებისმიერი ეროვნების და სარწმუნოების ადამიანშია გათავისებული; ჯოკონდა პირველი დანახვისთანავე შთამბეჭდავად გიმზერს და ძალიან ღრმა და მკურნალი ღიმილით გეგებება. სურათული მზერა კი სულ სხვაა ჯოკონდასი: თითქოსდა უცნაურად გარინდულაო (ეს ხომ ყველა შედევრისთვის დამახასიათებელი თვისებაა), თვალდაუხრელი გიყურებს ჯიუტად და უდიდესი ძალისხმევით გიპყრობს თავისი კოსმიური ზემოქმედებით. აგრე ცქერით შენს სულს გახვრეტს და ლაზერის სხივივით გაივლის, მერმე გონებას ეტაკება და დაწყობილსა და საღ აზროვნებას მიგიფანტ-მოგიფანტავს, ვგრძნობ, წივილით თავის ქალიდანაც გააღწია.

ლეონარდოს პორტრეტულ სურათში კლასიკური ფერწერის უსაზღვრო შესაძლებლობებით მიღწეულია უფაქიზესი და უნაზესი ტონალური ნიუანსების არნახული გარდამავლობა. როდის და როგორ დაიწყო, როდის და რა დროს დაამთავრა ავტორმა სურათი, ყოველივე ეს ქვეყნიერების გაჩენასავითაა გასაიდუმლოებული. სულ შეკუმშული უმზერ ჯოკონდას და დროთა სვლაში გრძნობ, ადამიანურ თუ ღვთიურ სუნთქვას იწყებს პორტრეტი. ის სუნთქავს უხილავი კოსმოსის უწმინდესი გულმკერდით. კოსმიური, ბურუსიდან და უფლისმიერი ბუნებიდან მოჟონავს მისი ზეადამიანური სასწაულმოქმედება. ყოვლის მფარველი უფლის სახება და ყოველგვარი ღვთიური თვისებებია ჯოკონდაში გაცოცხლებული. ხაზი, ფორმა, ფერი, მხოლოდ დიადი მხატვრულობის შემდეგ

იკითხება, მაგრამ ძალიან უმნიშვნელოდ. სურათის ურთულესი ტექნიკური მხარე უსასრულო მხატვრულ სიმაღლეთა წარმოსახვის სრულ სამსახურშია ჩაყენებული... პორტრეტი, თითქოსდა, ცისარტყელასავით წარმტაცი, ამავე დროს მიუკარები, ხელშეუხებელი და საკვირველად შორეულია. მილიონობით წელი იმეცადინა და ილვაწა ადამიანმა, რათა მისი შემოქმედებითი შეგნება და აზროვნება ჯოკონდამდე მისულიყო. უხილავი სულის სისპეტაკე ყოველგვარ წარმოდგენაზე უფრო მკვეთრადაა ხაზგასმული და ღმერთამდეა გათანაბრებული.

ჯოკონდა კაცობრიობის სასწაულმოქმედი, სულის ხატია...

რამდენიმე ათასი წელიწადი ისევ დასჭირდებათ ჩვენი პლანეტის მხატვრებს, ჯოკონდას შემოქმედებითი დონე რომ განავითარონ, ლეონარდოს ოცი ან მეტი წელიწადი ჯანსაღად კიდევ რომ ეცოცხლა , ის უთუოდ განავითარებდა ჯოკონდას. თუ როგორ, აქ ჩვენ სახვით წარმოდგენაშიც სუსტნი ვართ. უდიდესი შუალედები არსებობდა ვენერა მილოსელიდან, ფიდიასის ქმნილებებიდან და ნიკეას ქანდაკებების სასწაულმოქმედებიდან და იყო დროის იდუმალი შუალედი ჯოკონდამდე, ასევე უძველესი მუსიკიდან — ლუდვიგ ბეთჰოვენამდე. ბეთჰოვენიდან კი, კლასიკური მუსიკის წარმოუდგენელი განვითარება რომ მივიღოთ, ალბათ, ძალიან დიდი შემოქმედებითი შუალედია საჭირო. უპირველესად, შექმნილ შედევრებთან კაცობრიობის სულიერი გამთლიანებაა საჭირო, უნდა მოხდეს თაობების, გონების და სულის შთანთქმა მათში და ამ შედევრების სულიერი და მხატვრულ მიღწევათა ნაყოფის ჩასახვა. მხოლოდ კაცობრიობის უკვდავი და უწყვეტი გენის ახლებურ განვითარებაში მოქცევის მერმე აღმოცენდება ხელოვნების და ცივილიზაციის შესატყვისი საოცრებანი. თავის დროზე, ამდაგვარმა პროცესმა შვა მიქელანჯელოს ქანდაკება, „დავითი“ და „მიჯაჭვული მონები“. ამ გასაოცარ ქმნილებებში ქვაში დაუტევადი სული და ზეძალაა შესისხლხორცებული. მათში ქვის ფაქტურას და წონას ვერა გრძნობ, აქ მხოლოდ ქანდაკების ღვთიური თვისებებია აფეთქებული. იგი მხატვრის გენიის სულის აწყვეტის, გახელების და ზღვარსგადაცილებული შემოქმედებითი თავისუფლების კულმინაციაა.

პარიზი, მხატვართა საერთაშორისო ცენტრი, 84.01 ატელიე, ღამის თორმეტი საათია, მარტო ვარ და მოუსვენრობა მაწუხებს, ღვთისგან გამეტებულივით ვბორგავ და მწვავედ მაწვალებს უსაშველო ფიქრი „ჯოკონდაზე:“ ო, როგორ მარტოდმარტოა „ჯოკონდა“ ამ კოსმიურ უკიდეგანო სივრცეში... ის ყველა სურათზე და ხელოვნების ნებისმიერ ნიმუშზე თუ მრავალი მიმართულების ფილოსოფიურ აზროვნებაზე მაღლა მდგომია. თავისი სიმაღლიდან გამომდინარე განდეგილი და მარტოხელა. ჩვენი პლანეტის კოსმიური ტყვე... სამყაროდანაც უჩვეულოდ გამოყოფილი. მაგრამ, ამავე დროს, თავისთავად იმდენად ძლიერია, სამყაროს გალაქტიკების უსასრულობაში გრანიტის გრანდიოზული კუნძულივითაა ჩაკირული...

მოზომილი და მობილიზებული გრძნობით და გონებით უნდა მიხვიდე ჯოკონდასთან. წინასწარ შინაგანად ყოველმხრივ უნდა გამაგრდე, რათა გაუძლო მის უდიდეს ზეგავლენას, თუ არადა, მოსალოდნელია, სულიერად და მორალურად მიგანგრიოს. ჯოკონდას ჯადო, ზეგავლენა უთუოდ კურნავს ყოველგვარ კოსმიურ სივრცეს. ეს სამყაროსეული პატარა ზომის სასწაულებრივი სამკაული ზეციური მაღალი ნდობის აღჭურვილობით მობარებულია ჩვენს პლანეტაზე. მისგან დედამიწა უსაშველოდ დამძიმებულია და სულიერად დაფეხმძიმებული. სურათი „ჯოკონდა“ ყოველგვარ ადამიანურ შურზე მაღლა დგას. ჯოკონდასავით მეც დავხატავდი, წარსულის გენიოსები ამის თქმას არც კი გაიელვებდნენ თავში და მომავალშიც დიდი ხნის განმავლობაში არ იტყვიან, ალბათ...

„ჯოკონდას“ სამყაროს — უსასრულო გალაქტიკების და ჩვენი მზის სისტემის ჩაუქრობელი და რენტგენული გამოსხივების უხილავი ცეცხლი უკიდია...

მიქელანჯელო და ლეონარდო და ვინჩი მონათესავე, თითქმის განუყოფელი სულის შემოქმედიებითი ქარბორბალაა, საერთოდ, ორთავე ტიტანი სულის პოტენციის და მისი შესაძლებლობის უხილავი პორტრეტებია და ზესაგნობრივი გამოსახულების მეშვეობით, კოსმიურ ლეგენდარულ მდინარედ უსასრულოდ მოედინება...

წლების განმავლობაში პარიზში, სახელგანთქმული ლუვრის მუზეუმის დათვალიერებისას, ჯოკონდას წინ გაოგნებული და გაკვირვებული ვიდექი ხოლმე. ძალიან ხშირად გავურბოდი კიდევაც მას. ამდაგვარ სიტუაციაში მყოფს ჩემი თავისაც მრცხვენოდა. მერმე ამეკვიატებოდა კითხვა: რატომ მოგდის ასე? კი მაგრამ, რაშია საქმე?! შემდეგ, ვერონეზეს, ტიციანის, რაფაელის და ბოტიჩელის სურათების წინ დგომა და ურთიერთობა მიმავიწყებდა ხოლმე ჩემს ამდაგვარ უცნაურ ხასიათგანწყობილებას.

ქალაქ მოსკოვში, 1972 თუ 1973 წლებში ხელოვნების სფეროში დიდი საოცრება-მოვლენა მოხდა, პარიზის, ლუვრის მუზეუმიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამობრძანებულ და ექსპონირებულ იქნა ლეონარდო და ვინჩის ფერწერული შედევრი, „ჯოკონდა“. საბჭოთა კავშირის მაშინდელ საზოგადოებას მხოლოდ ეს სიახლე ალაპარაკებდა: ლეონარდოს „ჯოკონდა“, გამოფენილია მოსკოვში, პუშკინის სახელობის მუზეუმშიო; იმ პერიოდში, თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში უფროს მეცნიერ მუშაკად ვმუშაობდი. მუზეუმის დირექტორს, ბატონ შალვა ამირანაშვილს ვთხოვე, მივლინებით გავეშვი მოსკოვში. მთავარი მიზეზიც მოვახსენე და შემისრულა თხოვნა. როგორც იქნა, მიზანს მივაღწიე და რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვში აღმოვჩნდი. მაშინვე ვიქირავე პატარა ოთახი და დილის საათებშივე ვეწვიე პუშკინის სახელობის დასავლეთ ევროპის ხელოვნების მუზეუმს. უზარმაზარი იმპერიის ყოველი კუთხიდან ჩამოსული ხალხის რიგი იდგა, ბოლო არ უჩანდა. მუზეუმის მოსამსახურეთა შესასვლელიდან შევედი, მხატვართა კავშირის წევრობის წიგნაკით გასუსული და საოცრების ხილვის მომლოდინე დამთავლიერებლები ნელა შევდიოდით ვიწრო დერეფნით. კედელზე თანმიმდევრობით ექსპონირებულიყო სხვადასხვა პერიოდის ცნობილი ავტორების კლასიკური მიმდინარეობის პორტრეტული სურათ-შედევრები. ერთმანეთს მივყვებით შინაგანად დაძაბულნი და უცბად მზის ამოსვლასავით გამოჩნდა „ჯოკონდა“, სახილველად საოცრება. პორტრეტის გვერდით, ერთ მხარეს ავტომატიანი სამხედრო დაცვა იდგა, მეორე მხარეს კი, ულამაზესი, ტანასხეპილი რუსი გოგონა და ყოველ წუთს ერთი და იგივე თვინიერი სიტყვებით მიმართავდა ხალხს: გაიარეთ გეთაყვა! ჩემო თავო, ბედი არ გინდა? ამდენი წვალების შემდეგ ძლივსძლივობით მოსკოვში ჩამოვაღწიე და ეხლა მეუბნებიან, ნუ გაჩერდებით, გაიარეთ გეთაყვა. მაშინათვე ამ ზედამხედველ გოგონასთან მივედი და მორიდებით ვეუბნები: უნდა დამეხმაროთ, ქალიშვილო. მიბრუნებს კითხვას — რითი? ორი ათას ხუთასი კილომეტრი გამოვიარე, რათა სასწაული ჯოკონდა ნორმალურად მენახა, თანაც პროფესიით მხატვარ-ფერმწერი გახლავართ. უცბად გამიგო მშვენიერმა ასულმა და მითხრა: რამდენ ხანსაც გინდათ, ჩემს გვერდით იდექით... და იყო ჩემი უზომო აღმაფრენა. ვდგავარ, ვუმზერ და ჯოკონდა მოძრაობს, ამასობაში მისმა უნაზესმა, მზესავით ნათელმა გულმკერდმა სუნთქვა დაიწყო. ეს უმშვენიერესი სურათ-არსება დემონად მეტაკა (უფრო მე შევხვდი, ალბათ, მას დემონური მიდრეკილებით). გადის დრო და ვგრძნობ, თავი უშნოდ ამტკივდა, ნერვები ამიწიოკდა, აზროვნება აირია. ზედამხედველს მადლობა გადავუხადე და აფორიაქებულმა დავტოვე იქურობა, მუზეუმის წინა კარებიდან გავედი და სვეტებიანი აივნის ფასადზე მოვხვდი, სადაც ოგიუსტ როდენის „მიმავალი მამაკაცის“ ქანდაკება დგას. აქ მაგიდა და სკამებიც დაუდგამთ: დავჯექი და დავისვენე. ჩემს ირგვლივ სამი თუ ოთხი მილიციელი ტრიალებს. ერთ-ერთ მაღალ ჩინოსანთან მივედი, წითელ თუმნიანს ვაძლევ და თხოვნით ვეუბნები, ჯოკონდასთან ისევ გამატარე-მეთქი. კი, კაცოო, მითხრა და რამდენიმე წუთში ისევ „ჯოკონდასთან“ აღმოვჩნდი. ის ზედამხედველი გოგონა თავის ადგილზე იდგა, გაეღიმა და თითით მანიშნა, აქ დადექიო. ასე განმეორდა სამჯერ. მილიციელს კი უკვირდა ჩემი უცნაური მოქმედება. ბოლოს გაოგნებულმა და ნერვიულად მძიმედ აღტყინებულმა, ქვასავით დამძიმებული თავი მაგიდაზე ჩამოვდე და დამეწყო კრიზისული თავბრუსხვევები სრულიად ჯანმრთელ კაცს. ფულს არ გამოგართმევ მეგობარო და ისევ გაგიშვებო. დაბნეულმა და გონებაამღვრეულმა მადლობა გადავუხადე უკვე მეყოფა, უფროსო, მეტი არ შემიძლია-მეთქი... ჩემი მილიციელი გაღიმებული და გაკვირვებული მიყურებდა. იმ უცნაური და უმძიმესი შინაარსის წუთებიდან ვერ ვიტანდი იქურობას, დიდი სურვილი გამიჩნდა, გავცლოდი მუზეუმის ტერიტორიას და ვგრძნობდი, გონებრივი ხედვის და აზროვნების მასშტაბი საშინლად დამიპატარავდა. ეს ფიზიოლოგიური მოვლენა ცუდის მიმანიშნებელი იყო. რეალურად ვხედავდი, რომ „ჯოკონდას“ უდანაშაულო მსხვერპლი ვხდებოდი და იმ საათებიდან სასტიკად ვერ ვიტანდი მოსკოვსაც. მოსკოვიდან გაქცევა გადავწყვიტე და იმავე საღამოს, მოსკოვ-ლენინგრადის ჩქაროსნულ მატარებელში აღმოვჩნდი. მგზავრობისას მთელი ღამე ვიწრო საწოლზე თავდაღმა ვეგდე. კუპეში ოთხნი ვიყავით. შუახნის მამაკაცი, მშვენიერი ქალბატონი და გოგონა. ალბათ, სტუდენტი იყო... ეტყობოდა ერთი ოჯახი მგზავრობდა. ქალბატონის მიერ ჩემს მიმართ გამოთქმული სიტყვები ჩამესმა. ეს ახალგაზრდა კაცი ცუდად ხომ არ არისო. მეორე დღეს ერმიტაჟმა და მისმა თვინიერმა შედევრებმა ისევ ადამიანურ კალაპოტში ჩამაყენა. აი ასეთია ჯოკონდა და მისი უსაზღვრო კოსმიური აურა...

თუ გსურთ, მზეს თვალი გაუსწოროთ, უპირველესად ჯოკონდას უნდა შეაჩვიოთ თქვენი თვალთახედვა...

პარიზში გადაუღებელი წვიმაა და ოკეანის ძლიერი ქარი ქრის...

დღეს პლენერზე გასვლა და ხატვა შეუძლებელია. განსაკუთრებით ცუდ ამინდში ხდება, უკვე მერამდენედ, „ ჯოკონდასთან“



ჯოკონდა

ასე დაუგეგმავი ჩემი მისვლა და საღამომდე მხოლოდ ჯოკონდასა და ლეონარდო და ვინჩზე ფიქრი, უცხო განცდები, გონებრივი მოუსვენრობა და სულის უჩვეულო მოძრაობა... უკიდურესად აღტყინებული ხშირად ჩანაწერებსაც ვაკეთებ.

იტალიური განყოფილების დარბაზებში ლიფტით ავდივარ და ჩქარი ნაბიჯით მივემართები ლეონარდო და ვინჩის სურათებისკენ. გზადაგზა გულდაწყვეტილი ვტოვებ სხვადასხვა ეპოქისა და მიმდინარეობის შედევრებს, ასევე იტალიურ, დიდი და პატარა ზომის უმშვენიერეს ხატებს; აგერ, გამომეცხადა საოცრად ჰარმონიული სანდრო ბოტიჩელი. ახლა ზანტად გავდივარ გარკვეულ მანძილს და ჩემს თვალწინ, მარად ჩაუქრობელი ვულკანივით და კოსმიური ჩუმი ხმით ბუბუნებს ლეონარდო და ვინჩის ექვსი სურათი, რომელიც ერთ კედელზეა განლაგებული. ეს შედევრები გალაქტიკის უშველებელი ცენტრივით ანათებს ამ უზარმაზარი დარბაზის, ზღვის ტალღებად აზვირთებულ სურათ-ექსპონატებში. დღის ნებისმიერ დროს აღფრთოვანებული ხალხითაა აქაურობა გადაჭედილი და სურათთან ახლოს მისვლა ხშირად გიძნელდება. როგორც იქნა, მჭიდროდ შეკრულ მასაში შევაღწიე და მათ წინ ვჩერდები ჩუმი სტატიურობით. სურათებს რიგრიგობით შევცქერი. შემდეგ ისევ მცირე მანძილით გადავინაცვლე და ვხედავ „ჯოკონდას". დიდი დარბაზის შესასვლელი, ფართო კარის მარცხენა მხარეს ექსპონირებულია აღორძინების ხანის ერთ-ერთი ტიტანის, რაფაელის სამი საოცრება, შედევრი. სულიდან დაწყებული, გონებით დამთავრებული, იმდენად სალი და ნათელია, გვიანი პერიოდის ნოვატორი მხატვრების ფუნჯით შესრულებული გეგონება. ფერწერული ტილო „მადონა ყრმით" მოვარდისფერო, მოცისფრო კოლორიტშია გადაწყვეტილი. წარმოუდგენელი ფერწერული სასწაულია, მიწიერ მადლს და დიდებასთან ერთად ჩვენი მზის სისტემის კოსმიური ჯანმრთელი ნათებაა. სურათის საერთო ფერი, კოლორიტი და განწყობილება ისეთია, როგორც წყაროს კამკამა წყალში თევზების კალმახობა და ფერები, ია-იას განწყობილებით ურთიერთს რომ ეფერებიან. რაფაელის ამ შედევრში თავმოყრილია ქვეყნიერების ღვთიური სიყვარული, უსაზღვრო სითბო, სიკეთე მაღალი აზროვნება, ვირტუოზული კომპოზიციურობის და საკვირველი გემოვნების, ჯერ არნახული სიმაღლე. გარკვეული დროის შემდეგ ჩემს თავს გავუძალიანდი და გულდაწყვეტილი ვტოვებ წმიდა რაფაელს. როგორც იქნა, მოვაღწიე და მონა-მორჩილად „ჯოკონდას" წინაშე წარსდექი და სურათის წინ გრძნობათა, აზრთა და განწყობათა მორევში მოვყევი.

2005 წლის 12 ნოემბერია. პარიზი. ლუვრი. დღეს რთული მიზანი დავისახე, რათა მოვიხილო ლუვრის მთავარზე მთავარი შედევრები. აი ისინიც, ამჟამად მიწისქვეშეთის მკვიდრნი, თავიანთ შედევრებში მარადიულ სულად ჩასახლებული და ზეციური სამყაროს ბინადარნი: ბოტიჩელი, რაფაელი, ტიციანი, დიურერი, გოია, ელ გრეკო, ველასკესი, რემბრანდტი, ბრეიგელი, გოლბეინი, კრანახი, ბოსხი, დელაკრუა, ჟერიკო, დავიდი, მცირე ჰოლანდიელების საოცარი ვარსკვლავთცვენაა ლუვრში. ჭეშმარიტად, რომ ეს გახლავთ უკვდავების გალერეა. ამ სასწაულმოქმედთა პანთეონის რაინდები მოკრძალებით მინდა შევადარო ლეონარდოს „ჯოკონდას". უფრო და უფრო გავერკვიო, მათი მეშვეობით ამ შედევრების ოქროსფერი ბილიკებით ვიარო, რათა ჭეშმარიტად ჩავაღწიო „ჯოკონდას" სულიერ საიდუმლოებათა შორეულ სივრცეში. თურმე, „ჯოკონდას" მათთან შედარება წარმოუდგენელიცაა. ამჟამად 4 საათი და 17 წუთია. ვტრიალებ „ჯოკონდას" გარემოსთან. უფროს ზედამხედველს ჩემი საბუთები წარვუდგინე, მეცნიერებათა აკადემიის წიგნაკითურთ. თანხმობის ნიშნად, პირველ ბარიერთან გამატარეს, ახლოს ხის მოაჯირთან,

ურიცხვი მაყურებელია ჯოკონდას ახლოს და პორტრეტი ვარსკვლავიანი, უმთვარო ღამის ცასავით გადმომყურებს. რაც რელიგიური კერები არსებობს მსოფლიოში, ყველა მათგანის ნიჭი, აზროვნება, მეცნიერება და ზეციური ძალაა ჯოკონდაში თავმოყრილი. უძველესი დროიდან დღემდე, კაცობრიობის მაღალი ხელოვნების ჯადოს ერთ დიდ ოქროს ჯამში ჩახვავებაა... როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ჯოკონდაში“ ცალ-ცალკე გამოყოფილი არაფერი არაა. მხატვრული გემოვნება, ფორმა და ხაზი, რომელიც სურათის მთლიანობიდან საერთოდ არ იკითხება, ფერი თავისი კეთილშობილური ბუნებით მხოლოდ სურათის ფერწერულ მთლიანობას ემსახურება. სიცოცხლე? ბუნებრივ სიცოცხლეზე უმეტესადაა გამოხატული, კომპოზიციის წმიდა ბიბლიური დაბადებაა... შუქ-ჩრდილთა და მათი კონტრასტის სიძლერის კულმინაციაა. თუმცა, მათ შუა, ოცნებაზე მაღალი, ურბილესი — ნიუანსური მხატვრული გადასვლებია. ამდაგვარი უცნაური მოვლენით, თითქოსდა, სამყაროს უსასრულობის თავისებური, ვერცხლისფერი — შინდისფერის ნარევით, უმსუბუქესი, გამჭვირვალე ნისლი მოფენია ნაწარმოების სიღრმისეულ გარემოს... აი, ეს ნისლ-ბურუსი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ღმერთის და სამყაროს შინაგანი სახე და ბუნებაა, რომელიც ჩვენი თვალ-გონებისთვის მიუწვდომელი და მიუღწევადია. ვუყურებ მე ჯოკონდას დაჟინებით, თვალმოუშორებლად და ვხედავ, ადამიანთა მიმართ არავითარი ცინიზმი არ არის მასში. მიყურებს ის ჩემთვის უახლოესი და კეთილშობილი ადამიანის თვალებით. „ჯოკონდას“ საიდუმლოებით მოცული მზერა სრული გამარჯვებაა დროსთან, სივრცესთან, ეშმაკთან, სიბერესთან და სიკვდილთან. მისი მრავალმნიშვნელოვანი ადამიანური ღიმილი, მძაფრი ლახვარია ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილისა. უფალი და წმინდანები კი არ იღიმიან, ისინი მხოლოდღა სამყაროსეული სიბრძნით იმზირებიან... ჯოკონდას შინაგანი ფილოსოფია, წმიდათაწმიდა ქრისტეა; ადამიანთა ნიჭის მრავალმხრივობის და მისი უსასრულობის მტკიცებაა; აყვავება და დედამიწის გადარჩენა მომავალში სამყაროს ცვალებადობის და კოსმიური კატასტროფებისაგან და უხსოვარი დროიდან ნერტილდასმული სიბერე-სიკვდილისაგან... მომავლის ლეონარდო და ვინჩების, მიქელანჯელოების, რაფაელების, ფიროსმანების, სერვანტესების, ფრანცისკო გოიების, დელაკრუების, ბალზაკების, რუსთაველების, ხოკუსაების, პიკასოების, სარიანების, გალაკტიონების, ტერენტი გრანელების, გრიგოლ რობაქიძეების, კონსტანტინე გამსახურდიების და მრავალ სხვათა ღირსეული გენიების, ვენერა მილოსელის ავტორების, პრაქსიტელების, ფიდიასების (აქ მათი მთლიანი ჩამოთვლა შეუძლებელია). ჩვენი პლანეტის მარადიულობის შენარჩუნება მხოლოდ მათ შედევრებზეა დამოკიდებული.

სამყაროს ყოველ პლანეტაზე, ალბათ, „ჯოკონდასმიერი“ სურათის შეუვალი კოსმიური ნისლია გაბატონებული. აქედან გამომდინარე, ლეონარდოს ტექნიკაც ისევე ჩაუწვდომელია, როგორც მათი კოსმიური ჯადოსაიდუმლოება.

„ჯოკონდა“ — ყველაფრის მქონე და ყოვლისშემძლე, მაგრამ მაინც უძრაობად ქცეული, მარადიულად გარინდული, თავისი კეთილი და მრავლისმეტყველი ღიმილით. „ჯოკონდას“ რომ ვუცქერ, სურათის ფერწერულობაზე არ ვფიქრობ... აქაა რაღაც ყველაფრისიქითა შინაგანი მოძრაობა და უცხო სფერო. აქვეა მიწიერი სიცოცხლისიქითა სიცოცხლე და სულიერება, „ჯოკონდას“ სიახლოვეს სიკვდილზე ხსენებაც არაა და არც ნიშნებია. „ჯოკონდასთან“ დროის უმისობაა და ჩვენეულ სივრცეში უცხოდ ყოფნაა. დედამიწაზე, კოსმიური შემთხვევითობაა „ჯოკონდა“, მისი სახით, უცხო პლანეტათაგან შეკრული გუნდია — ჩვენში ჩამოსული: ადამინურის საკვირველი სახიერებით. „ჯოკონდა“ კოსმოსისაგან დამოუკიდებელ საკუთარ დროს და სივრცეს ფლობს — მარადიულობის დროს...

2006 წელი, პარიზი. ლუვრი. ათასწლეულების მანძილზე მსოფლიოში იქმნებოდა სხვადასხვა დონის შედევრები. მილიონობით წლის წინანდელი გამოქვაბულების საოცრებაც შემორჩა დედამიწას. იქმნებოდა აღმოსავლეთის დიდი ხელოვნება, ისლამური ხელოვნება — აზროვნება და ზნე. შემდეგ მინდა ჩამოვთვალო ეგვიპტური, ბერძნული ანტიკური ხანა, სპარსული, ინდური, იაპონური თუ ჩინური. იქმნებოდა კოლხურ-იბერიული და სომხური, რომაული და ასევე შემოგვრჩა პატარა ერთა და ხალხთა ხელოვნება. მესაიდუმლე მიწა ინახავს უხილავ და უცნობ უძველესი ცივილიზაციის საოცრებებსაც. „ჯოკონდა“ და მიქელანჯელოს „მიჯაჭვული მონები“, ბურდელის „მშვილდისრის მტყორცნელი“, როდენის „მოაზროვნე“ და მრავალი სხვა. ესენი, ჩემი გაგებით, ამ ათასწლეულთა შემოქმედების გვირგვინია. შემდგომი გენიების შედევრები კი ქვეცნობიერად უდიდესი იმპროვიზაციებია „ჯოკონდასი“ და მიქელანჯელოს „მიჯაჭვული მონებისა“... მზეზე უფრო დიდი კოსმიური საოცრება ჩვენთვის არ არსებობს. ძნელზე ძნელია მზეზე საქებარი და სადიდებელი სიტყვების პოვნა. შედარებისთვის მხოლოდ ყველაზე ძლიერს,



მადონა ლიტა

გენიალურს, მზის შეუდარებელ სილამაზეს ვადრით. მანათობელი მზესავითააო, ანუ ამომავალ მზეს დამსგავსებიაო. ადამიანის ჩამავალ მზესთან შედარებას ერიდებიან, რათა ის წარმავლობასთანაა გაიგივებული, მაგრამ დავაკვირდეთ მზის ჩასვლას, როგორი მჩქეფარე სხივების ორკესტრია, კოსმიური გამოთხოვების დღესასწაულია და არნახული სილამაზისაა, ასევე ღრმად პესიმისტური, რომელსაც ჩამავალი მზის მოცეკვავე სხივები ტოვებს. მზის მშვენიერების სამყაროსეული დატვირთვა განუზომელია. აი, იმდაგვარი მოვლენა და ქმნილებაა „ჯოკონდა"... მზე „ჯოკონდაზე" მხოლოდ დაუღლელი — უსასრულობისმაგვარი დაჟინებითი მზერით შეიძლება ნაწილობრივ მაინც მისი საოცარი მხატვრული მთლიანობის აღქმა. ჩვენი პლანეტის ხასიათის, წონის, ფერის, სიცოცხლის, სრულყოფილი პორტრეტიცაა „ჯოკონდა". უცხო და — უცნაური ფორმის მქონე სიცოცხლის და ჩვენგან შორეული პლანეტისმიერი უსასრულო გარინდებაა, უკიდეგანო სივრცის და მარადიულობის მუდმივი მხატვრული სახე-ფორმაა „ჯოკონდა"...

რამდენსაც მეტს ვუმზერ, უფრო და უფრო ღრმად აღვიქვამ მისი სულის სიჯანსაღეს და ის მკურნალი მთის ნიავივით იჭრება ჩემში.

საოცარო ქმნილებავ, ჯოკონდავ, მინიშნებით მაინც რომ ვხვდებოდე და ვიცოდე, თუ როგორ უმზერ შენს ირგვლივ არსებულ გარემოს, ადამიანებს, მათ სიკეთესა თუ ბოროტებას, სიყვარულს, სიძულვილს და ურთიერთ მრავალფეროვან დამოკიდებულებას, კონკრეტულად როგორ აღიქვამ ყოველივეს შენ? ასე დაჟინებით, უჭკვიანესი თვალებით რომ გვიმზერ, მარტო ჩვენ კი არა, ქვეყნიერების სივრცის უსასრულობას, მარადიულობის მარადიულობას (სამყაროს და ყველაფერზე მომზირალი უჭკვიანესი თვალია შესახლებული ლუვრის სასახლე-მუზეუმში). შენ ყოველ საათს, წუთს, წამს, სამყაროსთან უწყვეტად ხარ გამთლიანებული; მისი ბუმბერაზი სული, თვალი და უწყვეტი ჯანსაღი ძარღვი და კაპილარი ხარ, სიცოცხლეშენარჩუნებული მოტეხილი ფორმა სრულიად სამყაროსი. „ჯოკონდა!" მაქვს ბედნიერება და ყველა მაყურებელზე ახლოს ვდგავარ შენთან. ზღვა ხალხია ჩემს უკან: იაპონელები, ჩინელები, კორეელები, ფრანგები, ინგლისელები, ესპანელები, შენი ნათესაობა იტალიელები, სტუმრები აფრიკიდან, ამერიკიდან, ბრაზილიიდან, არგენტინიდან, ჩილედან; აქ ტრიალებენ ბერძნები, ირანელები, ინდოელები, თურქები, რუსები, ქართველები, პოლონელები, ჩეხები, სომხები, პლანეტის რომელი ქვეყნიდან არ ნახავ აქ გაოგნებულსა და გაკვირვებულ ხალხს. მათგან არც ერთი არ ეკუთვნის თავის თავს, შენ მიიტაცე ისინი, ჯოკონდა!.. ამგვარ განწყობილებებში და პირობებში უსასრულოდ შემიძლია შენზე ვიოცნებო, ვიაზროვნო და ვწერო... სურათვარსკვლავო, უფრო მზევ, შენ ჩემს ბუნებაში უფრო მძაფრად შემოიჭერი, ვინემ მე შენთან, რათა შენ ჩემგან დიდი და უსაშველო სიშორე ხარ, ჯოკონდა...

„ჯოკონდასთან" ყოველთვის აღელვებული განწყობილებით მიდიხარ და უმალ ხმა ჩაგივარდება ადამიანს, დუმდები, მუნჯდები. აი, ესაა „ჯოკონდა": „ჯოკონდასთან" მუდმივად ბევრი მაყურებელია, მაგრამ შენ არავის აქცევ ყურადღებას. დგახარ ჩვენს წინ გარინდული და ვერა და ვერ მოგიფიქრებია ადამიანს, რა თქვა მასზე, როგორ იმსჯელო, რით უნდა დაიწყო საუბარი. განსჯა, ფიქრი და ლაპარაკიც დაგვიწყნია. ოცნებაც არაა. ასე გადის გარკვეული დრო და ახალი პიროვნება იბადება შენში... შენი პირველი „მე" უძლურდება, მეორემ ნელ-ნელა დაიწყო აღქმა და იძირები „ჯოკონდას" ცისფერ ოკეანეში. ყოველ წამს გეცვლება განწყობილება, ის კი მხოლოდ ერთნაირადაა, ჯადოსნური დუმილის და უსასრულოდ გარინდვის ფორმა: მის წინაშე თითქმის დაპატარავებულს, მხოლოდღა მისი მარადიული და მრავლისმთქმელი კეთილი ღიმილი გფარავს.

2005 და 2006 წლები. პარიზი. ლუვრი. ჯოკონდაზე ფიქრმა მთელი ექვსი თვის განმავ-

ლობაში თავის ირგვლივ მატრიალა, დარსა თუ ავდარში ხშირად მივრბოდი მასთან. აი, სადაა დრო! წამო, შეჩერდი! ოღონდ ის შეჩერებული წამიც მისეული წამის მეათედებშიც განუწყვეტლივ მოედინება და მისგან გაედინება. ჯოკონდას სულის წაკითხვა ბოლომდე მიუღწევადია ადამიანისთვის, მაგრამ მიახლოების და მისი შეგრძნების საშუალება გვაქვს.

მილიონი წლის განმავლობაში მწიფდებოდა კაცობრიობის შემოქმედებითი პოტენცია და ფეხმძიმდებოდა დედამიწა, „ჯოკონდა“ რომ ეშვა. მრავალი უძველესი ერიდან მოყოლებული, უსათუოდ ძველ კოლხებსაც ექნებოდათ აქ რაღაც წვლილი ჩადებული. კოლხთა ცივილიზაციამ მსოფლიოს დამწერლობის შექმნაში თუ შეიტანა გარკვეული კვალი, მეცნიერებასა და ხელოვნებაშიც გაედინებოდა, რა თქმა უნდა, კოლხთა და იბერიელთა უკვდავი და მთლიანი — ნათესაური კაპილარი. უკვე მომწიფებული დედამიწის, აუცილებლად რომელიმე ქვეყანაში უნდა ამოფრქვეულიყო ჯერ არნახული ცივილიზაციის ვულკანი. იმ დროისთვის ყველაზე ღირსეული და ხელოვნებაში შემზადებული ქვეყანა აღმოჩნდა იტალია. ქვეყნიერების ცივილიზაციის ჭიპი — ბეჭედი იტალიის კეთილშობილ მიწას დაექდო. კაცობრიობის ხელოვნებამ უხსოვარი დროიდან დაგროვილი შედეგი აქ შობა და ადამის მოდგმის საშოდან ამ ფორმით ამოაგდო — ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო და რაფაელი. მერე მათ გვერდით დაუდგნენ ტიციანი, ბოტიჩელი, ჯორჯონე, ვერონეზე და მრავალი სხვა. ამ გენიათა მოსვლას მართებულად ეწოდა აღორძინების ხანა.

2006 წელი, 15 იანვარი, პარიზი, ლუვრის მუზეუმი. დღეს ჯოკონდასთან საათობით გაჩერების და ფიქრის ბოლო დღეა. ექვსი თვე სრულდება, პარიზი და ჯოკონდა ერთ მთლიან აზრად, ფიქრად და ოცნებად იქცა ჩემთვის. ფერწერაში დღე და ღამე პარიზის თემაზე ვმუშაობ და იქვე მხოლოდ ჯოკონდაზე ვფიქრობ...

ლეონარდო და ვინჩი ზოგ შემთხვევაში საგანგებოდ ხომ არ გაურბოდა თავის აკვიატებულ მხატვრულ გენიას და თითქოს შვებას ეძებდა სხვადასხვა მეცნიერულ მოღვაწეობაში? მაგრამ ამ შემთხვევაშიც ისევ გადაეყრებოდა თავის ბუმბერაზ ნიჭს და კვლავ დაუსრულებელი კოსმიური წვით ითუთქებოდა, ხოლო მისი უპირველესი სული, „ჯოკონდაში“ ჩასახული, პლანეტური სიმკვრივით და სიმძაფრით გაუმთლიანდა მხატვარს. მხოლოდ სიკვდილმა განაშორა ავტორი თავის დიდ შემოქმედებას.

თბილისი. 29 იანვარი, 2006 წელი (მშობლიური სიზმარი). ღამე, სიზმაროცნებით, ლუვრში „ჯოკონდასთან“ შევიპარე. ხუთი საათია. არავითარი ხმა არ ისმის არსაიდან. დარბაზში ადამიანების ნაფეხურებიც არ შეიმჩნევა... შედევრთა მარტოობაა აქ და უსაშველო დუმილ-გარინდება. ჯოკონდა ისევ მისეულად იყო მედგარი და მისი მტკიცე და მძლავრი მზერა ღამესაც უმოწყალოდ გმირავდა. ამდაგვარი მზერის შორეული ტყორცნით ჩვენეულ ღამესაც არარაობად აგდებდა. ვისი ხარ, აბა?! — ხმის ჩახლეჩამდე ვიყვირე, — ღამის არა ხარ! დღისა და მზისა არა ხარ! ჩვენი და ჩვენი სამყაროსი არა ხარ! ვისი ხარ! რომელი უცნობი გალაქტიკის ხარ, მგონი, უფალმაც არ იცის, ეშმაკი კი სიახლოვესაც ვერ გეკარება.

ჩემი ყვირილი ლუვრის დარბაზებს მოედო და იქ მყოფთ არავის არ უკვირდა, მათ თვალიც არ დაუხამხამებიათ. მერე ქადაგებაზე გადავედი: სიცოცხლე დროებითი ზიგზაგია, „ჯოკონდა“! აწმყო და მომავალ-წარმავალისა, შენში კი ყველაფრისგან განსხვავებული, სულ სხვა სიცოცხლის ფორმაა ჩასახული ჩვენთვის წარმოუდგენელი უწყვეტი ხაზის სახით. მარადიულობა კი ხარ, მაგრამ არავის და არაფერს ანგარიშს რომ არ უწევ?! რატომღაც არ მეგობრობ დედამიწელებთან, არც შენს ირგვლივ უკეთილშობილეს შედევრებთან. „ჯოკონდა“, შესაძლოა, უცხოპლანეტელებთან გაქვს სულიერი კონტაქტი და ასე იმიტომ იმზირები შორეულისაკენ უსასრულოდ, აგრე საოცრად ჯიუტი და შეუპოვარი. პასუხი კი არ ჩანდა არსაიდან. გამეხებულმა ვიბღავლე: აბა, ვისი ხარ, ჯოკონდაა?! სიზმარში ამ საშინელმა ყვირილმა ძილ-ბურანიდან წამომაგდო და ტანთ ჟრუანტელმა დამიარა; გამწარებულმა ერთი ჭიქა ღვინო ვინატრე, მაგრამ...

უფლის მონოლოგი მხატვართან:

— გეყოს, მაესტრო, დედამიწაზე ესოდენ მაღალშედეგიანი შემოქმედებითი და მეცნიერული მოღვაწეობა. ამ პლანეტაზევე გიწია ფიზიკურად სამუდამო დასვენების დრომაც. ადამიანო! შენ მე გამიწიე დიდი სიყვარული, ერთგულება და უახლოესი შეგირდობა. აწ კი შორეულ სამყაროში მგზავრობისას დაგეკისრება ბევრად უფრო განსხვავებული სამომავლო კოსმიური დიდი ფუნქციები, ჩემო ნიჭიერო და ჭკვიანო შემოქმედო.

მხატვრისა და მრავალმხრივი მეცნიერის, ლეონარდო და ვინჩისადმი უფლის ბოლო სიტყვები ამგვარი იქნებოდა უთუოდ...



# ირაკლი ოქრუაშვილი

## დაუსწრებელი ფილოსოფიური დიალოგები

კ. — ირაკლი, ამდენი ხანია სამარტოო საკანში ხარ. თავს როგორ გრძნობ?

ი. — რა თქმა უნდა, იოლი არ არის, აბსოლუტურ იზოლაციაში ყოფნა: არა ტელევიზორი, არა რადიო, არა კონტაქტი ადამიანებთან; თვით ერთსაათიანი სეირნობის დროსაც კი სრულიად იზოლირებული ვარ. დიახ, ეს საკმაოდ დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლაა ჩემზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, სულიერ მხნეობას და სიმტკიცეს მყარად ვინარჩუნებ. ჯანმრთელობასაც ჯერ-ჯერობით არ ვუჩივი. აქ ჩემი ცხოვრების რეჟიმი მაქვს: ფიზიკური ვარჯიშები, ტრეინინგები ინგლისურში, სხვადასხვა სახის ლიტერატურის კითხვა, წერა და რაც მთავარია, ბევრი ლოცვა. სალამოობით სასეირნოდ გავყავართ. მეტ-ნაკლები სიხშირით ვხვდები ჩემ ადვოკატებს და საქმესთან დაკავშირებით ვმსჯელობთ, ხოლო კვირაობით ზოგჯერ მოდის ჩემი მოძღვარი და მაზიარებს.

კ. — უცებ რადიკალურად სხვა რეალობაში აღმოჩნდი, თანაც სრულ სიმარტოვეში... რაიმე ცვლილებებს ხომ არ ამჩნევ საკუთარ თავს?

ი. — კი... ნამდვილად ვგრძნობ რაღაც შინაგანი ტრანსფორმაციის პროცესს. თუმცა ჯერ-ჯერობით მიჭირს მისი ხარისხის და მასშტაბის განსაზღვრა. იგი, ალბათ, უფრო დასაწყის სტადიაზეა. ეს რწმენაში გაძლიერების საკმაოდ რთული და მტკივნეული პროცესია. როგორც ჩემმა მოძღვარმა მითხრა, **ღმერთმა თავისთან ჩამკეტა.** ამ პატარა საკანში უფალმა დამიმარტოხელა თავისთან, რათა მთელი ჩემი ცნობიერი და არაცნობიერი არსებით წარვიმართო მისკენ. პირველსაწყისი მიხმობს თავისკენ...

კ. — მე მგონი პატიმრობაში ყოფნას შენ თავისებურ გამოცდად აღიქვამ... თითქოსდა რაღაც შინაგანი მზაობის და პასუხისმგებლობის გრძნობით ხარ გამსჭვალული...

ი. — ინტუიცია არ გღალატობს! ჰო, მოცემულ მდგომარეობას ცხადად განვიცდი და ვიაზრისებ, როგორც ღვთის მიერ მოვლინებულ **გამოცდას.** ნამდვილად ვერ ავხსნი და დავასაბუთებ ამ განცდის მართებულობას — იგი უბრალოდ სახეზეა. სხვათა შორის ახლა ხელახლა ვკითხულობ თომას მანის რომანს „იოსებ და ძმანი მისნი". გახსოვს, მასში რა გენიალურად არის წარმოჩენილი სწორედ რომ, ღვთაებრივი გამოცდის ფენომენი? თავისი ცხოვრების მანძილზე იოსები ორჯერ ჩავარდება დიდ განსაცდელში: პირველად, როდესაც საკუთარი ძმები ექვიანობის და შურის გამო ძველ, ამომშრალ ჭაში ჩააგდებენ, სადაც მას უეჭველი სიკვდილი ელოდება შიმშილისა და წყურვილისაგან; მეორედ, როდესაც ეგვიპტეში დააპატიმრებენ დიდგვაროვნის მეუღლის სასიყვარულო ინტრიგის გამო და ციხეში გამოამწყვდევენ. ორივე შემთხვევაში იგი დიდ სასოწარკვეთილებას და ტანჯვას განიცდის, მაგრამ იმავდროულად გამსჭვალულია ერთი რამის ცნობიერებით: იცის, რომ ეს არის ღვთაებრივი **განგების** მიერ დაწესებული გამოცდა, რომელიც მან უნდა მოთმინებით მიიღოს და გადაიტანოს, და რომ ამ გზით უფალს იგი მიჰყავს რაღაც განახლებისაკენ. ალბათ, იდუმალი, მარადიული საწყისი ყველა ადამიანს უწესებს თავის წილ გამოცდას, მაგრამ ზოგი მას აცნობიერებს და ზოგი — ვერა. აი, ამ საკანში ყოფნა ის ხდომილებაა, რომელიც თავს დამატყდა განგებისაგან. ეტყობა, ასეც უნდა მომხდარიყო... ეს ჩემი გამოცდაა და მე იგი უნდა გავიარო...

კ. — შენებმა მითხრეს ისევ ჰუსერლის ფენომენოლოგიას მიუბრუნდაო...

ი. — ჰო, ხომ იცი, ეს ჩემი მუდმივი ინტერესის სფეროა. სხვათა შორის, ჩემებს ვთხოვე და

ზურაბ კაკაბაძის შესანიშნავი წიგნი შემომიგზავნეს — „ექსისტენციალური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია". ბრწყინვალე ანალიზია! ნათელი, ზუსტი და ლაღი! ფენომენოლოგიის გახსენებამ უაღრესად საინტერესო თემა შემოიტანა ჩემს თვალსაწიერში: გლობალიზაციის ტრანსცენდენტალური საფუძვლები. აი, ახლა ამით ვარ დაკავებული...

**კ.** — მართლაცდა, საინტერესოა, მაგრამ ჩემთვის ჯერ-ჯერობით ბუნდოვანი. თუმცა, თუკი მივიჩნევთ, რომ ყველა მოვლენას (ფიზიკურს, ქიმიურს, ბიოლოგიურს, ეკონომიკურს თუ პოლიტიკურს და ა.შ.) თავისი ტრანსცენდენტალური საფუძველი აქვს და შესაბამისად, ფენომენოლოგიურ ანალიზს ექვემდებარება, მაშინ საკვირველი აღარაფერია. უბრალოდ, ამ საკითხზე ნამდვილად არასდროს არ მიფიქრია. გლობალიზაცია ყოველთვის სხვა კუთხით მაინტერესებდა. ისე, მე არც კი ვიცი შენი წმინდა ადამიანური დამოკიდებულება გლობალიზაციის ფენომენისადმი!

**ი.** — წმინდა ადამიანურადაც არც ცალსახად უარყოფითი და არც ცალსახად დადებითი დამოკიდებულება არ გამაჩნია: სწორედ, რომ ჩემი ფენომენოლოგიური „წრთობა" მიკრძალავს ვიყო მიკერძოებული და ტრადიციული. მსურს ამ ფენომენს მართლაცდა, მიუკერძოებელი მზერით შევხედო. თუ არ გეზარება, შემიძლია ზოგადად საქმის კურსში ჩაგაყენო ჩემი ფილოსოფიური ძიებების თაობაზე?!

**კ.** — მე დროში შეზღუდული ნამდვილად არ ვარ...

**ი.** — კარგი, მაშასადამე, საკითხი ასე დგას: რა საფუძველი აქვს გლობალიზაციის ისტორიულ გენეზისს ჩვენი წმინდა ცნობიერების სტრუქტურაში? რა ტრანსფორმაცია მოხდა ევროპული კაცობრიობის წმინდა ცნობიერებაში, რამაც განსაზღვრა აღნიშნული გენეზისი? ამიტომ, მოდი ძალზედ მოკლედ განვიხილოთ ჰუსერლის ინტენციონალური ანალიზის გარკვეული ასპექტები. მოვიყვან ციტატას ზ. კაკაბაძის ნაშრომიდან: „სახელდობრ, რას ნიშნავს ცნობიერების ინტენციური ხასიათი? ცნობიერება ყოველთვის რაიმეს ცნობიერებაა, არის რაიმეს განცდა, რაიმეს მხედველობაში ქონება... ჰუსერლი ხაზს უსვამს იმას, რომ ცნობიერების ინტენციური დამოკიდებულება საგანთან არ უნდა ავურიოთ რომელიმე სხვა მიმართებაში. ეს სრულიად თავისებური დამოკიდებულებაა და იგი არ შეიძლება გავიგოთ ნივთებს შორის არსებული მიმართების მსგავსად. ინტენციური დამოკიდებულების დასახასიათებლად ჰუსერლი იყენებს სახოვან გამოთქმებს: „დამიზნებულობა" („bzieling"), „მიმართულობა" („Gerichtet-sein"). ცნობიერება სხვა არაფერია, თუ არა რაიმეზე დამიზნებულობა და მიმართულობა". (ზ. კაკაბაძე „ექსისტენციური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია", გამომც. „მეცნიერება", თბილისი, 1985. გვ. 94-95).

რა თქმა უნდა, ჩემს ცნობიერებას ახასიათებს მიმართულობა გარეგან გრძნობად რეალობაზე: ვუყურებ ამომავალ მზეს, ვსვამ ვისკის, ვჯდები კომპიუტერთან, ვიცვამ ფეხსაცმელს, ვუსმენ მუსიკას, ვესაუბრები მეუღლეს, ვგრძნობ ზამთრის სუსხს... როდესაც მიმართული ვარ რაღაც გარეგან საგანზე და მხედველობაში „ვფლობ" მას, ყოველთვის მხედველობაში მაქვს იმაზე მეტი, ვიდრე რაც აქტუალურადაა მოცემული. მაგალითად, ჩემს წინაშეა აი, ეს ლურჯი ჭიქა: მე მას აღვიქვამ გარკვეული რაკურსით და შესაბამისად, აქტუალურად მეძლევა მისი გარკვეული მხარეები, ფრაგმენტები, ხოლო სხვები — არა. ვთქვათ, ვხედავ მის ამ მხარეს, ყურს, მაგრამ ვერ ვხედავ უკანა მხარეს — ძირს, ფსკერს და ა. შ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვიცი, რომ ვუყურებ ჭიქას, როგორც მთლიან ნივთს, ე. ი. ჩემს აღქმაში იგულისხმება ისიც, რაც არააქტუალურადაა მოცემული. მაშასადამე, გულმოდგინე თვითდაკვირვების პირობებში ცხადია, რომ აქტუალური ცდის მონაცემებს ყოველთვის თან ახლავს მხოლოდღა ნაგულისხმევი (იმპლიციტური) შინაარსები, რომლებიც ასევე **შეიძლება** დავინახოთ, მოვისმინოთ, გავსინჯოთ და ა.შ. ანუ აქტუალურად განვიცადოთ ისინი. ამ თვალსაზრისით, ჰუსერლი მათ პოტენციალობებს უწოდებს. ჩვენი ცდის ველი ყოველთვის გარშემოწერილია ასეთ ნაგულისხმევ შინაარსთა **ჰორიზონტით.** აი, ასე შემოდის ფენომენოლოგიაში ჰორიზონტის უმნიშვნელოვანესი ცნება, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩემ მიერ დასმული საკითხის გაშუქებაში.

ნაგულისხმევი (იმპლიციტური) შინაარსები შეიძლება მეტად გარკვეულნი იყვნენ ჩვენთვის, შეიძლება ნაკლებად ან ძალზედ ნაკლებად, მაგრამ არასოდეს არ არიან აბსოლუტურად გაურკვეველნი. დიახ, კარგად ვიცი ამ ჭიქის ფსკერიც, შიგთავსიც, უკანა მხარეც, ძირიც, რადგან ისინი არაერთხელ აღმიქვია. მას ხშირად ვხმარობ და ხელში ვიღებ, რათა წყალი დავლიო, ჩაი დამისხან და ე. ი. მისი „შეხებითი" თვისებებიც ჩემთვის ცნობილია. მაგრამ შეიძლება სხვა საგნის რაღაც „ასპექტები" ჩემთვის ჯერაც უცნობი იყოს, როდესაც იგი ამა თუ იმ პოზიციიდან მაქვს მხედველობაში. მიუხედავად ამისა, აბსოლუტურად გაურკვეველნი ეს იმპლიციტური „ასპექტები" ვერ იქნებიან და ისინი თუნდაც სქემატურად, ე.ი. ზოგად მონახაზებში გარკვეულია ჩემთვის. მაგალითად, ფანჯრიდან პირველად დავინახე ამ აყვავებული ნუშის ხის ტოტები, თეთრი ყვავილები... მისი სხვა ნაწილები კი ჯერაც არ აღმიქვია, მაგრამ სავსებით

ნათლად ვაცნობიერებ, რომ ვხედავ სწორედ რომ, **ხის** ფრაგმენტს და შესაბამისად, მას აქვს რაღაცნაირი ღერო, ფესვები და მთელი რიგი სხვა „ასპექტები“. მაშასადამე, ნაგულისხმევი შინაარსები ყოველთვის წინასწარ დასახულია ჩემი აქტუალური მხედველობის ველში, თუნდაც უაღრესად სქემატურ დონეზე. ჰუსერლი წერს, რომ წინასწარი დასახვა თუმცა ყოველთვის არასრულყოფილია, მაგრამ თავის გაურკვევლობაში ის მაინც ხასიათდება გარკვეულობის სტრუქტურით. ამასთანავე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ აქტუალური ცდის დროს ჩვენ ვგულისხმობთ არა მხოლოდ იმ არააქტუალურ შინაარსებს, რომლებშიც თანადროულად არსებობენ, არამედ ასევე წარსულ და მომავალ შინაარსებსაც. კერძოდ, ზემოთ მოყვანილი ჭიქის აღქმის შემთხვევაში, ნაგულისხმევი „ფრაგმენტები“ არსებობენ თანადროულად იმისა, რასაც აქტუალურად აღვიქვამთ. მაგრამ როდესაც ჩვენი ცდის ველში საქმე გვაქვს, ვთქვათ, რაღაც პროცესთან, ორგანიზმის სიცოცხლესთან ან ადამიანის ყოფიერებასთან, მაშინ, ცხადია ნაგულისხმევი შინაარსების გარკვეული კომპლექსი დროშია განფენილი. ვესაუბრები რა ადამიანს და ჩემი აქტუალური ცდის ველში წარმოჩენილია რა იგი თავისი ტანის, ხმის თუ სახის გარკვეული „ასპექტებით“, მე ამასთან ერთად ვგულისხმობ, რომ საქმე მაქვს არა უბრალოდ ამ „ასპექტებთან“, არამედ ადამიანთან თავისი მთლიანი სხეულით, მაგრამ აგრეთვე თავისი წარსული ბიოგრაფიით: იგი დაიბადა და იზრდებოდა ამა თუ იმ გარემოში; რაღაცას განიცდიდა, აკეთებდა, გეგმავდა... რაღაც მომავალიც წინ ელოდება და უეჭველი სიკვდილიც... ეს ნაგულისხმევი შინაარსები მეტნაკლები გარკვეულობით წინასწარ დასახულია ჩემს აქტუალურ კონტაქტში ამ ადამიანთან იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ნაცნობი თუ უცნობია იგი ჩემთვის. სრულიად უცნობის აღქმისას ის მაინცაა ნაგულისხმევი, რომ იგი ზოგადად რაღაც წარსული ცხოვრების და რაღაც მომავალი „ბედის“ მატარებელია.

ამგვარად ჩვენი აქტუალური ცდის ველს გარს აკრავს როგორც თანადროული, ასევე წარსულისა და მომავლისადმი განკუთვნილი ნაგულისხმევი შინაარსების ჰორიზონტი. რაში მდგომარეობს ჰუსერლის ინტენციონალური ანალიზის დიადი იდეა? „აქტუალური ცდა ყოველთვის შეიცავს ზოგიერთ „მითითებას“ (verweisungen) იმაზე, თუ რა და როგორ უნდა ვეძებოთ, რა და როგორ უნდა აღმოვაჩინოთ „ჰორიზონტზე“. აქტუალური ცდის მონაცემებზე დაკვირვებისას ჩვენ მათ გარკვეულ საგნობრივ მნიშვნელობებს მივაწერთ. აღვწერთ და ვაანალიზებთ რა ამ მნიშვნელობებს, რომლებიც ცნობიერების შესაბამისად აქტებთან ერთად აქტუალური ცდის მონაცემებს ნიშნავენ, ჩვენ ყოველთვის ვპოულობთ მათში იმის გარკვეულ თანაალნიშვნებს, (ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით), რაც არ იყო აქტუალურად აღქმული და ვამჟღავნებთ ამ თანაალნიშვნების შესაბამისი ცნობიერების აქტებს“ (იქვ. გვ. 85). მოკლედ რომ ვთქვათ, ინტენციონალური ანალიზი სხვა არაფერია, თუ არა ოდენ იმ **დაფარულის** (ანუ იმ იმპლიციტური საგნობრივი მნიშვნელობების და მათი განმცდელი განცდითი აქტების) გამომჟღავნება, რომელთა შესახებაც მინიშნებებს მეტნაკლებად შეიცავს ჩვენი აქტუალური თვალსაწიერი.

**კ.** — ცოტა ხნით შეგაწყვეტინებ... მინდა ერთი საკითხი დავაზუსტო. მართალი გითხრა, ჰუსერლის კარგი მცოდნე ნამდვილად არ ვარ, თუმცა მისი ფილოსოფიის რაღაც-რაღაცებში მაინც ვერკვევი: ასე რომ, ბევრი რამ შენი მსჯელობიდან ჩემთვის არაა აბსოლუტურად უცხო და გაუგებარი. თანაც საკმაოდ ნათლად გადმოსცემ! ჰო, აი, რა მაინტერესებს: მოდი, უფრო დამიკონკრეტე და დამიზუსტე „ჰორიზონტის“ ცნების შინაარსი! ვეჭვობ, თუ რამდენად სწორად მახსოვს იგი...

ი. — ჰორიზონტი! რა არის იგი? ესაა ჩვენი აქტუალური ცდის, ე.ი. თვალსაწიერის ის პირობითი საზღვარი, რითაც იგი გარშემოწერილია. საზღვარი პირობითია, ვინაიდან იგი მუდმივად იქით და იქით ინაცვლებს, როდესაც ვაფართოებთ საკუთარ შემეცნებას ანუ ახალი და ახალი შინაარსები შემოგვაქვს ცდის ველში. ჰორიზონტი უსასრულოდ „გაგვირბის“ შორეთში და ჩვენ მას ვერასოდეს ვერ მივაღწევთ... აქტუალური ცდის ველის გაფართოება ყოველთვის ნიშნავს თავისებურ „ძვრას“ ცნობიერების სტრუქტურაში; კერძოდ, იგი გულისხმობს ჩვენი ცნობიერების მიმართულების (ე.ი. ინტენციის) და ყურადღების გადანაცვლებას აქტუალურად მოცემული ვითარებებიდან ჰორიზონტისაკენ. ჩვენ თითქოსდა მზერას „გადავისვრით“, „გავსტყორცნით“ ჰორიზონტისკენ და ვიწყებთ ახალი რაღაცების ძებნას და გამოვლენას.

ამგვარად ჩვენ შეგვიძლია უსასრულო წინსვლა, გაფართოება საკუთარი გამოცდილების ველის, მაგრამ **სამყაროს, როგორც მთლიანობას,** ხომ ვერასოდეს ვერ მოვიცავთ და ვერ მივაღწევთ?! სამყარო, როგორც მთლიანობა, მუდამ ჩვენი თვალსაწიერის ჰორიზონტზეა! იგი მარადიული ჰორიზონტია...

აი, ახლა ჩემი აქტუალური ცდის ველი შემოიფარგლება ციხის ამ საკნით, სადაც გამოკეტილი ვარ და კიდევ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის თეთრი კედლის ფრაგმენტით, რომელიც მოსჩანს გისოსებიანი ფანჯრიდან... აგრეთვე სხვადასხვა ფიქრებით, მოუსვენრად რომ ციმციმებენ ჩემს გონებაში... ცხადია, რომ ეს აქტუალური ველი თავის თავში ფარულად გულისხმობს რაღაც-რაღაცებს, რომლებიც

მის „საზღვრებს“ მიღმაა (ანუ ჰორიზონტზეა), მაგრამ რომელთა განცდა პრინციპულად შეიძლება ან შეიძლებოდა. სახელდობრ, უახლოესი სახით იგი გულისხმობს, რომ შესაძლებელია თანმიმდევრულ აქტებში აღვიქვა №7-ე საპყრობილის და შინაგან საქმეთა სამინისტროს მთლიანი კორპუსები; შემდეგ — მთელი ქალაქი თბილისიც, სადაც ეს შენობები განთავსებულნი არიან... კიდევ უფრო შორს თუ „წავალთ“, თავად ჩვენი პლანეტა, მზის სისტემა, გალაქტიკა... ცხადია, აქ იგულისხმება ყოველივე ამის აღქმის თეორიული (ე.ი. არსებითი) შესაძლებლობა და არა პრაქტიკული.

ვუყურებთ რა ახლა პომიდვრებს, ვგულისხმობთ, რომ ისინი გუშინ ამანათის სახით ჩემმა ძვირფასმა მეუღლემ შემომიგზავნა და შესაბამისად, იგი კვლავ გარეთ იცდიდა რიგში; ვგულისხმობ, რომ გუშინ ასევე ომის ვეტერანებმა აქცია გამართეს პარლამენტის შენობასთან, რის შესახებაც შემოგზავნილი პრესიდან შევიტყვე და კიდევ უსასრულოდ ბევრ „მინიშნებას“ ვიპოვი გუშინდელ მოვლენებთან დაკავშირებით, რასაც სამყაროში ადგილი ჰქონდა და რისი განცდაც შეიძლებოდა. ასევე ვგულისხმობ, რომ გუშინ ერთ-ერთ მოწოდებულ გაზეთში წავიკითხე საინტერესო სტატია ბერლინის დაცემის ეპიზოდების თემაზე და ე.ი. სახეზეა „მინიშნება“ მეორე მსოფლიო ომის შესახებ — რუდოლფ ჰესის საიდუმლო გაფრენა, საკონცენტრაციო ბანაკები, კურსკის ბრძოლა, თეირანის კონფერენცია, ნიურნბერგის პროცესი... თურმე ესეც ლატენტურად ნაგულისხმევი ყოფილა ჩემს ამჟამინდელ აქტუალურ თვალსაწიერში, რომელიც ციხის კედლებს ვერ სცილდება! აი, ასე გავდივართ ინტენციონალური ანალიზით წარსულის იმპლიციტურ უსასრულო სიღრმეებში! მაგრამ ამ თვალსაწიერის ჰორიზონტს გარშემოწერენ ასევე ის იმპლიციტური ფენომენები, რომლებიც მომავალს განეკუთვნებიან: განა ახლა ჩემ მიერ არ იგულისხმება, რომ ალბათ, მალე სასამართლო გაიმართება?! რომ სასამართლოს დარბაზებში ჩემი ცოლ-შვილი დამხვდება... რომ იმ დროს ვილაცები ჩემი პროცესის შესახებ შეიტყობენ ტელევიზიით... რომ იმავდროულად მსოფლიოში უამრავ სხვა მეტნაკლებად მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას ექნება ადგილი... რომ ეს პროცესი, ალბათ, ამა და ამ თვეში გაიმართება.. და რას გულისხმობს თვე? განა ის არ გულისხმობს დედამიწის გარკვეულ მდებარეობას მზის მიმართ?! ეს კი თავის მხრივ მიგვანიშნებს იმ დროისთვის პლანეტათა გარკვეულ განლაგებაზე მზის სისტემაში და ა. შ. გასაგებად ვლაპარაკობ?

**კ.** — სავსებით! მაგრამ მოდი ახლა ცოტა შეისვენე და ამ ფენომენოლოგიურ აზრთა მსვლელობას მე გავაგრძელებ... უფრო სწორად, შევეცდები, რომ საბოლოო დასკვნა თავად გავაკეთო მთელი შენი მსჯელობებიდან. უმალ ცხადი შეიქნება, თუ რამდენად სწორად გავიგე ყველაფერი.

**ი.** — კარგი აზრია! გისმენ ყურადღებით.

**კ.** — მაშასადამე, ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ჩემი აქტუალური ცდის ველი გარშემორტყმულია იმ ნაგულისხმევ ფენომენთა ჰორიზონტით, რომლებიც აწმყოს, წარსულს და მომავალს განეკუთვნებიან. ინტენციონალური ანალიზი სწორედ რომ მათი ექსპლიკაცია ანუ გამომჟღავნებაა. აქტუალურ ცდაში ყოველთვის მოცემულია სამყაროს რაღაც **ფრაგმენტი,** მაგრამ ჩვენ შეგვიძლია უწყვეტი წინსვლა, ჰორიზონტის გადაწევა და თვალსაწიერში ახალ-ახალი შინაარსების შემოტანა, თუმცა ისინიც ისევ და ისევ ფრაგმენტებს წარმოადგენენ. სამყარო, როგორც **მთელი,** მარად მიუღწეველი რჩება. ჩვენ მას ვერასოდეს ვერ მოვიცავთ საკუთარი გამოცდილების (თუნდაც თეორიულად) უსასრულო ექსპანსიაში. იგი მარად **ჰორიზონტზეა.**

**ი.** — აბსოლუტურად სწორად მსჯელობ! ახლა სულ ერთი ნაბიჯიღა რჩება, რათა ყოველივე დავაკავშიროთ საწყის თემასთან.

**კ.** — აი, ეს კი ჩემთვის ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული... მოგიწევთ ისევ გაგრძელება!

**ი.** — ახლა მისმინე! მე ვლაპარაკობ ძალზედ მნიშვნელოვანი ცვლილების შესაძლებლობის შესახებ წმინდა ცნობიერების ამ სტრუქტურაში. კერძოდ, მასში შეიძლება **დომინანტური** გახდეს მიმართულობა (ინტენცია) ამ მარადიული ჰორიზონტისაკენ ანუ სამყაროს მთლიანობისაკენ. როდესაც ცნობიერება **მუდმივად** დაუკმაყოფილებელია ლოკალური გარემომცველი რეალობით და ხატოვნად, რომ ვთქვათ, მუდმივად თავის მზერას მიმართავს, „გასტყორცნის“ უსასრულო შორეთისაკენ, შორეული ჰორიზონტისკენ, აი, ეს ნიშნავს, რომ მის შიგნით ადგილი აქვს სერიოზულ ტრანსფორმაციას; ეს ნიშნავს, რომ მასში მძლავრობს ტენდენცია უსასრულო ექსპანსიისა და უნივერსალიზაციისაკენ: ეს ნიშნავს, რომ იგი გამსჭვალულია უნივერსალისტური ინტენციით.

**კ.** — ახლა უკვე სავსებით ნათელია და თანაც დამაჯერებელი შენი მსჯელობის ლოგიკა. შენ გინდა თქვა, რომ ევროპული კაცობრიობის ცნობიერებამ რაღაც ეტაპზე სწორედ ეს ცვლილება განიცადა?

**ი.** — და თანაც ეს იყო სერიოზული ტრანსფორმაცია. შეგვიძლია ამას მუტაციაც ვუწოდოთ ცნობიერების სტრუქტურაში... მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულს დაიწყო ევროპული სამყაროს დიდი აღმავლობა, რაც დაკავშირებული იყო მათი საზოგადოებების დინამიკურ განვითარებასთან, სოციალურ პლურალიზმთან, აგრეთვე ტექნოლოგიურ მიღწევებსა და ვაჭრობის ქსელის გაფართოებასთან. ვითარ-

დება ნავიგაცია: ატლანტის ოკეანის გადალახვისა და დასავლეთ ნახევარსფეროს აღმოჩენის შემდეგ იწყება მისი თანამიმდევრული ათვისება, კოლონიზაცია. მაგელანი წრეს არტყამს დედამიწას. საფრანგეთის რევოლუცია დიდ გასაქანს აძლევს ერთაშორის დაახლოების, ერთიანი კაცობრიობის და ინტერნაციონალიზმის უნივერსალისტურ იდეებს. ხოლო კაპიტალიზმის განვითარება უბიძგებს დასავლეთის ქვეყნებს ახალ-ახალი გასაღების ბაზრებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების მოპოვებისაკენ. მე-19-ე საუკუნის ბოლოში ისინი თავის გავლენასავრცელებენ თითქმის მთელ აფრიკაზე, აძლიერებენ კონტროლს ინდოსტანზე და აზიაზე. მე-20-ე საუკუნის დასაწყისისთვის მთელი ახლო აღმოსავლეთი თურქეთის გარდა ექცევა მათი კონტროლის ქვეშ. 1914 წლისთვის ევროპელები და ამერიკელები განაგებდნენ მსოფლიო ხმელეთის 84%-ს. მოგვიანებით კი ოტომანთა იმპერიის დაშლის შემდეგ ეს პროცენტი კიდევ უფრო გაიზარდა. დასავლურ სამყაროში იბადება უდიდესი ტექნოლოგიური ნოვაციები ტრანსპორტის და კომუნიკაციის სფეროში: ორთქლმავალი, ავტომობილი, რადიო, ტელეგრაფი, ტელეფონი, თვითმფრინავი... და ეს ნოვაციები მიმართულია დისტანციის, სივრცული ბარიერების გადალახვისკენ, ე. ი. მსოფლიოს თანდათანობითი „შემჭიდროვებისკენ". საოცარი მიღწევები შეიარაღების სფეროში ემსახურებიან ამ სამყაროს ძალაუფლების გავრცელებას და პლანეტარული მასშტაბით მისი დომინანტური პოზიციების დამკვიდრებას. მაგრამ ყოფიერების წესი, რომელიც წარმოშვა დასავლური ცივილიზაციის აღნიშნულმა ტენდენციამ უნივერსალიზაციისაკენ და კერძოდ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, საბაზრო ეკონომიკა, საერთაშორისო კონტაქტების არეალის არნახული გაფართოება, დიახ, ეს წესი მიმზიდველი აღმოჩნდა თითქმის ყველა სხვა ცივილიზაციისათვის და იგი თანდათანობით მოედო მთელ დედამიწას. შესაბამისად, დასავლეთის ეს საკუთარი ტენდენცია უნივერსალურიზაციისკენ გადაიქცა საყოვლთაო-საკაცობრიო ტენდენციად, რომელიც დღეს მეტ-ნაკლებად ყველა ერს გამსჭვალავს და წარმართავს საერთო დინების მიმართულებით. ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი, იმეილი, ფაქსი, ფიჭური კავშირი, სატელიტური კომუნიკაცია; საჰაერო, საზღვაო, სახმელეთო მიმოსვლის უახლესი საშუალებანი; კინოფილმების, სიმღერების თუ ბესტსელერების ელვისებური გავრცელება დედამიწის ერთი კუთხიდან მეორეში: კაპიტალის, საქონლის, მუშახელის უწყვეტი მიმოქცევა და პოლიტიკური პროცესების ურთიერთგადაჯაჭვულობა მსოფლიო მასშტაბით და ა.შ. — აი, ამ საერთო დინებაშია ჩართული დღეს ყველა: ჩინელიც, რუსიც, არაბიც, აფრიკელიც და არა მხოლოდ ევროპელი ან ამერიკელი. ესაა უკვე გლობალიზაციის საყოველთაო ტენდენცია.

კ. — აქ მეც ჩავერთვები ერთი წუთით. გაერო, დიდი რვიანი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, დავოსის ფორუმი და ა.შ. — განა ეს გლობალიზაციის უაღრესად თვალნათლივი მაგალითები არაა?! ფაქტია, რომ ჯერ კიდევ მე-20-ე საუკუნის პირველ ნახევარში პოლიტიკა სულ უფრო და უფრო გლობალიზებული ხდება: ორმა ომმა მსოფლიო ომების ხასიათი მიიღო; ატომური ბომბის შექმნამ ყველა ერი და ადამიანი საერთო პლანეტარული საფრთხის წინაშე დააყენა და ამით კაცობრიობა ერთ ბედქვეშ მოაქცია. ეს ხომ ფაქტია?! ხოლო თანამედროვე პოლიტიკა კი უკვე აბსოლუტურად გლობალიზებულია: დღეს, მართლაცდა, მსოფლიო მასშტაბით ხდება სახელმწიფოთა ინტერესების ურთიერთგადაკვეთა, ურთიერთშეხება თუ ურთიერთშეჯახება. ავიღოთ, თუნდაც, კოსოვოს სიტუაცია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის, რუსეთის, ისლამური სამყაროს, საკუთრივ სერბეთის, ალბანეთის და კიდევ სხვათა ინტერესების მოქმედების ველშია! სხვათა შორის, ამ საკითხებზე მეტ-ნაკლები ნამუშევარი და ნაფიქრი მაქვს და ეს საკმაოდ მდიდარი მასალაა ფილოსოფიური ანალიზისთვის. ოღონდ იგი უფრო სიღრმისეულ, სკრუპულოზურ კვლევას საჭიროებს. ჩვენ ხომ ახლა მხოლოდ ზოგად დონეზე მიმოვიხილავთ, უფრო სწორად, ზედაპირულად თვალს გადავავლებთ გლობალიზაციისთვის დამახასიათებელ ასპექტებს. რატომ ჩაფიქრდი? ხომ არ გეწყინა, რომ ლაპარაკი შეგაწყვეტინე? ეს, რა თქმა უნდა ხუმრობით... ისე, ჩვენ დიალოგი გვაქვს და არა მონოლოგი!

ი. — რა თქმა უნდა! რაზეა ლაპარაკი! უბრალოდ შენ ერთი უმნიშვნელოვანესი მაგალითი გამოგრჩა: კოსმოსში გასვლა. ამ ფაქტმა კიდევ უფრო მკვეთრად წარმოაჩინა თანამედროვე ცნობიერების მიმართულობა სამყაროსეული მთლიანობისაკენ.

კ. — აბსოლუტურად გეთანხმები... და ახლა კვლავ ყურადღებით გისმენ. ვგონებ, შენი აზრთა მსვლელობა ლოგიკურ ფინალამდე მიდის?

ი. — სწორედ რომ, მინდა შევაჯამო ყოველივე აქ თქმული. მაშასადამე, მე შევეცადე ზოგადად მიმენიშნებინა გლობალიზაციის ტრანსცენდენტალური საფუძველი. სახელდობრ, ისტორიის გარკვეულ ეტაპზე მოხდა ფუნდამენტური ცვლილება ანუ „მუტაცია" ევროპული კაცობრიობის (ჰუსერლის ეს ტერმინი იდენტურია დასავლური ცივილიზაციის ცნებისა) წმინდა ცნობიერებაში, რომელიც ნიშნავდა ე.წ. **უნივერსალისტური ინტენციის** აღმოცენებას და სწორედ ამ მუტაციამ განა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობა ჯერ დასავლეთის დიდი ექსპანსია და სწრაფვა უნივერსალიზაციისაკენ და შემდგომ, ამის საფუძველზე, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული გლობალიზებული მსოფლიოს ფორმირება. როდესაც ისტორიულ ეტაპზე მივუთითებ (კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულზე და ასევე მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისზე), უპირველეს ყოვლისა, სამუელ ჰანტინგტონის და სხვა სერიოზული მკვლევარების ანალიზს ვეყრდნობი. დასავლური ცივილიზაციის აღმავლობის ამ პერიოდში იმავდროულად სახეზეა ბერძნულ-მართლმადიდებლური სამყაროს საშინელი კოლაფსი: კონსტანტინოპოლი უკვე დაცემულია! დიდი ტრაგედია კაცობრიობის ისტორიაში უკვე მოხდა! დიახ, იმავდროულად ეს ის პერიოდია, როდესაც საზარელ დეგრადაციას განიცდის ჩვენი ქართული ცნობიერება და ქვეყანაში გამეფებულია დაქსაქსულობა, შინაომები, ეკონომიკური სიდუხჭირე, ზნეობრივი და კულტურული განძარცვულობა... ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთი ჯერ კიდევ პრიმიტიულ, ქაოტურ მდგომარეობაშია სახელმწიფოებრივი და კულტურულ·თვალსაზრისით.

დასავლური ცნობიერების ამ უნივერსალისტულ მიმართულობას (ანუ ინტენციას) სხვაგვარად შეიძლება ვუწოდოთ **„ლტოლვაც“ სამყაროსეული მთლიანობისკენ.** ვგონებ, ცხადი უნდა იყოს, რომ ეს „ლტოლვა“ უდიდესი რელიგიური დატვირთვის მქონე ფენომენია. იგი, ხომ, საბოლოო ჯამში, გულისხმობს ღვთაებრივი პირველსაწყისის ძიებას და ამ ძიებაში ადამიანური ყოფიერების ჰორიზონტების უსასრულო გაფართოებას. დიახ, აღმოჩნდა, რომ გლობალიზაციის ტრანსცენდენტალური საფუძველი უაღრესად რელიგიური საზრისით აღბეჭდილი ინტენციაა და სწორედ მის რეალიზაციას სხვადასხვა ისტორიულ საფეხურებზე ემსახურებოდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საოცარი მიღწევებიც, დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციებიც და ა.შ. ყოველივე ეს იყო მხოლოდღა საშუალება და მეთოდი **საწყისი ინტენციის** თანმიმდევრული თვითგანხორციელებისა. მაგრამ... აი, სწორედ ამ „მაგრამ“-შია საქმე! კერძოდ, დასავლური ცივილიზაციის წინსვლის პროცესში თავად ეს საშუალებები და მეთოდები იქცნენ თვითმიზნად, ხოლო „ლტოლვა“ უნივერსუმისაკენ კი მივიწყებული იქნა, და ამაში გასაკვირი არაფერია. ეს ისტორიის ჩვეული, ბუნებრივი ლოგიკაა. (დიახ, ისტორიულად ჩვეულია ის, რომ რაღაცის განხორციელების პროცესში ვივიწყებთ თავად ამ ამოსავალ ვითარებას და ვახდენთ იმის აბსოლუტიზაციას, „ფეტიშიზაციას“, რაც მხოლოდ საშუალება და მეთოდია მიზნის მიღწევისის). რაც შეეხება ტექნიკის ფოიერვერკებით, ინფორმაციის ნიაღვარით, საერთაშორისო პოლიტიკით გაჯერებულ და დახვავებულ დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოს, აქ, მართლაცდა, ძალზე ძნელია დავინახოთ უკვე ღრმად ჩამარხული და დავიწყების ბნელ უკუნეთში მთვლემარე **საწყისი ინტენცია.** და ახლა ჩვენ ისევ ჰუსერლის უნდა მივუბრუნდეთ! განა ამ პრობლემატიკას არ უკავშირდება მისი მოძღვრება წარსულის რეაქტივაციის შესახებ? სხვათა შორის ზურაბ კაკაბაძე მეტად საფუძვლიანად აანალიზებს და თან ნათლად გადმოსცემს ამ მოძღვრების არსებით ასპექტებს. მოდი წავიკითხავ ერთ მოზრდილ ფრაგმენტს მისი წერილიდან: იმის გამო, რომ ძირითადი „ინტენციის“, მიზნის განხორციელებისაკენ სწრაფვისას, სიცოცხლე ისწრაფვის, რომ შეიმუშაოს შესატყვისი საშუალებები და „მეთოდები“, ეს უკანასკნელნი იქცევიან სწრაფვის საგნებად, ე.ი. თუმცა დაქვემდებარებულ და რელატიურ, მაგრამ მაინც რაღაც „ინტენციებად“, მიზნებად. გარკვეული საშუალებების შემუშავებისას და ამით მის რელატიურ მიზნად გარდაქმნისას, ცნობიერება აბსტრაქციას აკეთებს პირველადი მიზნისაგან. პირველადი მიზანი ხშირად დავიწყებას ეძლევა და საშუალება, როგორც პირობით-რელატიური მიზანი, აბსოლუტიზირდება და გადაიქცევა თვითმიზნად. აბსოლუტიზირებული საშუალებები ჩამოფარავენ პირველად მიზანს, აღარ უხამებენ თავის განვითარებას ამ უკანასკნელს და ხელს უშლიან მის რეალიზაციას. სიცოცხლის პირველადი „ინტენცია“, პირველადი მიზანი მსხვერპლად ეწირება საშუალებებს. სიცოცხლის დინება იღებს თავისი საკუთარი არსების საწინააღმდეგო მიმართულებას და ადამიანები ხვდებიან გაუცხოების სიტუაციებში. ასეთი სიტუაციის გადასალახავად ცნობიერების სიცოცხლემ მზერა უნდა მიაპყროს განვლილ ისტორიას და „რეაქტივაცია“ უყოს პირველად „ინტენციას“. ამით ის შეზღუდავს არაკანონიერად აბსოლუტიზირებულ საშუალებებს და იპოვის **ახალ საშუალებებს** (ხაზგასმა ჩემი — ი.ბ.) თავისი პირველადი „ინტენციის“ შემდგომი განხორციელებისთვის“ (იქვ. გვ. 112-113). დიახ, ადამიანური ევოლუციის ახალი შესაძლებლობების გახსნა მოითხოვს წარსულის „რეაქტივაციას“. გლობალიზაციის ისტორიულ პროცესში თვითმიზნად იქცა ის, რაც იყო მხოლოდ საშუალება და მეთოდი საწყისი ინტენციის უსასრულო რეალიზაციისა: ჩვენ აღმოვჩნდით მონუსხული ტექნიკით, ინფორმაციებით, პოლიტიკური და ბიზნეს-რეალიებით. ამაზე გავჩერდით, ამაზე ჩავიხვიეთ და ველარ ვხედავთ განვითარების კიდევ სხვა შესაძლებლობებს. ჩვენ გვჭირდება საწყისი ინტენციის „გამოღვიძება“ და ნათლად გაცნობიერება, რათა დავსახოთ ახალი საშუალებები, მეთოდები მისი შემდგომი განხორციელებისა ანუ გამოვავლინოთ ევოლუციის ახალი

შესაძლებლობები. ეს მივიწყებული ინტენცია ანუ „ლტოლვა" უნივერსუმისაკენ არის ტრანსცენდენტალური საფუძველი გლობალიზაციის პროცესისა, რომელიც დიდი მიღწევებითაა აღბეჭდილი. წარმოუდგენელია არ დავინახოთ ის სიკეთეები, რაც მან მოგვიტანა: ჩვენი ყოფიერების მასშტაბების, დინამიკის და მრავალფეროვნების არნახული ზრდა! მაგრამ, მეორე მხრივ, წარმოუდგენელია არ დავინახოთ ის კრიზისიც, რომელიც სახეზეა: ადამიანური გაუცხოების ექსტრემალური სიტუაცია, ეროვნული თვითმყოფადობის თანდათანობითი დესტრუქცია და თანამედროვე კატაკლიზმების — ტერორიზმის, პანეპიდემიების, სტიქიური უბედურებების — მზარდი შემოტევა. კრიზისი დღითიდღე ღრმავდება!

კ. — ალტერნატივა? რა შეიძლება იყოს ყოველივე ამის ალტერნატივა? თუ გიფიქრიათ ამაზე?

ი. — რა თქმა უნდა, ეს უაღრესად რთული და სათუთი საკითხია. ფარლალალა პროგნოზების გავლება სათანადო, საფუძვლიანი ანალიზის გარეშე სრული უაზრობა იქნება. ფაქტია, რომ დღესდღეობით გლობალიზაციის ოპოზიციად გვევლინებიან ისეთი სუბიექტები, რომლებიც რამენაირ ალტერნატივაზე ფიქრის სურვილსაც კი გაგიქრობენ. შეხედე, რა ძალები უპირისპირდებიან ღიად და აქტიურად თანამედროვე მსოფლიო „წესრიგს" — ავტორიტარიზმი, ფუნდამენტალიზმი, საერთაშორისო ტერორიზმი, ექსტრემიზმი... ეს ხომ უბედურებაა! სხვათა შორის მათი ანტი ამერიკანიზმი ამ დაპირისპირების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. ავანსცენაზე გამოსულები არიან ირანი, ვენესუელა, კუბა, ეკვადორი, ბოლივია, ნიკარაგუა, ბელორუსი, ჩრდილოეთ კორეა... „ალ-ქაიდა", „ჰამასი", „ჰეზბოლა" თალიბები... ანტიგლობალისტები... რა თქმა უნდა, ამის შემხედვარე უმალ იტყვი: არა, არა! სჯობს დარჩეს ყველაფერი ისე, როგორც არის! დიახ, ეს ალტერნატივა კი არა, ნამდვილი ატავიზმი და ავადმყოფობაა, რომელიც ლიბერალურ-დემოკრატიულმა სამყარომ უნდა დაძლიოს, გაანეიტრალოს საერთო ძალისხმევით.

კ. — ამაში აბსოლუტურად გეთანხმები! რაც შეეხება ნამდვილ ალტერნატივას, მისი ძიების პროცესი კარგა ხანია დაწყებულია და იგი, ალბათ, თანდათანობით იკვეთება თუნდაც აზროვნების სფეროში.

ი. — უთუოდ!

კ. — მე მხედველობაში მაქვს, რომ დღეს თავად ლიბერალურ-დემოკრატიული ცნობიერება სულ უფრო მძაფრად განიცდის რელიგიურობის და ეროვნულობის შიმშილს... ეს შიმშილი და მოთხოვნილება კიდევ გაძლიერდება. ისტორიის ახალი შესაძლებლობების გახსნაც, ამ განზომილებაში უნდა ვეძებოთ, არა?

ი. — მეც სწორედ მანდ ვარ! დემოკრატიული სამყაროს შემდგომი ევოლუციის საწინდარი რელიგიის და ეროვნული ცნობიერების აღორძინებაშია! მოდი, შორს ნუ წავალთ და მეტი კონკრეტულობისათვის, დავაკვირდეთ ჩვენს მშობლიურ რეალობას. რა ხდება საქართველოში? რა სარგებლობს უდიდესი ნდობით ჩვენს ხალხში? განა რომელიმე პოლიტიკოსი, პარტია თუ საზოგადო მოღვაწე? ცხადია, მხოლოდ ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიაა აღჭურვილი უზარმაზარი ნდობით და თანაც იგი დღითიდღე იზრდება. ჩვენ ვეძებთ ქართულ სულს და ვპოულობთ მას ეკლესიაში. მისი როლი სულ უფრო და უფრო იკვეთება, ძლიერდება ერის ყოფიერებაში და ეს, ერთი მხრივ, თავად ეკლესიის და მისი წინამძღოლის — კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის — დიდი დამსახურებაა და მეორე მხრივ, კი ჩვენი მზარდი რელიგიური მოთხოვნილებების შედეგი. დარწმუნებული ვარ, რომ ქართულ კულტურას მომავალში ელოდება საოცარი ენერგეტიკული „აფეთქებები" და ეს დაკავშირებული იქნება, სწორედ, რომ რელიგიურობის და ეროვნული სულისკვეთების ამაღლებასთან... თუმცა... ახლა, უნდა შევწყვიტოთ ჩვენი დისკუსია! კარგია, ჩემო მეგობარო, ამ თემებზე შენთან ერთად საუბარი, მაგრამ რას იზამ...

კ. — მესმის! შენ ხომ ამჟამად მთლად საკუთარ თავს არ ეკუთვნი...

ი. — არა, უბრალოდ, ლოცვის დრო მოვიდა: ფსალმუნნი უნდა წავიკითხო... ლოცვით მიდგია სული...

კ. — ჰო, მართლა... ერთი ზუსტად გამიმეორე რა, შენთვის წაყენებული ბრალდების ფორმულირება! ზოგჯერ უცხოელი კოლეგები მეკითხებიან და ზუსტი ფორმულირება მჭირდება.

ი. — მე ბრალს მდებენ ხელისუფლების დამხობის მიზნით ამბოხების ინტელექტუალურ დახმარებაში და ასევე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების შეუტყობინებლობაში. ხომ გასაოცარია? სხვათა შორის ფილოსოფიური თვალსაზრისით ყოველთვის მაინტერესებდა აბსურდის ფენომენიც და აი, რეალურად აღმოვჩნდი კიდევაც მის წინაშე.

კ. — კარგი, აბა დროებით... იმედია, მალე გავაგრძელებთ ჩვენს ეპისტოლარულ ფილოსოფიურ დიალოგებს!

ი. — აუცილებლად!

*ირაკლი ბათიაშვილი*
22. 02. 2007
№ 7-ე საპყრობილე



სერგო ზაქარიაძე

ნანა ხოსრუაშვილი

# სერგო ზაქარიაძის ცხოვრების უცნობი ფურცლები

მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა... რომ არა ისტორია, ჩვენ არ გვეცოდინებოდა ვინ ვიყავით, საიდან მოვდივართ, განვითარების რა საფეხურები გავიარეთ და როგორ მოვედით დღემდე.

ისტორიის დანიშნულებაა არა მარტო წარსულის შესწავლა, არამედ შეუნახოს მომავალ თაობას აწმყოში მომხდარი. დრონი იცვლებიან და ჩვენც მათთან ერთად. აწმყო აუცილებლად წარსულად იქცევა და ისტორიაში ჩაიწერება.

ნებისმიერი ისტორია არქივში ინახება. ის არის "წერილობითი ძეგლებისა და ისტორიული საბუთების საცავი. აგრეთვე წერილობითი მასალებისა, რომელიც განეკუთვნება ამა თუ იმ პირის საქმიანობას". ჩემთვის არქივზე მუშაობა ძალიან საინტერესო და სასიამოვნოა. მით უმეტეს თუ ეს არქივი პირადია და ეკუთვნის სერგო ზაქარიაძეს. ადამიანს, რომელსაც მაყურებელი საკუთარ მამად მიიჩნევდა მას შემდეგ, რაც ეკრანზე გაცოცხლდა კეთილი მოხუცი გიორგი მახარაშვილი. კიდევ უფრო სასიამოვნოა მისი ხელით დაწერილი დღიურების გაცნობა. ზოგჯერ ვერ გაიგებ წინადადებას, რისთვის დაწერა, რას ნიშნავს... ეს ჩვენთვისაა გაუგებარი, თორემ მისთვის ალბათ ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დღიურების მნიშვნელობას ისიც ადასტურებს, რომ ბატონმა სერგომ ისინი არ გადაყარა და შეინახა. დღიურები ინახებოდა მის სახლში. არქივში მიუტანია სერგოს მეუღლეს. მერი ქორელის თხოვნა ყოფილა ოცი წელი დღიურები ყოფილიყო დალუქული. რა თქმა უნდა, მას ეს თხოვნა შეუსრულეს. ასე გაჩნდა მისი არქივი სხვა არქივების გარემოცვაში. რატომღაც მაინტერესებდა, რომელი ადამიანების გვერდით მოხვდა ბატონი სერგოს არქივი. ერთადერთხელ მომეცა საშუალება თვალი შემევლო ფონდში დაცული არქივებისათვის. უზარმაზარი თაროები დგას დახუნძლული სიმდიდრით. ერთ-ერთ თაროზე, დიდ მწვანე საქაღალდეში ინახება სერგო ზაქარიაძის არქივი, რომლის ზემოდან დევს ვერიკო ანჯაფარიძის არქივი, ხოლო მარცხნივ — დიმიტრი არაყიშვილისა.

არსებობს ასეთი გამოთქმა: „არქივს ჩაბარდა — დავიწყებას მიეცა". მართლაც არავის ახსოვს ეს დღიურები. ძალიან იშვიათად თუ ვინმე გაზეთში გამოაქვეყნებს მის ჩანაწერებს. არქივი კი სავსეა მისი ცხოვრების უცნობი ფურცლებით. იქ ყველაფერი მისი ხელნაწერი და ხელნახლებია. საინტერესოა, რითი განსხვავდება ხელნაწერი ნაბეჭდისაგან და რას ნიშნავს ხელნაწერი.

თხელი, ოდნავ დახრილი ასოები. წერს, როგორც მელნით, ასევე ფანქრით. მთელი გრძნობები, განცდები, ფიქრები გულიდან ფურცელზე გადმოუღვრია. საოცარი სითბო მოდის თითოეული გვერდიდან. როდესაც კითხულობ, დაახლოებით შენც ისეთივე განცდა გეუფლება, რასაც თვითონ წერის დროს განიცდიდა. ბედნიერი ვარ მის ხელნახლებს რომ ვეხები, რომ მასთან ერთად ვარ რეპეტიციაზე, სპექტაკლზე, მხატვრული კითხვის საღამოზე, მასთან ერთად ვმოგზაურობ. კალიგრაფია გკარნახობს როდის იყო დამშვიდებული და როდის აღელვებული, როდის ეჩქარებოდა. ჩნდება განცდა იმისა, რომ ხელში გიჭირავს რაღაც ცოცხალი, რომლის ყველა გვერდი სხვადასხვანაირი გრძნობით და სხვადასხვანაირი ტონით გესაუბრება. მოდის მრავალი თბილი ფერი, შემოიჭრება შენში და სამუდამოდ ილექება. ხელში გიჭირავს დიდი ადამიანის პატარა მესაიდუმლე. ეს არის მთელი მისი ცხოვრება, რომელსაც არ უნდა დაასრულოს სიცოცხლე. მისი სიცოცხლე კი ადამიანების ხელშია. თუ არ გამოიტანე ფონდიდან, სუფთა ჰაერი არ ასუნთქე და ხელით არ შეეხე — ერთ ადგილზე გაიყინება და მოკვდება. ის ისეთი კარგი მოსაუბრეა, ისე საინტერესოდ ყვება ამბებს, შეუძლებელია მისი ტყვე არ გახდე. მისი მონოლოგი დიდხანს არ გრძელდება. ჩნდება კითხვები და იქვე პოულობ პასუხს. თქვენს შორის იმართება დიალოგი. რა თქმა უნდა, არის კითხვები, რომელზეც პასუხს არ გაძლევს და სამუდამოდ საიდუმლოდ ინა-



ხავს. იქნებ ავტორის თხოვნას ასრულებს? შენ იწყებ ძიებას, ცდილობ, იპოვო პასუხი, მაგრამ კითხვა კითხვადვე რჩება. ამასაც თავისი ხიბლი აქვს და ეს არსება კიდევ უფრო საინტერესო და მიმზიდველი ხდება. აღვივებს ცნობისმოყვარეობას და გაიძულებს ბევრჯერ მიხვიდე მასთან და ბევრჯერ ესაუბრო. გულისცემასაც გრძნობ. მისი კარდიოგრამა მოუსვენრად დახტის ზევით-ქვევით და შენც მიყვები ამ ფეთქვას. თბილი გული აქვს ავტორს. ზიხარ გაყინულ შენობაში, კითხულობ დღიურებს და თბები. არ გცივა. კითხულობ დიდხანს. ერთ დღიურს მეორე მოსდევს, მეორეს მესამე. ვერ წყდები სითბოს, არ გინდა, რომ დასრულდეს. გინდა ისე გათბე, რომ სითბო ძალიან, ძალიან დიდხანს გაგყვეს. ასეც ხდება. ბრუნდები სახლში და ხშირად გახსენდება ამოკითხული ფრაზები. ისინი აწყდებიან შენს გონებას და ერთდროულად ხან სიცილს გგვრიან, ხანაც სევდას. ეს მდგომარეობა არ გიკვირს და ხვდები, რომ ის არსება გიყვარს.

ჩემი ემოციები სწორედ ხელნაწერმა გამოიწვია. იგივეს ვერ ვიგრძნობდი ნაბეჭდიდან. ემოციები, რა თქმა უნდა, იქაც ჩნდება, მაგრამ სხვანაირი. ბეჭდურ ასოებს მანქანა ქმნის. ისინი დიდი სიზუსტით, რობოტებივით დგანან ერთმანეთის გვერდით. ამ შემთხვევაში კალიგრაფია ავტორზე არ ლაპარაკობს. ემოციას იწვევს აზრი, შინაარსი. ხელნაწერი კი მეტყველებს ავტორის ხასიათზე. ავტორი საკუთარი ხელით ეხება ფურცელს და რა ფერსაც დაადებს ამა თუ იმ გვერდს, რასაც გრძნობს წერის დროს, ის ემოცია მკითხველზე გადადის. სადღაც შეიძლება აღელვებულია და ხელი უკანკალებს — ეს ხელნაწერში იგრძნობა, სადღაც მშვიდად წერს. ერთდროულად კალიგრაფიაც და ნააზრევიც უფრო დიდ ემოციას იწვევს. ალბათ ამიტომაც განსხვავდება ხელნაწერი ნაბეჭდისგან. დამებადა კიდევ ერთი კითხვა — ვინ არის ამით დაინტერესებული და არის თუ არა შესწავლილი ადამიანის ხასიათთან მისი კალიგრაფია. ხელნაწერში, ყურადღება უნდა გავამახვილოთ სამ ძირითად პუნქტზე:

I — შინაარსი, აზრი;

II — ფორმა, რა ფორმით არის გადმოცემული შინაარსი;

III — კალიგრაფია.

სამივე პუნქტი არის ძალიან მნიშვნელოვანი. პიროვნების საკვლევად გამოიყენება არა მარტო მისი შემოქმედება და პირადი ჩანაწერები, არამედ მისი ნაცნობების გამოკითხვა.

ხელნაწერი შეიძლება იყოს კონსპექტი, რეცენზია, წერილი და ა. შ. მაგრამ რას ნიშნავს დღიური? რატომ წერდა ბატონი სერგო დღიურს და ვისთვის? რა მიაჩნდა მას თავის პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვნად და რას წერდა დღიურში?

ზოგჯერ ადამიანს უჩნდება სურვილი გააკეთოს ჩანაწერი იმის შესახებ, რაც თავს გადახდება, რასაც ნახავს და მასზე შთაბეჭდილებას მოახდენს. ამისათვის აწარმოებენ დღიურს, რომელსაც ყოველდღე უნდა მიმართო. სახელიც ხომ ასეთი აქვს? მაგრამ ხშირ შემთხვევაში ასე არ ხდება. უმეტესად დღიურში წერენ ცხოვრების მნიშვნელოვან დეტალებს. გასაკვირი არაფერია. შეიძლება გაიაროს ერთმა კვირამ ისე, რომ საინტერესო არაფერი მოხდეს შენს ცხოვრებაში. ხანდახან დღეები ძალიან გვანან ერთმანეთს და ცხადია დღიურში არაფერს ჩაწერ. ამიტომ ყოველდღიურად საწარმოებელს პერიოდულად აწარმოებ. იტვირთება დღიური ავტორის ნააზრევით, მძიმდება სიფრიფანა ფურცლები. როგორი მსუბუქია, როგორი მცირე ზომის, წონის. მაგრამ რა წერია ზედ და რაც წერია იმას რა წონა აქვს? ზოგჯერ ვერ უძლებს დიდხანს მძიმე ტვირთს, იხევა, იფლითება, იხრწნება და ქრება. იგი მოკვდავია, როგორც ყველა ცოცხალი არსება და სულიერივით გაფრთხილებასა და ყურადღებას მოითხოვს. სიბერეც იცის ფურცელმა — ყვითლდება და უხეში ხდება. რაც უფრო ხანში შედის, მით უფრო მეტ სიფრთხილეს საჭიროებს, თორემ გაქრება და თან წაიღებს უამრავ განძს.

რამდენი სხვადასხვანაირი ნაწილისაგან შედგება დღიური. ზოგან იხსენებ, ზოგან ყვები მოვლენებს, შედეგებს. შემდეგ გაივლის დრო. გადაშლი დღიურს და თვალწინ გეფინება წარსული წუთები, რომლებიც ძალიან ძვირფასია შენთვის. მაგრამ ის რაც ძვირფასია შენს ცხოვრებაში, რომ არ დაგეწერა არც ამ შემთხვევაში დაგავიწყდებოდა. დღიურს მეხსიერება შეცვლიდა და იგი შენთან ერთად იცხოვრებდა გონებაში. ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. დაასრულებ ცხოვრებას და წუთები, რომლებიც შენთვის ძვირფასი იყო და შეიძლება სხვისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი ყოფილიყო თან მიგაქვს. ასე რომ არ მოხდეს, ამიტომ წერენ გონიერი ადამიანები დღიურს. ისინი მარტო თავისთვის არ წერენ. წერენ სხვა ადამიანებისათვის. მათთვის, ვისთვისაც გონიერი ადამიანების აზრი დიდად მნიშვნელოვანია.

დღიურს ადამიანები წერენ სხვადასხვა მიზნით. შეიძლება წერო იმიტომ, რომ სათქმელს ვერავის ეუბნები და გინდა, შენი აზრები ვინმეს

გაანდო. დღიური ხდება მესაიდუმლე. გეკუთვნის მარტო შენ და სხვას არავის. სერგო ზაქარიაძის დღიურები — ეს არ არის ჩვეულებრივი დღიურები. იგი მარტო თავისთვის არ წერდა. მისი დღიურები გათვალისწინებულია სხვისთვის. დღიურები სარკეა, სადაც კარგად ჩანს თვითონ, მისი ინდივიდუალობა. მთელი ცხოვრება იხარჯებოდა სხვისთვის და ის, რაც უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ მისი, პირადი, ისიც გააკეთა სხვისთვის. ესეც სერგო ზაქარიაძის პიროვნების დამახასიათებელია.



არქივში ინახება ბატონი სერგოს ოცი დღიური. დღიურის ჩანაწერები იწყება 1938 წლის 10 აპრილიდან და წყდება 1967 წელს. ჩემთვის გასაგებია რატომ დაიწყო წერა და საკითხავია რატომ შეწყვიტა... მე გავეცანი მის მხოლოდ რვა დღიურს.

„მე აქ უკვე ოცდარვა — ოცდაცხრა წლის კაცი ვარ. ოჯახს კარგახანია მოვეკიდე, ბავშვი მყავს. ათ წელზე მეტია, რაც ხელოვნების დარგში ჩაბმული ვარ და ყოველივე ამის შემდეგ მე ვფიქრობ, საჭიროა მქონდეს ერთი ისეთი კუთხე, ერთი ისეთი წიგნი, სადაც სრულებით გულახდილად ავღნიშნავ იმ მოვლენებს, რომლებსაც ჩემს ცხოვრებას და ჩემს მუშაობას განსაკუთრებული დაღი დაასვა". — ასე იწყება ბატონი სერგოს პირველი დღიური. იგი ფიქრობდა, რომ მსახიობს თავისი ცხოვრების მიწურულში, ანდა მისი სიკვდილის შემდეგ რჩება ძალიან მცირე რამ, რითაც შეიძლება მისი მოგონება. ეს „მცირე რამ" არის ჯილდო. რეცენზიები, სურათები, დღიურები ან მოგონებები, რომლებიც რჩებიან და ავტორის სახელს აცოცხლებენ. როგორი სიდიდისაც არ უნდა იყოს ავტორი და როგორი უფერულიც არ უნდა იყოს მისი რეცენზიები, სურათები თუ დღიურები, ის მაინც დიდ განძს წარმოადგენს თუნდაც მხოლოდ იმისთვის, ვისაც მისი ნახვით ან წაკითხვით თვალწინ ეფინება წარსული წუთები, რომლებიც ძვირფასია მისთვის. მის პირველ დღიურს ჰქვია „მომავალი", ბატონი სერგო წერს, რომ თვითონაც არ იცის რატომ დაარქვა ეს სახელი. იქვე დასძენს, რომ იმ დღესვე გააკეთებს მეორე რვეულს, სადაც თანდათანობით მოიგონებს მის ყმაწვილობის ხანას, რომელსაც დაარქმევდა „წარსულს" და უნდა, რომ ჰქონდეს კიდევ მესამე რვეული, სადაც ჩაწერს ყოველივე იმას, რასაც გაიგონებს, წაიკითხავს ან ნახავს საკუთარი თვალით და მასზე შთაბეჭდილებას მოახდენს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უნდა ეხებოდეს როლს. ამ რვეულისათვის უნდოდა დაერქმია „უნდა ჩავწერო".

ჩანაწერები იწყება 1938 წლის 10 აპრილიდან. მერვე დღიური დათარიღებულია 1947 წლის 17 ივლისის რიცხვით. რანაირად მიმდინარეობს მისი ცხოვრება ამ ცხრა წლის მანძილზე... დაიწყო სიხარულით, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში მუშაობის დაწყებამ გამოიწვია მასში. გარკვეული დროის შემდეგ იწყება ახალი ეტაპი, მის ცხოვრებაში შემოვიდა ახალი ხელოვნება. 1946 წელს გაიმართა მისი მხატვრული კითხვის საღამო. ასეთი სიხარული არასოდეს განუცდია. მისმა წაკითხულმა ლექსებმა ყველა აალაპარაკა. იყო დაღლილიც და ძალიან ბედნიერიც. თანდათან დამშვიდდა. მისი ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. ბოლოს კი ტკივილი... სრულიად მოულოდნელი „სასიკვდილო განაჩენი" — თეატრიდან გაათავისუფლეს. მისი სული ისე ბორგავდა, როგორც ქარი. მარცხს არ გაუცივებია სცენაზე კვლავ დაბრუნების სურვილი. პირიქით, ქვემოთ დაქანებულმა ცხოვრების მწვავე განცდამ თითქოს განსაკუთრებული სიმძაფრე შეიტანა მასში და ისედაც ენერგიულს, სულის სიღრმემდე შემძვრელი ენერგია განუახლა.

21 ოქტომბერს გამართულა ბატონი სერგოს მხატვრული კითხვის საღამო. წერს ყველაფერს დაწვრილებით როგორი საღამო იყო, რა ხდებოდა დარბაზში. ვინ იყვნენ სტუმრები, როგორ იყო დარბაზი მოწყობილი და ა.შ. ძალიან იმოქმედა ჩემზე ამ ჩანაწერმა, ემოციას იწვევს ყველა მისი დღიური, მაგრამ ამ შემთხვევაში ვიგრძენი ყველა ემოციისაგან განსხვავებული ემოცია. მთლიანად გადავვერთე იმ სამყაროში, ვერ ვგრძნობდი რა ხდებოდა ჩემს ირგვლივ (მუზეუმში სულ ვიღაც არის, მარტო ოთახში არასდროს ვარ). ამ დღეს მე ვიყავი ზაქარიაძის მხატვრული კითხვის საღამოზე, სადაც მოვისმინე როგორც ძველი მგოსნების, აგრეთვე თანამედროვე პოეტების ლექსები. ვიყავი ძალიან ახლოს ბატონ სერგოსთან მთელი საღამოს განმავლობაში. მესმოდა მისი გულისცემა. ის იყო აღელვებული, არასოდეს განუცდია ასეთი ღელვა. იყო დაბნეულიც. ამას თვითონაც ხვდებოდა და უკვირდა. არასდროს დამავიწყდება 1946 წლის 21 ოქტომბერი, ორშაბათი. არ შემიძლია ჩემი სიტყვებით ჩავერიო და გადმოვცე ის სიხარული, სიამოვნება და ის განწყობა, რომელიც ამ საღამომ აჩუქა მაყურებელს. დღიურში ისე დეტალურად არის მოთხრობილი ყველაფერი, რომ შეგიძლია რამდენჯერაც მოგინდება, იმდენჯერ წახვიდე საღამოზე. მე ვერ დავთვალე რამდენჯერ ვიყავი იმ დარბაზში, სადაც მისი წაკითხული ლექსები საოცარ განწყობას

ქმნიდა მსმენელზე. მინდა, ყველამ განიცადოს ის სიხარული, რომელსაც ეს ადამიანი დაუსრულებლად გასცემს ახლაც კი, და თქვენც დაგპატიჟოთ ბატონი სერგოს მხატვრული კითხვის საღამოზე.

**„1946 წელს 21 ოქტომბერს, ორშაბათს შესდგა ჩემი მხატვრული კითხვის საღამო. ძალიან კარგი საზოგადოება დაესწრო. თეატრი იყო სავსე. სცენის ფარდა თავიდანვე იყო გახსნილი. სცენაზე ჩამოშვებული იყო ლურჯი მაუდის ფარდები და აქეთ-იქით ორი დიდი თეთრი კოლონა. თითქმის შუაში იდგა მრგვალი მაგიდა და ორი სელის სკამი. მაყურებელი დიდად გაკვირვებული იყო იმით, რომ საღამოს დაწყებამდე მეც მათთან ერთად ფოიეში დავდიოდი, ხან ერთს ვებაასებოდი და ხან მეორეს. ჩემთან მოიყვანეს ახალგაზრდა პოეტი გოგონა ანნა კალანდაძე, შეპირების თანახმად მას თეატრის შესასვლელში დახვდა მოსაწვევი ბარათი ორისათვის (მოსაწვევი ბარათით მხოლოდ ანნა კალანდაძე იყო მოწვეული, ეს იყო დღევანდელი ჩემი ავტორი, ცოცხალი. დანარჩენი ავტორები ამქვეყნად აღარ იმყოფებოდნენ.) მას ეცვა წითელი კაბა. იყო ჩვეულებრივზე მეტად მკრთალი ალბათ ამ დროს მეც მისებრ გამოვიყურებოდი. ის მოიყვანეს ჩემთან, ვინაიდან მე მას დავპირდი მისი ამხანაგების თეატრში შემოშვებას. ჩავყევი ქვევით და გამოვატარეთ მისი თუ არ ვცდები ორი მეგობარი. ისინი მოათავსეს ლოჟაში, ესეც მე ვთხოვე, ვინაიდან მისი ლექსების წაკითხვის დროს მისკენ იქნებოდა მაყურებლის ყურადღება და ეს რა თქმა უნდა მე ხელს შემიშლიდა, მაგრამ მის გარდა სხვებიც იყვნენ ლოჟაში და მიუხედავად იმისა, რომ ის პირველი შემოვიდა, ლოჟაში მაინც ყველაზე ცუდი ადგილი მას მიარგუნეს და მთელი დარბაზისათვის კარგად შესამჩნევ ადგილზე იჯდა. მე კი ისე ვღელავდი, რომ ჩემს სიცოცხლეში არ გამიცდია ასეთი ღელვა. მახსოვს ექიმი ვ. ჩოხელი შემოვიდა ფოიეში, მე ამოსასვლელ კიბესთან ვიდექი, მივესალმე ხელის ჩამორთმევით, მას თან ახლდა ორი მანდილოსანი — ტასო გუნია (ვალერიან გუნიას ქალიშვილი) და ერთი კიდევ, ამათაც ხელი ჩამოვართვი და რამდენიმე სიტყვის შემდეგ ვანო ჩოხელს კიდევ ჩამოვართვი ხელი. მან გამომიწოდა ხელი და დასძინა „ეს მეორედ გართმევ ხელს სერგო და ორჯერვე სიამოვნებით". მე გამაოცა ჩემმა დაბნეულობამ. დაირეკა ზარი, ხალხი შევიდა დარბაზში და მეც მათთან ერთად შევედი. მეორე რიგში განაპირა სკამი იყო თავისუფალი. დავჯექი. დარბაზი ჯერ კიდევ განათებული. ჩემს წინ ნინო ჩხეიძე იჯდა, უკან ექიმი გოგუცა ფურცხვანიძე. თურმე მასთან მქონია საუბარი. მე არც ეს მახსოვს. ჩემგან სამი სკამის მოშორებით იჯდა პროფესორი ალეკო წულუკიძე. მახსოვს მისი გაოცებული სახე იმის გამო, რომ მე პარტერში ვარ. ვუცდი ხალხს, რათა დაიკავონ თავიანთი ადგილები. ეს ცდა გაგრძელდა ერთი ხუთი წუთი. ამ ხნის განმავლობაში მე ვესაუბრებოდი ნინო ჩხეიძეს. რაზე — ეხლაც არ მახსოვს. კიდევ ცოტახანი, მე ავდექი და ზურგით სცენისკენ ორკესტრის ბარიერს მივაწექი. ჩამოვარდა სიჩუმე. მე დავიწყე: "პატივცემულო საზოგადოებავ. იმედი მაქვს კადნიერად არ ჩამომართმევთ ამ ჩემს სურვილს, რათა უდიდესი მოკრძალებით ჩამომარცვლო ხელიხელ საგოგმანები მარგალიტები ილიასი, აკაკის, ვაჟასი, ბარათაშვილისა და ამ ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის განიერ ფრთისქვეშ ამოფარებულ ბარტყების, ჩვენი ქვეყნის ყველაზე ნორჩი პოეტების ლადო ასათიანისა და ანნა კალანდაძესი". (დარბაზი თითქოს შეირხაო, ჩურჩულით და გუგუნი გაგრძელდა რამოდენიმე წამი. ამის მიზეზი ის იყო, რომ კალანდაძე არსად არ იყო გამოცხადებული, არც აფიშაში, არც გაზეთში. ზოგსაც ეგონა ნება არ მომცეს მისი წაკითხვისა). „იმ ნაწარმოებით (განვაგრძე მე) რომელთა გადაკითხვას მე თქვენთან ერთად ამ საღამოს ვაპირებ, თქვენთვის არცერთი არ არის უცნობი. უფრო მეტიც. ყოველ ჩვენგანს არამც თუ წაგვიკითხავს, გვისწავლია კიდეც ჩვენი სასიქადულო პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის დედაენიდან და ჩვენი ბავშვობისა და ყრმობის სანეტარო ჟამს გვაგონებს. მოვალეობად მიმაჩნია აქვე საჯაროდ გულრწფელი მადლობა გადავუხადო ჩემს უახლოეს მეგობრებს, რომელთა რჩევითა თუ დახმარებით გამაბედვინეს ეს პირველი ნაბიჯი, ხოლო განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო იმ კარგი მამის, გრიგოლ ყიფშიძის შვილის გიორგი ფრონისპირელის ღვაწლი, რომელმაც ქართული ენის სწორმეტყველების დიდი ცოდნა და გამოცდილება არ დაიშურა ამ დიდი საქმის პატარა საწყისისათვის. დიდმა ზელადმა სთქვა დღევანდელი ქართული ენის საძირკველი აკაკის, ილიას, ვაჟას**



ნაწარმოებები უნდა იყოსო და ქართული მხატვრული კითხვის ეს საღამო ხომ ამ ბუმბერაზთა შემოქმედების შედევრებზეა დამყარებული.“ ამის შემდეგ მე ავედი კიბით სცენაზე, სწორედ ორკესტრის შუაზე იყო გაკეთებული გადასასვლელი პარტერიდან სცენაზე. ჩემი სცენაზე ასვლისას დარბაზში სრული სიჩუმე იყო. ამ დროს თეატრის ახალგაზრდა მსახიობმა ეთერი ზალდასტანიშვილმა გამოიტანა წიგნი, რომლის ყდა ძვირფასი ხავერდით იყო შემკული. (შინდისფერია) მასზე ე. ი. წიგნზე ზევიდან იყო ოქროსფოჩებიანი ძვირფასი ფარჩა. მას ეცვა ყავისფერი კაბა წინ შავი საფარით, მოწაფის ტანსაცმელი. მე გამოვართვი წიგნი დიდის მოწიწებით. ის კი მაშინვე უკან გაბრუნდა. გადავხსენი ფარჩა, გადავშალე წიგნის პირველი ფურცელი, ავიღე თავი და გამოვაცხადე: „ილია ჭავჭავაძე“. თითქოს სურათი დავინახე მისი წიგნში გადაფურცვლის დროს და ეს ვამცნე საზოგადოებას. შემდეგ წიგნი ფაქიზად დავდე მაგიდაზე და გადავფურცლე იმ ადგილამდე სადაც ფარშევანგის ფრთა იყო ჩატანებული. აქ ავიღე თავი, გამოვაცხადე „ოთარაანთ ქვრივი, თავი მეთოთხმეტე“. დავჯექი სკამზე დინჯად, წყნარად შემოვიდე მარჯვენა ხელი შუბლთან ახლოს და დავიწყე კითხვა. რამოდენიმე წინადადების შემდეგ მე წიგნს თანდათან მოვცილდი და ვკითხულობდი ზეპირად. ასე მე წავიკითხე „ოთარაანთ ქვრივი“ — სამი თავი, მაგრამ ყოველი თავის გათავების შემდეგ მარცხენა ხელით რამოდენიმე ფურცელს გადავფურცლავდი ხოლმე. ეს იმისათვის, რომ თითქოს მას მე ვკითხულობ და ბოლოს როდესაც დავამთავრე კითხვა, წიგნი დიდის მოწიწებით დავხურე. ვკითხულობდი 22 წუთი, აბსოლიტურ სიჩუმეში. როდესაც გავათავე ეს სიჩუმე პატარახანს კიდევ გაგრძელდა და შემდეგ იგრიალა დარბაზმა ტაშით. მე ვიდექი ოდნავ თავდახრილი და ცვირსახოცით ცრემლებს ვიწმენდდი. ეს ოვაცია კარგახანს გაგრძელდა და თავი რომ ავიღე დარბაზშიც ბევრს ეჭირა ცხვირსახოცი. უნდა აღვნიშნო, რომ შემდეგ ვინც კი მიყვებოდა თავის ჩდაბეჭდილებებს ყველა ამას ხაზგასმით აღნიშნავდა, ამ ოცდაორწუთიან სამარისებურ სიჩუმეს. ამას რა თქმა უნდა მე ვგრძნობდი პირველი. აი ეს არის ყველაზე დიდი სიამაყე მსახიობისათვის, როდესაც ის ხდება სრული მფლობელი დარბაზისა. და ვაშა იმას, ვისაც ეს მფლობელობის ჟამი დიდხანს უგრძელდება. ამის შემდეგ ძალიან მიჭირდა რაიმეს წაკითხვა და მით უფრო ლექსებისა. ერთ წუთზე მეტი მე ვისვენებდი და ჩემთან ერთად მაყურებელიც ისვენებდა. შემდეგ წავიკითხე ილიას ხუთი ლექსი: „პოეტი“, „ელეგია“, „გაზაფხული“, „გახსოვს ტურფავ“ და „გუთნის დედა“. ამათ შემდეგ მე გულის ჯიბიდან ამოვიღე პატარა უბის წიგნაკი, რომელსაც ცისფერი ძვირფასი ხავერდის ყდა ჰქონდა და თანაც დავძინე „ბარათაშვილი“. წავიკითხე: „ბულბული ვარდზედ“, „როს ბედნიერ ვარ“, „საყურე“, „ცისა ფერს“, „მერანი“. მთელი ბარათაშვილის ლექსები მე მქონდა აგებული უაღრესად თხელ ფერებზე და ამის გამო ისინი იყვნენ გამჭვირვალენი. მაგრამ წაკითხვის დროს დიდ დარბაზში ვერ შევძელი ამის შენარჩუნება და ეს თვისება დაიკარგა. ამის გამო ლექსებმა დაჰკარგეს თავის მნიშვნელობა და მაყურებელიც არ იყო ისე დაძაბული. მე ეს რა თქმა უნდა ვიგრძენი და ვჩქარობდი რათა მალე მივსულიყავი „მერანთან“, სადაც შევძლებდი მაყურებლის მთლიან დატყვევებას. ამ სიჩქარის გამო დანარჩენი ლექსებიც დაკნინდნენ. აი კიდეც მივედი მერანთან, დავიწყე. მივდივარ, არაუშავს ერთი ნაწილი გავათავე, გადავედი მეორე ნაწილზე. ავწიე თავი და უეცრად დავინახე დარბაზის შემოსასვლელ კარებთან, სადაც ხალხი იდგა, ყველაზე უკან შალვა ღამბაშიძის თავი. ეს მოხდა თვალის დახამხამებაში. ქართველი ხელოვნების ქურუმი, ერთ-ერთი ქართული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, უსმენდა ამ ქართულ საქმეს გასაქცევად გამზადებული. ამან იელვა თავში, კონტროლის გარეშე, ალბათ თვალის დახამხამების დროის ნაკლებიათ, მაგრამ ეს კი იყო, რომ მე გაწონასწორებიდან გამომაგდო და იმ წუთშივე დამემართა „თეთრი“. თითქოს აქედან ვინმემ წამიღო სულ სხვა სამყაროში. აღარაფერი არ მესმოდა, აღარაფერს არ ვხედავდი. რომ გამოვერკვიე უკვე ვკითხულობდი, მაგრამ გზადაგზა იყო შემთხვევა სტროფებსაც ვტოვებდი. მაყურებელმა მხარი დამიჭირა და იმის აღსანიშნავად რომ ეს არაფერიაო — ხანგრძლივი ოვაციებით დამაჯილდოვა. შემდეგ მე ავიღე წიგნები, მივიყრდნე მარცხენა ხელით გულზე და გამოვაცხადე: „ვინაიდან მე ცოტა დავიღალე და თქვენც ალბათ, ცოტა ხანს — 10-15 წუთი გამოვაცხადე შესვენება“. დარბაზი აიშალა და მე წავედი დასასვენებლად ჩემს ოთახში, მაგრამ დასვენებაზე ზედმეტი იყო ფიქრი, ვინაიდან მაშინვე შემომყვნენ ჩვენი თეატრის მსახიობები. შეიქმნა გაცვლა-გამოცვლა აზრებისა, იყო გ. ფრონისპირელიც. მას ეტყობოდა სახეზე კმაყოფილება. სხვებიც კმაყოფილები იყვნენ, განსაკუთრებით მერი დავითაშვილი იყო აღტაცებული. იაშა ტრიპოლსკის სახე ჰქონდა გაბრწყინებული. მერი ქორელმა მითხრა „ანი არაგიშავს რაო“. მაგრამ მე ისე დაღლილად ვგრძნობდი თავს, რომ ვერც კი წარმომედგინა კიდევ როგორ გავატარებდი მთელ ორ განყოფილებას. ბოდიში მოვიხადე და ყველა დავითხოვე, ვინაიდან ვგრძნობდი აუცილებელი იყო ჩემთვის, თუნდაც ერთი წუთით მაინც ამოსუნთქვა. დაიწყო მეორე განყოფილება აკაკი წერეთლის ლექსებით. ეს ასე იწყებოდა: “ამას წინათ მე ვნახე ერთი ფირფიტა, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა — პოეტი აკაკი წერეთელი, მის მიერ წარმოთქმული ლექსი. მე დიდის ყურადღებით მოვემზადე მოსასმენად. ნემსის წვერმა თითქმის ფირფიტის ნახევარს მიაღწია, მაგრამ ჩვეულებრივი შრიალის მეტი არა ისმოდა რა. ბოლოს ესეც მიწყდა და ჩურჩული შემომესმა — „ერთხელ კიდევ წაიკითხეთ

ბატონო აკაკი". დავილალე, მეტი აღარ შემიძლიან (ამ სიტყვებს მე ვამბობდი მოხუცი აკაკის ხმით) — „ერთი ბატონო და მეტი აღარ" — „თუ დავილალე" — „ერთი ბატონო მხოლოდ". აკაკიმ ამოიხვნეშა და დაიწყო — ხან უგნური ვარ ხან ბრძენი, ხან არც ესა ვარ არც ისა, გარემოების საყვირი, არც მიწისა ვარ. აქ იყო პაუზა, ამ პაუზის დროს მე სკამიდან ვდგებოდი და გამოვდიოდი აკაკის სახის ჩარჩოსგან, შემდეგ მიდიოდა კითხვა მისი ლექსების: „ვარდის ხმაზე", „გაზაფხულია", „პატარა ბიჭი ვიყავი", „სალამური", „განთიადი" და ბოლოს „აღმართ-აღმართ მივდიოდი". ამ ლექსის ბოლოში მე ისევ დავუბრუნდი აკაკის სახეს და მისებურად სკამზე მჯდარმა დავამთავრე ეს ლექსი. ამის შემდეგ გამოვაცხადე ვაჟა-ფშაველა. დარბაზში ჟრიამული შეიქნა. მე წავიკითხე ვაჟას „დანაბარები", „არწივი", "გიორგი სააკაძის სურათზე", „ქალას", „სამეფო სიმღერა", „ფშავლის წერილი დედას" და საზოგადოების ნებართვით წავიკითხე ხევსურული ლექსი „მოყმე და ვეფხვი". ამით დავამთავრე მეორე განყოფილება. ჩემის აზრით აკაკი წავიკითხე გაცილებით უკეთესად, ვიდრე ვკითხულობდი, ხოლო ვაჟა გაცილებით სუსტად, ვიდრე წამიკითხავს. ასე, რომ ის მაყურებელი, რომელიც მოუთმენლად მოელოდა ვაჟას, მათი სურვილი მთლიანად ვერ დავაკმაყოფილე. მესამე განყოფილება დავიწყე ლადო ასათიანით. წავიკითხე: „საქართველო", „არაგველებს", „ყაყაჩო". „ცხრა ძმა ხერხეულიძეები", „სასაფლაო", შემდეგ ანნა კალანდაძე „ლ. ასათიანს", „სტვირი ვარ", „გული ხარხარებს", „ყაყაჩოსა სიწითლითა", "გველის ლოცვა", „კარში გამო ჭია-ჭია მარია", „საქართველო ლამაზო" და ბოლოს „მივდიოდი წინ ბელადის დროშით". მივმართე დარბაზს: „ნება მიბოძეთ ამით დავამთავრო ჩემი საღამოთქო" და ჩამოვედი ისევ დარბაზში".

 აი გათავდა ყველაფერი. მილოცვები, ოვაციები... ის უკვე ველარ არჩევდა სახეებს, ვინაიდან ბევრნი იყვნენ და ერთმანეთს ცვლიდნენ. ბატონი სერგო იყო ძალიან დაღლილი. თვალები ჩაუცვივდა და თვალებს ქვემოთ ლურჯი ლაქები გაუჩნდა. „პირდაპირ დავბერდი — აღნიშნავს იგი — მაგრამ ვიცოდი, რომ უკვე გაღმა ვიყავი გასული და ეს დიდი ხნის ოცნება უკვე მომხდარი იყო". ეს დიდი სიხარული ამაგრებდა მას ფეხზე. იმ ღამეს არ ძინებია. ტრიალებდნენ მისი წაკითხული ლექსები და ეს ზღვა ხალხი. შუაღამისას ამდგარა და სასეირნოდ გასულა. რვის ნახევარზე დაბრუნდა სახლში და შემდეგ დაიძინა. ჩემზე დაღლილი არავინ მეგულებოდა, მაგრამ ჩემზე ბედნიერიც არავინ იყო. ეს იყო ჩემი პირველი ასეთი დიდი სიხარული, რომელიც აქობამდე არ გამომეცადა" — ამთავრებს წერას ამ ფრაზებით. ძნელია ცხოვრება... მაგრამ რამდენი სიამოვნებაა ქვეყანაზე. აი, ამიტომ ღირს ცხოვრება, თუნდაც ამ ერთი საღამოს ისტორიისათვის.

მკაცრი პიროვნება, ფხიზლად მცხოვრები, მუდამ ბრძოლაში ჩაბმული... ის იყო ყოველდღიური მძიმე შრომით წელში გაწყვეტილი, ხელებდაკოჟრილი მშრომელი ადამიანი. სამახსოვროდ დაგვიტოვა დღიურების მთელი კოლექცია. ეს არ არის ჩვეულებრივი დღიურები. ბატონი სერგო მარტო თავისთვის არ წერდა. რატომ ასათაურებს დღიურებს? იგი გამიზნულად წერდა ყველაფერს წიგნისათვის.

არიან ადამიანები, რომლებიც უცებ აფრინდებიან ზევით და მერე მთელი ცხოვრება იქ იმყოფებიან. ყველა სხვადასხვა გზით მიიწევს აღიარებისაკენ. ბატონმა სერგომ ძალიან რთული, დაბრკოლებებით აღსავსე გზა გაიარა იმისათვის, რომ მწვერვალზე ასულიყო. ფხიზელი გონების კაცი იყო. მან ხალხის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა მიიღო, მაგრამ უმაღლეს მწვერვალზეც კი საკუთარი თავის მიმართ კონტროლის გრძნობა არასოდეს დაუკარგავს. კარგად იცოდა თავისი ღვაწლის ფასი. ამიტომ არ ეშინოდა კრიტიკული ყოფილიყო საკუთარი შემოქმედების მიმართ. იყო კრიტიკული, ნიშნავს იყო მომთხოვნი.

დიდი ნიჭისა და სასიამოვნო გარეგნობის ადამიანს განცხრომით არასოდეს უცხოვრია. კითხულობ ამ დღიურებს სიყვარულით, აღტაცებით და თაყვანისცემით იმსჭვალები იმ დიდი ადამიანისადმი, რომელიც გულში იკლავდა ესოდენ მწვავე პირადი ცხოვრების წყლულებს, რათა მათ ხელი არ შეეშალათ მისი შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის. ბევრი კითხვა იბადება, მაგრამ ბატონი სერგოს ფრაზები ისე მიმნდობია, ისე სავსე ჯადოთი, რომ ამ კითხვებზე პასუხმიუღებელიც დანდობილად მიყვები მის ლაღ დინებას, იმსჭვალები მისი ფიქრით, გიბიძგებს გაალღვივო შენი წარმოსახვა და გაურკვეველი ადგილები შეავსო შენეული ვარაუდებით. არის ადგილები, სადაც თხრობა დაყვანილია ჩვეულებრივი მუსაიფის დონეზე და შემოსილია სრულიად სადა, მარტივი და უპრეტენზიო ელფერით. მაგრამ გვხვდება იდუმალი ადგილებიც, რომლებსაც ვერ დააკავშირებ ვერაფერთან. ისინი თავის ნაჭუჭში ჩაკეტილები, ცალკე დგანან და არავითარ მინიშნებას არ იძლევიან. ასეთი ადგილები ჭაობს მაგონებს. შეხედავ — პატარაა. ზუსტად იცი, რომ მალავს რაღაცას — ძვირფასს. გგონია, რომ შეხვალ სიღრმეში და უცებ იპოვი რასაც ეძებ. მაგრამ ტყუვდები. ჭაობი გითრევს, ნელ-ნელა გძირავს... თავის დაღწევა შეუძლებელი ხდება.

ასე შემიტყუეს ამ დღიურებმა. მეც მივყვები, მივიწევ სიღრმისკენ. ჯერჯერობით ფსკერი არ ჩანს, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ მალე გავხდები დიდი განძის მფლობელი.

ასე მგონია, არ ვართ ვალმოხდილნი მის წინაშე. შეიძლება, რომ საქართველოში ბატონი სერგოს შემოქმედების შესახებ მხოლოდ თარგმანი არსებობდეს? არაქართველი მკვლევარი მის ასეთ დღიურებს ვერ გაეცნობოდა, ვერ შეძლებდა და ვინც შეძლებს, ის აუცილებლად მიაკითხავს ამ დღიურებს, რადგან ამ მასალების გარეშე სერგო ზაქარიაძის შესახებ მონოგრაფიული ნაშრომი სრული არ იქნება.


ზაქრო ფიცხელაური

ქეთევან შუბითიძე

# მძლავრად მოქნეულ ყალმის საუფლოში

ზაქრო ფიცხელაური ქართველ მხატვართა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც ასპარეზზე გასული საუკუნის ბოლოს გამოვიდა და არამარტო გააგრძელა ქართული მხატვრობის ღირსეული ტრადიციები, არამედ შეეცადა ახალი ფერადოვნებით, ახალი ორიენტაციებით და სათქმელით თავისი წვლილიც შეეტანა მის წინსვლასა და განვითრებაში.

დიახ, ზაქრო ფიცხელაური ზემოთხსენებული თაობის სისხლი, სისხლთაგანი და ხორცი, ხორცთაგანია.

მის პალიტრაზე ზურმუხტისფერი ზაფხულის, ოქროსფერი შემოდგომის, თოვლით დაფარული კავკასიონის, ალაზნის ტალღებზე ასხლეტილი მზის ანარეკლი აელვარდა.

საქართველო და მშობელი ხალხი იქცა მისი მხატვრობის წყაროდ.

პირველი შემოქმედებითი ნათლობა თელავის სამხატვრო სკოლაში მიიღო, რომელსაც მხატვარი სერგო ასლანოვი ხელმძღვანელობდა და დღემდე დიდი მადლიერების გრძნობით იხსენებს მას, როგორც „სიტყვაძვირსა სიკეთით სავსე პედაგოგს.“

შემდეგ იყო იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. სწორედ ამ დროს გაიტაცა იგი კლოდ მონეს, კამილ პისაროსა და ოგიუსტ რენუარის ფერწერამ.

ზაქრო ფიცხელაურისათვის, როგორც მომავალი მხატვრისთვის, მეტად ახლობელი აღმოჩნდა მათი მხატვრობის მდიდარი ფერადოვანი გამა და წერის რბილი მანერა. მისი შემოქმედება იმთავითვე მრავალჟანრულობით გამოირჩეოდა: იგი თანაბრად დაინტერესდა პეიზაჟის, პორტრეტის, ნატურმორტისა და დეკორატიული კომპოზიციების ხელოვნებით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მხატვრის შემოქმედებაში უმთავრესი ადგილი პეიზაჟმა დაიკავა: „თელავი“, „ალაზნის ველი“, „თურდო“... ამ ჟანრის ერთ-ერთი ადრეული ნამუშევარი „შიოს მარანი“ მან 1989 წელს შეასრულა. სურათის თითქმის მთელ სიმაღლეზე აღმართულ ქედზე მოჩანს — ძველი ტაძარი. ცის ვიწრო ზოლი, რომელიც სასურათო სიბრტყის ზედა ნაწილს გაუყვება, ნათელი ფერებით ამდიდრებს გამოსახულებას და უსაზღვრო სივრცე შემოაქვს კომპოზიციაში. ქედის გაყოლებაზე ჩამწკრივებული ხეების, ბუჩქებისა და თვითონ ტაძრის გამოსახულება ნათლად იკითხება ღია ცის ფონზე და უფრო მკაფიოდ იკვეთება მათი სიმარტოვე. გარემოს განზოგადებული ხასიათი, თავშეკავებული ფერთა გამა, რომელიც ძირითადად მოოქროსფრო-ყავისფერით განისაზღვრება და მინიმალური სახვითი ხერხები ზუსტად გადმოსცემს მხატვრის სევდანარევ, ლირიულ განწყობილებას მიტოვებული და დავიწყებული ტაძრის მიმართ.

1985 წლიდან მომავალი მხატვარი სწავლობს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, ფერწერის განყოფილებაზე, პროფესორ გოგი თოთიბაძის ჯგუფში. იგი არც აკადემიაში სტუდენტობისას სჯერდებოდა მხოლოდ სასწავლო განრიგს და დამატებით ლევან ცუცქირიძის, რუსუდან გაჩეჩილაძისა და ზურაბ ნიჟარაძის ლექციებსაც ესწრეოდა. ზაქრო ფიცხელაურის მხატვრობის ფორმირებაზე განსაკუთრებული გავლენა ალბერტ დილბარიანის, ზურაბ ნიჟარაძის და შალვა მატუაშვილის შემოქმედებამ მოახდინა. ყოველივე ამან განაპირობა მისი ფერწერისათვის დამახასიათებელი ხავერდოვნება, მდიდარი ფერთა გამა და წერის რბილი მანერა.

აკადემიის დამთავრებისას სადიპლომო ნაშრომად მან რელიგიური სიუჟეტი „იერუსალიმში შესვლა“ აირჩია. თამამი და ნოვატორული იყო დიპლომანტის მიერ კანონიკური საეკლესიო სიუჟეტის, სრულიად ახლებური, შემოქმედებითი გადაწყვეტა. მან უგულებელყო საღმრთო დღესასწაულის გადმოსაცემად უკვე დამკვიდრებული იკონოგრაფიული ნორმები და შემოქმედებითად მიუდგა დასახულ მიზანს. მან შექმნა სრულიად თავისუფალი მხატვრული კომპოზოცია, რომელიც ზეციური და მიწიერი დღესასწაულის ამსახველ ზოგად მოვლენად იქცა. მონითალო-ოქროსფერ გამაში გადაწყ-



„თამრიკო“

ვეტილი კოლორიტი, ოქროსფერი მოციმციმე ბლიკები და მჟღერი მონასმები სურათს სადღესასწაულო განწყობას მატებს. მისტიური გარემო, რომელიც ქ. იერუსალიმს ასახავს და ზეცად აფრენილ ანგელოზთა დინამიური ჯგუფი სიუჟეტის ღვთიურ ხასიათზე მიუთითებს. უნდა ითქვას, რომ შემდგომში მხატვარი იშვიათად თუ უბრუნდება რელიგიურ სიუჟეტებს. მის შემოქმედებაში აშკარად ვლინდება ის დიდი სიყვარული, რასაც მხატვარი ზოგადად ცხოვრებისა და ადამიანებისადმი განიცდის.

სწრაფად გაირბინა შემოქმედებითი ძიების სტუდენტურმა წლებმა. სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე ზაქრო ფიცხელაური თბილისის მხატვრის სახლის ფერწერის სახელოსნოში ჩაირიცხა. სულ რამდენიმე თვეში ძმათამკვლელმა ომმა მხატვრის სახლი ნაცარტუტად აქცია, რამაც მოუშუშებელი იარა დაუტოვა მხატვარს. ამ მოვლენებისადმი საკუთარი პოზიცია ერთადერთი ნამუშევრით გამოხატა. ეს არის აფხაზეთის ომში დაღუპული ახალგაზრდა ბიჭის თომას „თოლიას“ პორტრეტი, რომელიც მხატვარს გადმოცემული აქვს რეალისტურად. შეიძლება ითქვას ნატურალისტურადაც კი, როგორც დოკუმენტური ასახვა რეალური ისტორიისა და მან ამგვარად გადმოსცა საკუთარი პოზიცია სისასტიკით აღსავსე მოვლენების მიმართ.

დღესდღეობით, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ზაქრო ფიცხელაური უკვე ჩამოყალიბებული, საკუთარი ხელწერის მქონე შემოქმედია.

აკადემიის „ბოჰემური ცხოვრების“ წლების შემდეგ, დადგა სიმშვიდისა და საკუთარ სულში ჩაღრმავების ხანა, მეგობრებიც შემოაკლდა, მაგრამ ვინც მის გვერდით დარჩა, როგორც თავად ამბობს, „ნაღდი და უღალატოა“... თავისი შემოქმედებით ქვეყნად მშვენიერისა და მარადიული ესთეტიკური ფასეულობების შექმნას ემსახურება. მის პეიზაჟებში „ნავები“, „ვარდისუბანი“, „ცივგომბორი“, „გაზაფხული“, „წითელი ხეები“, „ხევი“ და სხვა ასახულია წელიწადის სხვადასხვა დროის მხატვრის მახვილი თვალით დანახული ბუნების უმშვენიერესი ხედები. პოეტური სიფაქიზით გადმოსცემს იგი ზღვის ყურეში მოლივლივე თეთრ აფრებს; ოქროსფრად მოელვარე შემოდგომის ველებს; წითელ-ყვითელ გაზაფხულს და ცივგომბორის მასივების შთამბეჭდავ სიძლიერეს. იგი რბილი მონასმებით, სხვადასხვა ფერის ფაქიზი შერევით წერს ნამუშევრებს და სწორედ, შემოქმედის ამ დიდი ძალისხმევის შედეგად აღწევენ ისინი მაღალმხატვრულობას და განსაკუთრებულ ესთეტიურობას.

ზაქრო ფიცხელაურის შემოქმედებაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნატურმორტს. თუკი თვალს გადავავლებთ მის მხატვრობას შევნიშნავთ, რომ მხატვრის შემოქმედებამ გარკვეული ევოლუცია განიცადა, — იგი მეტად დაიხვეწა, უფრო ესთეტიკური გახდა. ეს გზა ნატურმორტების მაგალითზეც თვალნათლივ ჩანს. თუკი მისი ადრეული ნამუშევრები ფორმის სიმტკიცითა და მოცულობათა ხაზგასმით ხასიათდებოდა, შემდგომში მათ გამოსახულების უფრო მეტ განზოგადებას მიაღწიეს. მხატვრის ხელწერა შერბილდა, გაბუნდოვნდა, ფერადოვნად გამდიდრდა და დაიხვეწა. „ქრიზანთემები“, „თეთრი ქრიზანთემები“, „ნატურმორტი“ და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ მისი მხატვრული ესთეტიკა ნებისმიერი წრისა და სოციალური ფენის ადამიანისთვისაა მისაღები, რადგანაც იგი მხატვრის დიდი სიყვარულის განცდისა და მაღალოსტატური შემოქმედების ნაყოფია. ამის შედეგია წარმატებები პერსონალურ გამოფენაზე: პრაღაში — 1986 წელს, მოსკოვში — 1991-1995 წ.წ. ანკარაში — 1996 წელს, ბერლინში — 1997, პარიზში — 2002 წელს. ხოლო 2006 წელს პერსონალურ გამოფენაზე სანში(საფრანგეთი), მხატვრის აღიარება კიდევ ერთი კრიტერიუმითაც დასტურდება — ექსპოზიცია მთლიანად გაიყიდა!

2006 წლის ოქტომბერში გალერეა „ვერნისაჟში“ მოწყობილი კიდევ ერთი პერსონალური გამოფენით შემოქმედი თბილისურ შემოდგომას მხატვრული კომპოზიციებით მიესალმა.

ნატურმორტი





# ბეთქილ ჭამგელიანი

* * *

„ძნელია დალის სიყვარული,
მწარეა დალის სიყვარული,
დალის არ უყვარს პატიება".
(სვანური ხალხური ლექსი)

შენ ჩემი მუზა იყავი, დალი!
დაბადებითვე შენთვის შეწირულს
იმედი მქონდა,
არასოდეს გიღალატებდი,
და გიღალატე,
თუ კი ამას
ღალატი ჰქვია:
მე მოვინათლე —
ქრისტესაკენ შემოვიქეცი,
ო, ნუ გასწირავ,
ნუ გაიმეტებ
შენსა და ქრისტეს შორის გაყოფილს.
ხომ იცი, ვერსად ვერ გაგექცევი,
მე ისევ მქვია სახელად — ბეთქილ.

* * *

ჩემზე ამბობენ,
ის ვერ იცოცხლებს,
რადგან ტკივილებს ველარ აიტანს.
ამოვალ შენთან,
ძვირფასო დალი,
და ან დაღუპულ ლექსებს მოგიტან.
გარდაიცვალნენ ჩემი ლექსები,
ახლა სულს ლაფავს ჩვენი პოემაც.
შენ დამანახვე შენუნებურად
ამ წუთისოფლის ამაოება.
ჰა, შორეულმა დარეკა ზარმა...
სიკვდილმა მითხრა:
„შემხედე კარგად!"
მის ცივ თვალებში უსასრულობა
მხოლოდ დაფხრეწილ ნისლებად ჩანდა.
დალი! დამთავრდა ჩვენი ამბავი,
წინ ვხედავ მხოლოდ ღრუბლებს ბოლიანს...
ისე მივდივარ,
რაა ცხოვრება,
არ ვიცი!
მხოლოდ გამიგონია.

* * *

ბოლოს კვლავ შენთან ამოვალ,
დალი,
იქ,
სადაც მთები ცას უერთდება...
შენი თვალები ჩემს დაღლილ თვალებს
ჩუმი ლოდინით შეეფეთება.
შენ მე არ დამსჯი
და მეტყვი მხოლოდ:
„დარჩი აქ, ბეთქილ, იცხოვრე ეხში,
ვიყოთ ჩვენ ერთად არწივთა შორის
და მომიძღვენი ლამაზი ლექსი."
— ძვირფასო, დალი!
მე ჯერ არ ვიცი,
რა არის მაინც ცხოვრება ჩემი.
მე მიყვარს მზეც და შრიალა ნისლიც,
მიყვარს ახალიც და მიყვარს ძველიც.
მერე კი...
მერე,
უწყოდე,
მოვალ,
იქნება ქარი,
წვიმა
თუ თოვა...
და ძლენად მოგიტან უნაზეს ლექსებს.

* * *

დალი, ძვირფასო,
ჩემო სიამევ
და დანისლული დილის ციალო,
ახალგაზრდობა გადავიარე
როგორც მთები და ველი ტრიალი,
და ჰა, გვპირდება აწ განშორებას
ბედი, რომელიც ჩვენ არ გვქონია,
იქნება ჩუმი ჩემი ცხოვრება
და გულს დაიპყრობს მელანქოლია.
ძვირფასო, დალი, დრო მოვა მალე —
წავალ მარტოკა თოვლების ფერში.
მე დავიღალე, მე დავიღალე,
მე დავიღალე მავანთა ხელში.

* * *

სისულელეა, ყველა ტრირემა,
ვაკუუმიდან იშვება ლექსი,
მოვერცხლისფერო ყელით ირემი
შორს, უსასრულო სივრცეებს ერთვის.
სასაცილოა, ყველა ტრირემა,
ბრწყინვალე ლექსი, როგორც ფერია,
ახლახან მივხვდი, რომ გარეთ ოქრო
და შიგნით თურმე არაფერია.
შორეთში ვხედავ, როგორც ფერხულის
წრეში იელვებს ცივი გრიგალი
და ჩემში ეშმას შავ ნაფეხურით
მწვანე ლოდების თეთრი ფრინველი.
თვალწინ მიდგება მძლავრი არწივი,
ჩემი ცხოვრების ლურჯ ავგაროზად,
ვხედავ ეშმაკებს ერთი ქვაწვია
დაუჭერიათ და გაუროზგავთ.
ახლა იშვება ტანჯვა ბნელეთის,
ამ ტანჯვის გზაზე ბევრი გულია,
მეზღვაურები დგანან ხმელეთზე
და ახლა ისევ ზღვები სწყურიათ.

* * *

დაიწერება „თეთრი რვეულის"
თეთრი ლექსები —
როგორც ფიფქები.
და მზრუნველობა
დედისეული
მალე დამტოვებს.
მხოლოდ ფიფქები
შემრჩება ხელში,
თეთრი ფიფქები,
რომლებიც
ხელში იქცევიან
უფერო ცრემლის
მრავალ კურცხალად.

* * *

წავლენ დღეები,
და ნელ-ნელა მეც დავბერდები.
რაღაც პატარა სიცოცხლისხელა,
დამრჩება წლები.
განადგურდება მრავალი ნივთი,
ჩემი ლექსი კი შემორჩება
დეკემბრის დამჭკნარ ფოთოლივით
ყვითელ გაზეთზე,
როგორც შემკრთალი ბავშვობა ჩემი.

* * *

სველი ოთახი,
სველი ჰაერი,
სველი მზერა და
სველი ფიქრები,
დატოვებული სადღაც ოჯახი,
კარგის ძებნაში
ცუდად იქნები.
გამოიღვიძებ
და შეხვდები მზეს,
ვით სიყვარულის დამწველ სინაზეს,
შენ უყურებდი ნაღვლიანად
ადამის ძეებს —
დაყრილთ, დახვრეტის შემდეგ სილაზე —
სველი ოთახი,
სველი საბანი,
სიცივეც სველი,
სველი ფიქრები.
კარგი რაც იყო, ყველა მონახე,
ღვინოც დალიე ძველი ჭიქებით,
დრო გადიოდა, როგორც სიზმარი
და მაინც ხშირად სევდა გათრობდა,
ეს ლექსი იყოს, როგორც ცისმარი,
ცისმარი —
რასაც ხშირად ნატრობდი.

* * *

მოულოდნელად
ვნახე
დაღლილი
სიკვდილი.

* * *

შენ არ გეგონოს, რომ მხოლოდ შენთვის
იწერებოდნენ ლექსით ქარები,
ჩემი ლექსები ლირიკას ერთვის
და მიყურებენ ქრისტეს თვალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

*„მე იქნებ ვჩქარობ და სიჩქარეში*
*რაც დღეს მეკუთვნის, იმასაც ვკარგავ,*
*მაგრამ მე ვიცი, რომ თქვენს გარეშე*
*ვერასდროს ველარ ვიქნები კარგად.“*
ო. ჭილაძე

ახლა შინა ვარ და მინდა შენთან,
და აი, რეკავს ჩემს კართან ზარი,
შემოდის „იგი“ და თან მივყავარ,
მივდივარ, ვფიქრობ — მოვიდე ხვალე.
და „ხვალეც“ ერთვის გარდასულ დღეებს,
ისევ ისე ვარ, როგორც ყოველთვის.
მე ვერასოდეს ვერ გავიგონებ:
„სად ხარ, სიამევ, აჰა,.მოვედი!“
ყვითელი სევდის ეს ნაპერწკალიც
აანთებს ძველი დარდების აბედს.
გზას წუთისოფლის გავყვები მგზავრი,
შევხვდები ვინმეს,
შევხვდები რამეს,
ოდესლაც მერე, შემხვდება „იგი“
და მეტყვის მავალს ჩუმად და კენტად:
„შენი სავალი შორს ველარ მიდის,
ამიტომ ჩქარა წამოდი ჩემთან“.

* * *

შენ დაგაობლა
ბედმა
თუ
კაცმა
და
უნებლიეთ
ინამე ღმერთი,
ბოლო გროშებით იყიდე ჯვარცმა
და ლურჯი მღვდელის
დაეცი ფერხთით.

* * *

დღეს საბოლოოდ მივხვდი და ვიცი:
ვარ პატიმარი ცხოვრების ციხის...
ჩემი სხეული ნელ-ნელა ინვის
და სულს ახედებს ამ საკანს იქით.
რა ლამაზია ოცნება ჩემი,
ხოლო სანუთრო რა ცუდად მიდის,
და ველი, როდის გასცურავს გემი,
რომ გამიყვანოს ამ საკანს იქით.

* * *

როცა განაჩენს გამომიტანს
ღმერთი იქ — ცაში,
დალის სიყვარულს
მე ჩავიტან ჩემთან მიწაში
და ჩემს შემდგომად
იმის სახელს
წარმოთქვამს ვერვინ.

* * *

ახლა მე მივდივარ,
დღეს ბოლო დღე არის,
მივდივარ გრძნობებით
დატვირთულ თვალებით.
მიძახის ის, რაიც
ძველი ზენა არი,
იქ, სადაც მწვერვალობს
და იგი მიბარებს.
მიბარებს ის რაიც,
რაც შენგან მაშორებს,
იქ, სადაც სილურჯე
და სადაც სილაღეა.
ოი! მენატრება ძველი ბაბილონი
და იქ დაკიდული ცის ფონზე ბაღები.
ბაღები, ბაღები, ბაღები, ბაღები,
და ისევ სიმარტოვე და ისევ გოგენი.
ცხოვრება კარია, მისი გასაღები
თუ შენ ვერ იპოვე, წვალება მოგელის,
წვალება სულისა და ძველი მოგვები.

* * *

მორჩა, გასრულდა ჟამი ოცნების,
დგას მეუფება ცივი ტკივილის.
თუ რამ მიხარის, — მხოლოდ ოცნების
საგანთიადო ჟივილ-ხივილი.
მოჩანს სარკმლიდან: ჰყვავის ტყემალი,
ცას ასცქერიან ხენი ვედრებით.
ჩემი ლექსი კი ახლა ტყვე არის
საავადმყოფოს მჟავე კედლების.

* * *

მე განახლებას ვუცდი ხატების,
მანამ უძლური — ყველას წინაშე,
თვალწინ რიალებს როკვა ლანდების
და სულში წყნარად ღვივის სინაზე.
ეჰ, ვლაპარაკობ ხშირად იმაზე,
რაც, ალბათ, არვის აღარ აღელვებს.

# ფოტოარქივიდან



ფრიდონ სულაბერიძე, ომარ კელაპტრიშვილი, რეზო ჭოხონელიძე, გია ჭირაქაძე, ტარიელ საყვარელიძე


**ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“**
**გთხოვთ, შეგვეწიოთ!**
ჩვენი რეკვიზიტებია: ანგ. № 9836295 სს „ბაზისბანკი“ კოდი 220101956.
ი/მ „ვაჟა ოთარაშვილი“ საინდ. კოდი 132540696. ჟურნალისათვის.

## ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას №42; ტელ: 37-61-53,
შპს „ინფო 2007“ გ. ცაბაძის №6; ტელ: 34-11-40 და „საქპრესა“ ტელ: 51-60-04;
„სახალხო ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში

**სამი თვით 9 ლ; ექვსი თვით 18 ლ.**


---


„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ!

**კომპიუტერული უზრუნველყოფა:**
ელენე ვარამაშვილი

**რედაქციის მისამართი:**
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 31 70 47; 32 73 62; (+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@mail.ru Web: www.litandart.com.ge

**ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში**



თამრიკო



ქალი წითელში



„უსანეთი“



ISSN 1512-3189

შპს გლობალ სერვის ტური
LTD GLOBAL SERVICE TOURS
ტურისტული სააგენტო
TRAVEL AGENCY

ფასი 3 ლარი